

K 229.477  
3

ԵՄԻՐԱԾ ԶԵՅՆՆԵՐՈՒՄ

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆԱԳՐԱԾԱՆՈՒԹՅՈՒՆ

# ՎԶՆՆՆԵՐՈՒ ՆՎՄԱՆՈՒՅԻՆՈՒՄ



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოხუმის ფილიალი



აფხაზეთიდან ღვენილთა კავშირი

ზურაბ კაკასქირი

# აფხაზეთი საქანთუველთა

გამომცემლობა „აღმაშენებელი“

თბილისი - 1998



- 1) აფხაზეთის ისტორია
- 2) სეპარატისტო აფხაზეთს
- 3) საქართველოს აფხაზეთის  
უხიიგეოსს

ედგენება ბ-ნ შიული შარტა  
და აფხაზეთში გმირლად  
დაცემულ მამული შვილთა ხსენა

წიგნში შესულია ავტორის მიერ 1984-1997 წლებში პერიოდულ პე-  
სასა და სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში გამოქვეყნებული ისტო-  
რიოგრაფიულ-პუბლიცისტური ხასიათის სტატიები, აგრეთვე ცალკე-  
ული, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი შრომები. მათში გაშუქებულია საკ-  
რთველო-აფხაზეთის ისტორიის საკვანძო პრობლემები; კრიტიკულად  
გაანალიზებული აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ მკ-  
ციკებები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა პირველმო-  
სახლეობის, თორმეტსაუკუნოვანი აფხაზური „ეროვნული“ სახელმწი-  
ფოებრიობის, „ეროვნული“ (აფხაზური) ქრისტიანული ცივილიზაციისა  
და სხვა საკითხების შესახებ და ნაჩვენებია მათი სრული უსაფუძვლობა.  
გააზრებულია უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთში დატრიალებული მო-  
ვლენები. წიგნს ერთვის საზოგადოებრივი მოძრაობა: „აფხაზეთიდან დე-  
ჭნილთა კავშირის“ საქმიანობის ამსახველი მასალები და დოკუმენტები.

წიგნი განკუთვნილია საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსუ-  
ლითა და თანამედროვე პრობლემებით დაინტერესებული ფართო მკი-  
თხველისათვის.

საქმე-2000  
შეგთქმულია

რედაქტორი

აკადემიკოსი რეონ  
მეტრეველი



მს

სა  
სა

ამ წიგნის გამოცემის იდეა ჯერ კიდევ 1993 წლის მიწურულს, სეპარატისტთა სატუსალოში ყოფნის დროს დაძვებდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც უძძიძესმა ფსიქოლოგიურმა სტრესმა რამდენადმე გაიარა და, როგორც იტყვიან, ამქვეყნიური ცხოვრებისკენ მოვიხედე. წიგნის თავდაპირველი სათაური მაშინ ასე შესახებლდა: „სიძართლე და სიცრუე აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე“. ანუ რატომ აღმოვჩნდი აფხაზერ სატუსალოში“. მასში აფხაზეთის თემატიკაზე გამოქვეყნებულ ისტორიოგრაფიულ-პუბლიცისტურ სტატიებთან ერთად, განზრახული მქონდა შემეტანა ჩემი (როგორც შერე გამოირკვა, ასდლიანი) პატიმრობის დაწვრილებითი აღწერა. სამწუხაროდ, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ჯერჯერობით მე ვერ მოვახერხე ამგვარი „მოვონებების“ დაწერა. ამასობაში, ადრინდელ პუბლიკაციებს დაემატა უკანასკნელ პერიოდში (1994-1997 წლებში) დაწერილი ნარკვევები, ინტერვიუები, გამოსვლები სხვადასხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე. ერთი სიტყვით, დამიგროვდა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა (მათ შორის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელიც) საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის მთელ რიგ პრობლემებზე, რომელთა ერთად თავმოყრა და ცალკე წიგნად გამოცემა საშურ საქმედ ჩავთვალე.

წიგნის სათაური – „აფხაზეთი საქართველოა“ – არ არის შემთხვევით შერჩეული, ის მთლიანად ესადაგება წიგნში განვითარებულ უძთავრეს იდეას. მასში შესულ ყველა პუბლიკაციას წითელ ზოლად გასდევს სწორედ იმის დასაბუთება, რომ დღევანდელი აფხაზეთი, ისტორიულად, ყოველთვის იყო საერთო-ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი. ეს სრულეობითაც არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრივ აფხაზები არ არიან თანამედროვე აფხაზეთის მკვიდრნი. პირიქით, მე ვიზიარებ შეხედულებას (და ესეც ცალსახადაა გატარებული წიგნში შესულ მასალებში), რომ აფხაზები – ძველ აბაზგ-აფხილთა უშუალო



შთამომავლები — უძველესი დროიდან (ახ. წ. I-II საუკუნეებიდან მაინც) ცხოვრობდნენ აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველური, ხაზს ვუსვამ, ქართველური ტომების (კოლხები, სანიგ-ჰენიოხები, მისიმიანები და ა.შ.) გვერდით. ისინი თითქმის ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთო-ქართულ (ჯერ დასავლურ-ქართულ — კოლხურ, ლაზურ, ხოლო შემდეგ ზოგად-ქართულ) პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში. თვით XVII-XVIII საუკუნეებშიც კი, როდესაც, ცნობილი მიზეზების გამო, ერთგვარი ბზარი გაუჩნდა ქართულ-აფხაზურ ისტორიულ ერთობას, შარვაშიძეების აფხაზეთის სამთავრო და აფხაზები მაინც იყვნენ ზოგად-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის მატარებლები და ძველებურად რჩებოდნენ ქართული წიგნიერი კულტურის არეალში. სწორედ ამის დადასტურებაა თუნდაც აფხაზეთის სამთავროს ქართული გერბი (ვახუშტი ბაგრატიონისეული), რომელიც ერთიანი საქართველოსა და სხვა ქართული სამეფო-სამთავროების გერბებთან ერთად გამოსახულია წიგნის გარეკანზე.

წიგნში ერთგვარი შესავლის სახით შევიტანეთ „აფხაზთა ტყვეობაში“ ყოფნის მასალები, რომლებიც, თავის დროზე, გამოაქვეყნეს ვაზეთებმა: „საქართველოს რესპუბლიკა“, „კავკასიონი“, „ქალი და მამაკაცი“. აგრეთვე ჩემს გამოხსნასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტები. ვფიქრობთ, უფრო ვრცელი „მოგონებებს“ დაწერამდე აღნიშნული მასალა ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს მკითხველთა ინტერესს.

წიგნში ასევე ვაქვეყნებთ (დანართის სახით) საზოგადოებრივი მოძრაობა: „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ დოკუმენტებს, რომლებშიც მოცემულია „კავშირის“ დამოკიდებულება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პრობლემისადმი. ამ მასალის გამოქვეყნება ვანაპირობა იმან, რომ აღნიშნული დოკუმენტები შექმნილია ავტორის (მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის — „დევნილთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილის) უშუალო მონაწილეობითა და რედაქტორობით და მათში უმეტესწილად დაფიქსირებულია პრობლემების ავტორისეული ხედვაც.

ავტორი

## ზურაბ პაპასქირის ასი მძიმე დღე\*

კარგა ხანია დაუსწრებლად ვიცნობდი, როგორც სერიოზულ მკვლევარსა და მებრძოლ პუბლიცისტს. წაკითხული მქონდა მისი განმარტებული მონოგრაფია „ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი,“ რომელმაც დასტამბვის უმაღლესი მიიქცია სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, მახსოვდა მისი უკომპრომისო საგაზეთო პუბლიკაციები აფხაზურ-ქართული ურთიერთობის გამყალბებელთა წინააღმდეგ.

გაცნობით კი შარშან მაისში გავიცანი სოხუმში, მე-2 საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებაში. კაპიტნის მუნდირს ვერ შეეცვალა პროფესორ ზურაბ პაპასქირის სულით ხორცამდე სამოქალაქო გარეგნობა. მაგრამ ეს „წიგნის ჭია“ მეცნიერი და დახვეწილი ინტელიგენტი უდრტვინველად იტანდა სამხედრო ცხოვრების უჩვეულობასა და სიძნელეს. მაშინ ბევრი ვისაუბრეთ ამ ომის უჩინარ და ხილულ ფესვებზე, შესაძლო პერიპეტეიებზე.

მეორედ ივლისში, ტამიშთან დესანტის განადგურების დღეებში შევხვდით. დინჯად და აუღელვებლად მიაძებოდა ყოველი მხრიდან ბლოკირებული ქალაქის თავს გადახდენილ სიძნელეებზე. სულიერი მხნეობა არც სოხუმის დაცემის საშიშროების დღეებში დაუკარგავს და არც დესანტის განადგურებისა და ბლოკადის გარღვევის შემდგომ საყოველთაო აჟიოტაჟს აჰყოლია – მეცნიერი ისტორიკოსის ანალიტიკური გონებით ხელავდა ომის წიაღში ამოწვერილ სახიფათო მეჩჩეებს.

შემდეგ 27 სექტემბრის კატასტროფა...

\* გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 თებერვალი, 1994.

**ცნობა გაზეთებიდან:** „აფხაზმა სეპარატისტებმა დააპატიმრეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, 43 წლის პროფესორი ზურაბ პაპასჭირი.“

**ბრალდება** – ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივება.

**ბრალდებული** – დაიბადა 1950 წელს ზუგდიდში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1972-1975 წლებში სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1978 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „საქართველო და აღმოსავლეთი ევროპა XI-XII ს.ში“ (ამ პრობლემის კვლევისათვის 1982 წელს მას მიენიჭა ახალგაზრდა მეცნიერთათვის დაწესებული საქართველოს კომკავშირის პრემია, რამაც აფხაზ სეპარატისტთა რისხვა გამოიწვია ნაშრომში სეპარატისტული კონიუნქტურის საწინააღმდეგო შეხედულებების განვითარებისათვის. აფხაზეთიდან მისი გასახლების საკითხიც კი დააყენეს.).

სოხუმში სამუშაოდ 1976 წელს ჩავიდა. იყო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდეგში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) მასწავლებელი, დოცენტი, კათედრის გამგის მოადგილე, 1989 წლიდან – თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა. 1991 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა (X ს. 70-იანი – XI ს. 80-იანი წლები)“. 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 3 მონოგრაფიისა.

1977 წლიდან აქტიურად იყო ჩაბმული სეპარატისტებთან „იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიულ ომში“ – მთელი 16 წელიწადი მოთავეობდა აფხაზეთში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსთა ბრძოლას ჭეშმარიტების გამყალბებელთა წინააღმდეგ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**16 სექტემბერს** საომარ მოქმედებათა განახლება უმრავლესობისთვის, ზურაბისთვისაც თავზარდამცემი იყო. სჯეროდა, რომ სოჭის 27 ივლისის შეთანხმება შედეგს გამოიღებდა (რუსეთი იძლეოდა გარანტიას!). არადა, სოხუმი ცხოვრების მშვიდობიან რი-

ტმს უბრუნდებოდა. რაკი 1 სექტემბერს ფილიალში სწავლა იწყო, პრაქტიკულად, სამხედრო სამსახური შეწყვიტა და სალექციო კათედრას დაუბრუნდა.

ომის განახლება იმ დამთრგუნველად იმოქმედა, რომ ჰიპერტონიული კრიზი დაემართა და მთელი ზუთი დღე საწოლიდან თავი ვერ წამოსწია. მხოლოდ 21 სექტემბერს მივიდა კორპუსის შტაბსა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში. ორივეგან აშკარა დაბნეულობა იხილა. ჰოდა, ახალი რაიონიდან – გუმისთაზე გამავალი ფრონტის ხაზიდან ოჯახის უფრო უხიფათო ზონაში გამოხიზვნა (არა სოხუმიდან გაყვანა!) გადაწყვიტა. მან და მისმა მეზობელმა, საარმიო კორპუსიდან თანამოსამსახურემ რენო სურმაკამ ოცდაორში მანქანაც იშოვეს, მაგრამ იქაურობა მაინც არ დატოვეს: შტაბის ორი ოფიცერის ოჯახის გასვლას მთელი იმ უბნის ქართული მოსახლეობის პანიკა შეიძლება მოჰყოლოდა (რადიო ზომ დაბეჯითებით იუწყებოდა, მაშველი ძალა წუთი-წუთზე შემოვა ოჩამჩირის მხრიდან და არათუ სოხუმს შევიწარჩუნებთ, ფსოუმდე გავალთო.). მათმა მეუღლეებმაც ივაჟკაცეს, ჩვენი წასვლა არასგზით არ ეგებისო. 26 სექტემბრამდე სჯეროდათ, რომ მშველელი მოვიდოდა.

27 სექტემბერი მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე, ყველაზე სასოწარკვეთილი დღე იყო. ბინის ფანჯრებიდან უყურებდა „გამარჯვების ფეიერვერკს“, აალებულ სოხუმს და მაშინ იყო, კინალამ სულმოკლეობამ რომ სძლია, მხოლოდ ოჯახზე ფიქრმა აალებინახელი თვითმკვლელობაზე.

ოცდაშვიდშივე მოადგნენ მის ბინას აფხაზი მეომრები, მაღლობა ღმერთს – მათივე კარის მეზობლები. ცუდი არაფერი უკადრებიათ, პირიქით, მფარველობა აღუთქვეს და შეასრულეს კიდევ. ძველმა ნათელ-მირონმა შეასრულა თავისი როლი, იმანაც, რომ ზურაბის მეუღლე ქალბატონი ნონა პედიატრია და ბევრზე ჰქონდა ამაგი. მთელი 10 დღე მალეს აფხაზმა მეზობლებმა ზურაბი, არადა მას, სოხუმში კარგად ცნობილ კაცს, გაფაციცებით ეძებდნენ. ბოლოს, 7 ოქტომბერს, დააპატიმრა სეპარატისტთა უშიშროების სამსახურმა ის და რენო სურმაკა.

იმ დღეს ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს: შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში მიყვანისას იქ მყოფ ბოევიკთაგან ერთ-ერთმა, მისმა ყოფილმა სტუდენტმა, იცნო და ავტომატი მოუღერა, იზო-



ლატორის მორიგის სიმარჯვე რომ არა (სასწრაფოდ შეავლო საკანში და კარი ჩაურახა), ადგილზე მიახვერებდა.

ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, თუ პირველი დღეების უმნიშვნელო ინცინდენტებს არ ჩავთვლით. მასაც და სხვებსაც საკმაოდ კორექტულად ექცეოდნენ, აი, გარედან ანგარიშსწორების საფრთხე კი იყო, სანამ საერთაშორისო წითელმა ჯვარმა მასზე კონტროლი არ დააწესა.

... საკნის მობინადრენი თითქმის ყოველდღიურად იცვლებოდნენ. ძირითადად მოწმდებოდა მათი ომში მონაწილეობის საკითხი. ერთი კვირის, 10 დღის შემოწმების შემდეგ ათავისუფლებდნენ, ავტობუსებში სვამდნენ და ზუგდიდისაკენ ამგზავრებდნენ. გაათავისუფლეს რენო სურმაჯაც (მისი ქალ-ვაჟი აფხაზმა მეზობლებმა სოხუმის დაცემის პირველ დღეებშივე გაიყვანეს ადღერში, ზურაბის დედა კი – ზუგდიდში. ქალბატონ ნონას გამოპარება გაჭირდა, მაგრამ 23 ოქტომბერს იმასაც გამოაღწევეს.).

სამჯერ დაჰკითხა უშიშროების სამსახურის გამომძიებელმა. დაკითხვას ერთობ ინტელიგენტურად წარმართავდა. გამოძიება მალე დარწმუნდა, რომ ამ მეცნიერ კაცს კრიმინალს ვერ უპოვნიდნენ და იურიდიული თვალსაზრისით მისი „საქმე“ უპერსპექტივო იყო. ის კი, პოლიტიკური ოპონენტი და დღევანდელი აფხაზეთის ხელმძღვანელობის კურსის შეურიგებელი მოწინააღმდეგე რომ იყო, ზურაბს არც დაუმალავს. 15 ნოემბერს ხუთი საათი დაჰკითხავდა აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი სერგეი ბგანბა. დაკითხვა საკმაოდ მძიმედ დაიწყო (ს. ბგანბას ვაჟი დაელუპა ომში), მაგრამ მტრული ატმოსფერო ჩქარა განიმუხტა, პროკურორი დარწმუნდა, რომ პატიმარს ეროვნებათშორის შუღლის გაღვივების ბრალდებას ვერ დაუმტკიცებდა, არც უცდია მისი „გამოჭერა“, ყალბი სამხილის მოშველიება. ის კი არა, იმაზე ჩამოუგდო ლაპარაკი, თუ რა გზით დაეტოვებინა აფხაზეთი გათავისუფლების შემდეგ.

მაგრამ საკანი არა და არ იღებოდა. უფრო მეტიც, 3 დეკემბერს მოულოდნელად, ბგანბას დავალებით, მასთან პროკურატურის გამომძიებელი გამოცხადდა ადვოკატთან ერთად და ოფიციალურად წაუყენა ერთაშორის შუღლის გაღვივების ბრალდება, თუმცა იქვე დაამშვიდა, ეს ფიქტიურად ხდება, ხვალ ენგურთან გაგცვლითო.

ამ „ხვალის“ შემდეგ თითქმის თვე გავიდა. ერთმანეთს მიჰყვება გაურკვევლობის ერთფეროვანი დღეები. დახშულმა საკანმა, პურისა და ჩაის დიეტამ, ნესტმა და სიცივემ თავისი გაიტანა და ფიზიკურად გასტეხა. რამდენჯერმე მიმართა პროკურორს, თუ აფხაზეთის ხელისუფლებას სჭირდება ხმაურიანი პოლიტიკური პროცესი, მზად ვარ, ოღონდ თავლებით გამათავისუფლეთ, რათა სათანადოდ მოვემზადო.

6 იანვარს პროკურატურამ გადაწყვეტილება გამოიტანა მისი თავლებით გაათავისუფლების შესახებ და არა საქმის ძიებით შეწყვეტით. 9, 10 და 11 იანვარს საერთაშორისო ჯვრის წარმომადგენელი ამაოდ ცდილობდა ზურაბის გამოყვანას. ჩანს, სეპარატისტები ეხევის მოლაპარაკების მეორე რაუნდის შედეგს უცდიდნენ.

და აი, 14 იანვარს, როგორც იქნა, გაიღო საკნის კარი. ახლავა გარკვევა, ეს გაათავისუფლება მისი უდანაშაულობის კი არა, იმის შედეგია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა 5 იანვარს, გულაუთაში ყოფნისას, მისი საკითხი კატეგორიულად დააყენა გულაუთის ხელისუფალთა წინაშე, რასაც საქართველოს ხელისუფლების ფართო საზოგადოებრიობის, სამეცნიერო წრეების დიდი მცდელობა უძღვოდა.

14 იანვარს საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელმა ზურაბი ადლერში ჩაიყვანა მანქანით, სადაც მას ამ ორგანიზაციის ამიერკავკასიის მისიის მეთაური მიშელ მეიერი დახვდა. შემდეგ საჰაერო რეისი თბილისისაკენ...

ამ დღეებში ვინახულე თბილისში, ნათესავების ბინაში მეუღლესთან ერთად თავშეფარებული პროფესორი. წვერმოშვებული, გაცრეცილი კაცი უცებ ვერც მივამსგავსე სოხუმური შეხვედრებიდან ხსოვნაში ჩარჩენილ ხალისიან, მზით გარუჯულ კაპიტანს...

– და მაინც, ამდენი წვალების, სიკვდილის თვალეებში ჩახედვის შემდეგ, როგორ გესახებათ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გზები? – ვკითხე ბატონ ზურაბს.

– დაახლოებით ამგვარ კითხვაზე წერილობით პასუხის გაცემა მთხოვა გამოძიებულმა სოხუმის იზოლატორში შარშან, ნოემბრის დასაწყისში. მაშინაც ცალსახად აღვნიშნე, რომ კონფლიქტის მოგვარებისა და აფხაზური პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა შშვიდობიანი მოლაპარაკების გზაა. ამას ვინმე დაშინებული პატიმრის პასუხად ნუ მიიჩნევს. მე რომ მშვიდარა ვყოფილიყავი, იქედან პირველი გამოვიქცეოდი და მაშველის მოლოდინში ახალ რაიონში, ფრონტისპირა ხაზზე არ

ჩავრჩებოდი. ასე რომ, ეს არ იყო კონიუნქტურული მოსაზრება. ამ დასკვნამდე მიმიყვანა ყოველივე იმის გაანალიზებამ, რაც აფხაზეთში მოხდა. ქართველები ცოტა უცნაური ხალხი ვართ, არ გვჩვევია წარსულის გაკვეთილებიდან დასკვნების გაკეთება, ერთი და იგივე შეცდომას ხშირად ვიმეორებთ. განა არ ვიცით, ვინ დაგვამარცხა აფხაზეთში? განა ის ფაქტორები (რუსეთი, ჩრდილოეთ კავკასია) უკვე აღარ არსებობს? ხომ უნდა გავიგოთ, ბოლოს და ბოლოს, რომ სანამ არ მოხერხდება რუსეთის ნეიტრალიზება მაინც, სამხედრო აქციებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სამწუხაროდ, ეს ყველას არ ესმის. ამ თვალსაზრისით, მე განსაკუთრებით მაფიქრებს საქართველოს პარლამენტის რადიკალური უმცირესობის აგრესიულობა, რაც გადაედო აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოსაც (რომლის ერთ-ერთი წევრი მეც გახლავართ). რატომღაც ისე მგონია, და საგანგაშო სწორედ ეს არის, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს, როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ, უფრო აფხაზეთის ირგვლივ ხმაური აინტერესებთ და არა ამ პრობლემის რეალური გადაჭრა. მაშ, რას უნდა მივაწეროთ ყოვლად მიუღებელი მოწოდებები შიმშილობისა და ხელისუფლების საწინააღმდეგო სხვა საპროტესტო აქციების მოწყობის შესახებ? მე არავისზე ნაკლებად არ მესმის, თუ რომელი გზაა იდეალური აფხაზეთის საკითხის (თუ ნებისმიერი მსგავსი პრობლემის) მოგვარებისათვის. მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ დღევანდელ საქართველოს არჩევანის საშუალება არა აქვს. სამწუხაროდ, დღეს საქართველო ვერ გაატარებს დავითის პოლიტიკას. ამისათვის არც შინაგანად ვართ მზად – ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის ზღურბლზეა და, რაც მთავარია, არც საამისო საგარეო-პოლიტიკური პირობები არსებობს. მეტიც: მე, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსი, ისიც უშუალოდ დავით აღმაშენებლის ეპოქის სპეციალისტი, კატეგორიულად ვაცხადებ: დავითიც კი ვერ იღავითებდა, ბიზანტიის იმპერია რომ არ დაუძლურებულიყო და სელჩუკეთი არ დაშლილიყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დავით აღმაშენებელმა, სანამ სელჩუკთა წინააღმდეგ აქტიურ ომს დაიწყო, 10 წელიწადი მაინც მოანდომა ქვეყნის დაწყნარება-დალაგებას.

ყენევის მოლაპარაკებას, რასაკვირველია, გააჩნია უარყოფითი მხარეები, მაგრამ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ და ამ ეტაპზე გამოვიყენოთ ის პოზიტიური, რაც უდაოდ ძევს მასში.

თუ ვალში 1-2 თვეში ხალხს შევიყვანთ, ეს დიდი დარტყმა იქნება აფხაზი ექსტრემისტებისათვის. მათთვის დიდი დარტყმაა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის თბილისში ვიზიტისას ხელმოწერილ დოკუ-

მენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაც. ამას არ შეიძლება არ მოჰყვეს შუღლი და რღვევა სეპარატისტთა შორის. გამარჯვებით გამოწვეულმა ეიფორიამ მათ უკვე გაუარა. დღეს გუდაუთა ეგრძნობა მხოლოდ ექსტრემიზმს და მტკიცებას, გავიმარჯვეთო. როცა ეს ერთადერთი „არგუმენტი“ გამოეცლებათ, არძინბა პოლიტიკურ ლეშად იქცევა, რადგან აღარაფერი დარჩება მისი „დიადი მიზნისაგან“ – აფხაზეთი ჩამოაცილოს საქართველოს. აი, მაშინ საინტერესო პროცესები დაიწყება აფხაზეთში, ეს დრო შორს არ არის.

აქ მინდა ერთი შეხვედრა გავიხსენო. 19 ოქტომბერს, ჩემი მოთხოვნით, საგამომიებო იზოლაცორში მინახულეს გუდაუთის მთავრობის წევრმა ბესლან კობახიამ და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, ჩემმა კოლეგამ დაურ ბარგანჯიამ. ეს ის დრო იყო, როცა დასავლეთ საქართველოში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. და აი, მათ მე, აბსოლუტურ ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფი კაცი, „ნოკაუტში ჩამაგდეს“, საქართველო ინგრევა და აფხაზეთი დამოუკიდებლობას იღებსო. სიხარულს ვერ მალავდნენ, ერთ-ორ დღეში ქობალია ქუთაისს დაიკავენ და ამის შემდეგ საქართველო მინიმუმ 5 ნაწილად დაიშლებაო. არ დაუმაღავთ, პირიქით, ხაზიც გაუსვეს აფხაზეთა და ჩეჩენთა მონაწილეობას ქობალიას „ლაშქრობაში“. საინტერესოა, რომ მოგვიანებით, 15 ნოემბერს, როცა ქობალიას „ლაშქრობა“ უკვე ჩაფუშული იყო, პროკურორმა ბგანბამ, ჩემი დაკითხვის დროს, უარყო აფხაზეთა მონაწილეობა ამ ავანტიურაში და საკმაო ინტერესით მოისმინა ჩემი მოსაზრება აფხაზეთ-ქართული ურთიერთობის მომავალზე.

*— თქვენ ვჭერთ, რომ აფხაზეთში დავებრუნდებით?*

— დარწმუნებული ვარ! ეს მძიმე მტკივნეული პროცესი იქნება, მაგრამ გარდაუვალია. ამაში ისტორიის ლოგიკა და მოვლენათა განვითარების კანონზომიერება მარწმუნებს.

**დამშვილობებისას** ბატონმა ზურაბმა მთხოვა, „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით გადაეცით მადლობა ყველა იმ პირს, ორგანიზაციასა და საინფორმაციო საშუალებას, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, რომლებმაც ყველაფერი იღონეს ჩემს გამოსახსნელად.

**მათ მართლაც ეკუთვნით ეს მადლობა!**

## მინდა ღაპიჯერო, რომ აფხაზეთს მუვილობიანი გზით ღაპიბრუნებთ

– აცხადებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოხუმის ფილიალის პროფესორი ზურაბ პაპასქირი

„წითელმა ჯვარმა სიკვდილს გადამარჩინა“

*ბატონო ზურაბ, საქართველოს საზოგადოება მოთმინებით აღევნებდა თვალს აფხაზეთა ტყვეობიდან თქვენი დახსნის კამპანიას. სახელმწიფო ინსტიტუტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ კიდევ ერთი ქართველის სიცოცხლე გადაერჩინათ. გვიამბეთ, რა ვითარებაში მოხდა თქვენი გათავისუფლება?*

ჩემი გათავისუფლების კამპანიის შესახებ არაფერი ვიცოდი. მართალია, იზოლატორში ყოფნის მეორმოცე დღეს, 1993 წლის 16 ნოემბერს, მინახულეს საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა, მაგრამ არაფერი უთქვამთ, თუმცა, თავისთავად მათი სტუმრობის ფაქტმა გარკვეული სიმშვიდე მომგვარა, მივხვდი, საერთაშორისო კონტროლქვეშ ვიყავი. სხვათა შორის, იმ პერიოდში აფხაზები გათავისუფლებას მპირდებოდნენ, რაც, რა თქმა უნდა, არ შეასრულეს...

1994 წლის 7 იანვარს გამაცნეს პროკურორის გადაწყვეტილება აღკვეთის ზომის შეცვლისა და თავლებში გამოშვების შესახებ, მაგრამ იმ დღიდან კიდევ ერთი კვირა ვყავდით იზოლატორში და მხოლოდ ჟენევის მოლაპარაკების მეორე რაუნდის დასრულების შემდეგ გამათავისუფლეს. ცნობილია ისიც, რომ 5 იანვარს გუდაუთაში პასტუხოვს არძინბასთან საუბარში კატეგორიულად მოუთხოვია ჩემი ციხიდან გამოშვება.

12, 13, 14 იანვარს, ყოველდღე, მოდიოდნენ საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები ჩემს წასაყვანად და მხოლოდ 14

გაზეთი „კავკასიონი“, 9 თებერვალი, 1994.

იანვარს შეძლეს თავისი მისიის შესრულება, ჩამსვეს სპეციალური მანქანაში და გავემგზავრეთ ადღერის მიმართულებით. გავიარეთ ნანგრევებად ქცეული სოხუმი. გულაუთამდე არავის გავუჩერებოვართ. იქ ავტოინსპექციის თანამშრომლებმა ოდნავ შეგვაყოვნეს და კვლავ დაუბრკოლებლად განვაგრძეთ გზა რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე. რუსმა მესაზღვრეებმა საბუთები შეგვიმოწმეს, რის შემდეგაც მივედით ადღერის აეროპორტში, საიდანაც საერთაშორისო წითელი ჯვრის რეისით თბილისში ჩამოვფრინდი. წითელმა ჯვარმა სიკვდილს გადამარჩინა...

## დაცემულ სოხუმში

*რატომ დარჩით სოხუმში და რა ხდებოდა იქ აფხაზთა და გადამთიელთა შემოჭრის შემდეგ?*

ივლისის სამშვიდობო ხელშეკრულების თავდადებული დამცველი გახლდით. 16 სექტემბრის ამბები უდიდეს ტრაგედიად აღვიქვი. გულმა შემომიტირა და სამი დღით საწოლს მიმაჯაჭვა. მხოლოდ 21 სექტემბერს მოვახერხე ქალაქში გასვლა, ვიხილე სასტიკი დაბნეულობა.

22 სექტემბერს სოხუმის ახალი რაიონიდან, რომელიც გუმი-სთასთან საბრძოლო მოქმედებების ზონიდან რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარეობს, ოჯახის ქალაქში გადმოყვანა გადავწყვიტე. აუცილებელი ნივთები მანქანაში ჩავალაგეთ. მეზობლების საყვედურით საუსე მზერა დავიჭირე. მათი თვალთ შევხედე ჩემს თავს (ოფიცერი თავის ოჯახთან ერთად ტოვებს სახლს), შემრცხვა. მეუღლეს შევხედე, მან პრინციპულად გამომიცხადა: „დღეს ჩვენ აქედან ვერ წავალთ“.

24 სექტემბერს სამანქანო გზა გადაიკეტა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხით შეიძლებოდა სამშვიდობოს გამოსვლა, მე, მეუღლე და დედა დავრჩით შინ. ბოლო წუთამდე იმედი არ დამიკარგავს.

27 სექტემბერს ჩემი აფხაზი მეზობელი დამადგა თავს. ბოდიში მომიხადა, ავტომატით რომ შემოველიო, ოჯახის წევრების უსაფრთხოებას დამპირდა.



მალე სხვა აფხაზი მეზობლებიც დაბრუნდნენ. ისინი ერთსმად აცხადებდნენ: „ქალებს ფსიქს გზით გავაცილებთ, ზურაბს კი ვერ დავიციავთ. მას იცნობენ და ერთად დავგვხვრეტენ“.

## დაკატიმრება

### როგორ მოხვდით ტყვეობაში?

სოხუმის დაკეპის შემდეგ ათი დღე ვიმალებოდი შინ. მიფარავდნენ აფხაზები. როდესაც საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემს სამშვიდობოს გაყვანას ნაცნობ-მეგობრები ვეღარ შეძლებდნენ, იძულებული გავხდი, მე-თხოვა ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთან შეხვედრა. ამგვარ პიროვნებად დავასახელე ჩემი ყოფილი სტუდენტი ბესლან კობახია, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ. დამპირდნენ მასთან საუბარს, მაგრამ ბესლანის მოყვანა ვერ შეძლეს. როგორც ჩანს, თავი ამარიდა (უნდა აღინიშნოს, იქ ყველას, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ეშინია ქართველის შეფარების ან შეწყნარების). ბოლოს და ბოლოს, მომაკითხა უშიშროების სამსახურის წარმომადგენელმა, რომელმაც ორჯერ სცადა ჩემი აყვანა. მე მას არ ვიცნობდი და, ხიფათის თავიდან აცილების მიზნით, არ გამოვეცხადე. მალე შეიქმნა ოჯახის დაწილების საშიშროება და იძულებული გავხდი, 1993 წლის 7 ოქტომბერს, თავად მივსულიყავი, სადაც ჯერ არს. მსუბუქად დამკითხეს. შემდეგ იყო პატარა ინციდენტი. ფიზიკური შეურაცხყოფაც მომაცნეს, მაგრამ მაინცდამაინც სერიოზული არაფერი მომხდარა. თურმე, ყველაფერი წინ მელოდა. იმ საღამოს, როდესაც იზოლატორში წაგვიყვანეს, დახვრეტის ამკარა მცდელობა იყო.

საპატიმროში შეყვანამდე ჩემი ყოფილი სტუდენტი შემხვდა. მომესალმა. მოვიკითხეთ ერთმანეთი (მის გვარს არ დავასახელებ). ცოტა ხანში სხვა სტუდენტსაც მოვკარი თვალი. იგი გამერიდა. კვარჩია გახლდათ გვარად. უშუალოდ იზოლატორის კარებთან რამდენიმე „ბოევიკი“ შემოგვეხვია. ორნი შევყავდით: მე და ჩემი მეზობელი რენო სურმავა. ერთ-ერთი „ბოევიკის“ კომენტარი დამამახსოვრდა: „Какой он военный? Он писака!“ ამ დროს გამონდა კვარჩია და მას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. „ბოევიკმა“ ავტომატი მომართა. ივარგა გამცილებელმა, გაგვიგდო წინ და იზოლატორში შეგვყარა. ორი თვის შემდეგ მითხრეს, რომ კვარჩია და მისი თანა-



მებრძოლი სამი დღის განმავლობაში მოდიოდნენ და ითხოვდნენ ჩემს დასახვერეტად გადაცემას.

## სოსუმში, ენგელსის ქუჩა, იზოლატორი

### ციხეში რა ხდებოდა?

ცუდად არ მექცევოდნენ. საერთოდ, ვინც იზოლატორში მოხვდებოდა, მას უკვე დიდი საშიშროება არ ელოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპყრობილეში, ენგელსის ქუჩაზე, ზუსტად 100 დღე გავატარე. პირველი 40 დღე ფიზიკური ანგარიშსწორებისგან დაზღვეული არ ვიყავი. ვიმედოვნებდი, რომ ჩემს დახვერეტას არ ისურვებდნენ. მეშინოდა საკანში შემოსული ყოველი ახალი პატიმარისა. ბევრი მძიმე დანაშაულისთვის იჯდა, სხვათა შორის, ქართველებიც იყვნენ. ერთი ყაჩაღობისთვის იყო დაკავებული, მეორეს მკვლელობაში ედებოდა ბრალი. ერთი დედით აფხაზი იყო, მეორე დედით რუსი. მათ ომში, როგორც თავად აცხადებდნენ, მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა, ერთ-ერთი მათგანი სოფელ ეშერაში ცხოვრობდა და არ არის გამორიცხული, რომ ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა. მათთან საკანში კარგი ურთიერთობა მქონდა. თანამესაქენები იცვლებოდნენ. ერთი ძალიან მძიმე ღამე მახსენდება: სამი ქართველი ვიყავით. შემოგვისახლეს რუსი კაზაკი „ბოევიკი“.

### ვგ რისთვის იჯდა?

მთვრალი იყო. კომუნდანტის საათის დროს აუყვანიათ და სამი-ოთხი დღით „დაასვენეს“. მძიმე ასატანი იყო მასთან ურთიერთობა. მის გარდა, იზოლატორში, ჩემი იქ ყოფნის პერიოდში, ბევრი სხვა რუსი „ბოევიკიც“ იჯდა.

ციხეში ისეთ ამბებს შეიტყობს კაცი, რასაც სხვა სიტუაციაში ვერ გაიგებს. საკნებს შორის საუბრები იმართებოდა. ამკარად გამოჩნდა, რომ სოსუმის ასალებად აფხაზებთან ერთად იბრძოდნენ რუსები, ჩეჩნები, ყაბარდოელები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. სოსუმში ძირითადად რუსებმა აიღეს და უნდა ვიცოდეთ, რომ არა უბრალო კაზაკობამ და მოხალისეებმა, არამედ სპეცდანიშნულების მებრძოლებმა, გაწვრთნილმა სამხედრო შენაერთებმა. დაუფარავად მითხრეს, რომ ე.წ. აფხაზურ ჯარში პოლკოვნიკებიც კი იყვნენ, რომლებიც აცხადებდნენ: „ჩვენ ვიძიებთ შურს შევარდნაძეზე“.



## სეპარატისტები და ელუარდ შევარდნაძე

*როგორ შეფასებას აძლევენ თავად აფხაზი სეპარატისტები სახელმწიფოს მეთაურის, ბატონ ელუარდ შევარდნაძის პიროვნებას?*

ჩემთვის საკვირველი და მოულოდნელი იყო ის ღვარძლი, რომელიც შევამჩნიე აფხაზ ოფიციალურ პირებს ელუარდ შევარდნაძის მიმართ. ამგვარი დამოკიდებულება ჩემთვის გაუგებარი იყო იმიტომაც, რომ სახელმწიფოს მეთაური ყოველთვის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ცდილობდა და ამის გამო ხშირად იმსახურებდა კრიტიკას ქართველი რადიკალების მხრიდან. რამდენჯერმე მითქვამს აფხაზეთის პროკურატურისა და უშიშროების სამსახურის მაღალი თანამდებობის პირებისთვის, რომ მათ შეიძლება ღვარძლი ჰქონდეთ, ვთქვათ, ყარყარაშვილის ან ნადარეიშვილის მიმართ, რომლებიც რამდენჯერმე გამოვიდნენ ტელევიზიით საკმაოდ უკომპრომისო განცხადებით, მაგრამ სრულიად აუხსნელია შევარდნაძისადმი ამგვარი დამოკიდებულება. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ამიხსნეს თავიანთი პოზიცია. ეს ადამიანები დარწმუნებულნი არიან შემდეგში: „რომ არა შევარდნაძე, უფრო ადრე შევძლებდით სოხუმის გათავისუფლებას“.

ვფიქრობ, შესაძლებელია პოლიტიკოსს ეზიზღებოდეს პოლიტიკური ოპონენტი, მაგრამ ამ საშინელი გრძნობის მასებისთვის თავზე მოხვევა დაუშვებელია, რასაც, სამწუხაროდ, ასე ენერგიულად ცდილობს არძინბას პოლიტიკური წრე.

*ბატონო ზურაბ, ოლეგ სულავამ, რომელიც გულდაუთაში ტყვედ იმყოფებოდა, ერთ-ერთი აფხაზის ნათქვამი გადმომცა: „ჩვენ, აფხაზები, ელუარდ შევარდნაძეს უზარმაზარ ძეგლს დავუდგამთ სოხუმში მთავრობის სახლის წინ იმ კვარცხლბეკზე, სადაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი იდგა, რადგანაც მან გადაიმტერა რუსი სამხედრო წრეების წარმომადგენლები, რომლებთანაც საერთო ენა გამოვანახეთ და მათი დახმარებით ვაგდევნით ქართველებს აფხაზეთიდან“.*

ამგვარი თვალსაზრისი მეც ხშირად მომისმენია. იგი მთარუელია აფხაზთა შორის.

*თქვენ ბრძანეთ, რომ ერთი კაზაკი კომენდანტის საათს  
დარღვევისათვის მოხვდა იზოლატორში. სხვა რუსი „ბო-  
ვეიკები“ რისთვის იყვნენ დაკავებულები?*

ჩემი გათავისუფლების შემდეგ ციხეში სხვებთან ერთად და-  
რჩნენ რუსი „ბოვეიკები“: კრასნოვი, სმეტანინი და ყარაჩაელი დბა-  
ლოვი, რომელთაც ბრალად ედებათ ბერძნების მასობრივი დახოცვა  
სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ამ  
სამ გარეწარს ბერძენი მშვიდობიანი მოქალაქე მოუკლავს. მოკლულის  
ნათესავებს შურისძიება განუზრახავთ. არამზადებმა ტყვიამფრქვევიდან  
გაუხსნეს ცეცხლი სოფლელებს, რომელთა შორის ქალებიც იყვნენ.

აფხაზები გულმოდგინედ ცდილობდნენ კრასნოვისა და სმეტანინის  
დახსნას, ყარაჩაელი დბალოვი კი განწირული ჩანს.

გარდა ამისა, რუსები და სომხები დაპატიმრებულნი იყვნენ მოროდ-  
ირობისა და ყაჩაღობისათვისაც.

უნდა აღინიშნოს, რომ სოხუმში, ენგელსის ქუჩაზე მდებარე იზოლა-  
ტორში, 7 ოქტომბერს, როდესაც მე ჩამსვეს, არც ერთი აფხაზი არ  
იხდოდა სასჯელს, ხოლო ჩემი გათავისუფლების პერიოდისთვის დაპა-  
ტიმრებულთა ნახევარზე მეტს აფხაზები წარმოადგენდნენ, მათ შორის  
იყვნენ უკვე გასამართლებულებიც.

*იზოლატორში მყოფი ქართველების ძირითად ნაწილს რა და-  
ნაშაულში ედებოდა ბრალი?*

არაერთხელ მსმენია აფხაზებისგან: „მან, ვინც აფხაზების წინააღმდეგ  
იბრძოლა, არ უნდა იცხოვროს აფხაზეთში“.

ქართველებს იჭერდნენ, ათავსებდნენ იზოლატორში და იწყებდნენ  
იმის დადგენას, იბრძოდა თუ არა. აფხაზებს რალაც სიები კი ჰქონდათ, მა-  
გრამ, როგორც ჩანს, არასრული, ამიტომაც ოპერატიული ჯგუფი მიდი-  
ოდა ექვმიტანილის სომეხ ან რუს მეზობლებთან და მათი გამოკითხვის  
შედეგად ადგენდა, იბრძოდა თუ არა აღნიშნული პიროვნება. უნდა  
ითქვას, რომ ციხეში ჩემი ყოფნისას ვერც ერთ ქართველს ვერ დაუმტკი-  
ცეს ომში მონაწილეობა და ყველანი გაათავისუფლეს. ციხიდან გასუ-  
ლებს გამოუცხადეს, თქვენს უსაფრთხოებას აფხაზეთში ვერ ვუზრუნვე-  
ლვყოფთო და ენგურის ხილამდე გასამგზავრებლად ავტობუსებში ჩასვეს.

*ბატონო ზურაბ, აფხაზეთის პროკურორის მოვალეობის  
შემსრულებელ სერგეი ბგანბას პირადად ვიცნობ. იგი ხში-  
რად ყოფილა ჩვენს ოჯახში, სადაც არაერთხელ გამოუხა-*

კ 220 517

ტავს კეთილგანწყობა ქართველების მიმართ. მამისგან, რომელმაც დიდხანს იმუშავა აფხაზეთის პროკურატურაში, მსმენია, რომ სერგეი ბგანბა პროფესიონალი იურისტია, გამორჩეული კეთილსინდისიერებითა და ობიექტურობით. ქართული საზოგადოებისათვის იგი ცნობილია ამ რამდენიმე თვის წინ ჩვენში გავრცელებული ჭორით, რომლის მიხედვითაც თითქოს სერგეი ბგანბამ დაჭრა ვლადისლავ არძინბა.

თქვენ შეხვდით აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გივი აგრბას. ვთხოვთ, ვაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები სერგეი ბგანბას და გივი აგრბას შესახებ.

ვიცოდი, სერგეი ბგანბას შვილი დაელუპა ომში და მისგან უხეში მოპყრობა არ გამაკვირვებდა. ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. პირველი შეხვედრისას სერგეი ბგანბამ საკმაოდ მკაცრად შემოძიქა, მაგრამ საუბრის ბოლოს ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. არც შინაგან საქმეთა მინისტრი გივი აგრბა მეჩვენა მაინცდამაინც უარყოფით პიროვნებად. სერგეი ბგანბასთან და გივი აგრბასთან შეიძლება კონტაქტის დამყარება, მათ საკმაოდ თბილი ადამიანების შთაბეჭდილება დატოვეს. შესაძლებელია, ამგვარი ქცევა ჩემთვის უცნობი სხვა მიზეზებითაც იყო გამოწვეული, მაგრამ ვერც სერგეი ბგანბას, ვერც გივი აგრბას ვერ შევამჩნიე ის აგრესიულობა, რომელსაც სხვები იჩენდნენ. ამ ადამიანებთან ურთიერთობისას კარგად დავინახე, რომ ისინი განიცდიან მომხდარს, თუმცა, ყველაფერში ქართველებს გვადანამაულებენ.

## საბრალოდებო დასკვნა, რომელიც არ დაწერილა

### რაში გედებოდათ ბრალი?

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის შტაბის ოფიცერი გახლდით. ჩემი ფუნქცია აღმზღელობითი საქმიანობა იყო. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ბრალი მედებოდა არა როგორც შტაბის ოფიცერს. მითხრეს: „თქვენ სამხედრო პირი კი არა, იდეოლოგი ხართ“. დამადანამაულეს ერთაშორის შუღლის გაღვივებასა და ომის პროპაგანდაში. გამომიების პროცესში ვერ შე-



ძლეს მტკიცებების მოპოვება. ჩემს არც ერთ პუბლიკაციაში არა მქონია ომიკენ მოწოდება. პირიქით, მუდამ ვცდილობდი, აფხაზს შეეგნო, რომ ქართველისთვის არ უნდა ესროლა, რომ ერთი სახელმწიფო გეკონდა და მისი დაშლა შეუძლებელია.

სიმართლე უნდა ითქვას, ყველა იურისტს ეტყობოდა, რომ დარწმუნებული იყო წამოყენებული ბრალდებების აბსურდულობაში. იზოლაციონში ყოფნის დროს არც კი უცდიათ ჩემი გადაბირება, მხოლოდ აფხაზეთის ტელევიზიით გამოსვლა შემომთავაზეს, რაზეც გარკვეული პირობებით დავეთანხმე. ვითხოვდი, გადაცემა ჩაწერილიყო ციხიდან გათავისუფლების შემდეგ და ეთერში გაეშვათ მხოლოდ მაშინ, როდესაც სამშვიდობოს ვიქნებოდი. მოიყვანეს კიდეც ტელეკომენტატორი გიორგი გულია, მაგრამ ინტერვიუ არ შედგა. სხვათა შორის, აფხაზეთის ტელევიზიის რამდენიმე გადაცემა ვნახე. საშინელი ანტიქართული პროპაგანდა წარმოებს. არძინბას საინფორმაციო საშუალებები ეფუძნება ანტიქართულ ექსტრემიზმს, ისინი ქადაგებენ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, სადაც ვერც ერთი ქართველი ვერ დაბრუნდება.

**რა გზით დავიბრუნებთ აფხაზეთს?**

მინდა დავიჯერო, რომ აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნების შანსი არსებობს. ყენევის შეხვედრებმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგებამ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს კონფლიქტის მოგვარებაში.

და რაც მთავარია:

როდესაც საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკური მეთოდებით შეძლებს აფხაზეთისთვის ისეთი სტატუსის მიცემას, რომლითაც ეს მხარე დარჩება საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, იმ დღიდან არძინბას ხელისუფლებას თავად აფხაზეთივე ჩამოავდებენ. ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში მოვა თანხმობის ხელისუფლება, რომელიც ცნობს საქართველოს იურისდიქციას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ესაუბრა  
პასტანბ სალია

## ტყვეობა... სიზმარი და სინამდვილე

საქართველოს ისტორიამ ვერ მოახერხა გორდიას კვანძის გახსნა და აფხაზური პრობლემისათვის პოლიშინელის საიდუმლოს გამოაშკარავება.

და ამიტომაც, საქართველოს ისტორიის ბედუკულმართმა მატინანემ ჩაიწერა XX ს-ის დასასრულის სახელები, რომელთა შორის არიან ტყვეებიც.

„ნუთუ მართლა ყველა მიცნობს“, – ასეთი გახუმრებით დაიწყო პასუხი ჩემს ერთ-ერთ შეკითხვაზე ზურაბ პაპასქირმა. თითქოს არც გაიკვირვა, ტყვე ბიჭებზე უნდა დავწერო-მეთქი რომ ვუთხარი, და ისე გადაისვა ჭალარაზე ხელი, მანიშნა, მაშე ეს რაღააო.

მეც „გერ დავინახე“ და საუბარი გავაგრძელეთ. მან იმდენი შეძლო, რომ ქართველ ქალს ტყვეობის წუთებზე ტყვე ვაჟაკის სიტყვა შეაშველა მხოლოდ და ყველაფერი იქითკენ წარმართა, ხვალ მათსა და ჩვენს შორის ხიდის გადებისას აფხაზ და ქართველ ტყვე ბიჭებს შესძლებოდათ ერთმანეთის გულში ჩახუტება და თქმა: „ბიჭებო! ჯერ კიდევ მეტი გვაკავშირებს, ვიდრე გვაშორებს და დავუდგეთ მომავალს მეხრედ.“

დათო და ხვიჩა... და თქვენ, ტყვეობის ფურცლებზე გვარ-სახელების გარეშე დარჩენილი ტყვე ბიჭების დაუმორჩილებელი სულელებო!

გვიყვარხართ! გვიყვარხართ, რომ არ დაგიკნესიათ „მტრის ჯინაზე“... და რომ დღეს, ზურაბ პაპასქირები ქართული ღიმილით სავსე თვალებით აფიქრებენ მომავალს: ნუთუ საქართველო არ გატყდებაო?!

არ გატყდება!

– *ქართული გვარ-სახელების ისტორია რას ამბობს თქვენს გვარზე – პაპასქირი?*

– პაპასქირი არის წმინდა ქართული გვარი (მეგრულ-ლაზური) და იგივეა, რაც პაპასქუა ან პაპაშვილი. ამასთან დაკავშირებით, თავის დროზე, აფხაზეთში მე მქონდა გარკვეული პრობლემები. მო-

\* ვაზეთი „ქალი და მამაკაცი“, №25. 1997. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

გეხსენებათ, რომ ამ გვარის ხალხი აფხაზეთში (თუ შეიძლება ითქვას) უფრო ცნობილი არიან, ვიდრე ქართველები, ვინაიდან აფხაზებს ჰყავთ სამი თუ ოთხი მწერალი, რომელთა შორისაა აფხაზური პროზის პატრიარქად მიჩნეული ივანე პაპასქირი.

აფხაზი პაპასქირები ძირითადად ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიციანიდან არიან. ისინი პრინციპში არ უარყოფდნენ გვარის ქართველურ წარმოშობას, თუმცა ბევრი მათგანი გამოკვეთილი აფხაზური ნაციონალიზმით გაჟღერებული არის. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი — ალექსი პაპასქირი წლების განმავლობაში იბრძოდა ჩემს წინააღმდეგ აფხაზეთის უნივერსიტეტში და იყო აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

— უკვე მე-20 ს-ის ჩვეულებრივ ადამიანად არ ითვლებით. ზურაბ პაპასქირზე ყველამ იცის, რომ ის ტყვეობაში იმყოფებოდა. ხომ არ გქონიათ რამე წინათგრძნობითი სიგნალები თქვენს ბედზე?

— პირველ რიგში, დავაზუსტოთ ჩემი, როგორც ტყვის სტატუსი. მე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერი, რომელიც ვმსახურობდი მეორე საარმიო კორპუსის შტაბში (ომის დროს), როგორც იტყვიან, ბრძოლის ველიდან ტყვედ არავის აუყვანივარ. მე აფხაზეთის უშიშროების სამსახურმა მომაკითხა ბინაზე, სოხუმში (ახალ რაიონში), საიდანაც დროულად ვერ გამოვადწიე და დამაპატიმრეს 1993 წლის 7 ოქტომბერს. ამ დღიდან მე ვიყავი უბრალოდ პატიმარი, რომელსაც ბრალად წამოუყენეს: ერთა შორის შუღლის გაღვივება და ომის პროპაგანდა. ე.ი. იურიდიულად მე ვიყავი სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი. მაგრამ ჩემი მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმე იყო. ფაქტიურად, მე ერთდროულად ვიყავი პატიმარიც, ტყვეც და მძევალიც.

მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ აღმოვჩნდებოდი ამგვარ სიტუაციაში... და არავითარი წინათგრძნობა ჩემს მოსალოდნელ ბედზე არ მქონია.

— აფხაზთა ტყვეობაში მოხვედრილს იმედის მარცვალი რას გეარნახობდათ?

— მიუხედავად იმ უმძიმესი ხვედრისა, და მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად შეიძლებოდა ჩემი, ნებისმიერ დროს, ფიზიკური

განადგურება და ამის არაერთი მცდელობა იყო, განწირულად არასოდეს ვგრძნობდი თავს და იმედი არ დამიკარგავს. იმედის მარცვალი იმედის სხივით მითბობდა იმედისაკენ მომზირალ სულს.

— **ტყვეობა, სიზმარი და სინამდვილე. ჰქონდათ მათ ერთმანეთთან კავშირი?**

— სიზმრები, რასაკვირველია, მესიზმრებოდა, უმეტეს შემთხვევაში — კოშმარული. სულ მესიზმრებოდა ჩემი გარდაცვლილი მამა, არ მშორდებოდა არსად, თან დამღევდა, თითქოს მიფრთხილდებოდა, თითქოს მიცავდა... აი, ბედისწერის სიზმრები: გამოვდივარ სოხუმიდან, იხლართება გზები, მომღევენ შეიარაღებულები. განსაკუთრებით ეს სიზმარი მახსენდება, რადგან სინამდვილით დაფიქსირდა: მეუღლესთან ერთად გუდაუთის მხრიდან გამოვდივარ გუმიხთაზე. მოგვღევენ. მოიჭრა გასასვლელი გზები. არც მატარებელია, არც მანქანა... გამოჩნდა საცალფეხო ხიდი. გავდივართ მასზე და უცებ საშინელება, ხიდი ჩატყდა. ქვეშ წყლის ბორბლებია, ჩავვარდით შიგ მეუღლე და მე, ვებრძვით სტიქიონს... აი, კიდევაც გამოვალწიეთ. კვლავ უბედურება. დაბნელდა, მეუღლე არსადაა. ის დავკარგე.

სინამდვილეში ჩვენ ცალ-ცალკე გამოვედით სოხუმიდან. ის ადრე გამოვიდა და მე ძალიან გამიჭირდა გამოსვლა.

— **უმძიმესი წუთი, რა გაფიქრებინათ ამ წუთმა?**

— მქონდა ასეთი წუთები. ეს გამონაკლისი გახლდათ, მაგრამ მქონდა მომენტი, როცა მე ძალიან ახლოს ვიყავი, შეიძლება ითქვას, თვითმკვლელობასთან. ის იყო 27 სექტემბრის ღამე, როცა აფხაზებმა „გამარჯვების“ ფოიერვერკი მოაწყვეს სოხუმის ცაზე. მე ამ დროს ჩემს მეზობელთან და თანამებრძოლთან, რენო სურმავასთან ერთად ვიძალეობდი ჩვენი სახლის მე-9 სართულზე, ერთ-ერთი სოფეხი მეზობლის ბინაში. ამ ბინიდან ომის პერიოდში გადმოხტა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა ჩვენმა მეზობელმა ქალმა. მთელი ღამე იმ ქალის ნამოქმედარზე ვფიქრობდი და კაცმა არ იცის, რომ არა რენო სურმავა (მარტო რომ ვყოფილიყავი), გაუძლებდი თუ არა იმ ფსიქოლოგიურ სტრესს.

ეს იყო ერთადერთი უმძიმესი მომენტი, სხვა დროს მაინც იმედიანად ვიყავი, არ გავტეხილვარ. ამაში ძალიან დიდი როლი შეასრულეს ჩემმა აფხაზმა მეზობლებმა, რომლებმაც ფაქტიურად სიცოცხლე მაჩუქეს.

— რა გრძნობაა ზურაბ პაპასჭირისთვის საერთოდ და რა გრძნობა იყო იგი ტყვეობაში?

— შიში?! სიკვდილის შიში თუ მქონდა 26-27 სექტემბერს, როდესაც თავი განწირულად მიმაჩნდა, მაგრამ ჩემდა მოულოდნელად, რაღაც ადვილი ასატანი შეიქნა. უცებ შევეგუე აზრს, რომ შეიძლება მოვკვდე და ამას განსაკუთრებული ნერვიული სტრესი არ გამოუწვევია. პირველი 50 დღის განმავლობაში, 10 დღე პატიმრობამდე და 40 დღე პატიმრობის შემდეგ, უკვე საკანში (შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში, სოხუმში, ენგელსის ქუჩაზე) ყოველდღე იყო იმისი საფრთხე, რომ შეიძლებოდა დავეხვრიტეთ. მხოლოდ 16 ნოემბერს, საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელთან შეხვედრის შემდეგ მომეცა იმედი, რომ აფხაზები მოერიდებოდნენ ჩემს ფიზიკურ განადგურებას.

ერთადერთი შიში, რისიც მქონდა ამ დროიდან, იყო ის, რომ არ ეღალატა ჯანმრთელობას, განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა სისტემას. მქონდა მალალი არტერიული წნევა, რაც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დასრულებულიყო ტრაგიკულად.

— აფხაზეთის ომმა და ტყვეობის დღეებმა ხომ არ გაფიქრებინათ, რომ ზურაბ პაპასჭირები შესძლებდნენ აფხაზ-ქართველთა შორის იმ ხიდის გადებას, რომელზედაც რუსები ასე თამამად ვერ გაივლიდნენ?

— მთელი ჩემი საქმიანობა აფხაზეთში, ჩემი იქ ჩასვლიდან (1976 წ.) მიმართული იყო იქითკენ, რომ ამეხსნა აფხაზი ახალგაზრდებისთვის, ჩემი სტუდენტებისთვის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ ქართველები და აფხაზები ისტორიული ძმები არიან, რომ ისინი ყოველთვის ერთიან ისტორიულ-კულტურულ და სახელმწიფოებრივ გარემოში ცხოვრობდნენ, ერთად ქმნიდნენ საერთო ქართულ სახელმწიფოს, საერთო ქართულ ქრისტიანულ ცივილიზაციას და მათი ერთმანეთისაგან გაუცხოება გამოწვეული იყო სხვადასხვა იმპერიული ძალების გამთიშველური პოლიტიკით, რომელმაც ტრაგიკული ხასიათი მიიღო ჯერ ცარიზმის, ხოლო შემდეგ საბჭოური იმპერიის პერიოდში.

სწორედ ჩემს ამ პროპაგანდას აღუდგნენ, როგორც იტყვიან, „ხიშტებით“, აფხაზი სეპარატისტები ჯერ კიდევ 80-იანი წლების



დასაწყისში, როდესაც მათ ცალსახად დააყენეს ჩემი უნივერსიტეტიდან, და საერთოდ აფხაზეთიდან, გამოძევების საკითხი. ეს გახლდათ 1982-1983 წწ, - შევძლებდი კი?!

**— ჰქონდათ კავშირი თქვენი ტყვეობის დღეებთან რუსებს?**

— არავითარი კავშირი არ ჰქონიათ. ერთადერთი: მე აღმოვჩნდი იმ საკანში, სადაც იყო რუსი (კაზაკი) „ბოევიკი“, რომელთანაც საკმაო გულგია საუბარი გამომივიდა. ყოველი შემთხვევისათვის, მისგან ძალიან ბევრი რამ გავიგე. საერთოდ იქ, აფხაზებსაც შევხვედრივარ პატიმრობაში მყოფთ და მიგრძენია ტრადიციული პატიმრული სოლიდარობა, მიუხედავად იმისა, ყველამ იცოდა თუ ვინ ვიყავი.

აფხაზეთიდან გამოსვლის შემდეგ მე შევიტყვე, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქტიურად ჰყავდა ჩართული ჩემი განთავისუფლების საქმეში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, უშუალოდ ბ. პასტუხოვი, რომელმაც, როგორც მე მითხრეს თბილისში, შეათანხმა ეს საკითხი თვით ვ. არძინბასთან გუდაუთაში, 1994 წლის 5 იანვარს.

**— ორი ტყვე ერია დღეს საქართველოში — აფხაზი და ქართველი. ვინ იცის, იქნებ კიდევ მოხდეს გაუთვლელი მოსალოდნელობა X-ის მხრიდან. ხომ ვერ ეტყვით საქართველოს იმას, რომ დაჭერება თუ არდაჭერება ქართველთა თუ აფხაზთა სურვილზე არ იქნება დამოკიდებული?**

— პრინციპში, საკითხის დასმა, რომ ქართველები და აფხაზები ჯერ კიდევ ტყვეობაში ვართ, შეიძლება. თუმცა ქართველებმა კარგად ვიცით, თუ ვის ტყვეობაში ვიყავით, ვისი ტყვეობისათვის ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაგვიღწევია თავი და თანმიმდევრულად ვისწრაფვით ამისკენ.

სამწუხაროდ, აფხაზმა სეპარატისტებმა დღემდე ვერ გარკვიეს, ვისთვის და რისთვის იბრძვიან. მათი ტრაგედია მდგომარეობს იმაში, რომ თითქოს თავი უნდა დააღწიონ მოჩვენებით ტყვეობას და სინამდვილეში, როგორც მოსწრებულად უთხრა მათ ჩეჩნეთის დღევანდელმა ლიდერმა, ასლან მასხადოვმა, „ლომის ხახაში“ ვარდებიან, საიდანაც გამოსვლა ძალიან გაუჭირდებათ.

რაც შეეხება იმას, თუ კიდევ რას გვიმზადებს ჩვენი მტკიცებულებები, ვიტყვი, რომ თუ არ ავჩქარდებით და გამოვიჩინთ საჭირო სიღინჯეს, არა მგონია, დღეს ვინმემ შეიძლოს ჩვენი უფრო დიდ პროვოკაციაში ჩათრევა.

**— ისტორიკოსის ალღო რას გკარნახობთ, რა შეფასება მიეცემა აფხაზეთში მომხდარს?**

— აფხაზეთის ტრაგედიის შეფასება უკვე მიმდინარეობს. მე ვერ ვიტყვი, ყველა ობიექტურად ცდილობდეს ამის გაკეთებას. ერთ-ერთი ცდა მეც მეკუთვნის, მარშან ჩემს მიერ მომზადდა ვრცელი მასალა აფხაზეთის ტრაგედიაზე, რომელიც დაედო საფუძვლად მოხსენებას დევნილთა I ყრილობაზე (1996 წ. 7-8 აპრილი). ამ მოხსენების ვრცელი ტექსტი გამოაქვეყნა გაზეთმა „ფსიქოლოგიური კონსულტაცია“ (1996 წ. №5, 6, 7).

მე ვფიქრობ, რომ არავის არ უნდა ეშინოდეს სიძარითლის თქმის. და ჩვენ, პირველ რიგში, ვალდებული ვართ დავაფიქსიროთ და გავანალიზოთ საკუთარი შეცდომები, რომლებმაც კატასტროფამდე მიგვიყვანა.

სწორედ ამის გაკეთებას შევეცადე აღნიშნულ მოხსენებაში. თუ რამდენად გამოძივიდა, უკვე მკითხველმა განსაჯოს.

სრულ შეფასებას მომხდარისას მართლაც ისტორია გააკეთებს. ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ერთი შეხვედრა აფხაზეთის საზოგადოებრივი აქტივისა პარლამენტის ხელმძღვანელობასთან, რომელშიც მონაწილეობდა ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე (1995 წ. 19 ოქტომბერი), სადაც მე გავაკეთე ასეთი შენიშვნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტში ჩვენი მარცხის სრული, ობიექტური ანალიზი, უახლოეს პერიოდში, სანამ პოლიტიკური არენიდან არ წავლენ ისინი, ვინც მეტ-ნაკლებად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკურ პროცესებში, შეუძლებელია.

**— ჰყავთ ტყვეებს ტყვეობის მეგობრები?**

— რასაკვირველია. საკანში მე შევიძინე მართლაც დიდი მეგობარი, რომელიც ყველანაირად მამხნევებდა, უფრო სწორად, ერთმანეთს ვამხნევებდით. ეს იყო შესანიშნავი პიროვნება, აწ განსვენებული ბ-ნი ზურაბ კვიციანი. კაცი, რომელმაც მართლაც ვაჟკაცურად და პატიოსნად იცხოვრა. ომის პერიოდში იღვა იქ, სადაც უნდა მდგარიყო ქართველი პატრიოტი და კრიტიკულ სიტუაციაში არასოდეს არ გატეხილა. სამწუხაროა, რომ მან პატიმრობიდან თა-

ვის დაღწევის შემდეგ, სულ ცოტა ხანი დაჰყო ჩვენს შორის. ბოლო დროს ის მუშაობდა ქ. სოხუმის (აქ, თბილისში) პოლიციის სამმართველოს უფროსად.

ძალიან თბილი მოგონებები მაკავშირებს ტყვე ბიჭებთან, ქართველ მეომრებთან: დათო ჭონიაშვილთან და ხვიჩა ჩადუნელთან, რომლებმაც არაერთხელ აღმომიჩინეს დახმარება მძიმე წუთებში (სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე მათი მოძებნა).

— *ხვალ, აფხაზ გასათავისუფლებელ ტყვესთან საქართველოს სახელით ამბავი რომ დაგაბარონ, რას ეტყობდი?*

— აფხაზ ტყვეს ვეტყვოდი იმას, რასაც ვეუბნებოდი იმ აფხაზებს, რომლებთანაც მქონდა კონტაქტი ტყვეობის დროს. დროა შევიგნოთ, რომ რაც თავს დაგვატყდა, არის საერთო ტრაგედია და ორივე ხალხის დიდი მარცხი. დროა შევიგნოთ, რომ ერთმანეთის დადანაშაულებით კრიზისს ვერ დავძლევთ, რომ ჯერ კიდევ უფრო მეტი გვაკავშირებს, ვიდრე გვაშორებს. გავითვალისწინოთ ეს და გადავდგათ რეალური ნაბიჯები შერიგებისკენ. ისტორია სხვა არჩევანს არ გვაპატიებს!

— *ხომ არ დავიწვრიათ ტყვეობაში წერილი?*

— საკნიდან მე მოვახერხე რამოდენიმე წერილის გამოგზავნა. ყველა ეს წერილი მიიღო ჩემმა მეუღლემ და ინახება ჩემს „არქივში“. პირველი წერილი გამოიტანა საერთაშორისო წითელმა ჯვარმა, მეორე ზურაბ კვიციანიამ...

ესაუბრა  
ინგა უბილაკა

## კატეგორიულად მოვითხოვთ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა როინ მებრეპელმა გუდაუთაში გაგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

ჩვენამდე მოვიდა ცნობა, რომ თქვენს სამხედრო ფორმირებებს დატყვევებული ჰყავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ პაპასქირი და ზოგიერთი სხვა პედაგოგი.

ამ ფაქტზე კომენტარის გაკეთება ზედმეტად მიგვიჩნია. თსუ პროფესორ-მასწავლებელთა სახელით კატეგორიულად მოვითხოვთ მიიღოთ ზომები, რათა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ზურაბ პაპასქირი, სხვა პედაგოგები და მისცეთ მათ სამშვიდობოზე გამოსვლის საშუალება.

## როინ მებრეპელი

რექტორი, აკადემიკოსი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №231, 23 ოქტომბერი, 1993.

## ყოვლად მიუღებელი და გაუზმართლებელი!

გუდაუთა. ვლადისლავ არძინბას

მიუხედავად საქართველოს საზოგადოებრიობის, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და პროფესორ-მასწავლებელთა არაერთგზის მოთხოვნისა, დღემდე არ არის განთავისუფლებული ტყვეობიდან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი ზურაბ პაპასქირი.

ჩვენთვის გაუგებარია საზოგადოებრივი აზრის ასეთი უგულვებლყოფა. მიღებული ცნობებით, ზურაბ პაპასქირის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. ვფიქრობთ, მეცნიერის ბედისაღმძი ასეთი დამოკი-



დებულება ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ტყვეობიდან პროფესორი ზურაბ პაპასქირი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით

რექტორი

აკადემიკოსი

**როინ მებრეველი**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 დეკემბერი, 1993.

## В ПОДДЕРЖКУ ВИДНОГО ГРУЗИНСКОГО УЧЕНОГО

Ученый совет Сухумского филиала Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили выражает решительный протест по поводу ареста в Сухуми нашего коллеги, видного грузинского ученого, заведующего кафедрой истории Грузии нашего филиала, доктора исторических наук, профессора Зураба Папаскири, которого 28 сентября 1993 года, после падения Сухуми, арестовали больного, лежащего в постели. Профессору Зурабу Папаскири предъявлены совершенно необоснованные, нелепые обвинения, фактически это сведение счетов с идейным оппонентом, против которого не нашлось иных аргументов, кроме грубой силы. Готовится судебная расправа над ученым за его политические взгляды и научные убеждения, совсем как во времена средневековой инквизиции.

В настоящее время профессор Зураб Папаскири находится в Сухумской тюрьме, состояние его здоровья с каждым днем ухудшается. Многократные обращения к абхазской стороне с просьбой



освободить больного ученого, не возымели действия, не помнящий подписанный в Женеве "Меморандум о понимании", в котором стороны согласились обменять военнопленных по принципу "всех на всех".

Ученый совет Сухумского филиала ТГУ, обеспокоенный судьбой профессора Зураба Папаскири, обращается к мировой общественности, ко всем ученым и преподавателям мира с призывом возвысить голос в защиту нашего коллеги, чтобы вызволить его из застенков инквизиторов двадцатого века.

**Ученый совет Сухумского филиала Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили.**

გაგზოთ „Демократическая Абхазия“, 29 декабря, 1993.

**Российская академия наук**  
**Отделение истории**  
 117334 ГСП-1 Москва в-334  
 Ленинский просп., д. 32 а  
 т. 938-17-63 14100-1255/222

**Посольство**  
**Российской Федерации в**  
**Республике Грузия**  
 380002, Тбилиси,  
 пр. Д.Агмашенебели, 61.

Мы, учёные институтов Отделения истории Российской академии наук с сожалением констатируем,

РАССЫЛКА НАСТАВКА № 10  
 Отделение истории  
 117334 ГСП-1 Москва в-334  
 Ленинский просп., д. 32 а  
 т. 938-17-63  
 22.12.93 - 1100 - 1255/222  
 № 9

Мы, ученые институтов Отделения истории Российской академии наук с сожалением констатируем, что безосудительный обмен пленными между Абхазией и Грузией еще далеко не осуществился. Не с основательством узнали о нападении в направлении убитого профессора Сухумского университета М.П. Папаскири. Мы призываем международное сообщество в Абхазии предпринять все необходимые шаги и принять все возможные меры, чтобы только пострадавшие в этом трагическом инциденте получили справедливые награды, а родные оставшихся пленников вернулись.

Академик-корреспондент Отделения истории РАН академик В.А. Савицкий  
 Председатель Комиссии по вопросам реабилитации жертв политических репрессий академик С.С. Хрущев  
 академик Н.Н. Рыжов  
 Директор Института Российской истории РАН-корреспондент А.А. Соболев  
 член-корреспондент А.П. Исаев  
 член-корреспондент А.П. Давыдов  
 Директор Института востоковедения и азиатологии РАН д.и.н. Шишов С.А.  
 Директор Института археологии и этнографии РАН д.и.н. Зыков А.А.  
 Ученый сотрудник Отделения истории д.и.н. Савицкий  
 А.А. Шинин  
 В.А. Савицкий  
 С.С. Хрущев  
 Н.Н. Рыжов  
 А.А. Соболев  
 А.П. Исаев  
 А.П. Давыдов  
 Шишов С.А.  
 Зыков А.А.  
 Савицкий  
 Шинин



что братоубийственный конфликт между Абхазией и Грузией далеко не завершился. Мы с беспокойством узнали о нахождении в плену известного учёного историка, профессора Сухумского университета З.В.Панаскири. Мы призываем политические власти в Абхазии продемонстрировать милосердное отношение к грузинскому учёному, ибо только сострадание и поиск гуманных подходов помогут затушить взаимную неприязнь и решить самые сложные вопросы.

Академик-секретарь Отделения истории РАН, академик **И.Д.Ковальченко**

Председатель Национального комитета российских историков, академик **С.Л.Тихвинский**

академик **Н.Н.Болховитинов**

Директор Института Российской истории

член-корреспондент **А.Н.Сахаров**

член-корреспондент **А.П.Новосельцев**

член-корреспондент **Я.Н.Щапов**

Директор Института этнологии и антропологии РАН д.и.н.

**Тишков В.А.**

Директор Института славяноведения и балканистики РАН

д.и.н. **Волков В.К.**

Учёный секретарь Отделения истории д.и.н. **В.С.Шилов**

Академик **Г. Бонгард-Левин**

### **Президенту международного фонда гуманитарных инициатив**

Координатору международной постоянной комиссии гражданской дипломатии по конфликту в Абхазии г-ну **Н.С.Дико**

Уважаемый Николай Сергеевич!







მგის მოადგილეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს რაბ პაპასქირს, რომელიც უკვე მესამე თვეა არაადამიანურ პირობებში, ძლიერ შერყეული ჯანმრთელობით იმყოფება ქ. სოხუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში. მიუხედავად ფართო საზოგადოებრიობის პროტესტისა, ე.წ. აფხაზურმა მხარემ არ გაათავისუფლა ბატონი ზურაბ პაპასქირი, უფრო მეტიც, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მასზე შეთითხნეს ყალბი ბრალდებები და ამზადებენ უკანონო სასამართლო პროცესს.

ამავე დროს, ჩვენთვის უცნობი მიზეზებით, მოწინააღმდეგე მხარეს გადაეცა აფხაზეთის ომში მონაწილე რუსეთის ფედერაციის შვიდი მოქალაქე – დაქირავებული მკვლელი, რომელთა მდგომარეობა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით არ შეესაბამება სამხედრო ტყვეის სტატუსს. მათზე აღძრული იყო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმე. ასევე გაუგებარია, რატომ არ არსებობს საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურად გაცხადებული რეაქცია ბატონ ზურაბ პაპასქირის უკანონო პატიმრობის შესახებ; რატომ არ არის ცნობილი არაფერი საზოგადოებრიობისათვის იმათ შესახებ, ვინც ქართველი ტყვეების სანაცვლოდ გადაეცა ე.წ. აფხაზურ მხარეს.

ეროვნული ერთიანობის საბჭო – აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაცია მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი ბატონ ზურაბ პაპასქირის მოძალადეთა ტყვეობიდან დაუყოვნებლივი და უპირობო გამოხსნისათვის.

**ეროვნული ერთიანობის საბჭო - აფხაზეთის  
განთავისუფლების ორგანიზაციის სახელით,**  
პოლიტიკური მდივანი  
გალსაზ პატარაია  
25.12.93 წ.

Министру Внутренних Дел республики Абхазия  
генерал-майору  
АГРБА Г.К.



Адресуемая Адреса  
Адресуемая Адреса  
Адресуемая Адреса  
Адресуемая Адреса



Прокуратура Республики  
Абхазия

№ 111/2008 г.р.а.

Судебный департамент Республики Абхазия  
Судебный департамент Республики Абхазия  
Судебный департамент Республики Абхазия

Согласно договоренности Абхазской и Грузинской делегаций в Женевских переговорах под эгидой ООН и посредничестве России, изменена мера пресечения ПАПАСКИРИ Зурабу Валерьяновичу.  
Вопрос выезда его за пределы Республики вами должно быть согласовано со Службой безопасности РА.  
В случае выезда Папаскири З.В. за пределы Республики прошу обеспечить его безопасность на территории Республики Абхазия.

Прокуратура Республики Абхазия  
Судебный департамент Республики Абхазия

С.Д. БГАНБА

Согласно договоренности Абхазской и Грузинской делегаций на Женевских переговорах под эгидой ООН и посредничестве России, изменена мера пресечения ПАПАСКИРИ Зурабу Валерьяновичу.

Вопрос выезда его за пределы Республики вами должно быть согласовано со Службой безопасности РА.

В случае выезда Папаскири З.В. за пределы Республики прошу обеспечить его безопасность на территории Республики Абхазия.

И.О. прокурора Республики Абхазия  
старший советник юстиции  
С.Д. БГАНБА

# Международный комитет красного креста



COMITE INTERNATIONAL DE LA CROIX-ROUGE  
Ինտերնացիոնալ Կոմիտե Կարմիր Կրեստ

Ի 14 յանվար 1994 թվականին Կոմիտե Կարմիր Կրեստին Կրասնայա Ստրանա (ՌԿԿ) կողմից փոխանակված Միջազգային Կարմիր Կրեստի (ԿԿԿԿ) Կոմիտեի Կարմիր Կրեստի Պապասկիրի Յուրաբա Վալերյանովիչի:

Կոմիտեի Վարչակոմիտեի (ՎԿԿԿ) Վարչակոմիտեի Կողմից փոխանակված Միջազգային Կարմիր Կրեստի (ԿԿԿԿ) Կոմիտեի Կարմիր Կրեստի Կողմից:

Կողմից:

Կոմիտեի Կարմիր Կրեստի Կողմից:

Կողմից Կողմից:



Սոցիալական



Վարչակոմիտեի Կողմից:

Վարչակոմիտեի Կողմից 14/02-94

14 января 1994 года представители властей изолятора Временного Содержания (ИВС) города Сухуми передали международному комитету красного креста (МККК) господина Папаскири Зураба Валерьяновича.

Министерство Внутренних Дел (МВД) Республики Абхазии предоставляют Международному Комитету красного креста (МККК) разрешение перевести г-на Папаскири в Россию. Сухуми.

Международный Комитет Красного Креста

**Сильвана Мутги**

Делегат

Согласовано:

Министр ВД РА

генерал-майор Г.К.Агрба

14/02-94 г.

## ქმობის უზრცლები

ქართველი და აფხაზი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან\*

ქართველი და აფხაზი ხალხები უსოვარი დროიდან ერთმანეთის გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ თავიანთ მდიდარ, თვითმყოფად ისტორიულ წარსულს.

კავკასიის ეს ორი უძველესი ცივილიზებული ერი ისტორიამ იმთავითვე დააკავშირა ერთმანეთთან. მათ ერთად შექმნეს გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ბრწყინვალე „კოლხური კულტურა“ (დაახლ. ძვ. წ. XIV-VII სს.). კოლხეთის ადრეკლასობრივ სახელმწიფოში გაერთიანებულებს ერთად უხდებოდათ ბრძოლა ბერძენი და რომაელი დამპყრობლების წინააღმდეგ თავიანთი ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის. ასევე ერთად იყოფდნენ ქართველები და აფხაზები ისტორიულ ჭირ-ვარაშს მომდევნო ხანაშიც, როდესაც ისინი კვლავ გაერთიანდნენ ერთიან სახელმწიფოში, ამჯერად ეგრისის (ლაზეთის) სამეფოში (ახ. წ. IV-VI სს.). ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული თანაცხოვრების ახალი ეტაპი იყო VIII საუკუნის ბოლოს ერთიანი „აფხაზთა“ სამეფოს შექმნა, რომელმაც ფაქტობრივად დაიკავა ეგრისის სამეფოს ადგილი ქართულ პოლიტიკურ სამყაროში და ამ მიმართულებით უფრო შორსაც კი წავიდა, შეასრულა რა ჰეგემონური როლი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში. დღეს უკვე უეჭველია, რომ XI ს. დასაწყისში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის საწინდარი იყო, ერთი მხრივ, „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკური ჰეგემონია, ხოლო, მეორე მხრივ, ტაო-კლარჯეთის – „ქართველთა“ – სამეფოს კულტურ-

\* გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ (№123, 28 ივნისი, 1984). იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.



რული ჰეგემონია. საკუთრივ აფხაზებმა, და კერძოდ კი „ლენინისტთა“ აფხაზურმა დინასტიამ, რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ამ უაღრესად დიდ და საპატიო საქმეში.

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ხანაში (XI-XV) ქართველები და აფხაზები ერთად ქმნიდნენ საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას, რომლის შედეგადაც XII საუკუნეში საქართველოს სამეფო გადაიქცა კავკასიისა და წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ, ასევე ერთად იღწვოდნენ საერთო-ქართული ქრისტიანული კულტურის ასპარეზზეც.

ქართველთა და აფხაზთა კულტურულ-პოლიტიკური ერთიანობა არც XVI-XVIII სს. შერყეულა, როდესაც ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი აგრესიის შედეგად ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დაიშალა ცალკეულ ფეოდალურ პოლიტიკურ ერთეულებად, რომელთა შორის იყო შარვაშიძეების (ჩახბების) აფხაზეთის სამთავროც. მიუხედავად თურქი დამპყრობლების დიდი მონღომებისა, მოეწყვიტათ აფხაზეთი საქართველოსგან, ჩვენს წინაპრებს ეყოთ გამძლეობა, ბოლომდე შეენარჩუნებინათ ურთიერთსიყვარული, ძმობა, სულიერი ერთობა...

მრავალსაუკუნოვანი ისტორიული თანაცხოვრების მთელ ამ მანძილზე ჩვენს წინაპრებს არაერთხელ უჩვენებიათ ძმობისა და ურთიერთგამტანობის ნათელი მაგალითები, თავიანთი გმირული შემართებით დაუცავთ მშობელი მიწა, ხალხი სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა ბარბაროსული შემოსევებისგან. ქართველი და აფხაზი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ბრძოლა ანაკოფიის (დღევანდელი ახალი ათონის) ციხის კედლებთან, რომელიც გაიმართა დაახლოებით 736-737 წწ. და რომლის დროსაც ქართველთა და აფხაზთა მცირერიცხოვანმა ძალებმა უკუაქციეს უძლეველი არაბი სარდლის მურვან იბნ-მუჰამედის („მურვან ყრუ“) მრავალათასიანი ლაშქარი.

როგორც ცნობილია, VII ს. 20-იან წლებში ჩამოყალიბდა არაბთა ძლიერი სახელმწიფო — ხალიფატი, რომელმაც სულ მალე დაამყარა თავისი პოლიტიკური ჰეგემონია მთელს ახლო აღმოსავლეთში, დაიპყრო რა მთელი რიგი მეზობელი სახელმწიფოები (მათ შორის ირანიც). VII ს. 50-იან წლებში არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა აღმოსავლეთ საქართველო, ხოლო ამავე საუკუნის მიწურულს არაბები დასავლეთ საქართველოშიც გადავიდნენ და ეგრისი დაიმორჩილეს. VIII ს. დასაწყისში



უკვე მთელი დასავლეთ საქართველო მოექცა არაბების ხელში. ამ მათი გარნიზონები მდგარან არქეოპოლისსა (ციხე-გოჯი) და ვერისის სხვა ციხეებში. მათ დაუკავებიათ აგრეთვე კოდორის ხეობის ზოგიერთი ციხე-სიმაგრეც. ამრიგად, VIII ს. დასაწყისში არაბებმა მთელი საქართველო დაიკავეს.

ქართველი ხალხი არასოდეს შეგუებია არაბ დამპყრობლებს. არაერთგზის იფეთქა მძლავრმა აჯანყებამ არაბთა წინააღმდეგ. ხალიფატი ყოველთვის მკაცრად სჯიდა აჯანყებულ ქართველებს, მაგრამ მათ მტრის წინაშე ქედი არასოდეს მოუხრიათ. 735 წელს ხალიფას ბრძანებით ამიერკავკასიაში ცნობილი სარდლის მურვან იბნ-მუჰამედის მეთაურობით გამოიგზავნა 120-ათასიანი ჯარი. არაბთა ამ ექსპედიციის მთავარი მიზანი აჯანყებული ქართველების სამაგალითო დასჯა იყო. არაბთა ამ შემოსევის შესახებ საისტორიო წყაროებს ბევრი არაფერი შემორჩენია. ერთადერთი წყარო, რომელშიც შედარებით ვრცლად არის გადმოცემული მურვანის ლაშქრობის ისტორია, არის XI ს. ქართველი ავტორის — ჯუანშერის საისტორიო თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯუანშერის ნაწარმოები დიდხანს იყო მიჩნეული ნაკლებად სანდო წყაროდ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქრონიკის ზოგიერთი ნაწილი ნამდვილად ზღაპრული და ლეგენდარული შინაარსისაა (ივ. ჯავახიშვილი), დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მასში მონიშნული ბევრი ისეთი მასალა, რომელშიც ძნელია რაიმე ეჭვის შეტანა. ასეთ ცნობათა რიცხვს უთუოდ უნდა მივაკუთვნოთ ჯუანშერის მონათხრობი მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობის შესახებ.

როგორც ქართველი მემატრიანე მოგვითხრობს, მურვანის საქართველოში შემოსვლისთანავე „ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნეს კავკასიად, და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა“. არაბ სარდალს მოუვლია „ყოველი კავკასია“, დაუპყრია დარიალი და დარუბანდი, შეუმუსრავს „ყოველი ქალაქი და უძრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა“. აღმოსავლეთ საქართველოს აკლესის შემდეგ მურვანი დასავლეთ საქართველოში გადასულა. აქ მას უწამებია არგვეთის მთავრები დავითი და კონსტანტინე (ეს აღწერილია უცნობი ავტორის მიერ დაწერილ „დავითისა და კონსტანტინეს წამებაში“). ყველგან, სადაც კი ყოფილა არაბი დამპყრობელი, მას სასტიკი და გულქვა კაცის შთაბეჭდილება დაუტოვებია. ამიტომაც ქართველებს მისთვის „ყრუ“ („მურვან ყრუ“) შეურქმევიათ.

დასავლეთ საქართველოში გადასული მურვანის უპირველესი ამოცანა ქართლის ერისმთავრების მირისა და არჩილის შეპყრობა



იყო. ამ უკანასკნელებმა შეძლეს მურვანისგან თავის დაღწევა და აფხაზეთში გაქცევა. არაბმა სარღალმა მათ დევნაში მოაოხრა ეგრისი, „შემუსრნა ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი, და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე გოჯი“. ეგრისის დაღაშქერის შემდეგ კი იგი აფხაზეთს მიაღდა „და შევლო იგი სა-ზღვარი კლისურისა... და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი (სოხუმი) და მოაღვა ციხესა ანაკოფისასა.“ და აი აქ, ანაკოფის მისადგომებთან, გაიმართა დიდი ბრძოლა, რომელშიც ქართველთა და აფხაზთა მცირერიცხოვანმა რაზმმა უკუაქცია მურვან ყრუს მრავალათასიანი ჯარი, არ მისცა მას საშუალება, დაეპყრო აფხაზეთი.

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს დამატებითი მასალა ბრძოლის ზუსტი ადგილის დასადგენად. ასევე ჭირს ანაკოფის ბრძოლის ზუსტი თარიღის გარკვევაც. ჯუანშერის მიხედვით ვიცით მხოლოდ, რომ ციხის შიგნით იმყოფებოდნენ მირი და არჩილი, ხოლო „ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა სობღისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“. ვარაუდობენ, რომ აფხაზეთის მთავარი ამაგრებდა ამ გადასასვლელს.

მურვან ყრუმ, როგორც ჩანს, იერიშით ვერ აიღო ანაკოფის ციხე. ეს მაშინ, როდესაც „ვერვინ შეძლებელ იყო წყობად ყრუსა, რამეთუ იყვნეს სპანი მისნი უფროს და უძრავლეს ჭალაკთა ეგრისთა“. არაბებმა ხანგრძლივი ალყით მოქანცეს ციხეში გამაგრებულნი, რომელთა შეიარაღებული ძალები რიცხოვნობივად ბევრად უფრო მცირე იყო მტერზე: „და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა მათისა და ნათესავი ერისთავთა და პიტიაზშთა, ათასი ოდენ, ხოლო სპათაგან აფხაზთა მებრძოლი ორი ათასი“. რასაკვირველია, ქართველ-აფხაზთა შთანთქმის რაზმით მირი და არჩილი ვერ გაბედავდნენ ციხიდან გამოსვლას და მტერთან შეხებას. ბოლოს მეციხოვნეებს მაინც გადაუწყვეტიათ ბრძოლის ველზე გასვლა. ჯუანშერი წერს: „მივიდეს (მირი და არჩილი) წინაშე წმიდისა მის ხატისა ყოვლად წმიდისა ღმერთისმშობელისა, თაყვანის-ცეს შევრდომით და იტყოდეს: „განვალთ სასოებითა ძისა შენისა და ღმერთისა ჩვენისათა... შეწირე ოხა ჩვენთვის და თანამავალ მეყავ ჩუენ წყალობა შენი“. ჯუანშერი, როგორც თავისი ეპოქის მწერალს შეპყვრის, ბუნებრივია, ქართველთა და აფხაზთა გადაწყვეტილებას შებრძოლებოდნენ მტერს, უფლის მიერ მოწონებულად მიიჩნევს. ის დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ ღმერთმა ისმინა მირისა და არჩილის ხვეწნა-მუდარა და „ვიდრე განთენებაძღე მოავლინა სარკინოზთა ზედა ხორშაკი ბლუარისა, და გუემნა



ივინი სატლითა სისხლისათა“. მემატიანე აქვე აღნიშნავს, რომ „ეწყენა მას ლამესა არჩილს ანგელოზი უფლისა, რომელმან რქუა მას: „წარწყლით და ეწყენით აგარიანთა, რამეთუ მიმივლენია მათ ზედა გუემა სასტიკად მომსვრელი, კაცითაგან მოპირუტყუთამდე და განრახვიდეთ, გესმეს ბანაკით მათით ხმა ვაებისა და ტირილისა. ხოლო თქუენ მხნე იყვენით და განძლიერდით სასოებითა ღმერთისათა“.

გამთენიისას მტრის ბანაკში მართლაც გაისმა „ხმა ტირილისა და გოდებისა“. ქართველ-აფხაზთა ლაშქარმა მირისა და არჩილის წინამძღოლობით ისარგებლა მურვან ყრუს ჯარში ამტყდარი შფოთით და ეკვეთა მტერს. „და მოსცა უფალმან ძლევა მცირეთა ქრისტიანეთა,“ – წერს ვუანძერი. – „და მოსწყდა სატლითა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახვილითა – სამი ათასი“. ქართველ-აფხაზთა დანაკარგი უმნიშვნელო იყო. „ქრისტიანეთაგან მას ღლესა შინა მოკლეს კაცი სამოცი“. რამდენადაც გადაჭარბებული არ უნდა მოგვეჩვენოს ქართველი მემატიანის მონაცემები ბრძოლის შედეგებზე, ფაქტია, რომ ამ ბრძოლაში ქართველმა და აფხაზმა მეომრებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს და არაბთა დიდი ძალა გაწყვიტეს. მურვან ყრუს დანაკარგი იძლეხად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მრისხანე სარდალმა ვერ გაბედა აფხაზეთში დარჩენა და ეგრისს უკუიქცა. მაგრამ არაბებს აქ ახალი უბედურება დაატყდა თავს: „გარდამოხდა წვიმა ფიცხელი, აღდგეს მდინარენი სასტიკად; და მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა, და წარიღო მათგან მკვირცხლი ოცდასამი ათასი. და მიმართა უფროსმან წყალმან მხედართა, რომელთა – ივი ბანაკი იყო უჭალაკე, რომელნი ივლტოდეს ადგილითა და რომელნიმე ხეთა ზედა გახდეს, და წარიღო ცხენი ოცდათხუთმეტი ათასი. და მიერთიდან სახელ-უღვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა“. ამის შემდეგ მურვან ყრუ დასავლეთ საქართველოშიც ვერ გაბაგრდა და ამჯერად სამხრეთ საქართველოს მიამურა. 737 წ. კი მან (ეტიყობა, გარკვეული შეკვების მიღების შემდეგ) დარუბანდისა და დარიილის გასასვლელებით მაინც შეძლო ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლა და ხაზარეთის დალაშქრა.

ასე დამთავრდა არაბთა ყველაზე დიდი ლაშქრობა საქართველოში. როგორც დავინახეთ, ამ შემოსევის დროს არაბებმა მოკლეს და გაანადგურეს მთელი საქართველო ისე, რომ „არლარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა“. მიუხედავად ამისა, არაბებმა მაინც ვერ მიაღწიეს გადამწყვეტ წარმატებას. მათ არა მარტო ვერ შეძლეს აფხაზეთის დაკავება, არამედ ეგრისის დატოვებაც კი მოუხდათ. ანაკოფიის კედლებთან ქართველთა და აფხაზთა გამარჯვებამ გარდატეხა შეიტანა



არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. დასავლეთ საქართველოდან ანაბთა განდევნას, თუ ვერწმუნებით ჯუანშერის მონაცემებს, ფართო საერთაშორისო გამოხმაურება ჰქონია, კერძოდ: კონსტანტინოპოლის მმართველ წრეებში დიდი მოწონებით შეხვედრიან ქართველთა და აფხაზთა გამარჯვებას არაბებზე. ჯუანშერის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორს ორი გვირგვინი გამოუგზავნია მირისა და არჩილისათვის და უცვნია ისინი მეფეებად, ხოლო ლეონი დაუტკიცებია აფხაზეთის მემკვიდრეობით მთავრად – „შენდა მიბრძანებებს ერისთაობა აფხაზეთისა შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე“.

არაბებზე მოპოვებულმა გამარჯვებამ კიდევ უფრო დააახლოვა ქართველი და აფხაზი პოლიტიკური მოღვაწეები ერთმანეთთან. მათ შორის დამყარდა ახლო ნათესაურ-დინასტიური კავშირი. როგორც ჯუანშერი მოგვითხრობს: „მისცა (არჩილმა) ლეონს ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ და გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფეს წარმოეცა მირისთვის. და ყვეს ალთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილსა ყოველთა დღეთა მისთა“. ყოველივე ამის შედეგად დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ახალი პოლიტიკური სიტუაცია. არჩილის გვერდით დადგა აფხაზეთის მთავარი ლეონი, რომელმაც სიძის უფლებით მიიღო მირისთვის გამოგზავნილი სამეფო გვირგვინი. ეს კი, ჩვენი აზრით, ნიშნავდა აფხაზეთის მთავრის შემოსვლას ქართულ პოლიტიკურ სამყაროში. ვფიქრობთ, რომ არჩილის აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთ-ჰერეთში) გადასვლის შემდეგ ლეონ I იყო ერთადერთი მოღვაწე, რომელსაც კანონიერად შეეძლო გამოსულიყო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ლიდერის როლში. სწორედ ასეთ ვითარებაში გვეჩვენება ჩვენ შესაძლებლად დასავლეთ საქართველოს გაერთიანება აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების ქვეშ, რაც დოკუმენტურადაა ასახული იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებაში“. VIII საუკუნის მიწურულს კი, როგორც ცნობილია, ლეონ I-ის ძმისწულმა, ლეონ II-მ უარყო კონსტანტინოპოლის „მფარველობა“ და მიიღო „აფხაზთა მეფის“ ტიტული. ასე ჩაეყარა საფუძველი ეგრისის სამეფოს ნანგრევებზე ახალ პოლიტიკურ ერთეულს – „აფხაზთა“ სამეფოს, რომელმაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეასრულა გადამწყვეტი როლი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საქმეში.

  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**ზოგი რამ ავხაზეთის  
წარსულზე და ქართულ - ავხაზეურ  
ურთიერთობაზე\***

ამ უკანასკნელ ხანს საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა საგრძნობლად გამოაღვიძა ინტერესი ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი. საჯაროობის პირობებში, როგორც ცნობილია, ბევრს გაუჩნდა სურვილი, გამოთქვას თავისი შეხედულებები ჩვენი ცხოვრების ამ თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე. გამონაკლისს არ წარმოადგენს ისტორიაც, რომელსაც ხშირად მიმართავენ სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობისას. სამწუხაროდ, ისტორიული მასალით აპელირება ზოგჯერ ხდება არაკეთილსინდისიერად, უტაქტოდ, არცთუ ისე იშვიათად კი უბრალოდ ადგილი აქვს აშკარა ფალსიფიკაციასაც. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ ყოველივე ეს ხდება არა ისტორიკოსთა შეხვედრებზე, კონფერენციებზე, არამედ სახალხო - პერიოდულ პრესაში, რადიოსა თუ ტელევიზიაში, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო ძაბავს ისედაც უღარესად დამუხტულ სიტუაციას. საკმაოდ მოძრავლდა ასეთი უპასუხისმგებლო გამოსვლები აფხაზეთში. უმეტეს შემთხვევაში, ესაა ბრალდებები ქართველი ისტორიკოსებისა და საზოგადოდ ქართული საისტორიო მეცნიერების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანმა ქართველმა მკვლევარებმა ამ ბოლო დროს არაერთხელ გასცეს პასუხი მავანთა და მავანთა „რეპლიკებს“ და სათანადო დონეზე გააშუქეს მთლიანად საქართველოსა, თუ კერძოდ აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ისტორიის საკვანძო საკითხები, აქა-იქ მაინც აქვს ადგილი ქართული ისტორიოგრაფიის უგულვებელყოფას და შეურაცხყოფელ დამოკიდებულებას მის მიმართ. ზოგიერთ ისტორიკოსთა თუ ფილოლოგთა ფსევდო-მეცნიერული თეორიების საფუძველზე, საქმეში ჩაუხედავი ცალკეული პიროვნებების (მაგალითისთვის ტამიშელი პედაგოგის ვ. ზანთარიას „სახალხო განათლებასა“ და „საბჭოთა აფხაზეთში“ ამასწინანდელი პუბლიკაციებიც კმარა) მიერ

\* გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 11 მაისი, 1990.



კეთდება სრულიად დაუსაბუთებელი განცხადებები აფხაზეთის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. ყოველგვარი მორიდეების გარეშე, დაუშვებლად ცხადდება აზრი აფხაზეთა და ქართველთა — ერთდროულად ორი ხალხის — აბორიგენობის შესახებ თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე და ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრ მოსახლეობად მიჩნეულია მხოლოდ აფხაზები. ამას, რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო ნამდვილ მეცნიერებასთან. მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ჯერჯერობით ვერავინ ვერ შესძლო ანბანურ ჭეშმარიტებად ქცეული მეცნიერული დებულებების გადასინჯვა, საუკუნეების მანძილზე ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული თანაცხოვრების უარყოფა.

მეცნიერებაში, ბუნებრივია, ყოველთვის იყო და იქნება კიდევ აზრთა სხვადასხვაობა ნებისმიერ საკითხზე მსჯელობის დროს. გამონაკლისს არ წარმოადგენს, ამ შემთხვევაში, აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ისტორიაც, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში აღნიშნული ხანის აფხაზეთის ისტორიული წარსული საკმაოდ მაღალ დონეზეა შესწავლილი (რაშიც დიდია გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსთა — ზ. ანჩაბაძისა და გ. ძიძარიას დამსახურება) და რაიმე პრინციპული სიახლის შეტანა რეგიონის ისტორიული განვითარების ძირითად ნაზებში პრაქტიკულად შეუძლებელია.

ყოველივე ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისტორიკოსებმა კვლევა მიატოვეს და მიღწეულით დაკმაყოფილდნენ. პირიქით, დღეს, როდესაც ყველა სფეროში ბოლო ედება სტერეოტიპულ აზროვნებას, სულ უფრო მეტი პერსპექტივები იშლება საისტორიო მეცნიერების წინაშეც, მაგრამ ახლის ძიების წყურვილმა, მით უფრო პოლიტიკურმა ამბიციებმა, არ უნდა გამოგვიყვანოს წონასწორობიდან და არ გვათქმევინოს უარი იმ პოზიტიურ ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაზე, რომელიც რჩება და კვლავაც დარჩება სწორი მეცნიერული კონცეფციების საფუძვლად. სწორედ ასეთი მემკვიდრეობის შუქზეა წარმოჩენილი აფხაზეთის ისტორიული წარსული წინამდებარე წერილში.

პირველი წერილობითი ცნობები აფხაზი ტომების („აბაზგ“ — „აფსილების“) შესახებ გაჩნდა ახ. წ. I-II სს.-ში (პლინიუსი, არიანე); თუმცა არქეოლოგები ადასტურებენ მატერიალური კულტურის ძეგლების ანალიზის შედეგად ძველ აფხაზურ ტომთა ყოფნას თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მანამდეც. მეცნიერებაში, უკა-



ნასკნელ დრომდე, პრაქტიკულად ეჭვს არ იწვევდა ქართველთა დიდი აფხაზთა ეთნიკური ნათესაობა და მათ, სავსებით დასაბუთებულად მიაკუთვნებდნენ ერთიან, იბერიულ კავკასიურ ენათა მატარებელი ხალხების (ქართველური, აფხაზურ-ადილური, ნახო-დაღესტნური) ოჯახს. წყაროთა ნაკლებობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ზუსტად და დამაჯერებლად წარმოვიდგინოთ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნიკური რუკა ძვ. წ. I ათასწლეულში, მაგრამ ამ რეგიონის ეთნიკური სიჭრელე არავითარ ეჭვს არ იწვევს. კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მობინადრე ტომთა შორის ანტიკური ხანის ავტორთა მიერ დასახელებულია აშკარად ქართველური წარმოშობის ტომებიც: „კოლხები“ – დასავლურ ქართული – მეგრულ-ჭანური, ლაზური მოსახლეობა, „სვანები“ (პლინიუსი და სხვ.), „სვანო-კოლხები“ (პტოლემეაიოსი, სტრაბონი და სხვ.). ზოგიერთ სხვა ტომებსაც („პენიოხები“, „სანიგები“), რომლებიც ასევე დაფიქსირებული არიან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში, მეცნიერთა დიდი ნაწილი (ი. ორბელი, ნ. მარი, ს. ჯანაშია, ვ. მელიქიშვილი და სხვ.) ასევე აკუთვნებს ქართველურ (მეგრულ-ჭანურ და სვანურ) ეთნიკურ სამყაროს.

ძვ. წ. XIV-VII სს. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია შედიოდა ე.წ. „კოლხური კულტურის“ გავრცელების არეალში. აღნიშნული არქეოლოგიური კულტურა, როგორც ცნობილია, მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს. მეცნიერებაში დიდი ხანია დამტკიცებულია; რომ კოლხური კულტურის შემქმნელები იყვნენ კოლხები და სხვა დასავლურ-ქართველური ტომები (სასპერები, ტიბარენები, მაკრონები და სხვ.). ამასთან, ხაზგასმულია, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობდა ამ კულტურის ლოკალური ვარიანტი, რომელიც უნდა მოწმობდეს მოცემულ რეგიონში ეთნიკურად არაერთგვაროვანი მოსახლეობის არსებობაზე, მათ შორის გულისხმობენ აფხაზურ-ადილური წარმომავლობის ტომებსაც (ო. ჯაფარიძე, ზ. ანჩაბაძე და სხვ.).

ძვ. წ. VI-I სს.-ში დასავლეთ საქართველოში არსებობდა ადრეკლასობრივი პოლიტიკური გაერთიანება – კოლხეთის სამეფო. ამ სახელმწიფოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით აღწევდა მდ. ბზიფამდე მაინც და, ბუნებრივია, მოიცავდა ფაქტობრივად მთელ თანამედროვე აფხაზეთსაც. კოლხეთის სამეფო, ამავე ხანებში შექმნილ ქართლის (იბერიის) სამეფოსთან ერთად, იყო უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ასე რომ, ამ დროიდან



იწყება საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ფორმირების ხანგრძლივი პროცესი.

ახ. წ. I-II სს.-ში, კოლხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე (ტრაპეზუნდიდან – სებასტოპოლის-დიოსკურიაამდე) აღმოცენდნენ ცალკეული ეთნოპოლიტიკური გაერთიანებები, რომელთა შორის საკუთრივ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია აფსილთა, აბაზგთა და სანიგთა „სამეფოები“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სებასტოპოლისი (სოხუმი) მოქცეული იყო სანიგთა მიწაზე, რომლებსაც, როგორც უკვე აღინიშნა, მეცნიერთა უმრავლესობა ქართველური (მეგრულ-ჭანური ან სვანური) წარმოშობის ტომებად მიიჩნევენ. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქ. სოხუმის ძველი სახელწოდება „ცხუმი“, რომელიც პირველად დაფიქსირებულია VIII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით ჯუანშერის ქრონიკაში, ახსნას პოულობს სვანურ ენაში.

დაახლოებით ახ. წ. III ს.-დან მთელი დასავლეთი საქართველო ერთიანდება ეგრისის („ლაზთა“) სამეფოს გარშემო. IV ს. მიწურულისათვის ეგრის-ლაზიკის მეფეთა ხელისუფლების ქვეშ მოექცნენ აფსილები, აბაზგები და სანიგები. მათგან აფსილები ადმინისტრაციულად უშუალოდ შევიდნენ ეგრისის სამეფოში, ხოლო აბაზგეთი გადაიქცა ეგრისის მეფისადმი ვასალურად დამოკიდებულ სამთავროდ. წყაროთა მონაცემებით, ადრეულ შუა საუკუნეებში ქართველთა და აფხაზთა ეთნიკური საზღვარი ძირითადად მდ. კელასურთან გადიოდა. ამასთან აფსილებს ეკავათ სამხრეთი ნაწილი, აბაზგებს კი – ჩრდილოეთი (მდ. ბზიფამდე). რაც შეეხება სანიგებს, ისინი VI ს.-დან ლოკალიზდებიან მდ. ბზიფს გაღმა დღევანდელი გაგრისა და ადლერის რაიონებში და უფრო ჩრდილოეთით. თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი მთიანი ნაწილი კი (წებელდიდან კავკასიონის დიდ ქედამდე) ეკავა მისიმიანთა სვანურ ტომს.

VIII ს.-ში არსებითად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება დასავლეთ საქართველოში, სადაც დაფუძნდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან არაბების მიერ გამოდევნილი ქართლის ერისმთავრები. არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში გამოიკვეთა ქართველთა და აფხაზთა საერთო პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც კიდევ უფრო განმტკიცდა დინასტიურ-ნათესაური კავშირებით. ყოველივე ამას კი მოჰყვა ის, რომ ჯერ (VIII ს. მეორე

ნახევარში) აფხაზთა მთავრის ლეონ I-ის ხელისუფლების ქვეშევრდობა და ეგრის-აფხაზეთი, ხოლო შემდეგ (VIII ს. დამლევეს) ლეონ I-ის ძმისწულმა – ლეონ II-მ თავი საერთოდ „აფხაზთა“ მეფედ გამოაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალმა სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ (მმართველი დინასტიის აფხაზური წარმოშობის გამო) მიიღო „აფხაზთა“ სამეფოს სახელწოდება (ზოგიერთი სომხური წყარო მას ეგრისსაც უწოდებს), თავისი შინაარსით ის იმთავითვე ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური, აღმოსავლურ-ქართული) ტომები შეადგენდნენ. ახალი სახელმწიფოს დედაქალაქად გადაიქცა ქ. ქუთაისი, რომელიც მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და ამ დროისათვის ძირითადად ქართიზირებული იყო. საკუთრივ აფხაზები ცხოვრობდნენ 8-დან მხოლოდ ორ (აფხაზეთისა და ცხუმის) საერისთავოში. ქართველური ელემენტი აღმოჩნდა უფრო განვითარებული სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულადაც. ამდენად, ქართული სალიტერატურო ენა იქცა სახელმწიფოებრივი ფუნქციონირებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენად მთელს „აფხაზთა“ სამეფოში. დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ X ს. დასაწყისისათვის მთელი დასავლეთ საქართველო („აფხაზთა“ სამეფო) და, მაშასადამე, საკუთრივ აფხაზური ტომებით დასახლებული ტერიტორიაც მთლიანად მოექცა ქართულ ქრისტიანულ სამყაროში, რაზედაც ნათლად მეტყველებენ აფხაზეთში აგებულ ეკლესიებზე და სხვა ნაგებობებზე ქართული ასომთავრულით შესრულებული მრავალრიცხოვანი წარწერები. X ს. დასაწყისისათვის გაფართოვდა ტერმინ „ქართლის“ კულტურულ-პოლიტიკური შინაარსი და მასში დასავლეთ საქართველოც მოექცა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების...“ (გიორგი მერჩულე). ამ კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო აბაზგ-აფსილებით დასახლებული ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოებიც, ხოლო ქუთაისში მჯდომი აფხაზური წარმოშობის დასავლეთ საქართველოს მეფეები უშუალოდ ედგნენ სათავეში საერთო-ქართულ ეროვნულ მოძრაობას ძლიერი, ერთიანი საქართველოს შესაქმნელად.

X ს. მიწურულს და XI ს. დამდეგს გადამწყვეტი ნაბიჯები გადაიღვა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის გზაზე. „აფხაზთა“ მეფის ტახტი დაიკავა გიორგი II „აფხაზთა“ მეფის (922-957წწ.) შვილიშვილმა ბაგრატ III ბაგრატიონმა, რომელმაც 1008 წელს მამისეული „ქართველთა“ სამეფოც მიისაკუთრა და ამით საფუძველი ჩაუყარა ერთიან ქართულ სახელმწიფოს. ბაგრატ III „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის მიერ შექმნილმა საქართველოს სამეფომ, როგორც ცნობილია, ძლიერების ზენიტს მიაღწია XII ს-სა და XIII ს-ის დასაწყისში დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების ზეობის პერიოდში. იმდროინდელ უცხოურ წყაროებში (არცთუ ისე იშვიათად საკუთრივ ქართულშიც), უმეტეს შემთხვევაში, საქართველო – „აფხაზეთად“, ხოლო ქართველი მეფეები „აფხაზ“ მეფეებად იწოდებოდნენ. ეს იყო თავისებური გამოხატულება იმ წამყვანი როლისა, რომელიც შეასრულა „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) სამეფომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების საქმეში. აფხაზები, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონების მცხოვრებნი, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი ქართლელთა, კახელთა, მეგრელ-სვანთა და სხვა ქართველურ ტომებთან ერთად, სამართლიანად ითვლებიან შუა საუკუნეების საერთო-ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის შემქმნელებად.

XIII-XV სს.-ში, მიუხედავად შექმნილი რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარებისა (მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა, თემურ-ლენგის ლაშქრობები და სხვ.), რომელმაც გამოიწვია ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჯერ დასუსტება, შემდეგ კი მისი დამხობა, აფხაზეთი კვლავ რჩებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის ორგანულ ნაწილად, ქ. სოხუმი („ცხუმი“) კი ითვლებოდა „საქართველოს ქალაქად“ (აბულ-ფედა, – XIII ს.), სადაც 1330 იჯდა „სებასტოპოლისის (სოხუმის) კათოლიკე ეპისკოპოსი ქვემო იბერიისა“. აქვე იყო ზარაფხანა, რომელშიც თავის ვერცხლის მონეტებს ჭრიდა საბედიანოს (სამეგრელოს) მთავარი ვამეყ I დადიანი (1384-1396 წწ.). XV ს.-ში დადიან-ბედიანთა ხელისუფლება ძველებურად ვრცელდებოდა სოხუმამდე. აღსანიშნავია, რომ 1480 და 1497 წწ. შედგენილ იტალიურ რუკებზე მდ. კელასურის შესართავთან დაფიქსირებულია „პორტო მენგრელო“, XVI ს. თურქული მასალების მიხედვით კი „დადიანის ქვეყანას“ ეკავა ტე-

რიტორია „გურიის გაღმით სოხუმამდე, რომლის იქით აფხაზთა ოლქები“ იწყებოდა.

XV ს. მიწურულს საქართველო დაქუცმაცდა ცალკეულ ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად. აღმოსავლეთ საქართველოში წარმოიქმნენ ქართლისა და კახეთის სამეფოები, დასავლეთ საქართველოში – იმერეთის სამეფო, რომლის შიგნითაც ცალკე ჩამოყალიბდნენ ოდიშისა (სამეგრელო) და გურიის სამთავროები. ისინი მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდნენ იმერეთის მეფეს. სამხრეთ საქართველოში ასევე ცალკე გაფორმდა კიდევ ერთი ფეოდალური სამთავრო – სამცხე-საათაბაგო. დაახლოებით ამავე პერიოდში იწყება აფხაზეთის სამთავროს ფორმირებაც. ეს პროცესი ძირითადად დასრულდა XVII ს. მეორე ათწლეულში, როდესაც შარვაშიძეებმა მოახერხეს სამეგრელოს მთავრის ხელისუფლებიდან გამოსვლა და პირდაპირ დაემორჩილნენ (ნომინალურად) იმერეთის მეფეს. ამავე პერიოდში იწყება აფხაზ ფეოდალთა ექსპანსია სამეგრელო-ოდიშის მიმართულებით, მაგრამ სამეგრელოს ძლიერმა ხელისუფალმა ლევან II დადიანმა (1611-1657) დროებით შესძლო აფხაზ ფეოდალთა შემოტევის შეჩერება და თავისი სუვერენიტეტიც კი დაამყარა შარვაშიძეების სახლზე. ამავე ლევან დადიანმა შექმნა გამაგრებათა მთელი სისტემა – „კელასურის კედელი“ (მდ. კელასურის შესართავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით დალიძგის ზეობისაკენ – საერთო სიგრძე 60 კმ-მდე). იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) მიერ შედგენილ რუკაზე ეს გამაგრებები აღნიშნულია, როგორც „კედელი აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ“. შემდგომ (XVII ს. 60-70-იან წლებში), ისარგებლეს რა სამეგრელოს სამთავროს დასუსტებით, აფხაზმა მთავრებმა კვლავ გაახშირეს ძველი რბევა-ლაშქრობები ოდიშის მიმართულებით და მას უკვე სისტემატური ხასიათი მისცეს. იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის ცნობით, რომელიც იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოში XVII ს. 70-იან წლებში, „აფხაზებმა ააოხრეს მოქვი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე (ცხენისწყალი)“. XVIII ს. დამდეგისათვის აფხაზმა ფეოდალებმა საბოლოოდ მიიტაცეს ტერიტორია მდ. ენგურამდე და მტკიცედ მოიკიდეს აქ ფეხი. ამრიგად, აფხაზეთის სამთავროს სამხრეთის საზღვარმა, რომელიც ჯერ კიდევ XVII ს. დასაწყისში საღდაც მდ. კოდორის რ-ში გადიოდა (არქანჯელო ლამბერტი, ჯოვანი ლუკა, მაკარი ანტიოქიელი, ჟან შარდენი და





სხვ.), სულ რაღაც ერთი საუკუნის განმავლობაში ენგურის ნაპირებამდე გადმონაცვლა. ამ დროიდან აფხაზი მთავრები იწყებენ დაკავებული ტერიტორიის ეთნიკურ ათვისებას. ამ მიზნით ისინი მასიურად ასახლებენ ამ მხარეში აფხაზებს (აზნაურებს, გლეხებს). გააფხაზების პროცესმა განსაკუთრებით მოიცვა კოდორსა და ლალიძგას შორის მოქცეული ტერიტორია, თუმცა ნაწილობრივ ის შეეხო სამურზაყანოსაც – ლალიძგასა და ენგურს შორის ტერიტორია, რომელიც ოდითგან მხოლოდ ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ეხებოდა რა ამ საკითხს, XIX ს. ცნობილი რუსი კავკასიათმცოდნე ა. დიაჩკოვ-ტარასოვი წერდა: „აფხაზები ყოველთვის არ ცხოვრობდნენ აქ“ (იგულისხმება სამურზაყანო – ზ.პ.)... „მათი გადმოცემები და მრავალი ისტორიული ცნობები, აგრეთვე მათი ადათ-წესები მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, შეავიწროვეს ქართველური ტომები, შეჩერდნენ ენგურზე, აქ მოხდა აღრევა ორი ერთმანეთისათვის უცხო ტომის – მეგრელთა და აფხაზთა, რომელმაც მოგვცა სამურზაყანოს შერეული მოსახლეობა და რომელიც მოქცეული იყო კოდორსა და ენგურს შორის“.

XVII-XVIII სს. ძირეულად იცვალა იერ-სახე აფხაზეთმა სოციალურ-ეკონომიკურადაც. თუ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში ფეოდალურ წყობილებას არ განუცდია რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებები, პირიქით, გარკვეული მიზეზების გამო, აქ კიდევ უფრო დამძიმდა ბატონყმური ჩაგვრა (განსაკუთრებით სამეგრელოში) – აფხაზეთში ადგილი ჰქონდა განვითარებული ფეოდალური საზოგადოების, ერთგვარ „ბარბარიზაციას“ (მობრუნებას პირველყოფილი თემური წყობილებისაკენ), რაც დაკავშირებული იყო ჩრდილოეთიდან მონათესავე მთიელ ტომთა მორიგ „შემოტევასთან“ და ბარში მათ შემოჭრასთან. ამიტომაცაა, რომ იმდროინდელი ევროპელი ავტორები (ჯოვანი ლუკა, არქანჯელო ლამბერტი და სხვ.) XVII ს. აფხაზებში უკვე ვერ ხედავდნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იმ დონეს, რომელიც დამახასიათებელი იყო ფეოდალური საქართველოს სხვა რეგიონებისათვის და რომელიც გვხვდებოდა ამ რეგიონში უწინ. პირიქით, ისინი ხაზს უსვამდნენ მათი ცხოვრების წესის მსგავსებას ადიღეელებისა და სხვა მთიელი ტომების კულტურასთან.

„მთიური სტიქიის“ გამოჩენასთან იყო დაკავშირებული ქრისტიანობამდელი წარმართული რწმენა-ჩვეულებების გამოცოცხლებაც,

აგრეთვე ისლამის გავრცელება აფხაზეთის ცალკეულ (განსაკუთრებით ჩრდილოეთ) რაიონებში. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, მოწინავე ქართული საზოგადოებრიობა აფხაზეთს ძველებურად მიიჩნევდა დიდი საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზმის ნაწილად. ასე, მაგალითად: ევროპაში მიმავალ სულხან-საბა ორბელიანს (XVIII ს. დასაწყისი) კ. მალტაზე უნახია ქართველნი, რომელთა შორის ყოფილან „ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურიელი, მეგრელი“, და რომელთაც ენა (იგულისხმება ქართული — ზ.პ.) ჭერ კიდევ კარგად ცოდნიათ“. XVIII საუკუნის მეორე დიდი ქართველი მოღვაწის ანტონ კათალიკოსის აზრით, „ქართულთა ისტორია“ შედგება „კახთ, მესხთ, აფხაზთა, მეგრელთა, სუან, კავკასთა“ ისტორიებისაგან. თეიმურაზ ბატონიშვილი (XIX ს. პირველი ნახევარი) აფხაზეთზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „აფხაზეთი არს სამეფო ერთი ივერიის ქვეყნის ქუემოსა შინა ივერიასა“. ისტორიული, კულტურულ-პოლიტიკური ერთობის იდეა ცოცხლობდა თვით აფხაზეთშიც. ქართული სალიტერატურო ენა აქ კვლავ რჩებოდა საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენად. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს („ბიჭვინთის“ ან „აფხაზეთის“) კათალიკოსის მთავარ რეზიდენციას დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ბიჭვინთა და მხოლოდ XVI ს. მეორე ნახევარში, თურქთა აგრესიის გაძლიერების გამო, კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ (1558-1578 წწ.) ის გელათში გადაიტანა. მართალია, ბიჭვინთა ამის შემდეგაც რჩებოდა საპატრიარქო ტაძრად, მაგრამ ქრისტიანობის პოზიციები ამ რაიონში ძლიერ შესუსტდა. ამიტომ იყო, რომ XVII ს. შუა ხანებისათვის, ევროპელ მისიონერთა დამოწმებით, აფხაზები „მხოლოდ სახელით იყვნენ ქრისტიანები“ (არქანჯელო ლამბერტი) და რომ მათ „არ ესმოდათ ქრისტიანობის არსი“ (ჟან შარდენი). საინტერესოა აგრეთვე, რომ თურქ-ოსმალთა აგრესიის მაქსიმალური გაძლიერების დროსაც (XVIII ს.) შარვაშიძეთა ფეოდალური სახლის ცალკეული წარმომადგენლები, მათ შორის ისინიც, რომლებიც უშუალოდ სულთნის სამსახურში იმყოფებოდნენ, ატარებდნენ ქართულ სახელებს (მაგ. ბათუმის ბეგი — მანუჩარ შარვაშიძე, სოხუმის ბეგი ზურაბ შარვაშიძე და სხვ.).

უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ინტერესებს არაერთხელ შეუკრებია ქართველები და აფხაზები სა-

ერთო დროში ქვეშ ამ მძიმე პერიოდში. 1672 წ. ჟან შარდენის ცხობით, სამეგრელოს მთავარს მიუწვევია აფხაზები თურქების წინააღმდეგ. 1757 წ. სოფ. ზრესილთან (ქუთაისის მახლობლად) გამართულ ერთ-ერთ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც გაუმართა იმერეთის მეფე სოლომონ I-მა თურქებს, გმირულად დაეცა სამურზაყანოს მთავარი ხუტუნია შარვაშიძე.

აფხაზი ფეოდალების საერთო-ქართული ორიენტაცია მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა XVIII ს. 70-იან წლებში, როდესაც შარვაშიძეთა სახლის ზოგიერთმა წარმომადგენელმა (უფრო სამურზაყანოს შტოდან) მხარი დაუჭირა ქართველი მეფეების – ერეკლე II და სოლომონ I მიერ აღებულ პოლიტიკურ კურსს ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ რუსეთთან დაახლოებისაკენ. ამის გამოხატულება იყო სამურზაყანოს მთავარ ლევან შარვაშიძის მონაწილეობა ფოთის ციხის აღებაში 1770 წ., რომელიც მოაწყო ეკატერინე II მიერ საქართველოში (თურქთა წინააღმდეგ მებრძოლი ერეკლე II და სოლომონ I დასახმარებლად) გამოგზავნილმა სამხედრო რაზმმა. ზრუნავდნენ რა აფხაზეთის, ისევე, როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს თურქეთის კლანჭებიდან დახსნისათვის, იმდროინდელი ქართველი დიპლომატები ცდას არ აკლებდნენ, რათა დაეინტერესებინათ რუსეთის იმპერიის მესვეურები აფხაზეთით. ასე, თავადი ამილახვარი მოხსენებით ბარათში 1769 წ. რუსეთის მთავრობის ყურადღებას მიაქცევდა გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში მოხერხებული ნავსადგომებისა და ყურეების არსებობაზე და ამასთან მიუთითებდა, რომ აფხაზეთის მთავარი შარვაშიძე „თავისი საგვარეულოთი მართლმადიდებლობის მიმდევარი“ იყო. 1770 წ. რუსეთის მთავრობის ქვეშ შესვლა ითხოვა ზემოხსენებულმა სამურზაყანოს მთავარმა ლევან შარვაშიძემ. ცნობილმა ქართველმა პოეტმა და დიპლომატმა, ბესარიონ გაბაშვილმა (ბესიკი), რომელიც მეთაურობდა იმერეთის სამეფო კარის მისიას რუსეთში XVIII ს. 80-იან წლებში, არაერთხელ დააყენა ეკატერინე II-ის მთავრობის წინაშე თურქეთის ჩარევისაგან აფხაზეთის დაცვის აუცილებლობისა და იქ ჯარის ჩაყენების საკითხი. ამასთან, ის არწმუნებდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ აფხაზეთზე რუსეთის მფარველობის დამყარების შემთხვევაში იქ „ყველა მოიქცეოდა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე“.

1801 წ. ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და აღმოსავლეთ საქართველოში უშუალოდ რუსული მმართველობა დამყარდა. ამ



აქტივით დაიწყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს შესვლა. 1803 წ. რუსეთის იმპერატორის უზენაესი ხელისუფლება სცნო სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა, ხოლო 1804 წ. იმერეთის მეფე სოლომონ II-მაც. საღად შეაფასა რა ამ მოვლენების შედეგად დასავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, აფხაზეთის მთავარმა ქელეშბეი შარვაშიძემ, რომელმაც თავის დროზე თურქეთის მმართველი წრეების აქტიური მხარდაჭერით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და „ჭეშმარიტ მუსლიმანად“ ითვლებოდა (გ. ძიძარია), საჭიროდ სცნო გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება „ბრწყინვალე პორტასთან“ და კურსი რუსეთთან დაახლოებისაკენ აეღო.

1810 წ. თებერვალში ყულევში (ფოთის მახლობლად) ოფიციალურად გამოცხადდა ალექსანდრე I-ის მანიფესტი აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. მნიშვნელოვანი როლი ამ ისტორიული აქტის განხორციელებაში ითამაშა სამეგრელოს მთავრის ქვრივმა ნინო დადიანმა.

აფხაზეთის სამთავროს რუსეთთან შეერთებით პრაქტიკულად დამთავრდა რუსეთის მფლობელობის დამყარება მთელს საქართველოში. რუსეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ რჩებოდა მხოლოდ სვანეთი, რომელიც შემოერთებული იქნა მოგვიანებით (1833 წ.).

აფხაზეთის სამთავრომ რუსეთის მფლობელობის ქვეშ კიდევ ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტ ხანს იარსება. ეს პერიოდი უაღრესად რთული იყო აფხაზი ხალხის ისტორიაში. პროთურქული ძალები, მარჯვედ იყენებდნენ რა ცარიზმის კოლონიური მმართველობის უგერგილობას, ხშირად ახერხებდნენ აქ ანტირუსული გამოსვლების ორგანიზებას. მართალია, აფხაზი ხალხის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ უდავოდ ატარებდა განმათავისუფლებელი ბრძოლის ელემენტებს და მიმართული იყო ეროვნული და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ძირითადად ეს გამოსვლები (საქართველოს სხვა მხარეებში მოწყობილი ანტიცარისტული აჯანყებებისაგან განსხვავებით) იმ დიდი და ხანგრძლივი „საღვთო ომის“ (ჰაზავათის) შემადგენელ რგოლს წარმოადგენდნენ, რომელსაც ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობა, იმამ შამილის მეთაურობით, რუსეთის წინააღმდეგ და რომელსაც ოსტატურად აღვივებდა „ბრწყინვალე პორტა“ კონსტანტინეპოლიდან. ამ გარემოებამ ითამაშა ტრაგიკული როლი შემდგომ აფხაზი ხალხის ცხო-



ვრებაში. აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელიც მოექცა გათურქებულ ფეოდალთა აგიტაციის გავლენის ქვეშ, ვერ შეეგუა აფხაზეთში სამთავრო ხელისუფლების გაუქმებას (1864 წ.), უშუალოდ რუსული მმართველობის დამყარების შედეგად შექმნილ ახალ ვითარებას და მასიურად გადასახლდა თურქეთში. ცარიზმმა არათუ ხელი არ შეუშალა აფხაზთა მაჰაჯირობას, არამედ აფხაზობა გამოაცხადა „დამნაშავე („ВИНОВОЕ“) მოსახლეობად“ და ყველა პირობა შექმნა მათი აქედან გასახლებისათვის. ეს იყო უდიდესი ტრაგედია აფხაზი ხალხის ისტორიაში.

ამ მძიმე პერიოდში აფხაზი ხალხის ერთადერთ მანუგეშებლად რჩებოდა ქართველი საზოგადოებრიობა. იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა: ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, გიორგი წერეთელმა, სერგი მესხმა და სხვებმა მტკიცედ გაილაშქრეს აფხაზთა თურქეთში ნაძალადევად გადასახლების წინააღმდეგ. ქართველობა პრაქტიკულ ზომებსაც იღებდა იმისათვის, რომ აფხაზებს სამუდამოდ არ მიეტოვებინათ მშობლიური მიწა-წყალი.

საყოველთაოდ ცნობილია ამ მხრივ ბზიფის ოკრუგის უფროსის — მაიორ დ. ჭავჭავაძის ღვაწლი. ბზიფელი აფხაზები 1868 წ. შედგენილ განცხადებაში წერდნენ, რომ მათ უარი თქვეს თურქეთში გადასახლებაზე დ. ჭავჭავაძის რჩევით. იგივე დ. ჭავჭავაძე ყოველმხრივ ცდილობდა შეემსუბუქებინა 1866 წ. ანტირუსული აჯანყების მონაწილე აფხაზთა ხვედრი. აღსანიშნავია, რომ სოხუმის განყოფილების უფროსს არ მოეწონა ქართველი თავადის ასეთი დაახლოება თავის მოძმებთან და გადაწყვიტა მისი შეცვლა „ნიჟე Твердой рукой“. მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის გამოსარჩლებისა, დ. ჭავჭავაძე მაინც გაწვეულ იქნა ბზიფის ოკრუგიდან. მოგვიანებით (1877-78 წწ.) რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც აფხაზეთში უკიდურესად დაიძაბა ვითარება, ხელისუფლება იძულებული შეიქნა, კვლავ მიევლინებინა დ. ჭავჭავაძე ბზიფის მხარეში, რადგან მას აქ ჰქონდა „МНОГО СВЯЗЕЙ“. ასევე ცნობილია, თუ როგორ ამოუდგნენ აჭარლები აფხაზ მაჰაჯირებს მხარში, აძლევდნენ მათ თავშესაფარს, ბევრი მათგანი დასახლდა კიდეც აქ.

თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად, აფხაზეთი არ მოწყვეტილა ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროს. XIX ს. პირველ ნახევარში აქ ქართული ენა ჯერ კიდევ



ითვლებოდა ძირითად სამწერლობო ენად. ქართულ ენაზე აწარმოებდა თავის საქმიან მიწერ-მოწერას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე.

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ცარიზმი ენერგიულად შეუდგა აფხაზეთის კოლონიზაციას. „მცირე“ ერებზე „ზრუნვის“ ფარისევლური მოტივებით რუსი მოხელეები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ქართულ-აფხაზური კულტურული ერთობის მოსასპობად. სწორედ ამ მიზანს ისახავდა, პირველ რიგში, სლავურ-რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური ანბანის შექმნა XIX ს, 60-იან წლებში. თვით პ. უსლარი, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო აფხაზური ანბანის შემუშავებაში, აღიარებდა, რომ კავკასიის მთიელ ხალხებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ თავიანთი წერილობითი კულტურა, მწერლობა და რომ „туземная“ грамота должна служить только тому, чтобы... облегчить для них изучение русского языка“.

კიდევ უფრო შორს მიდიოდა ე. ვეიდენბაუმი, რომელსაც აფხაზური დამწერლობის მთავარ დანიშნულებად მიაჩნდა ქართული ენის გამოდევნა აფხაზეთიდან: **“Абхазский язык, не имеющий письменности и литературы, — წერდა ე. ვეიდენბაუმი. — обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том: какой язык заменит его?.. Очевидно, роль проводника в население культурных идей и понятий должен был бы играть не грузинский, а русский язык... Поэтому учреждение абхазской письменности - должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению, путем церкви и школы, потребности в грузинском языке и постепенной замене его государственным. Упустив это из виду, мы рискуем создать, сверх грузинской и прочих автономий, еще и автономию абхазскую”** (ხაზგანმა აქ და ქვემოთაც ჩვენია — ზ.პ.).

აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტას ისახავდა მიზნად ცარიზმის პოლიტიკა საეკლესიო ცხოვრებაში. **“Сухумскую епархию, — მოახსენებდნენ უწმინდეს სინოდს პეტერბუ-**

რგში კავკასიის მთავარმართებელი თავადი გოლიცინი და საჭიროთველოს ეგზარქოსი ალექსი. — с ее преимущественно абхазским и русским населением желательно оторвать от весьма нежелательного грузинского влияния. С этой целью было бы очень полезно присоединить Сухумскую епархию к Кубани. В Кубанском крае насчитывается 1м. 716.245 чисто русского православного населения. В этой массе легко растворится 100.000-е многоязыковое население черноморского побережья”.

დიდი დაფიქრება არ სჭირდება იმის გაგებას, რომ რუს მოხელეთა მოხსენებითი ბარათებიდან აქ მოტანილი ნაწყვეტები წარმოადგენენ ძველი რომაული დევიზის — „გათიშე და იბატონე“ კლასიკურ ნიმუშებს.

სამწუხაროდ, ცარიზმის ამ გამთიშველმა პოლიტიკამ დროთა განმავლობაში თავისი ნაყოფი გამოიღო. მიუხედავად აფხაზი ხალხის საუკეთესო შვილთა: გიორგი შარვაშიძის, დავით ჩქოტუას, დიმიტრი გულიასა და სხვათა თავგადადებული ზრუნვისა ქართულ-აფხაზური ძმობისა და კულტურული ერთობის შენარჩუნებისათვის, აფხაზური მოსახლეობის ნაწილში თანდათანობით მაინც იჩინა თავი ანტიქართულმა განწყობილებებმა. ამის გამოვლინება იყო ის, რომ აფხაზთა ნაწილი წინ აღუდგა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართული ეროვნული სახელმწიფოს ფორმირების პროცესს.

დღეს უკვე აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლას აფხაზი, და მათთან ერთად ქართველი, ბოლშევიკების ერთი ნაწილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან აფხაზეთის ჩამოცილების დროშის ქვეშ ეწეოდა (ანალოგიური ხასიათისა იყო ბრძოლა სამხრეთ ოსეთშიც). ამან უაღრესად გაართულა სიტუაცია აფხაზეთში. ამიერკავკასიის სეიმმა იარაღით ჩაახშო 1918 წლის აჯანყება, რომელმაც ე.წ. „აფხაზთა კომუნის“ სახით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება სოხუმში. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ვ.ი. ლენინის ხელმძღვანელობით სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აფხაზეთი კი მიიჩნია მის განუყოფელ ნაწილად. მიუხედავად ამისა, 1921 წ. მარტში, როდესაც IX არმიის ნაწილების დახმარებით აფხაზეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, აფხაზი ბოლშევიკების დაჟინე-



ბული თხოვნით, ზემდგომმა პარტიულმა ინსტანციებმა, რომლებიც ამ საკითხის გადაწყვეტისას ძირითადად ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის „ავტორიტეტული აზრის“ გავლენის ქვეშ იყვნენ, „შესაძლებლად ჩათვალეს“ აფხაზეთის დროებით (პირველ ხანებში მაინც) ცალკე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება. ამ გადაწყვეტილების უსაფუძვლობა და აბსურდულობა სულ მალე ცხადი გახდა ყველასათვის და, პირველ რიგში, იმავე ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძისათვის, რომლებმაც 1921 წელსვე დააყენეს საკითხი აფხაზეთის საქართველოს რესპუბლიკასთან გაერთიანების შესახებ, რაც მალე, 1921 წ. დეკემბერს განხორციელდა კიდევ, როდესაც თბილისში დაიდო „საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება“. ამ ხელშეკრულებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

დავით აღმაშენებლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული წიგნი „საქართველოს სსრ-ის ისტორია“ (თბილისი, 1989 წ.)-ის 10-11-ე გვერდებზე მოხსენიებულია აფხაზეთის დაბრუნების შესახებ. წიგნის ავტორები აღნიშნავენ, რომ 1921 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ-ის დაარსების შემდეგ აფხაზეთი დაბრუნდა საქართველოს შემადგენლობაში. ამის შესახებ მოხსენიებულია აგრეთვე წიგნის 10-11-ე გვერდებზე. ავტორები აღნიშნავენ, რომ 1921 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ-ის დაარსების შემდეგ აფხაზეთი დაბრუნდა საქართველოს შემადგენლობაში. ამის შესახებ მოხსენიებულია აგრეთვე წიგნის 10-11-ე გვერდებზე. ავტორები აღნიშნავენ, რომ 1921 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ-ის დაარსების შემდეგ აფხაზეთი დაბრუნდა საქართველოს შემადგენლობაში. ამის შესახებ მოხსენიებულია აგრეთვე წიგნის 10-11-ე გვერდებზე.

1989 წლის 10-11-ე გვერდები



# ინტერფრონტის ლიდერის ახალი „ბმრობანი“



ანუ იმის შესახებ თუ როგორ გააკრიტიკა ი. ჰორნოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზები და აფხაზეთი“

გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნარკვევი „აფხაზები და აფხაზეთი“ (თბ., 1990), რომელიც ახლახან გამოჩნდა წიგნის ბაზარზე. აღნიშნულმა პუბლიკაციამ, ბუნებრივია, იმთავითვე მიიქცია არა მარტო სპეციალისტ-ისტორიკოსთა (სრულიად საქართველოს გიორგი შარვაშიძის საზოგადოებამ ამ გაზაფხულზე მოაწყო წიგნის განხილვა), არამედ მკითხველთა ფართო წრის ყურადღება, მით უფრო, რომ ნაშრომი გამოვიდა ერთდროულად სამ – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე.

როგორც წინასიტყვაობაშია მითითებული, ნარკვევის მიზანს არ წარმოადგენს დღევანდელი აფხაზეთის ასსრ-სა და აფხაზთა ისტორიის სრულად გადმოცემა. ის უფრო კონკრეტული ამოცანით იფარგლება: წარმოაჩინოს ცნებების „აფხაზეთისა“ და „აფხაზეთის“ მნიშვნელობა სხვადასხვა ენოვან წერილობით წყაროებში უძველესი (ახ. წ. I-II სს.) დროიდან თითქმის XX საუკუნემდე.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქ-ნ მ. ლორთქიფანიძის ეს ნაშრომი არ წარმოადგენს რაიმე პრინციპულად ახალ სიტყვას აფხაზეთისა და აფხაზების ისტორიულ წარსულზე. ეს ერთგვარი შეჯამებაა იმ ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობისა, რომელსაც მკვლევარი ეწევა ამ მიმართულებით უკვე ოთხ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. ამავე დროს, მ. ლორთქიფანიძის ნაშრომი მთლიანად ესადაგება აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში შექმნილ შეხედულებებს, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებული (თუ არ ჩავთვლით პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილ ზოგიერთ ცრუისტორიკოსს) საისტორიო მეცნიერე-

\* გაზეთი „აფხაზეთის ხმა“ (16, 17 აგვისტო, 1991).

ბაში. ამდენად, საგანგებოდ მასზე შეჩერება მაინცა და მაინცა იძლევა არც ყოფილიყო აუსცილებელი, რომ არა ერთი გარემოება: გამოჩნდნენ „ისტორიული სიმართლის“ მაძიებელი „მოღვაწენი“, რომლებმაც უკვე შესთავაზეს აფხაზეთის არაქართულ მოსახლეობას მ. ლორთქიფანიძის ამ ნაშრომის მეცნიერულ ჭეშმარიტებას აბსოლუტურად მოკლებული და ამასთან, უკიდურესად ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი კომენტარები. მხედველობაში გვაქვს თავისი ანტიქართული პასკვილებით საყოველთაოდ ცნობილი, მეცნიერული დემაგოგიის ნამდვილი დიდოსტატიცა და დღეს ქართველთაგან „დაჩაგრული“ აფხაზი ხალხის ერთადერთ „მხსნელად“ და „ქომაგად“ მოვლენილი იური ვორონოვის მიერ გაზეთ „აბხაზიაში“ (16. 07. 1991) დაბეჭდილი წერილი – რეცენზია მყვირალა და ყოვლად უხამსი სათაურით „ქალბატონ მარიამის გესლიანი გაკვეთილები“.

ბ-ნ ვორონოვს ადრეც არაერთხელ დაუმშვენებია პრესისა თუ სხვა გამოცემების ფურცლები თავისი „მეცნიერული მარგალიტებით“ და უხვად გადმოუნთხევია ბოღმა და ღვარძლი საქართველოს, ქართველი ხალხის, მისი ისტორიული წარსულისა თუ აწმყოს მიმართ, მაგრამ მისმა ამგვარმა მოღვაწეობამ თვისობრივად ახალი სახე ამ უკანასკნელ ხანს მიიღო, როდესაც მეცნიერულ ამბიციებს პოლიტიკურიც დაემატა და ინტერფრონტის ლიდერის მანტიით შემოსილი აქტიურად შეუდგა ზრუნვას „სუვერენული“ (ე.ი. საქართველოს „ბრჭყალებიდან დახსნილი“) აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური სამოთხის – კაცობრიობის ამ „ნათელი მომავლის“ – გაუთავებლად მშენებარე იმპერიის, ანუ ე.წ. „განახლებული ფედერაციის“ სრულყოფილებიან წევრად მიღებისთვის. სწორედ ამ იდეის ხორცშესხმას დაუქვემდებარეს ი. ვორონოვმა და „ძმათა მისთა“ მთელი თავისი როგორც მეცნიერული, ისე პოლიტიკური საქმიანობა. ყოველივე ამან მათ იმდენად დაუხშო გონება, რომ მზად არიან ამ მიზანს ანაცვალონ არა მარტო მეცნიერული ეთიკა და ტაქტი, არამედ უბრალო ადამიანური სინდისიც. სწორედ ამის საუკეთესო ნიმუშია ვორონოვის ზემოხსენებული პუბლიკაცია.

„დელა იდუტ, კანტორა პიშეტ, პიშეტ ი გასპაჟა მარიამ ლორთქიფანიძე“, – ასე იწყებს იგი თავის რეცენზიას მ. ლორთქიფანიძის წიგნზე „აფხაზეთი და აფხაზები“ და თავის ამ პასკვილს მომავალში თუ არა, ალბათ, დღეს მაინც მეცნიერული კრიტიკის შედე-



ვრად მიიჩნევს. აქვე, ამჟღავნებს რა თავის „მაღალ მეცნიერულ ღვაწლტურას“ და „ჭეშმარიტად რაინდულ სულს“, ერთგვარი ქილიკით შენიშნავს, რომ პროფ. მ. ლორთქიფანიძე თურმე მხოლოდ მცირე მოცულობის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომების წერით ყოფილა დაკავებული და მას თითქოს სხვა რამ სასიკეთო ისტორიული მეცნიერებისათვის არ მოეტანოს.

რასაკვირველია, მარიამ ლორთქიფანიძე — თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი და მესვეურთაგანი, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი (რაც ბევრჯერ დაფიქსირებულა ამ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ჩატარებულ საერთოდ ისტორიკოსთა თუ ბიზანტინოლოგთა მსოფლიო კონგრესებზე, რომელთა ცალკეული სექციების მუშაობას არაერთხელ წარმატებით გაძლოლია (სხვათა შორის, ინგლისურ, გერმანულ თუ ფრანგულ ენებზე), აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ამჟამად აკადემიკოსი — რედ.), ეროვნული ისტორიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის — თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, არაერთი ფუნდამენტალური მონოგრაფიისა და საექტაპო მნიშვნელობის სამეცნიერო სტატიების ავტორი — აბა, სად მოვა იური ვორონოვთან — „გამოჩენილ“ საბჭოთა არქეოლოგ და ისტორიკოსთან, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის არქეოლოგიის განყოფილების უფროს თუ წამყვან მეცნიერ-თანამშრომელთან, რომელიც, სხვა არ ვიცი და, რაიონულ და სხვა პროვინციულ გაზეთებში გამოქვეყნებული, უმთავრესად საინფორმაციო ხასიათის მასალების მიხედვით, თამამად შეიძლება გინესის რეკორდების წიგნში იქნას შეტანილი. ბ-ნი იურის ყოვლისმხილველ თვალსა და „ნათელ გონებას“ აბა რა გამოეპარებოდა, მაგრამ მაინც შევასხენებთ, რომ მის მიერ ასე „პატივდებული“ „გასპაჟა“ მარიამი მცირე მოცულობის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევების გარდა, შიგადაშიგ ფუნდამენტალური ხასიათის სოლიდურ გამოკვლევებსაც წერს და, მართლაც, არა მარტო ქართულად, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსულ და ინგლისურ ენებზეც კი, რომ არაფერი ვთქვათ ქართული თუ უცხოური (არაბული) წერილობითი წყაროების შესწავლა-დამუშავებაზე, მათი რუსული თარგმანების შესრულებასა და გამოქვეყნებაზე.



ამგვარი „შესავლის“ შემდეგ ი. ვორონოვი პირდაპირ გადადის „საქმეზე“ და აკრიტიკებს მ. ლორთქიფანიძის აზრს იმის შესახებ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულიდან დასავლეთ ამიერკავკასიაში უმთავრესად ქართველთა წინაპრები ცხოვრობდნენ, რაზედაც სხვა (არქეოლოგიურ, მითოლოგიურ და ა.შ.) მონაცემებთან ერთად უნდა მეტყველებდეს ენობრივ-ტოპონომიკური მასალებიც, კერძოდ ქ. სოხუმის უძველესი სახელწოდების – „ცხუმის“ ქართველური (სვანური) წარმოშობა. ასალებს რა ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებულ ამ დასკვნას ქ-ნ მარიამის „ალმოჩენად“, ი. ვორონოვი აკეთებს საოცარ წიალსვლებს უძველეს ისტორიაში და დემაგოგიურად სვამს სრულებით უადგილო კითხვას: თუ როგორ შეიძლებოდა, თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე (ბრინჯაოსა და ანტიკურ ხანაში) მოსახლეობას ერთდროულად ელაპარაკა ყველა ქართველურ ენაზე.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევეკამათებით „ყოვლისმცოდნე“ მეცნიერს იმაში, თუ როდის და რა პირობებში მოხდა ქართული ფუძეების დაშლა სვანურ, მეგრულ-ლაზურ და ქართის ენებად. მან ეს, ეტყობა, სხვებზე „უკეთ“ იცის, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო მასალებით (ანტიკური ხანის საისტორიო წყაროები) მართლაც ძალიან გაჭირდება ქართველურ ტომთა არდანახვა ისტორიული კოლხეთის მთელ (მათ შორის დღევანდელი აფხაზეთის) ტერიტორიაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევს ი. ვორონოვის აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, მაგრამ სამაგიეროდ საკმაოდ ხმამაღლა გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ მითი არგონავტების შესახებ თურმე საერთოდ ვერ გამოდგება კავკასიის ისტორიის შესწავლისათვის გამოსადეგ წყაროდ, რადგან მასში მხოლოდ ზოგადად აირეკლა ძველი ბერძნული კოლონიზაციის იდეოლოგია და სხვა არაფერი.

აღნიშნული სტრიქონების წაკითხვისას, პირველ რიგში, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – აწ განსვენებული პროფ. აკაკი ურუშაძე (და შემდეგ, რასაკვირველია, მთელი ქართული ისტორიოგრაფიაც) შემეცოდა. აბა რას იფიქრებდა ნეტარხსენებული ბ-ნი აკაკი, რომელმაც წვალეზ-წვალეზით მრავალი წლის მანძილზე აგროვა ძველ ბერძენ ავტორთა თხზულებებში მიმოფანტული არგონავტების თქმულების სხვადასხვა ვერსიები, რათა ამ მითისათვის მიეჩინა თავისი კუთვნილი ადგილი კოლხე-



თის ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში, რომ გამოჩნდებოდა ვინმე ი. ვორონოვი, ანტიკურ წერილობით წყაროებთან მეტ-ნაკლებად შორიანლო მდგომი არქეოლოგი, რომელიც ასე ერთი ხელის მოსმით წყალში ჩაუყრიდა ამდენი წლის ნაღვას. მე, ანტიკურ წყაროებთან გაცილებით უფრო მოშორებით (ვიდრე ი. ვორონოვია) მდგარ კაცს აბა რა შემიძლია ვთქვა, მაგრამ ერთი რამ მაინც მიკვირს: ნუთუ ბ-მა იურიმ ის მაინც არ იცის, რომ თვით ბერძენ და მოგვიანებით კი ბიზანტიელ ავტორებს ოდნავადაც არ ეუჭვებოდათ არგონავტების მითში გადმოცემული ამბის რეალურობა და მისი აღმოცენების მიზეზებს სხვადასხვა ისტორიული ფაქტებით ასაბუთებდნენ. მაგალითისთვის კმარა თუნდაც სტრაბონის მონაცემები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ იმაზე, თუ რატომ გაჩნდა მითი არგონავტების შესახებ.

მართალია, ბ-ნი ვორონოვი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ერთი ხელის მოსმით სტრაბონის უნიკალურ ცნობებს დიოსკურიის მახლობლად მოსახლე სვანური ტომების შესახებ „წინააღმდეგობრივად და დეფექტურად“ მიიჩნევს, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა, შევახსენოთ მას, რომ არგონავტების მითის გაჩენას სტრაბონი რატომღაც ბეწვიანი ტყავებით ოქროს მოპოვების სვანებში გავრცელებულ წესს უკავშირებს. ბერძენი გეოგრაფის დაბეჯითებითი მტკიცებით, სწორედ აქედან მომდინარეობს მითი ოქროს სავშისიან ტყავზე.

ანტიკურ ხანაში დიოსკურიის მიდამოებში სვანთა განსახლების საკითხზე მსჯელობისას ძნელია გვერდი აუაროთ ისეთ ფაქტს, როგორიცაა აღნიშნული ქალაქის ქართული სახელწოდების — „ცხუმის“ (სვანურად „რცხილა“, „რცხილნარი“) არსებობა. მართალია, ბ-ნი ი. ვორონოვი, ჩვენდა გასაოცრად, არ უარყოფს სახელწოდება „ცხუმის“ ამგვარ ეტიმოლოგიას, მაგრამ მას უსაფუძვლოდ მიაჩნია XI ს. ქართულ (ისიც უფრო გვიანდელი ხელნაწერების წყალობით მოღწეულ) წყაროში დაფიქსირებული ამ სახელწოდების მიხედვით ანტიკურ ხანაში დღევანდელი სოხუმის ახლო-მახლო ქართველთა (სვანთა) განსახლების შესახებ მსჯელობა. ჩვენ აქ არ ვაპირებთ ამ საკითხზე ვრცელი კამათის გამართვას, მით უფრო, რომ აღნიშნული პრობლემის ირგვლივ საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს (როგორც ცნობილია, ბოლო დროს ამ საკითხებზე ნაყოფიერ კვლევას ეწევა ჩვენი თანამემამულე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თ. მიბჩუანი), მა-

გრამ ერთ რამეს მაინც შევნიშნავდით: ის ფაქტი, რომ სახელწოდება „ცხუმი“ ქართულ მატრიანეში, თუნდაც გვიანდელ ხელნაწერში, მხოლოდ ერთხელ იხსენიება, ვერ გამოდგება ამ ცნობის რეალურობის უარსაყოფად. ქართული (სვანური) „ცხუმის“ არსებობა აშკარად და უეჭველად ადასტურებს დიოსკურია-სებასტოპოლისის მიდამოებში სვანური („სონანები“, „სანიგები“) მოსახლეობის არსებობას, რაზედაც მიუთითებენ ისეთი სახელო ავტორები, როგორებიც არიან სტრაბონი და არიანე.

აღსანიშნავია, რომ სხვა შემთხვევაში, ი. ვორონოვს „ქართლის ცხოვრების“ მართლაც სათუო ინფორმაცია – „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ ტექსტზე ვაკეთებული გვიანდელი მინაწერი სახელ „ლაშას“ „აფსარული“ წარმომავლობის შესახებ რატომღაც სრულებითაც არ აეჭვებს და უცილობლად მიაჩნია „აფსუა“ – აფხაზების დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე XII-XIII სს-მდე განსახლების დამადასტურებელ ფაქტად.

კი მაგრამ, ბ-ნო იური, რატომ არ ფიქრობთ იმას, რომ მკითხველმა, „პო სვოემუ ნედომისლიუ“, შეიძლება არა მარტო პროფ. მ. ლორთქიფანიძეს, არამედ თქვენც დაგისვით კითხვა, თუ რომელი „მეცნიერული ლოგიკის“ საფუძველზე შეიძლება კაცმა, ერთ შემთხვევაში XVIII ს. რედაქტორის მინაწერში მოცემული ინფორმაცია („ქართლის ცხოვრების“ უფრო ადრინდელ ნუსხებში ის არ გვხვდება) გადაიტანოს უძველეს დროში და მის მიხედვით ამტკიცოს აფხაზ-აფსუათა განსახლება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში არაფრად ჩააგდოს სხვა, გაცილებით უფრო ძველი (XI ს. მაინც) ავტორის მიერ მოყვანილი ცნობა ცხუმის შესახებ და უარყოს ქართველ ტომთა (სვანთა) განსახლება დიოსკურია-სებასტოპოლისის მიდამოებში? რასაკვირველია, კაცს, რომელსაც თავი მეცნიერად მოაქვს და ატარებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს, ამგვარი ლაფსუსი არ უნდა მოუვიდეს. მაგრამ რას იზამთ? როგორც იტყვიან: მიზანი ამართლებს საშუალებას. ამიტომაც, როგორც ჩანს, ბ-ნ ვორონოვისთვის მთავარია გააბრიყვოს მკითხველი და შეუქმნას მას ნეგატიური აზრი, როგორც ქ-ნ მ. ლორთქიფანიძეზე, ისე ქართულ ისტორიოგრაფიაზე მთლიანად. ერთია მხოლოდ, ვერც ბ-ნ ი. ვორონოვი და ვერც სხვა ვინმე გვერდს ვერ აუვლის ერთ ფრიად მნიშვნელოვან კითხვას: თუ რატომ და როდის შეიძლებოდა დარქმეოდა VIII ს. „აფშილეთის ქალაქს“ მაინცდამაინც სვანური სახელწოდება?

ბუნებრივია, ეს ვერ მოხდებოდა იმ დროს, როდესაც დიოსკური-  
რია-სებასტოპოლისი „აფშილთა“ ქალაქად ითვლებოდა, მოგვიანე-  
ბით – VIII ს. შემდგომ პერიოდში – ჯერ „აფხაზთა“ სამეფოს,  
ხოლო შემდეგ ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის ხა-  
ნაში, ძნელი დასაჯერებელია ქალაქისათვის სვანური სახელი და-  
ერქვათ, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი წყარო  
არ აფიქსირებს სოხუმის მიდამოებში სვანი ტომების პრიორი-  
ტეტს. ასე რომ, სვანური სახელწოდება „ცხუმის“ გაჩენა უნდა ვი-  
ვარაუდოთ იმ პერიოდში, როდესაც ამ მხარეში ეს ტომები სახლო-  
ბდნენ. ასეთ პერიოდად კი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ანტი-  
კური ხანა, როდესაც სტრაბონის თქმით, დიოსკურიის მახლო-  
ბლად მცხოვრებ „სონანებს“ (სვანებს) ეკავათ „დიოსკურიის ზემოთ  
მდებარე კავკასიონის მწვერვალები“ და ისინი „მბრძანებლობდნენ  
დიოსკურიაზე“. ბ-ნ იურის ოდნავ რომ შეეწუხებინა თავი და დემა-  
გოგიური ტირადების ნაცვლად მოეცა ისტორიული კოლხეთის  
ეთნიკური ისტორიის მ. ლორთქიფანიძის წიგნში განვითარებული  
შეხედულების ნამდვილი მეცნიერული ანალიზი, მაშინ მას აუცი-  
ლებლად დასჭირდებოდა კიდევ რამდენიმე კითხვაზე პასუხის გა-  
ცემა, კერძოდ: თუ რატომ აფიქსირებენ ძველი ბერძენი ავტორები  
საკუთრივ კოლხთა განსახლებას დიოსკურიაში, ხოლო ნიკო-  
ფსიის (თანამედროვე ტუაფსე) მიდამოებში ასახელებენ გეოგრა-  
ფიულ პუნქტ „ლაზიკას“ (არიანეს თქმით, „ძველ ლაზიკას“). მა-  
გრამ ყოველივე ამის აღნიშვნაც კი ხომ გამოიწვევდა „გულუ-  
ბრყვილო“ მკითხველის დაფიქრებას, რის შემდეგაც ის უთუოდ  
ექვს შეიტანდა ი. ვორონოვის მიერ დახატული სურათის რეალო-  
ბაში.

სრულებით უადგილო და გაუგებარია ბ-ნ იურის გაღიზიანება  
იმის გამო, რომ პროფ. მ. ლორთქიფანიძეს მოჰყავს „აბაზგ“ –  
„აფსილების“ ეთნიკური კუთვნილებისა და დღევანდელი აფხაზე-  
თის ტერიტორიაზე მათი განსახლების შესახებ არსებული შეხე-  
დულებები. გაუგებარია ეს იმიტომაც, რომ ქ-ნი მარიამი გადაჭრით  
არც ერთი შეხედულებისაკენ არ იხრება და მხოლოდ საკითხის  
კონსტატაციას სჯერდება, ხოლო მთელი შემდგომი თხრობის  
დროს არსად არ არის პრინციპულად უარყოფილი „აბაზგ“ –  
„აფსილთა“ აფხაზური წარმომავლობა. აქვე ბ-ნი ი. ვორონოვი,  
ხვდება რა, რომ „გასპაჟა“ მარიამს ამჯერად ვერაფერს დააკლებს,  
იწყებს განგაშის ატეხას მისიმიანთა ეთნიკური კუთვნილების თა-

ობაზე და სავსებით მისაღებ და ყოველმხრივ დასაბუთებულ ღმრთულებას მისიმიანთა (ისევე, როგორც სანიგთა) ტომის კულტურულ-პოლიტიკურად ქართული სამყაროსთვის მიკუთვნების შესახებ, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, არც მეტი, არც ნაკლები, VI ს. ცნობილი ბიზანტიელი მწერლის – აგათიას ხსოვნის მიმართ „ფორმენნიმ იზდევატელსტვოდ“ აცხადებს, რადგან, აგათიას მიხედვით, მისიმიანები ენობრივად და კულტურულად თითქოს აფსილებთან ახლოს მდგარან. ჯერ ერთი, აგათიას სავსებით მკაფიოდ უწერია, რომ მისიმიანები აფსილებსგან „განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ“ და მეორეც, დღეს მხოლოდ გარკვეული პათოლოგიით შეპყრობილმა კაცმა შეიძლება არ აღიაროს ბერძნული „მისიმიანის“ წარმომავლობა „მუშვანიდან“ (ასე უწოდებენ სვანები თავიანთ თავს), თავი რომ დავანებოთ თ. მიბჩუანის მიერ მოძიებულ მრავალფეროვან ტოპონიმიკურ მასალას, რომელიც აშკარად ადასტურებს კოდორის ხეობაში სვანთა განსახლებას უძველესი დროიდან. ასე რომ, სანამ ასეთ მძიმე ბრალდებას წამოუყენებდა პროფ. მ. ლორთქიფანიძეს, უძვობესი იყო, ი. ვორონოვს ყოველივე ამაზე გაეცა პასუხი და მხოლოდ ამის შემდეგ ეფიქრა აგათია სქოლასტიკოსის ნათელ ხსოვნაზე. სხვა შემთხვევაში კი მისი განცხადება მართლაც რომ „ფორმენნიო იზდევატელსტვოა“, ოღონდ არა ბიზანტიელი მწერლის ხსოვნისადმი, არამედ გაზუთ „აბხაზიას“ მიაბიტი მკითხველისადმი.

ი. ვორონოვის ცინიზმი და უტაქტობა ყოველგვარ საზღვრებს სცილდება ლაზთა (ეგრისის) სამეფოს წარმოქმნასა და მასში აფსილ-აბაზგთა, სანიგთა და მისიმიანთა მიწა-წყლის მოქცევის საკითხთან დაკავშირებით მსჯელობისას. კერძოდ, მისი აღშფოთება გამოუწვევია მ. ლორთქიფანიძის მიერ განვითარებულ აზრს იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ლაზთა სამეფოს შექმნაზე ვილაპარაკოთ ახ. წ. II ს-დან და რომ აფსილეთის ნაწილი (მდ. ეგრისწყალი-ღალიძგიდან კოდორამდე) უკვე ამ დროიდან შედიოდა ლაზიკის შემადგენლობაში. ი. ვორონოვი ძლიერ განიცდის მდგომარეობას „გათვითცნობიერებული მკითხველისა“, რომელიც მ. ლორთქიფანიძის ამ შეხედულებამ შეიძლება განცვიფრებაში მოიყვანოს და აფიქრებინოს: „ნე ვ კოშმარნომ ლი სნე ონ ჩიტაეტ კნიგუ პროფ. მარიამ“, რადგან თურმე ბუნებაში არ არსებობს არც ერთი წყარო, რომელშიც შეიძლება დაფიქსირებული იყოს 554 წლამდელი ვითარება. ჩვენ შეგვიძლია დავამშვიდოთ „გათვითცნობი-





ერებული მკითხველი“ და ვაუწყოთ, რომ მაინც დამინც ვაქლქ-ბრყვილოდ ნუ ენდობა თავის კერპს – „ყოვლისმცოდნე“ არქეოლოგს, რადგან, თურმე ნუ იტყვით და, „ბუნებაში“ მართლაც მოიპოვება VI ს-მდელი წყარო – ახ. წ. II ს. ცნობილი ბერძენი ბუნებისმეტყველის, „გეოგრაფიის სახელმძღვანელოს“ ავტორის – კლავდიუს პტოლემეიოსის ცნობა იმის შესახებ, რომ II ს. მეორე ნახევარში დიოსკურია-სებასტოპოლისი კოლხეთის ფარგლებში შედიოდა. ამ ცნობაზე დაყრდნობით ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის აღიარებულმა სპეციალისტმა – დ. მუსხელიშვილმა სავსებით დასაშვებად მიიჩნია II ს. მეორე ნახევარში ლაზების სამეფოს წარმოქმნა და მასში აფსილთა, აბაზგთა და ნაწილობრივ სანიგთა (არიანეს ცნობით, დიოსკურია-სებასტოპოლისი ხომ სანიგთა ქვეყანაში იყო) მიწა-წყლის მოქცევა. ასე რომ, მ. ლორთქიფანიძის ზემოთ მოყვანილი შეხედულება სრულებითაც არ არის მოგონილი და მას საკმაოდ მყარი არგუმენტაცია გააჩნია.

ღმერთმა დაგვიფაროს, დავაძალოთ ი. ვორონოვს ამ მოსაზრების გაზიარება. რამდენიც უნდა, იმდენი ატყუოს ბ-ნმა იურიმ გაზეთ „აბზაზიის“ ისედაც „კომმარულ ძილში“ მყოფი მკითხველი. ძნელი წარმოსადგენია, ქართულ ისტორიოგრაფიას ამით რამე დააკლდეს. აფხაზეთის ისტორიული წარსულით ჭეშმარიტად დაინტერესებული კაცი კი ალბათ არ დაიზარებს, გაეცნოს იმ არგუმენტებს, რომელთა საფუძველზეც დ. მუსხელიშვილი და მ. ლორთქიფანიძე გამოთქვამენ ვარაუდს აბაზგ-აფსილთა და სანიგთა ლაზთა სამეფოს ფარგლებში ჯერ კიდევ კლავდიუს პტოლემეიოსის ხანაში (ახ. წ. II ს.) მოქცევის შესახებ და გამოიტანს სათანადო დასკვნას.

ბევრ სხვა „სიკეთესთან“ ერთად ბ-ნ ვორონოვს ისიც ახასიათებს, რომ სრულებითაც არ იწუხებს თავს, ბოლომდე ჩასწვდეს წაკითხული მასალის შინაარსს და უნებლიედ გაპარული მექანიკური შეცდომა უდიდესი ფალსიფიკაციის რანგში აჰყავს. ამის ნათელი დადასტურებაა ვორონოვისეული შეფასება მ. ლორთქიფანიძის მიერ გამოთქმული აზრისა, რომლის მიხედვითაც აბაზგიას აფშილეთი, სანიგეთი და მისიმიანეთი თითქოს VI ს. შეეერთებინოს. ი. ვორონოვის მტკიცებით, პროფ. მ. ლორთქიფანიძე, ყოველნაირად ცდილობს რა გაასულებლოს („ს იავნოი ცელიუ ოღურაჩიტ“) მკითხველი, თავის ამ „სუგუბო ლიჩნოე ზაიაკლენიეს“ ზ.



ანჩაბადის ნაშრომზე მითითებით ამაგრებს. პირდაპირ გასაკვირია ი. ვორონოვის გულისწყრომა. თუ პროფ. მ. ლორთქიფანიძეს, რომელიც ასე „უსამართლოდ ეცილება“ აფხაზებს თავის ისტორიას (ი. ვორონოვის რეცენზიის ლაიტმოტივიც ეს არის), აფხაზეთის სამთავროს შექმნის თარიღი VIII ს-დან VI ს-ში გადააქვს, ბარაქალა მას. ამით ხომ ერთიანი აფხაზეთის სამთავროს საკუთრივ აფხაზურ „ნაციონალურ“ პერიოდს, არც მეტი, არც ნაკლები, ორი საუკუნე ემატება. განა ამგვარმა ნოვაციამ გაბრაზების ნაცვლად აღფრთოვანებაში არ უნდა მოიყვანოს აფხაზი ხალხის ისტორიული წარსულის „ობიექტურად“ გაშუქებისათვის ასე „გულდამწვარი“ „გამოჩენილი“ საბჭოთა არქეოლოგი? მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის სულ ერთია, თუ რანაირ არგუმენტებს (თუნდაც სრულიად საპირისპიროს) მოიყვანს, ოღონდაც შექმნას მ. ლორთქიფანიძის, როგორც აფხაზეთის ისტორიის ფალსიფიკატორის პორტრეტი. იმას კი არ უფიქრდება, რომ თავისი ამ მოქმედებით თავად სასაცილო მდგომარეობაში ვარდება. ბ-ნ იურის მთელი თავისი „მაღალი“ ერუდიცია „გასპაჟა“ მარიამის ლანძღვა-გინებისათვის რომ არ შეეღია და ყურადღებით წაეკითხა მ. ლორთქიფანიძის ნარკვევის ის ნაწილი და თანაც სასურველი იყო სამივე ენაზე, სადაც საუბარია აბაზგიის მიერ სანიგთა, აფშილთა და მისიმიანთა მიწა-წყლის შემოერთებაზე, უდავოდ შეამჩნევდა აღნიშნულ ნაწილში ერთგვარ „ტექსტოლოგიურ ხარვეზს“, რომელიც შეტანილია მხოლოდ რუსულ ტექსტში და არ გვხვდება ქართულ და ინგლისურ ტექსტებში. მასში მოთხრობილია ეგრისის სამეფოს დასუსტებაზე ბიზანტია-ირანის ომის (542-562) შედეგად, მისგან გამოყოფილი აბაზგიის თანდათანობით გაძლიერებასა და ამ პოლიტიკური ერთეულის მიერ VI საუკუნეში სანიგეთის, მისიმიანეთისა და აფშილეთის შემოერთებაზე. მე-ნ საუკუნე რომ ამ კონტექსტში უადგილოდ ზის, როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ამდენად, „ყოვლისმხილველ“ ბ-ნ იურის ეს, რასაკვირველია, არ უნდა გამოპარვოდა. მით უფრო, რომ მას, სულ რამოდენიმე სტრიქონს ზევით უნდა შეემჩნია აფშილეთისა და მისი მთავრის – მარინოსის (VIII ს. დასაწყისი) შესახებ ბიზანტიელი ავტორის – თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობის ირგვლივ მ. ლორთქიფანიძის მსჯელობა და მისი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ტერმინ „აფშილეთ“-„აფსილიის“ გაქრობა VIII, ხაზს ვუსვამთ, მერვე (და არა მეექვსე) საუკუნის მანძილზე, იყო შედეგი „ee (აფშილე-

5. ზ. პაპასქირი



თის — ზ.პ.) ანექსიი აბაზგიი “ და „აფშილეთზე“ „აბაზგიის“ სახელწოდების გავრცელებისა (იხ. მ. ლორთქიფანიძის ნაშრომის 41-ე გვერდი). გარდა ამისა, ბ-ნ იურის არ აწყენდა ამ საკითხზე პროფ. მ. ლორთქიფანიძის შეხედულების დაზუსტების მიზნით ჩაეხედა ამ ბოლო დროს (1988 წ.) გამოცემული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომის 280-ე და 281-ე გვერდებზე, სადაც პროფ. მ. ლორთქიფანიძე (სხვათა შორის, აქაც ზ. ანჩაბაძეზე დაყრდნობით) შავით თეთრზე წერს: “Эриставство Абазгия постепенно расширяло свои границы, которые охватывали на севере Санигети, а на юге - большую часть Апшилети (Апсилии) и Мисимианети. К 40-ым гг. VIII в. Княжество Абазгия (вассал Византийской империи) представлено в этих масштабах” (ხაზგასმა ჩვენია — ზ.პ.).

როგორც ვხედავთ, დიდი დაკვირვება არ უნდა იყოს საჭირო (ყოველ შემთხვევაში, სპეციალისტი ისტორიკოსისათვის მაინც) იმის დასადგენად, რომ მ. ლორთქიფანიძის წიგნის აღნიშნულ ნაწილში გაპარულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა და VIII ს. ნაცვლად წერია VI ს. აქვე გული ვერ მითმენს, ი. ვორონოვს არ ვაუწყო ერთი მისთვის ფრიად სამწუხარო ამბავი და არ ვუთანაგრძნო იმის გამო, რომ მან თავისი „უყურადღებობით“ ვერ შეამჩნია, იმავე (42-ე) გვერდზე გაპარული ანალოგიური ხასიათის შეცდომა, სადაც VIII ს. 80-იანი წლების (როდესაც მოხდა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება) ნაცვლად წერია X ს. 80-იანი წლები (ისე კი წარმომიდგენია, თუ რა „ხელსაყრელი“ მომენტი გაუშვა ჩვენმა დიდმა „ჭკუის მასწავლებელმა“ „გასპაჟა“ მარიამის ახალ-ახალი ეპითეტებით შესამკობად.). ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ ვის აქვს მიზნად დასახული „ოდურაჩიტ სვოევო ჩიტატელია“. რას ვიზამთ, ღმერთმა ხელი მოუმართოს ბ-ნ იურის ამ მეტად საშურ და „მამულიშვილურ“ საქმეში.

ი. ვორონოვის ბრალდებათა ერთი ჯგუფი ეძღვნება პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნში გამოთქმულ დებულებებს „აფხაზთა“ სამეფოსა და აფხაზთა კულტურულ-პოლიტიკური კუთვნილების, XIV-XV სს. სოხუმში ქართველთა მოსახლეობისა და სხვა ქრესტომათიულად ქცეულ ტექსტებისათა შესახებ. ყოველივე ამას თან ახლავს ი. ვორონოვის „მაღალი მეცნიერული კულტურისა-



თვის“ დამახასიათებელი განმარტებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება პროფ. მ. ლორთქიფანიძის ტიტულებით „გამოთავსებული“ მაგრამ პატრიოტულად განწყობილმა მკითხველმა დაასკვნას, რომ მ. ლორთქიფანიძის ეს წიგნი, მათ ძე-დუნის ციტატების კრებული მსგავსად, ფართოდ უნდა გავრცელდეს, ხოლო გათვითცნობიერებულმა მკითხველმა მაშინვე უნდა გასწიოს „ПОД ПОЛ-ПОТОВСКУЮ МОТЫГУ - УЖ ОЧЕНЬ РАЗИТЕЛЬНО ПРОТИВОСТОЯНИЕ РАССМАТРИВАЕМОГО ОПУССА ЛОГИКЕ ФАКТОВ“. ამის შემდეგ ი. ვორონოვი მიუთითებს, რომ არ არის არც ერთი წყარო, რომელშიც დაფიქსირებული იყოს აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს – ზ.პ.) ეკლესიის გამოსვლა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან არც IX და არც X სს. მაგრამ, – წერს ი. ვორონოვი. – არსებობს ნიკოლოზ მისტიკოსის (კონსტანტინოპოლის პატრიარქი 901-907 და 912-925 წლებში) მიწერ-მოწერის მონაცემები, რომლებიც თითქოს აშკარად მოწმობენ აფხაზეთის ადმინისტრაციის ორიენტაციას ბიზანტიაზე საეკლესიო თვალსაზრისით გიორგი II მეფობის (922-957 წწ.) პერიოდში. აქვე ი. ვორონოვი ყურადღებას ამახვილებს აფხაზეთში არსებული ტაძრების „პირდაპირ კავშირზე აღმოსავლურ-ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებასთან“ და აღნიშნავს, რომ საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორია „აფხაზთა“ სამეფოს მიმართაც ავტონომიურად გამოდიოდა.

გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ აქ ვერ გავმართავთ ვრცელ კამათს იმის შესახებ, თუ რატომ იყო „აფხაზთა“ სამეფო თავისი კულტურულ-პოლიტიკური შინაარსით ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა (იხ. ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ზ. ანჩაბაძის და სხვათა შრომები) და რამდენიც არ უბნის ი. ვორონოვმა მკითხველს გზა-კვალი თავისი დემაგოგიური და სრულიად უადგილო განცხადებებით მათ ძე-დუნის ციტატებსა თუ პოლ-პოტის „თონზე“, ის მაინც ვერაფერს შეცვლის: IX-X სს. „აფხაზთა“ სამეფო ვერ გადაიქცევა არაქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნად. ამიტომ, ჩვენ ზოგიერთი კონკრეტული საკითხის განმარტებით შემოვიფარგლებით. ი. ვორონოვი უბრალოდ ატყუებს მკითხველს, როდესაც აცხადებს, რომ მოსაზრება აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან IX ს. მანძილზე (ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, ზ. ანჩაბაძე) ან X ს. დამდეგს (ს. ყაუხჩიშვილი) გამოსვლის შესახებ არც ერთი



წყაროთი არ დასტურდება. მას ავიწყდება, რომ არსებობს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხა — „ეკთესისები“, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ისტორიოგრაფიაში შემუშავებულია ურყევი დებულება აღნიშნულ ხანაში „აფხაზთა“ სამეფოს მიერ საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ. რაც შეეხება ი. ვორონოვის მიერ ხსენებულ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებს, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მათი მონაცემების გამოყენებისას ისტორიკოსს დიდი სიფრთხილე მართებს. როგორც ცნობილია, ნიკოლოზ მისტიკოსი, „აბაზგიის“ მმართველისთვის („აფხაზთა“ მეფე გიორგი II — 922-957 წწ.) გაგზავნილ წერილებში, უქებს „აბაზგიის“ მთავარს ალანთა ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებისათვის გაწეულ ღვაწლს და მოუწოდებს მას, მომავალშიც იზრუნოს ამ მიმართულებით. ერთი შეხედვით, კაცს მართლაც შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს მასალა მიუთითებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გარკვეულ გავლენაზე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესიის მიმართ, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ნიკოლოზ მისტიკოსისათვის საერთოდ დამახასიათებელია ქრისტიანობაზე ზოგადად ზრუნვა და, აგრეთვე, მისწრაფება საყოველთაო მშვიდობისა და ქრისტიანული სიყვარულის ჩამოგდებისაკენ. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც მისი ასევე დამრიგებლური წერილი სომეხთა კათალიკოს იოვანესადმი, რომელშიც ავტორი ხაზგასმით მიუთითებს თავის სომეხ კოლეგას, თუ რისი გაკეთება მართებს მას „ბოროტებისა და ურთიერთშუღლის აღმოსაფხვრელად“. ცნობილია, რომ სომხური ეკლესია აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ მისტიკოსს ეს სრულებითაც არ უშლიდა ხელს, „ჭკუა დაერიგებინა“ სომეხთა კათალიკოსისათვის. ეს არის ერთგვარი გამოვლინება იმ იდეოლოგიისა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ყოველმხრივ ავითარებდნენ ბიზანტიის პოლიტიკური თუ საეკლესიო წრეები და რომლის მიზანი იყო მთელი საქრისტიანოს მესვეურად კონსტანტინოპოლის მიჩნევა. რასაკვირველია, არაა გამორიცხული, ნიკოლოზ მისტიკოსს უფრო შორს მიმავალი მიზნებიც ჰქონოდა და ის მართლაც ესწრაფვოდა აფხაზეთის ეკლესიაზე თავისი გავლენის აღდგენას, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია. მთავარია, რომ მის წერილებში დაფიქსირებული „თბილი“ ურთიერთობა „აბაზგიის მთავართან“ არ არის საკმარისი არგუმენტი ამ პერიოდში (922-925

წვ.) დასავლეთ საქართველოს ეკლესიაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უზენაესობის აღიარების მტკიცებისათვის, რისკენაც ასე დაბეჯითებით მოგვიწოდებს ბ-ნი ი. ვორონოვი.

ცალმხრივი და ტენდენციურია, აგრეთვე, ი. ვორონოვის განცხადება იმის შესახებ, თითქოს „აფხაზთა“ მეფეები „უსურდნო“ აშენებდნენ ტაძრებს მაინცდამაინც „ზღვასთან და ბიზანტიასთან ახლოს ბედია-ბზიფის სექტორში“ და არა, დაკუშვით, ქუთაისში – სამეფოს დედაქალაქში. ჯერ ერთი, „აფხაზ“ მეფეთა სააღმშენებლო საქმიანობა არასოდეს შემოფარგლულა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიით. ი. ვორონოვისა და „არაქართული აფხაზეთის“ ძიებით სულგამძვრალი ზოგიერთი ვაი-ისტორიკოსისაგან განსხვავებით, „აფხაზ“ მეფეებს არასოდეს დაუყვიათ თავიანთი ქვეყანა „ქართულ“ და „აფხაზურ“ ნაწილებად. პირიქით, მთელი მათი მოღვაწეობის ლაიტმოტივი ერთიანი ქართული (და არა მარტო დასავლეთ საქართველოს მასშტაბით) სახელმწიფოს შექმნა იყო. ამიტომაც ისინი ერთნაირად ზრუნავდნენ თავისი სამეფოს თითოეული ნაწილის განახლება-აღორძინებისათვის. ბ-ნო იური! რატომ შეგყავთ ხალხი შეცდომაში და რატომ არ ეუბნებით მას, რომ სწორედ გიორგი II-მ – ნიკოლოზ მისტიკოსის ადრესატმა – ააშენა ჭყონდიდის ბრწყინვალე ტაძარი და აქცია ის საეპისკოპოსო ცენტრად, რაც საგანგებოდ აქვს აღნიშნული ქართველ მემკვიდრეს. რატომ არ ეუბნებით იმასაც, რომ გიორგი II მემკვიდრის – ლეონ III-ის დროს მოქვის ეკლესიასთან ერთად აიგო ცნობილი კუმურდოს (დღევანდელი ახალქალაქის მახლობლად) ტაძარი, რომლის ფრესკულმა მხატვრობამ შემოგვინახა ლეონ III და მისი დის – გურანდუხტ დედოფლის – გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის დედის გამოსახულებები. ან რაა გასაკვირი იმაში, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აგებული ყოფილიყო ეკლესია-მონასტრები? განა ნაკლებად ზრუნავდნენ ამ მხარის მოწყობისათვის XI-XII სს. სრულიად საქართველოს ხელმწიფენი? განა იგივე ბედია ბაგრატ III არ ააგო და არ აქცია თავის საძვალედ?

გადავიდეთ გვიანფოდალურ ხანაზე. პირველი და უმთავრესი, რასაც კატეგორიულად უარყოფს ვორონოვი, არის თეზისი XV-XVII სს-ში აფხაზეთის მოსახლეობაში ჩრდილო-კავკასიური

(აფსუა-ადილური) მასის შემოღწევისა და ამ მხარის ერთგვარი რბარიზაციის“ შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ი. ვორონოვს არ გააჩნია არავითარი ხელმოსაკიდი მასალა მ. ლორთქიფანიძის მიერ მოტანილი არგუმენტების გასაქარწყლებლად, ის მაინც არ იხვევს უკან და მკითხველს, ყოველგვარი კონტრმტკიცებების გარეშე, უცხადებს მ. ლორთქიფანიძის მიერ მოტანილი სურათის არარეალურობას. პირიქით, ი. ვორონოვის თქმით, XIV ს-დან აფხაზეთში ადგილი ჰქონდა გადასახლებას სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, რისი შედეგიც იყო აბაზინური მოსახლეობის გაჩენა ჩრდილოეთ კავკასიაში. აქვე ი. ვორონოვი, გულთან ახლოს მიაქვს რა ქ-ნ მარიაძის „ოჩერავატელნაია“ ქალური ალოგიკურობა, ამტკიცებს, რომ არქეოლოგიური მონაცემებით ამ პერიოდში აფხაზეთში ადგილი ჰქონდა „დემოგრაფიულ აფეთქებას“, რაც გამოიხატა სამრევლო ეკლესიების და მასთან სასაფლაოების რიცხვის ზრდაში. ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა გამოიციხავდეს ბ-ნი ი. ვორონოვის მიერ არქეოლოგიური მასალების მიხედვით დაფიქსირებული „დემოგრაფიული ბუმი“ ქართული მოსახლეობის არსებობას დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე XIV ს-ში? მაშინ, ბ-ნი იური, რას უნდა მივაწეროთ სხვა არქეოლოგიურ მასალებთან ერთად თქვენს მიერვე წებელდაში ნაპოვნი ქართული წარწერები? ნუთუ დაგავიწყდათ, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ, თქვენი და, აგრეთვე, ბ-ნი ოლეგ ბლაჟბას თხოვნით, ერთ-ერთი ასეთი წარწერის წასაკითხად თბილისიდან სპეციალურად ჩამოვიყვანეთ არა სხვა ვინმე, არამედ პროფ. მ. ლორთქიფანიძის ვაჟი, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ცნობილი სპეციალისტი ბ-ნი გიორგი ოთხმეზური. ან რომელი მეცნიერული ლოგიკით შეიძლება დავუპირისპიროთ XIV ს. არაქართულ (იტალიურ) წყაროებში დაფიქსირებულ უტყუარ ფაქტს ცხუმში ქართველთა („იბერთა“) მოსახლეობის შესახებ, მართალია უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ თანამედროვე რუსი ბიზანტინისტი – სერგეი კარპოვის მიერ გაკვრით გამოთქმული „ავტორიტეტული აზრი“ სოხუმში აფხაზთა მოსახლეობის შესახებ? მკითხველმა თვითონ განსაჯოს, ვინ უფრო კეთილსინდისიერად იქცევა: პროფ. მ. ლორთქიფანიძე, რომელიც 1330 წ. სოხუმში მყოფი იტალიელი მისიონერის ჩვენებაზე დაყრდნობით აღიარებს აქ ქართული მოსახლეობის არსებობას, მაგრამ არ გამოიციხავს საკუთრივ აფხაზების ყოფნასაც ამ ქალაქში, თუ ი. ვორონოვი, რომელიც არაფრად აგდებს XIV ს. მასალებს და, თანამე-



დროვე რუსი მკვლევარის მოსაზრების საფუძველზე, კატეგორიულად უარყოფს ქართველების ყოფნას დღევანდელი სოხუმის მიდამოებში. მაგრამ უფრო გასაოცარი და, რაც მთავარია, სრულიად ალოგიკური ისაა, რომ ი. ვორონოვის მტკიცებით XVII ს-ში ადგილი ჰქონდა „აფხაზთა განმათავისუფლებელ ომს“, რაც ქართველ მღვდელმსახურთა (კათალიკოსის ჩათვლით) აფხაზეთიდან გამოძევებასა და თითქმის ყველა ქრისტიანული ტაძრის განადგურებაში გამოიხატა. დალოცვილო! თუ XVII საუკუნემდე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა ჭაჭანება არ იყო და თქვენ მიერ ურყევ ავტორიტეტად მიჩნეული ს. კარპოვის აზრით XIV ს-ის სოხუმში მხოლოდ „ბერძნები, აფხაზები და ებრაელები ცხოვრობდნენ“, ეს ქართული ქრისტიანული ტაძრები და ქართველი მღვდელ-მსახურები, რომლებიც თურმე, თქვენი თქმით, „მეგრული ადმინისტრაციის“ (ე.ი. სამეგრელოს სამთავროს – ზ.პ.) პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ, საიდან გაჩნდნენ? ან რანაირად მოხდა რომ იმ აფხაზთა შთამომავლებმა, რომლებიც უძველესი დროიდან ქრისტიანებად იყვნენ ცნობილნი და რომლებმაც „თავიანთი“ მეფეების ენერგიული სააღმშენებლო მოღვაწეობის შედეგად IX-X სს-ში ეკლესია-მონასტრებით მოფინეს „ბედიასა და ბზიფს“ შორის მდებარე ტერიტორია, ასე უმოწყალოდ გაანადგურეს „თავიანთ“ წინაპართა საფლავები? სხვას რომ თავი დავანებოთ, როგორ გაიმეტეს „ქრისტიანმა აფხაზებმა“ „მათი“ დიდი წინაპრის, „აფხაზი“ მეფის – ლეონ III-ის მიერ აგებული დიდებული მოქვის ტაძარი (ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელმაც XVII ს. 70-იან წლებში იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში), რომელსაც თქვენი მტკიცებით, არაფერი არა აქვს საერთო ქართულ ქრისტიანულ სამყაროსთან? ან რაღა მაინცდამაინც XVII ს. იფეთქა „ანტიქრისტიანულმა“ გენმა ოდითგან ქრისტიან აფხაზებში? თუ ქართული ქრისტიანობა ასე აუტანელი იყო აფხაზი ხალხისათვის, რაღა ამდენი ხანი ითმინა მან აფხაზეთის ქართული საკათალიკოსოს სამწყსოში ყოფნა, რომლის საკათედრო ტაძარი საუკუნეების განმავლობაში ბიჭვინთაში იმყოფებოდა? თუმცა, არაა გამორიცხული, ი. ვორონოვს, როგორც ჭეშმარიტ მარქსისტ-ლენინელს, ჰგონია, რომ აფხაზთა მიერ „თავიანთი“ წინაპრების ხელითვე აგებული ქრისტიანული ტაძრების განადგურება გამოწვეული იყო არა იმ დროს აფხაზეთში მონათესავე მთიელ ტომთა (ადილ-აფსუათა) ახალი ტა-





ლლის ჩამოწოლის შედეგად მხარის ერთგვარი „ბარბარიზაციით“ არამედ, არ გაგიკვირდეთ და, განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებაში მომხდარი „კომუნისტური რევოლუციით“, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, როგორც ცნობილია, მართლაც წარმოადგენდა რელიგიის — ამ, კ. მარქსის თქმით, „ხალხის ოპიუმის“ ძირფესვიანად ამოძირკვა ადამიანთა შეგნებიდან, რაც ასე წარმატებით განახორციელეს პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ვლადიმერ ლენინმა და მისმა ერთგულმა მოწაფე კომუნისტებმა. ეს თუ ასეა, გამოდის, რომ „კაცობრიობის ნათელი მომავლის“ — კომუნიზმის შენება ზოგიერთი დღევანდელი აფხაზი სეპარატისტის წინაპარს ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაუწყია და რა გასაკვირია, „მეცნიერული“ კომუნიზმის ამ „მარად ცოცხალ“ მოძღვრებას ასე მყარად ჰქონდეს გადგმული ფესვები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ყოველივე ამის შემდეგ ისლა დაგვრჩენია, ბ-ნ ვორონოვს გულწრფელად ვურჩიოთ, სხვათა „ოჩერავატელნაია“ ქალურ ალოგიკურობაზე ფიქრს თავი დაანებოს და საკუთარი აზროვნების სიმრთელეზე იზრუნოს, რამეთუ გაზეთ „აბხაზიაში“ გამოქვეყნებული მისი ისტორიოგრაფიული „შედევრის“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას, როგორც ჩანს, ამ მხრივ, მართლაც არ უნდა ჰქონდეს საქმე მთლად დაწყობილად. აბა, სრულ ჭკუაზე მყოფი კაცი — როგორ შეიძლება უარყოფდეს იმას, რომ მიუხედავად უამთა სიავისა, აფხაზეთში გარკვეულწილად მაინც იქნა შენარჩუნებული ქართული თვითშეგნება, რომ XVII-XIX სს-შიც წერა-კითხვის ენად აქ უმთავრესად მაინც ქართული რჩებოდა; რომ მოქვში დამარხული უკანასკნელი აფხაზი მთავრების ეპიტაფია ქართული ასომთავრულითაა შესრულებული; რომ სახელოვანი აფხაზი პოლიტიკური მოღვაწე — მიხეილ შარვაშიძე, რომელსაც ასე ვერაგულად მოუსწრაფა სიცოცხლე რუსეთის იმპერიამ, რათა ბოლო მოეღო საქართველოს უკანასკნელი ფეოდალური ერთეულის — აფხაზეთის სამთავროსათვის, ხოლო მისი მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი ურჩობისათვის თურქეთში გაესახლებინა, — მიწერ-მოწერას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან რატომღაც ქართულად არჩევდა. თუ ყოველივე ეს



საბჭოური არქეოლოგიის „ამომავალმა ვარსკვლავმა“ არ იცის მათ შინ ნუ იგდებს თავს სასაცილო მდგომარეობაში. დაინტერესებულ მკითხველს კი შევახსენებთ, რომ თითოეული ზემომოყვანილი ფაქტი დიდი ხანია დაფიქსირებულია და სათანადოდაა შეფასებული ისტორიოგრაფიაში, კერძოდ: აკად. ს. ჯანაშიას შესანიშნავ გამოკვლევაში გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და, აგრეთვე, გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსთა — ზ. ანჩაბაძისა და გ. ძიძარას მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ კოლექტიურ მონოგრაფიაში „ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიიდან“. ასე რომ, სანამ მ. ლორთქიფანიძის გინებას დაიწყებდეს, ი. ვორონოვმა კეთილი ინებოს და ზემოჩამოთვლილი კაპიტალური ნაშრომები გულდასმით შეისწავლოს და თუკი რამ მას ამის შემდეგაც დააეჭვებს, მაშინ იქნებ თავი შეიწუხოს და დემაგოგიური ლაყბობის ნაცვლად როგორმე, უფრო მეცნიერულად გამართული, სათანადო ფაქტებით გამაგრებული „ნააზრევით“ გაგვაბედნიეროს, რასაკვირველია, თუკი ასეთი რამ ანტიქართული ფსიქოზით მძიმედ დაავადებულსა და გონებადახშულს ჯერ კიდევ შესწევს.

თავისი წერილის დასკვნით ნაწილში ი. ვორონოვი სვამს რიტორიკულ კითხვას იმის შესახებ, თუ რისთვისაა დაწერილი მ. ლორთქიფანიძის ეს წიგნი და აქვე პასუხობს, რომ მხოლოდ არა ჭეშმარიტების დადგენის მიზნითო. მისი „ღრმა მეცნიერული მიხედვით“, მ. ლორთქიფანიძის ნაშრომი თურმე განკუთვნილია „ძლიერთათვის ამა ქვეყნისა“ და არა ხალხისათვის. ეს კი, თურმე ნუ იტყვით და, გამოწვეულია იმით, რომ ისტორიკოსს (ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მ. ლორთქიფანიძეს), რომელიც ტოტალიტარული იდეოლოგიის სამსახურშია, არა აქვს უფლება თავისუფლად წერისა. სწორედ ამიტომ, — ასკენის პატ. ი. ვორონოვი. — მ. ლორთქიფანიძის ახალი წიგნიც მიმართულია იქითკენ, რომ მეხსიერება წაართვას, პირველ რიგში, თავის თანამემამულეებს, ხოლო შემდეგ დეზინფორმაციაში შეიყვანოს სხვა ხალხების მეცნიერული წრეები და, რაც მთავარია, იდეოლოგიურად უზრუნველყოს ურთიერთდაპირისპირება აფხაზეთის ტერიტორიაზე, ერთმანეთს დააჯახოს მეზობლები, ნათესავები, პროვოცირება უყოს კრიმინოგენულ ელემენტებს ქალების, ბავშვებისა და მოხუცების წინააღმდეგ, არ მისცეს მთავრობასა და აფხაზეთის მრავალეროვან ხალხს საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს თავისი საერთო სახლის



პრობლემები. აი, ასეთი ვრცელი ტირადა—დაბეზლებით ამთავრებს ბ-ნი იური თავის ნაბოღვარს და ბედი, რომ ყოველივე ეს დღეს იწერება და არა ავადმოსაგონარ 30-იან წლებში, თორემ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ხიფათს გადაეყრებოდა ქ-ნი მარიამი ასეთი „დითირამების“ შედეგად.

რა უნდა ითქვას ყოველივე ამის შესახებ. პირდაპირ სასაცილოა (სატირალი რომ არ იყოს) ორთოდოქს მარქსისტ-ლენინელის ი. ვორონოვის მხრიდან ისტორიკოსის შრომის დაცვა ტოტალიტარული იდეოლოგიის გავლენისაგან. ქართველ ისტორიკოსებს ისლა დაგვრჩენია, დღედაღამ ვილოცოთ ბ-ნი იურის დღეგრძელობისთვის, თორემ მას რომ რამე დაემართოს, ხომ დავიღუპეთ და ეგაა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ანტიქართულმა ფსიქოზმა და დღენი-ადაგ იმისათვის ზრუნვამ, როგორმე ჩამოაცილონ დამოუკიდებლობის გზაზე ღამდგარ საქართველოს მისი განუყოფელი ნაწილი — აფხაზეთი, წონასწორობა დააკარგვინა ი. ვორონოვს და მის თანამზრახველებს ბლოკ „სოიუზიდან“. ამიტომ, რომ ისინი ყოველგვარ პროვოკაციაზე მიდიან. აბა, ამაზე დიდი პროვოკაცია გავონილა: გუშინ თუ გუშინწინ მოთრეულმა გადამთიელმა ვაი-ისტორიკოსმა, რომლის წინაპარმა ნამდვილად იავარჰყო აფხაზეთის მიწა-წყალი და აყარა აქედან აფხაზთა დიდი ნაწილი, რათა ერთ დროს აქ თვითონ ბატონკაცურად მოკალათებულიყო, არც მეტი, არც ნაკლები, აუკრძალოს ქართველ კაცს თავისი სამშობლოს — აფხაზეთის „შინაურ საქმეებში“ ჩარევა. დიახ, ბატონო იური! აფხაზეთი ქართველისათვის ისეთივე სამშობლოა, მოგწონთ ეს თქვენ თუ არა, როგორც საქართველოს ნებისმიერი სხვა რეგიონი და მას ყველა უფლება აქვს თავის აფხაზ ძმებთან ერთად უპატრონოს თავის ქვეყანას თქვენი და თქვენისთანა „კონსულტანტებისაგან“ ყოველგვარი ჭკუის სწავლების გარეშე. დღეს უკვე აშკარაა, თუ ვინ ცდილობს აფხაზეთში მდგომარეობის დაძაბვას: ის, ვინც წარმოაჩენს რეალურ ისტორიას აფხაზთა და ქართველთა ისტორიული თანაცხოვრებისა, თუ ის, ვინც ურცხვად ცხვირს ჰყოფს სხვის საქმეში და თითხნის აფხაზეთის „არაქართულ“ ისტორიას, რათა „დაასაბუთოს“ ამ მხარის მოწყვეტა საქართველოსაგან. არა, ბატონო იური! აფხაზეთი არასოდეს არ იქნება „თქვენი“ საერთო სახლი. ეს სახლი, წაბრძანდით და თქვენს სამშობლოში ამენეთ, თუმცა, ჩვენდა სასიკეთოდ, დღეს რუსეთი ისეთ არნახულ ნაბიჯებს დგამს დემოკრატიზაციის გზაზე, ვეჭვობ, თქვენისთანა იმპერი-



ული სულისკვეთებით (დაავადებულ კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის ლაქიას იქ რაიმე ხეირი დაადგეს, მაგრამ გული არ გაიტეხნოთ. იქ ხომ ჯერ კიდევ საკმაოდ ბლომადაა „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის იმპერიის შენარჩუნება-განმტკიცებაზე უტოპიურად მეოცნებე მანიაკები. სხვებს რომ თავი დაკანებოთ, მართო თქვენი მეგობარი, სამშობლოს „მხსნელად და იმედად“ მოვლენილი „აზროვნების გიგანტი“ ვლადიმერ ვოლფის ძე ჟირინოვსკი რად ღირს, რომელიც თქვენ და ბლოკ „სოიუზის“ სხვა „ბელადებმა“ ასე შემოიჩვიეთ აფხაზეთში და ლამისაა სალოცავ ხატად გადააქციეთ. პოდა, აშენეთ ჟირინოვსკებმა, ალქსნის-ჩეხოვეებმა და ვორონოვ-ლოგინოვებმა თქვენი საერთო სახლი, სადაც გნებავდეთ იქ და თუ მაინცდამაინც „მუშახელი“ შემოგელიათ, შეგიძლიათ კესიან-ტოპოლიანების „კრუნკიც“ თან გაიყოლიოთ.

**ოლონდ აფხაზეთს თავი დაანებეთ.**

ძვირფასო მკითხველო! ვერც კი წარმომედგინა, რომ ოდესმე რომელიმე კოლეგასთან ჩემი პოლემიკა ასეთ ფორმას მიიღებდა, მაგრამ დმერთია მოწმე, ამაში მე არ ვარ დამნაშავე. ბ-ნი ვორონოვის დემარშები, როგორც ნახეთ, უკვე ყოველგვარი ეთიკის ნორმებს გასცდა და მართლაც „მეცნიერულ-პოლიტიკურ“ თავხედობად იქცა. ამიტომაც, საჭიროდ ჩავთვალეთ, თავხედს ბოლოს და ბოლოს დავარქვათ თავისი ნამდვილი სახელი და მიუჭინოთ ის ადგილი, რომელსაც ის იმსახურებს. თქვენ კი მოგიწოდებთ, ამის შემდეგ უფრო მეტი დაინტერესებით გაეცნოთ ჩვენი სასიქადულო მეცნიერისა და მამულიშვილის პროფ. მ. ლორთქიფანიძის, მართლაც რომ უადრესად საჭირო წიგნს „აფხაზები და აფხაზეთი“, რომელიც იძლევა სწორ და ობიექტურ ინფორმაციას აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე.

## „უმეცრობის ფართი-ფურთი“

ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი ბამონლოა\*

ჩვენს სამშობლოს – საქართველოს დიდი გასაჭირის ყაში დაუდგა, აგერ უკვე მეოთხე თვეა, რაც ნამდვილი ომი მიმდინარეობს მის ერთ-ერთ ულამაზეს და უმშვენიერეს კუთხეში – აფხაზეთში. იღვრება სისხლი ორ ჭეშმარიტად ახლობელი, მჭიდრო ნათესაური კავშირებით შეკრული ხალხისა. ფრონტის ხაზის საპირისპირო მხარეებზე დგანან და იარაღით ებრძვიან ერთმანეთს ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები და დეიდაშვილ-ბიძაშვილები.

დღეს, რასაკვირველია, ძნელია ყოველმხრივ გაანალიზებულ იქნეს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზები, მაგრამ ერთი რამ აქედანვე ცხადია: აფხაზეთი ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის ლიდერებმა ყველაფერი იღონეს, და მიაღწიეს კიდევაც იმას, რომ აფხაზს ქართველში დაენახა არა მოძმე და მოყვარე, არამედ მტერი, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, „ართმევს“ მას სამშობლოს და, საერთოდ, ყოველგვარ ისტორიულ პერსპექტივას „უკარგავს“. რასაკვირველია, ეს ერთბაშად არ მომხდარა. ეგ არის შედეგი იმ აღვირახსნილი ანტიქართული პროპაგანდისა, რომელსაც ასე გამიზნულად და თანმიმდევრულად ეწეოდნენ აფხაზი ნაციონალ-სეპარატისტები უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში.

ამ ფართო მასშტაბის ანტიქართულ კამპანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ფალსიფიკაციას. სწორედ ისტორიული სიმართლის გაყალბებას ეკავა გამორჩეული ადგილი ნაციონალ-სეპარატისტთა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში. განა ყველას არ გვა-

\* გაზეთი „აფხაზეთის ხმა“ (№150, 151), 21, 26 ნოემბერი, 1992 წ. სტატიის შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა აგრეთვე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№25, 26; 24 ივნისი, 1 ივლისი, 1994 წ.). სტატია გამოქვეყნდა რუსულადაც (იხ. გაზეთი: „Демократическая Абхазия“, 26 თებერვალი, 3 მარტი, 7 მარტი, 1993 წ.).

ხსოვს, რომ ჯერ კიდევ სულ ახლახან, თითქმის ყოველდღე, ფაქტების ფურცლებზე, რადიოთი თუ ტელევიზიით, როგორ გამოდიოდნენ აფხაზური მოძრაობის „მამები“ და რა მიწიერ თუ არამიწიერ ცოდვებში არ სდებდნენ ბრალს საქართველოს, ქართველ ხალხს. საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველობას სრულიად უსაფუძვლოდ და უსამართლოდ აცხადებდნენ აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებული ყველა უბედურებისა და ბოროტების მთავარი მიზეზად. ანტიქართული ფსიქოზით დაავადებული ცალკეული ისტორიკოს-პოლიტიკოსები ისეთ მკრეხელობამდეც კი მიდიოდნენ, რომ მხად იყვნენ XIX საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ მოწყობილ აფხაზი ხალხის გენოციდშიც კი ქართველები დაედანაშაულებინათ. ბოლო დროს ისტორიის ფალსიფიკაცია საერთოდ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი, რასაც მოწმობს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და სხვა სახელმწიფო „მოღვაწეთა“ არაერთგზის საჯარო განცხადებები 12-საუკუნოვანი აფხაზური სახელმწიფოებრიობის შესახებ. საქართველო-აფხაზეთის ისტორიის გაყალბების საქმეში სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მეცნიერ-პოლიტიკოსებს ერთგულად ედგნენ მხარში აქ „მოღვაწე“ რუსი ისტორიკოსები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იური ვორონოვი და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვიქტორ ლოგინოვი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისინი არათუ არაფრით ჩამორჩებოდნენ თავიანთ აფხაზ კოლეგებს ჩვენი ქვეყნის წარსულის განჩიქებასა და ძაგებაში, არამედ ყველაფერს აკეთებდნენ, რათა წამლილიყო ქართველთა ისტორიული კვალი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. განსაკუთრებული „ღვაწლი“ ამ საქმეში მიუძღვის ი. ვორონოვს.

ჩვენმა საზოგადოებრიობამ კარგა ხანია იცის ი. ვორონოვის ანტიქართული პუბლიკაციების შესახებ. მისი აქტიურობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 70-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო, როდესაც მან აფხაზეთში არსებული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები სრულიად უსაფუძვლოდ ჩამოაცილა ქართულ სამყაროს. თანდათანობით ი. ვორონოვის თავდასხმები ქართველი ხალხის ისტორიასა და კულტურაზე სისტემატურ და უფრო მასშტაბურ ხასიათს ღებულობდა, თუმცა ბოლო დრომდე ყოველივე ეს, გარეგნულად მაინც, თითქოს „აკადემიური მსჯელობის“ ფარგლებს არ სცილდებოდა. ამ უკანასკნელ ხანს კი, მას მერე, რაც მეცნიერი ი. ვორონოვი პოლიტიკური „მოღვაწის“ მანტიითაც შე-



იმოსა, მისმა საქმიანობამ ამ მიმართულებით თვისობრივად ახალი სახე მიიღო და მთლიანად აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის პოლიტიკური კონიუნქტურის სამსახურში ჩადგა. ამის მკაფიო ნიმუში გახლავთ ი. ვორონოვის ე.წ. „ექსპრეს-ნარკვევი“: „აფხაზები – ვინ არიან ისინი?“, რომელიც მიმდინარე წელს გამო-სცა (რუსულ ენაზე) მცირე საწარმო „ადირა“-მ.

პირველი და უმთავრესი, რაც თვალში ეცემა კაცს ამ 30-გვე-რდიანი ბროშურის გაცნობისას, ეს არის ავტორის მოურიდებელი სწო-რავვა, თავდაყირა დააყენოს მთელი მსოფლიოს ისტორიაც კი, ოღო-ნდაც არ წარმოაჩინოს რეალური სიმართლე აფხაზთა და ქართვე-ლთა ისტორიული თანაცხოვრების შესახებ. სწორედ ეს მოტივი გასდევს წითელ ზოლად ვორონოვის მთელ ამ ნაცოდვილარს. პრა-ქტიკულად შეუძლებელია ამ წიგნში მოინახოს რომელიმე ადგი-ლი, სადაც ნაჩვენები იყოს არათუ ქართველ-აფხაზთა ერთიან ისტორიულ და კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში ყოფნა, არა-მედ მათი შორი-ახლო თანაარსებობაც კი. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ბროშურის პირველი თავი, რომელშიც ლა-პარაკია აფხაზური ენის როლისა და ადგილის შესახებ თანამედრო-ვე მსოფლიოს ენათა ოჯახში.

აფხაზობა, ი. ვორონოვის მტკიცებით, წარმოადგენს რაღაც გა-ნსაკუთრებულ ეთნოსს, „ვრცელი ენობრივი ერთობის ერთგვარ რე-ლიქტს“, რომელსაც ჯერ კიდევ 7 ათასი წლის წინათ ეკავა მთელი კავკასია და მისი სამხრეთი ტერიტორიები. საინტერესოა, რომ ამ „ვრცელ ენობრივ“ სამყაროში ის ვერ უძებნის ადგილს ქართვე-ლურ ენებს, რომელთა ერთ „იბერიულ-კავკასიურ“ (ქართველურ, აფხაზურ-ადილურ, ნახურ-დაღესტნურ) ენათა ოჯახში მოქცევა, თურმე მხოლოდ XX ს-ის 30-60-იან წლებში საბჭოურ მეცნიერე-ბაში გაჩაღებული აქტიური პროპაგანდის შედეგი ყოფილა. და ეს მაშინ, როდესაც ი. ვორონოვის აზრით, აფხაზურ-ადილური ენები, ღმერთმა იცის, რომელ ენებთან არ არიან გენეტიკურ კავშირში, დაწყებული დღევანდელი ნახურ (ჩეჩნურ-ინგუშურ) – დაღესტნუ-რი ენებიდან, რომელთანაც თითქოს ისინი ერთიან „ჩრდილო-კავკა-სიურ ენათა ოჯახს“ ქმნიან, მცირე აზიის აწ უკვე მკვდარ ხათურ, აგრეთვე ხურიტულ-ურარტული ენებით დამთავრებული.

უფრო მეტიც, უკანასკნელ ხანს „ლინგვისტურ რეკონსტრუ-ქციაში“ მოპოვებული წარმატებები (განსაკუთრებით ს. სტარო-სტინისა და სხვათა შრომები) ვორონოვს საშუალებას აძლევს, ჩა-

იხედოს აფხაზ-ადიღების უფრო შორეულ ისტორიაში“ და დასა-  
სტუროს ჩრდილო-კავკასიური ენების ნათესაობა სინურ-ტიბეტურ  
ენობრივ სამყაროსთან, რომლის საფუძველზეც, თითქოსდა შე-  
იძლება ლაპარაკი სინურ-კავკასიურ მაკროოჯახზე, მასში შემა-  
ვალი „ძველი სამყაროს არანოსტრატული ენებითა და მათთან და-  
კავშირებული სუბამერიკული კონტინენტის ინდიელთა (კალიფორ-  
ნიული და სხვ.) ენებითურთ“. ი. ვორონოვი ამასაც არ სჯერდება  
და თავის ლინგვისტურ „ძიებებს“ ასრულებს იმ ფაქტის აღნი-  
შვნით, რომ „დადასტურებულია კონტაქტების არსებობა (ზემო ჩა-  
ღური ენების მეშვეობით) ნახურ-დაღესტნურ ენებსა და აფრ-აზიის  
მაკრო-ოჯახს შორის, რომელსაც მივყავართ რასების ჩამოყალიბე-  
ბის ეპოქამდე, იმ დრომდე, როდესაც „ჰომო საპიენსი“ დაიძრა თა-  
ვისი აფრიკული წინარე-სამშობლოდან და მოედო მახლობელ  
აღმოსავლეთს, იქიდან კი დაიწყო მისი განსახლება ევროპაში, კავ-  
კასიასა და აღმოსავლეთ აზიაში“. აფხაზ-ადიღთა და აფრიკის შა-  
ვი რასის მოსახლეობას შორის შორეული ნათესაობის დასამტკიც-  
ებლად ი. ვორონოვი არ კმაყოფილდება მარტო „ლინგვისტური რე-  
კონსტრუქციით“ და არქეოლოგიურ მასალასაც იშველიებს. მისი  
აზრით, ამ ნათესაობაზე მიუთითებს „ხოლოდნი გროტის (ცენტრა-  
ლური აფხაზეთი) ანთროპოლოგიური მასალები“, რომელთა მიხე-  
დვით ირკვევა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას, იმ ეპოქაში (ძვ. წ.  
14-13 ათასწლეულები), თურმე ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონია ნე-  
გროიდული რასისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

რასაკვირველია, უაზრობაა ჩაერიო ი. ვორონოვის ამ ენათმე-  
ცნიერულ „მიგნებებში“, მით უფრო, როცა არ ხარ ამ დარგის სპე-  
ციალისტი, მაგრამ ძნელია, რაც არ უნდა გაუთვითცნობიერებელი  
იყო აღნიშნულ საკითხებში, არ დაგებადოს სრულიად ბუნებრივი  
კითხვა, თუ როგორ შეიძლება ილაპარაკო აფხაზური ენის გენეტი-  
კურ და არაგენეტიკურ კონტაქტებზე მსოფლიოს თითქმის ყველა  
მკვდარ თუ ცოცხალ ენებთან, ჩრდილო-კავკასიური ენებიდან და-  
წყებული და აფრიკული ენებით დამთავრებული, და კრინტი არ და-  
სძრა ქართველურ ენებთან აფხაზური ენის ნათესაობაზე. თუ ი. ვო-  
რონოვი მართლაც სერიოზულად ფიქრობს, რომ აფხაზებს ენობრი-  
ვად და ანთროპოლოგიურად უფრო მეტი აკავშირებს აფრიკის ნე-  
გროიდულ მასასთან, ვიდრე კავკასიის ქართულ მოსახლეობასთან,  
რას ვიზამთ. ამით ქართველებს არა დაგვაკლდება რა, მაგრამ, სა-  
ინტერესოა, რას შემატებს ამგვარი ნათესაობა თვით აფხაზ ხალხს?



ამაზე, ალბათ, უმჯობესია, იმათ იმტვირინ თავი, ვისაც ასე აღიზიანებს ქართულ-აფხაზური ერთობის აღიარება. ისე კი, დღევანდელ აფხაზთა წინაპრების ნეგროიდებთან ანთროპოლოგიურ მსგავსებაზე მსჯელობისას, ურიგო არ იქნებოდა, ი. ვორონოვს ათასეულობით აფხაზი გულიების, გურგულიების, დამენიების, გვარამიების, კვარაცხელიების, ძიძარიებისა და ვინ მოსთვლის კიდევ ვისი აზრიც გაეგო და შემდეგ მოედო ქვეყნისათვის მათი აფრიკული ფესვების შესახებ, თუმცა, დღეს ზოგიერთ ამ გვარის წარმომადგენელს ისე აქვს გონება დაბნელებული, რომ საეჭვოა, ითაკილოს ი. ვორონოვის მიერ მოძიებული ახალი ნათესავები. ახია მათზე! კაცს რომ მეხსიერებაზე დამბლა დაგეცემა და შენსავე ჯიშსა და მოდგმას მტრად დაუდგები, უკეთესის ღირსი არც ხარ. რაც შეეხება ქართულ-აფხაზურ ანთროპოლოგიურ ერთობას, ეს თანამედროვე მეცნიერებაში არავითარ ეჭვს არ იწვევს და უპრიანი იქნებოდა ი. ვორონოვს, სანამ **ჩავიძლოდა** ცენტრალურ აფრიკაში, თუნდაც **ჩადის** რესპუბლიკაში და იქაურ ზანგებთან აფხაზების ნათესაობის საკითხს გაარკვევდა, როგორმე გაკვებდნიერებინეთ და ამ უკანასკნელთა ქართველებთან ანთროპოლოგიური მსგავსებაც დაეფიქსირებინა.

ი. ვორონოვს ცალკე თავი აქვს დათმობილი აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის. ყოველნაირად ცდილობს რა, რომ დაამტკიცოს აფხაზთა პირველმოსახლეობა დასავლეთ კავკასიაში, ის ტენდენციურად აშუქებს მეცნიერებაში არსებულ თეორიებს ბოლო 5 ათასი წლის მანძილზე რეგიონში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესახებ. მისი აზრით, აფხაზთა წინარე-სამშობლოს წარმოადგენს კოლხეთის ტერიტორია და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები, ქართველთა წინარე-სამშობლო კი უნდა ვეძიოთ დასავლეთ ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ, იმავე მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, საიდანაც კოლხეთისაკენ ჯერ დაძრულან სვანური ტომები, ხოლო ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან კი ზანები, რომლებმაც ჩრდილოეთისაკენ შეავიწროვეს მანამდე იქ მცხოვრები აფხაზური ტომები. ამასთან, ი. ვორონოვი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უაპელაციოდ აცხადებს, რომ ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ადგილი ჰქონდა ადილთა წინაპრების გადანაცვლებას კოლხეთიდან დასავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთი კალთებისაკენ და ამას უკავშირებს „ფართო კულტურულ ექსპანსიას კოლხეთიდან შავი ზღვის სანაპიროს გაყო-



ლებით“ – ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც აპოგეას აღწევს მდ. წ. IX-VII საუკუნეებში. ი. ვორონოვის განმარტებით, ამის შედეგად იქ აღმოცენდა „კოლხურ-ყობანური მეტალურგიული პროვინცია“. ამრიგად, ი. ვორონოვმა, ერთი ხელის მოსმით, ქართველებს წაგვართვა ე.წ. „კოლხური კულტურა“, რომლის შემქმნელებად საყოველთაო აღიარებით, ითვლებიან ჩვენი სახელოვანი წინაპრები – კოლხები და მათთან ერთად ზოგიერთი სხვა ქართველური წარმოშობის ტომებიც (მაკრონები, სასპერები, ტიბარენები და სხვ.). ამ საკმაოდ შორსმიმავალი დასკვნის არგუმენტაციისათვის ჩვენს „გულთმისან მეცნიერს“ დიდად არ შეუწუხებია თავი. ამისათვის ის დასჯერდა მხოლოდ ზოგად განცხადებას იმის შესახებ, რომ ზანებმა კოლხეთში შემოღწევა დაიწყეს ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან („კოლხური კულტურის“ აღმოცენება კი ძვ. წ. XIV საუკუნიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ), ხოლო სვანურ ტომებს, რომლებიც აღნიშნულ რეგიონში, შესაძლებელია, ზანებამდე გაჩნდნენ, არაფერი საერთო არ ჰქონდათ მეტალურგიასა და მიწათმოქმედებასთან. გამოდის, რომ „კოლხური კულტურა“ შეუქმნია არა კოლხ-ქართველებს, არამედ აფხაზებს და მათვე გაუყოლებიათ ის ჩრდილოეთ კავკასიაში „კულტურული ექსპანსიის“ მოსახდენად მიმავალი ადიღებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ვორონოვი დასავლეთ ამიერკავკასიის ეთნიკური სურათის ჩვენებისას არც ერთხელ არ ახსენებს „კოლხებს“ და ამ რეგიონში (მისი აზრით, ძვ. წ. I ათასწლეულიდან) მოსახლე დასავლურ-ქართველურ ტომებს მხოლოდ ზანებად მოიხსენიებს. ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი. როგორც ცნობილია, იმ პერიოდში (ძვ. წ. I ათასწლეულში) არსებობდა საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებული წერილობითი ტრადიცია დასავლეთ საქართველოში მოსახლე კოლხური ტომების შესახებ, რომელთაც მოგვიანო ხანის ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობა ცალსახად უკავშირებდა ლაზურ-ქართველურ ეთნიკურ სამყაროს. ჩვენს „ყოვლისმცოდნე“ არქეოლოგს, რომელსაც არ ავიწყდება ბერძენ ავტორთა (არა უადრეს ახ. წ. I-II სს.) ის თითო-ოროლა ცნობა აბაზგ-აფსილების შესახებ, რასაკვირველია, უნდა გახსენებოდა დასავლელ ქართველთა – „კოლხთა“ – ეს იმ დროინდელ ცივილიზებულ სამყაროში ყველაზე მიღებული სახელწოდება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მას ალბათ მოუწევდა „ფრჩხილების გახსნა“ და იმის განმარტება, თუ რატომაა, რომ „კოლხური კულტურის“ შემქმნელ



აფხაზურ ტომებს ძველი ბერძნები მაინცდამაინც „კოლხელებად“ იხსენიებენ და არა „აბაზგ“-„აფსილებად“. გარდა ამისა, თავს უფლებას მივცემთ, ი. ვორონოვს, როგორც მეცნიერ-არქეოლოგს, შევახსენოთ არქეოლოგიურ მეცნიერებაში ანბანურ ჭეშმარიტებად მიჩნეული ერთი დებულება: ერთი ეთნოსის მიერ მეორე ეთნოსის სამოსახლო ტერიტორიის დაკავება და იქ ხანგრძლივად დაფუძნება სათანადო ასახვას ჰპოვებს მატერიალურ კულტურაში. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ადგილი აქვს ერთგვარ წყვეტას სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში. ე.ი. თუ ქართველური ტომები მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულიდან გაჩნდნენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და აქ მანამდე მათთვის უცხო აფხაზურ-ადილური ტომები ცხოვრობდნენ, მაშინ რეგიონში მიმდინარე ამ ეთნიკურ ცვლილებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა გარკვეული წყვეტა მატერიალურ კულტურაში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერჯერობით ვერც ერთმა არქეოლოგმა ვერ შესძლო დაესაბუთებინა რაიმე სერიოზული დარღვევა დასავლეთ საქართველოს სამეურნეო-კულტურული ცხოვრების განვითარების ზოგად ხაზებში. მთელი ამ ხნის მანძილზე (ძვ. წ. XXII-XX სს-დან მაინც) არქეოლოგიურ მასალებში კულტურული განვითარების არავითარი წყვეტა არაა დაფიქსირებული. ასე რომ, ი. ვორონოვს, სანამ დასავლეთ საქართველოში აფხაზთა პირველმოსახლეობასა და ქართველთა შემდგომ ჩამოსახლებაზე კატეგორიულ განცხადებას გააკეთებდა, უმჯობესი იყო ამ მეტად მნიშვნელოვანი არგუმენტის გაბათილებაზე ეზრუნა და მხოლოდ ამის შემდეგ ეძებნა აფხაზ-ადილთა ფესვები უხსოვარი დროიდან ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე.

არანაკლებ ტენდენციურად და გაყალბებულადაა გაშუქებული აფხაზეთის ისტორიული წარსული ბროშურის მესამე თავში, რომელსაც მეტად მრავლისმეტყველი და ამასთან რამდენადმე ფილოსოფიური სათაური აქვს წამძღვარებული – „აფხაზთა ისტორია – ვიწროტერიტორიული და ზოგადსაკაცობრიო“. ამ ნაწილში ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს აფხაზთა კავშირურთიერთობანი გარე სამყაროსთან. ი. ვორონოვის დაკვირვებით, თავისი ისტორიის მანძილზე აფხაზებს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონიათ მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ცენტრებთან. მისი მტკიცებით, „ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ კავკასია (იგულისხმება მხოლოდ აფხაზური ტომებით დასახლებული – ზ.პ.) წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთ-



თის კულტურული სამყაროს მცირეაზიური ვარიანტის შორეულ პერიფერიას“, ხოლო ადრე რკინის ხანაში, მცირე აზიურ გავლენასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის (ე.ი. დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ აფხაზთა – ზ.პ.) მატერიალური კულტურის ჩამოყალიბებაში **გადამწყვეტი** (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.) როლი შეუსრულებია ურარტუს სახელმწიფოს. საინტერესოა, ურარტულმა ლურსმულმა წარწერებმა, რომლებმაც საკმაოდ მრავალფეროვანი მასალები შემოგვინახეს „კოლხა“–„კულხას“ გაერთიანებაზე, რომლის ტერიტორია სწორედ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიას მოიცავდა, რატომ არაფერი არ იციან ამ რეგიონში მოსახლე რომელიმე აფხაზურ ტომზე?

ძვ. წ. VIII საუკუნიდან, ი. ვორონოვის აზრით, დასავლეთ კავკასია ექცევა ეგეოსური სამყაროს გავლენის ქვეშ, ხოლო ძვ. წ. III საუკუნისათვის ადგილობრივი მოსახლეობის (აქ უკვე გაუგებარია, თუ რომელი რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობა ჰყავს მხედველობაში ი. ვორონოვს: მთელი დასავლეთ კავკასიისა თუ საკუთრივ დღევანდელი აფხაზეთისა) ყოფითი კულტურა მთლიანად გაჟღენთილია ბერძნული კულტურის ელემენტებით. ახ. წ. VI-VIII საუკუნეებში ტრანსკავკასიური გადასასვლელი გზების მეშვეობით, აფხაზეთი დაკავშირებული ყოფილა ე.წ. „დიდ აბრეშუმის გზასთან“, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთს აერთებდა ინდოეთსა და ჩინეთთან. ამის წყალობით, აფხაზეთი დაკავშირებული ყოფილა ევროპის, აზიისა და აფრიკის მთელ რიგ ცენტრებთან. ამ გზებს უთამაშია მნიშვნელოვანი როლი აფხაზეთის ადრეფეოდალური სამეფოს ჩამოყალიბების საქმეში. აფხაზეთის სამეფოს შემდგომი ისტორია დაკავშირებული ყოფილა ბიზანტიასთან, რომელსაც სტიმული მიუცია აფხაზეთის სამეფოს აყვავებისთვის X საუკუნეში. ბიზანტიის გავლენა აფხაზეთის ცხოვრებაზე საგრძნობი ყოფილა თვით XV საუკუნემდე – კონსტანტინოპოლის დაცემამდე. XIV-XVII საუკუნეებში კვლავ გამოცოცხლებულა მხარის კავშირ-ურთიერთობანი ხმელთაშუაზღვისპირეთთან, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია აფხაზეთის სანაპიროზე აღმოცენებულ გენუელთა ფაქტორიებს, რომელთაც დიდი კვალი დაუმჩნევიათ ადგილობრივ ეკონომიკაზე, პოლიტიკურ ისტორიასა და კულტურაზე. ამოქმედებულა გადასასვლელი გზები, რომლებიც აკავშირებდნენ აფხაზეთს ჩრდილოეთ კავკასიასა და ოქროს ურდოსთან, ხოლო „მრავალენოვან სებასტოპოლისში“ (ე.ი. სოხუმში)



კვლავ დაუწყიათ ფულის მოჭრა. მხარის მშვიდი ცხოვრებისათვის თქმის იდილიური სურათი, რომელსაც გვიხატავს ი. ვორონოვი, არ შეცვლილა თურქების მოსვლის შემდეგაც. ამ დროს რეგიონში ფართოდ გავრცელებულა ცეცხლსასროლი იარაღი, კავკასიური ხანჯლები, სპეციფიკური ტანსაცმელი, ჩამოყალიბებულია თვითმყოფადი აფხაზური სამზარეულო და ა.შ. 1810 წლიდან კი, რუსეთის მეშვეობით, აფხაზეთი დადგომია „ინტენსიური ევროპეიზაციის გზას“. ასეთია, მოკლედ, ი. ვორონოვისეული წარმოდგენა იმ ისტორიული გზისა, რომელიც გაუვლია აფხაზ ხალხს დღიდან გაჩენისა თითქმის ჩვენს დრომდე. როგორც ვხედავთ, ამ ისტორიულ ექსკურსში ყველას მოეძებნა ადგილი, ურარტუელებითა და ბერძნებით დაწყებული და გენუელებით, თურქებითა და რუსებით დამთავრებული, და, რაც მთავარია, ყველა ამ ხალხს, პრაქტიკულად, მხოლოდ პოზიტიური წვლილი შეუტანია აფხაზთა ისტორიული განვითარების პროცესში. ამ სიაში არ ჩანან მხოლოდ ქართველები და საქართველო, თითქოს ისინი მთელი ამ ხნის განმავლობაში არც არსებულან. მხოლოდ ერთხელ, და ისიც გაკვრით, არის ნათქვამი, რომ „XI ს. მიწურულიდან ვიდრე XIII ს. შუა ხანებამდე აფხაზეთის საოკეოლო ავტონომიური უფლებებით შედიოდა „აფხაზთა და ქართველთა“ სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო მოგვიანებით ნაწილობრივ („ზემო აფხაზეთი“) ანექსირებულ იქნა აღმოსავლეთის მეზობლის სამეგრელოს მიერ“. ესაა და ეს. ჩვენმა „ჭკუის კოლოფმა“ ამით ამოწურა ქართველთა და აფხაზთა თითქმის ორათასწლოვანი თანაცხოვრების ისტორია.

ი. ვორონოვის ამ „ნააზრევში“ ბევრი რამაა სადავო, მაგრამ, ამჯერად, მხოლოდ რამდენიმე ზოგადი ხასიათის შენიშვნით შემოვიფარგლებით. უპირველეს ყოვლისა, იმთავითვე უნდა ითქვას: ყოველგვარი მსჯელობა აფხაზთა რაღაც ეთნობოლიტიკური და კულტურული სამყაროს არსებობაზე კოლხეთის ტერიტორიაზე ახ. წ. I-II საუკუნეებამდე აბსოლუტურად მოკლებულია საფუძველს. ეს სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი სახესხვაობა სენსაციების მოყვარული ლენინგრადელი პროფესორის გ. ტურჩანინოვის ცნობილი თეორიისა, რომლის მიხედვითაც აფხაზთა წინაპრები არათუ ცხოვრობდნენ კოლხეთში, არამედ სწორედ ისინი არიან „კოლხური კულტურისა“ და აიეტიდების კოლხეთის ერთადერთი მეპატრონენი, თავიანთი უძველესი კულტურითა და

ე.წ., „მაიკოპის ფილის“ დამწერლობით (აღსანიშნავია, რომ თავის დროზე, არა სხვა ვინმემ, არამედ თვით რუსმა მეცნიერებმა თითქმის სასაცილოდ აიგდეს გ. ტურჩანინოვის ეს „ნაბოღვარი“). სინამდვილეში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დაწყებული II ათასწლეულის მიწურულიდან არსებობს საკმაოდ მდიდარი წერილობითი ტრადიცია (ასურულ-ურარტული „კილხი“ – „კოლხა“, „კულხა“, ძველბერძნული „არგონავტიკის“ ციკლი და სხვ.), რომლის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათ შორის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად დაფიქსირებულია ქართველური ტომები. პირველ რიგში, ესენია „კოლხები“ (ფსევდო-სკილაქს კარიანდელი – ძვ. წ. IV ს. და სხვ.). საკუთრივ „კოლხებს“ გარდა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩრდილო ნაწილში დაფიქსირებული არიან „კორაქსებიც“, რომლებიც ძვ. წ. VI ს. ავტორის ჰეკატეოს მილეტელის აზრით, ასევე კოლხურ ტომს წარმოადგენდნენ. ანტიკური ხანის ავტორები ცალკე ახსენებენ „სვანებს“ (პლინიუსი და სხვ.), „სვანო-კოლხებს“ (პტოლემეაოსი, სტრაბონი), აგრეთვე „სანიგებსა“ და „ჰენიოხებს“, რომელთაც მეცნიერთა დიდი უმრავლესობა (ი. ორბელი, ნ. მარი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი და სხვ.) სავსებით საფუძვლიანად მიაკუთვნებს ქართველურ ეთნიკურ სამყაროს. ისმის კითხვა: თუ აფხაზთა წინაპრები – „აბაზგები“ და „აფსილები“ ახ. წ. I-II საუკუნეებამდე ცხოვრობდნენ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაშინ რატომაა, რომ მაინცდამაინც ისინი გამორჩათ ძველ ბერძენ ავტორებს, რომლებსაც საკმაოდ მდიდარი ინფორმაცია მოეპოვებათ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომებზე? ვანა ის ფაქტი, რომ დიოსკურია-სებასტოპოლისს – დღევანდელ სოხუმს – ქართული სამყარო ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში სვანური სახელწოდება – „ცხუმით“ („რცხილა“, „რცხილნარი“) იცნობდა, არ არის პირდაპირი დადასტურება აქ, ანტიკურ ხანაში (ახ. წ. I საუკუნემდე) სვანთა განსახლების შესახებ სტრაბონის ცნობისა? მართლაც ცოდვის კითხვა არაა, კაცმა თვალი დახუჭო ყოველივე ამაზე და მაინც ამტკიცო მთელი ამ მხარის აფხაზური წარმომავლობა?! ისე საინტერესოა, აფხაზური კულტურის რომელ ძეგლებში შეამჩნია ი. ვორონოვმა ასე მკაფიოდ ურარტული ცივილიზაციის გადამწყვეტი გავლენა! ან რანაირად გაარკვია მან ამ ძეგლების აფხაზურობა? აკი თვითონ „გვმოძღვრავს“, რომ მატერიალური კულტურის ძეგლების ეროვნული კუთვნილების განსაზღვრა თუ-

რმე „სამამულო ნაციონალურ-ადმინისტრაციული სახელმწიფოებრივი სისტემის ნაყოფი ყოფილა და რომ „ადამიანის ხელებით შექმნილი ძეგლთა უძრავლესობა“ არის არა რომელიმე ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კუთვნილება, არამედ „სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ინდივიდუუმებისა და კოლექტივების“ ერთობლივი შრომის პროდუქტი.

„აფხაზთა“ სამეფოს ფორმირებისა და განვითარების პროცესიც თავდაყირა აქვს დაყენებული ჩვენს „ყოვლისმცოდნე მკვლევარს“. ყოველგვარი ეჭვების გარეშე მიიჩნევს რა ამ პოლიტიკურ ერთეულს აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად, ი. ვორონოვი მთლიანად გვერდს უვლის აღნიშნული გაერთიანების ეთნო-პოლიტიკური და კულტურული შინაარსის გარკვევას. სამაგიეროდ, განსაკუთრებით უსვამს ხაზს ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურსა და კულტურულ გავლენას აფხაზეთზე არა მარტო VIII-X საუკუნეებში, არამედ თვით XV საუკუნემდეც კი. ეს, როგორც იტყვიან, სრული აბსურდი და წმინდა წყლის უმეცრებაა, რადგან „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა VIII ს. მიწურულს უშუალო შედეგი იყო სწორედ რომ ბიზანტიის იმპერიასთან დაპირისპირებისა. მთელი IX-X ს. I ნახევრის მანძილზე კი „აფხაზი“ მეფეები თავგამოდებით იბრძოდნენ კონსტანტინოპოლის პოლიტიკური და იდეოლოგიური „ბრჭყალებიდან“ საბოლოო განთავისუფლებისათვის. ამის გამოხატულება იყო მათ მიერ დასავლეთ საქართველოს ბერძნული საეპისკოპოსოების გაუქმება და მათ ნაცვლად ქართული საეკლესიო ცენტრების შექმნა. ეს ბრძოლა, როგორც ცნობილია, X ს. დამდეგისათვის „აფხაზთა“ მეფეების სრული გამარჯვებით დასრულდა და ამიერიდან მთელი დასავლეთ საქართველო, რასაკვირველია, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ჩათვლით, სამუდამოდ მოექცა ქართული ეკლესიის სამწყსოს შემადგენლობაში, რაც ასე თვალსაჩინოდ აისახა X ს. გამოჩენილი ქართველი მწერლის – გიორგი მერჩულეს ცნობილ ფორმულაში: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითაი ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

დროა, ერთხელ და სამუდამოდ მოვიდნენ გონს ი. ვორონოვი და „ქმანი მისნი“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოდან და როგორმე შეიგნონ, რომ „აფხაზთა“ სამეფო არასოდეს არ ყოფილა აფხაზური სახელმწიფო. ის იმთავითვე წარმოადგენდა ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, თავისი ქართული ტერიტორიით,

მოსახლეობით (უკეთეს შემთხვევაში აფხაზური ტომებით დასახლებული იყო 8-დან მხოლოდ ორი: აფხაზეთისა და ცხუმის – საერისთაო.), სახელმწიფო ენით, დედაქალაქითა და, რაც მთავარია, საერთო ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგიითა და მისწრაფებებით. ლეონ II-სა და მის შემკვიდრეებს საკუთრივ აფხაზური ეროვნული სახელმწიფოს შექმნა რომ ჰქონოდათ განზრახული (უეჭველია, მათ ამას ვერავინ ვერ დაუშლიდა), მაშინ ისინი, ალბათ, ბერძნული ეკლესიისა და იდეოლოგიის ქართული შეცვლისათვის კი არ იზრუნებდნენ, არამედ როგორმე ხელს შეუწყობდნენ აფხაზური ენის განვითარებას, შექმნიდნენ დამწერლობას და დააკისრებდნენ მას სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ფუნქციებს. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ასე არ მომხდარა და ამის მიზეზი სწორედ ის იყო, რომ აფხაზი „ლეონიდებისათვის“ (თუ ისინი მართლაც იყვნენ წარმოშობით აფხაზები და ეს შეიძლება გამორიცხული არც არის) უკვე მაშინ იყო ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყარო მშობლიური და მათ თავიანთი თავი ამ სამყაროს გარეთ ვერც წარმოედგინათ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულმა საისტორიო ტრადიციამ (ჯუანშერი) საკმაოდ მკაფიოდ დააფიქსირა აფხაზ პოლიტიკურ მოღვაწეთა, კერძოდ კი, ლეონ II წინამორბედის – ლეონ I-ის (VIII ს. I ნახევარი) საერთო-ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში შემოსვლის დრო და ვითარება.

ერთი სიტყვით, აფხაზთა სამეფოს ქართული შინაარსი იმდენად ნათელია, რომ ამაში მხოლოდ ნაციონალ-შოვინიზმისა და სეპარატიზმის სენით შეპყრობილი ვაი-ისტორიკოსები შეიძლება დაეჭვდნენ. და რაოდენ დასანანია, რომ დღევანდელ აფხაზთა დიდ ნაწილს სწორედ ამ ვაი-ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსების სჯერა და არა ისეთი გამოჩენილი ისტორიკოსისა, როგორიც იყო აფხაზი ხალხის ისტორიის ჭეშმარიტი ფუძემდებელი, ქართული საისტორიო სკოლის ნამდვილი მშვენება ზურაბ ანჩაბაძე. სწორედ ნეტარხსენებული ბ-ნი ზურაბი ბრძანებდა ხოლმე: „აფხაზთა სამეფოში დაირწაო ერთიანი საქართველოს აკვანი“. მართლაც X ს. (და არა XI ს. დამლევს, როგორც შეცდომით წერს ივორონოვი) მიწურულს „აფხაზთა“ სამეფოს სათავეში ბაგრატ III ბაგრატიონის (მან „აფხაზთა“ მეფის ტახტი დაიკავა, როგორც გიორგი II „ლეონიდის“ (922-957 წწ.) პირდაპირმა შთამომავალმა – შვილიშვილმა)



მოსვლის შემდეგ დაიწყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს რმირების დასკვნითი ეტაპი, რომელიც საბოლოოდ დასრულდა XII ს. I მეოთხედში – დავით IV აღმაშენებლის ხანაში. აფხაზებს არავითარი ავტონომია არ ჰქონიათ ამ სახელმწიფოში. აფხაზეთისა და ცხუმის საერისთაოები, რომლებშიც განაგრძობდნენ ცხოვრებას აფხაზური ტომები, არაფრით არ განსხვავდებოდნენ საქართველოს სამეფოს სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისაგან. ერთადერთი პრივილეგია, რომლისთვისაც ნამდვილად იბრძოდნენ ამ პერიოდში ჭეშმარიტი აფხაზები, იყო მხოლოდ ზრუნვა ერთიანი, ძლიერი საქართველოსათვის და ამ მამულიშვილურ საქმეში ისინი ნამდვილად ცდილობდნენ, და წარმატებით ახერხებდნენ კიდევ, არავისთვის არ დაეთმოთ პირველობა.

ი. ვორონოვის სურვილის საწინააღმდეგოდ, არც XIII საუკუნის შემდეგ ჩამოცილებიან აფხაზები ქართულ სახელმწიფოებრიობას. არა ქართული წყაროებით, არამედ იმდროინდელი უცხოური (აღმოსავლური და ევროპული) მასალებით ირკვევა, რომ XIII-XIV სს. სოხუმი ქართული ქალაქი იყო და აქ 1330 წ. იჯდა „სებასტოპოლისის კათოლიკე ეპისკოპოსი ქვემო იბერიისა“. ამ პერიოდში სოხუმში მართლაც იყო ზარაფხანა, მაგრამ აქ მონეტებს ჭრიდა არა სხვა ვინმე, არამედ საბედიანოს (სამეგრელოს) მმართველი ვამეყ დადიანი (1384-1396 წწ.). გარდა ამისა, 1480 და 1497 წწ. შედგენილ იტალიურ რუკებზე მდ. კელასურის შესართავთან დაფიქსირებულია „პორტო მენგრელო“, ხოლო XVI ს. თურქული მასალების მიხედვით, „დადიანის ქვეყანას“ ეკავა ტერიტორია „გურიის გაღმით სოხუმამდე, რომლის იქით აფხაზთა ოლქები“ იწყებოდა. ასე რომ, ი. ვორონოვის განცხადება იმის შესახებ, რომ XIII-XIV სს. თურმე სამეგრელოს სამთავრომ მოახდინა (ალბათ მანამდე „დამოუკიდებელი“) ე.წ. „ზემო აფხაზეთის“ ანექსია, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მოჩანს. სინამდვილეში კი XVII ს. მართლაც ჰქონდა ადგილი დაპირისპირებას მეგრულ დადიანებსა და აფხაზ შარვაშიძეებს შორის. მაგრამ შუა საუკუნეების ისტორიაში ოდნავ ჩახედული კაცისთვისაც კი ცნობილია, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ფეოდალური შინააშლილობისა და შუღლის გამოვლინება (ამ თვალსაზრისით გაცილებით უფრო მწვავე იყო სამეგრელო-იმერეთის



კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში. XI ს-ში ბიზანტიის მიერ აფხაზეთის არავითარ ოკუპაციას არ ჰქონდა ადგილი. ცნობილია მხოლოდ XI ს. 30-იან წლებში კონსტანტინოპოლში გაქცეული დემეტრე უფლისწულის – გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის გიორგი I-ის ვაჟისა და ბაგრატ IV ნახევარძმის მიერ ბიზანტიის იმპერატორისათვის ანაკოფიის ციხის გადაცემის ფაქტი, რომელიც საქართველოს სახელმწიფომ უკვე XI ს. 70-იან წლებში დაიბრუნა. ეს არის და ეს. რაც შეეხება აფხაზეთის ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსოს დაქვემდებარებაში სავარაუდო შესვლას (რომელიც ი. ვორონოვის მიხედვით, თითქოს უნდა მომხდარიყო XI ს. შემდგომ), მას მიაჩნია, რომ ეს დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. ავტორის აზრით, XIII ს-დან ვიდრე XVII ს-მდე აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, თუმცა მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა ქართლთან, ბიზანტიასთან, მცირე აზიასთან, სირია-პალესტინასთან. ერთი სიტყვით, თუ ი. ვორონოვის „ავტორიტეტულ“ მტკიცებას დაუუკვერბთ, აფხაზეთში ქართული ქრისტიანობის ნიშან-წყალიც კი არა ჩანს და ყველაფერი, რაც ქრისტიანობასთან არის დაკავშირებული, მთლიანად წმინდა აფხაზური ეთნოკულტურული სამყაროს პროდუქტია. აი, ეს გახლავთ სწორედ ის, რასაც ჰქვია ისტორიის სრული ფალსიფიკაცია და ისტორიული სინამდვილის თვავდაყირა დაყენება. განა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ვორონოვმა, რომელსაც თავი მოაქვს ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის თვალსაჩინო სპეციალისტად, მართლა არ იცის (თუ ასეთი უვიცია, მით უარესი მისთვის), რომ აფხაზური ეკლესია არასოდეს არ არსებულა, რომ ის, რასაც აფხაზეთის საკათალიკოსო ჰქვია, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციაა და სხვა არაფერი, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, იქ მოსახლე აფხაზებითურთ, X ს-დან მაინც მთლიანად ქართულ ქრისტიანულ სამყაროში შემოდიოდა.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერ მოვსთხოვთ ი. ვორონოვს აფხაზეთის საკათალიკოსოსთან დაკავშირებული ყველა წერილობითი მასალის ზედმიწევნით ცოდნას, მაგრამ იმით მაინც დაინტერესებულნი ვართ, თუ რას წარმოადგენდა აღნიშნული საეკლესიო ორგანიზაციის ფუნქციონირების ამსახველი ორი უმთავრესი დოკუმენტური ძეგლი: „აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი“ (ანუ „ბიჭვი-

ნთის იადგარი“) და „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დაუთარი“. პირველი მათგანი, როგორც ცნობილია, იქმნებოდა XVI-XVIII სს-ში. მის უძველეს ნაწილს, ანუ საკუთრივ „იადგარს“, რომელიც შედგენილია XVI-XVII სს. მიჯნაზე, საფუძვლად უდევს იმერეთის ცნობილი მეფის ბაგრატ III-ის მიერ ბიჭვინთისათვის 1537-1565 წლებში დაწერილი იადგარი, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს XVII-XVIII სს. მეფეების, კათალიკოსებისა და მთავრების შეწირულებათა სიგელების კრებულს. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დაუთარი კი შედგენილია 1622 წელს კათალიკოს მალაქიას დაკვეთით. მასში დაფიქსირებულია იმერეთის, გურიისა და ოდიშის ტერიტორიებზე კათალიკოსის კუთვნილი ყმა მეკომურები და მათი ბეგარა-სამსახური. საინტერესოა, ამ ტიპისა და შინაარსის იურიდიული დოკუმენტების მქონე საეკლესიო ორგანიზაცია როგორ შეიძლება წარმოადგენდეს არაქართულ – აფხაზურ ეთნოკულტურულ სამყაროს. ან იქნებ ი. ვორონოვმა დაგვისახელოს აფხაზურ ენაზე შედგენილი რაიმე იურიდიული დოკუმენტი, რომელიც შექმნილი ყოფილიყოს აფხაზეთის საკათალიკოსოს ეკლესია-მონასტრებში და რომელიც დაადასტურებდა აფხაზეთის საკათალიკოსოს აფხაზურობას. ასეთ რამეს, რასაკვირველია, ვერც ი. ვორონოვი და ვერც ვერავინ ვერ მოგვიძებნის, რამეთუ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მსხვილი ეკლესია-მონასტრები: ბიჭვინთა, მოქვი, ბედია და სხვ. – ისეთივე ქართული საეკლესიო ცენტრები იყო, როგორც გელათი, ჭყონდიდი თუ შიომღვიმე. ამის უარყოფა სრულ ჭკუაზე მყოფ კაცს, ვეჭვობთ, რომ შეეძლოს, მაგრამ რას ვიზამთ, ი. ვორონოვი დიდი ზანია დაავადდა ერთი, ვშიშობთ უკურნებელი სენით, რომელსაც ანტიქართული ფსიქოზი ჰქვია და ამისთანა კაცმა რა გასაკვირია, რომ არ ირწმუნოს ამგვარი ანბანური ჭეშმარიტებანი.

ნამდვილი „უშეცრობის ფართი-ფურთი“ აქვს გაჩაღებული ი. ვორონოვს თავისი ბროშურის იმ ნაწილში, რომელსაც მეტად მალაფარდოვანი, თუმც რამდენადმე უცნაური სათაური აქვს: „აფხაზები – დედამიწის ყველა ხალხის სისხლით მონათესავენი“. ამ თავში ავტორს ადამიანის (ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, აფხაზთა) გენეტიკის საკითხების შესწავლა განუზრახავს. ამ თვალსაზრისით იგი ერთგვარ ნოვატორობასაც კი ჩემულობს თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში, რადგან, თურმე ნუ იტყვიოთ და, ამ პრობლემაზე მანამდე „პოლიტიკოსები და მათ კმაყოფაზე მყოფი

ისტორიკოსები“ დუმილს ამჯობინებდნენ. ახლა არ იკითხავთ, თუ რა დააკლდა ამით აფხაზეთსა და აფხაზებს. პირველ რიგში, ის, რომ აქამდე არ ყოფილა დადგენილი ისეთი დიდი მნიშვნელობის (აფხაზთა ისტორიისათვის) ფაქტი, როგორცაა აფხაზური ტომების გენეტიკური კავშირები აფრიკის ნეგროიდებთან და სინურ-ტიბეტურ ენებზე მოლაპარაკე მონგოლოიდებთან (პირდაპირ გინდა იყვირო: ოჰ, ეს პოლიტიკოსები!). ი. ვორონოვი მეტად შეწუხებულია აგრეთვე იმით, რომ აქამდე ასევე არავის არ გაუმახვილებია ყურადღება აფხაზთა გენეტიკურ ნათესაობაზე ძველ ბერძნებთან. მისი მტკიცებით, 2500 წლის წინათ აფხაზეთის სანაპიროზე მიღეუტელების მიერ დაარსებულ გიენოსში (თანამედროვე ოჩამჩირესთან) პირველ ბერძენ კოლონისტთა სახლებში მრავლად ყოფილა ადგილობრივი წარმოშობის საოჯახო ნივთები. ეს ნივთები თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, მზითევში მოპყლიათ ადგილობრივ აფხაზ ქალიშვილებს, რომლებზედაც დიდი სიამოვნებით ქორწინდებოდნენ ჩამოსული უცხო ტომელები. მოგვიანებით, ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. IV-I სს.), ი. ვორონოვის აზრით, ბერძნულ-აფხაზური ქორწინებითი კავშირები კიდევ უფრო გახშირებულა. პირდაპირ გასაოცარია, რომელი მმაჩის ბიუროების მონაცემებით განსაზღვრა ჩვენმა „ყოვლისმცოდნე“ მეცნიერმა ბერძნულ-აფხაზური ქორწინებების შემცირება-ზრდის ამპლიტუდა? ან რატომ ფიქრობს ის, რომ ბერძნებს ადგილობრივ მოსახლეობაში მაინცა და მაინც საცოლოეები უნდა ეძებნათ. იქნებ არა ნაკლები პოპულარობით სარგებლობდნენ ადგილობრივი ვაჟკაცები. რა, მათ არ შეეძლოთ შეერთოთ ელადიდან მოსული მშვენიერი ასულნი და ამით კიდევ უფრო განემტკიცებინათ გენეტიკური კავშირები პერაკლესა და აპოლონის შთამომავლებთან? ერთი სიტყვით, აქ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასარკვევი, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რამდენად შეიძლება აფხაზები ჩაითვალოს ამ მხარის აბორიგენებად მოცემულ პერიოდში. ისე ი. ვორონოვს, რადგან მან ასე ახლოს მიიტანა გულთან ეს თემა, გულწრფელად გვინდა ვუსურვოთ წარმატებები აღნიშნული პრობლემის შემდგომ დამუშავებაში. თან ისიც გვინდა ვსთხოვოთ, რომ როგორმე არაფრით არ გამორჩეს კოლონისტ ბერძნების ოჯახებში აფხაზ ჭაბუკთა ჩასიძების საკითხიც, რამეთუ ადგილობრივი წარმოების ნივთები ოჯახში შეიძლება მოჰყვეს არა მარტო რძალს, არამედ სიძესაც.

იგივე შეიძლება ითქვას „აფხაზურ-იტალიურ სისხლით ნაფხაზობაზე“, რომელსაც ი. ვორონოვის თქმით, საფუძველი ჩაყრია ახ. წ. I-III სს., როდესაც რომს ფართო პოლიტიკური და კულტურული კონტაქტები ჰქონია აფხაზეთთან. ჩვენი „გულთმისანი“ ავტორის აზრით, იმდროინდელ (IV-V სს.) რომაულ-ბიზანტიურ ციხე-სიმაგრეებში (სებასტოპოლისსა და პიტიუნტში) ცხოვრობდა არაერთი თადარიგში გასული იტალიელი თუ ბერძენი, რომელიც მაინცა და მაინც დაქორწინებული იყო აფხაზ ქალიშვილზე. ეს მასალები ი. ვორონოვმა, ეტყობა, უშუალოდ რომაელთა სადაზვერვო სამსახურიდან შეიტყო, რადგან VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (რომელსაც თითქოს ის ეყრდნობა) მხოლოდ ცალკეულ „რომაელ მეომართა“ ადგილობრივ პუნქტებში დასახლებაზე გვაწვდის ინფორმაციას და კრინტსაც არ ძრავს მათ ოჯახურ მდგომარეობაზე.

აფხაზთა გენეტიკური ტიპის ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი შეუტანიათ ალან-ოსებსაც, რომლებსაც მჭიდრო კონტაქტები (რასაკვირველია, ქორწინებითიც) ჰქონიათ აფხაზებთან ახ. წ. I-II საუკუნეებიდან. ამ საქმეში მათ თურმე არ ჩამორჩენილან სპარსელები, რომელთა გარნიზონი VI ს. შუა ხანებში, სულ მცირე დროით (როგორც ვარაუდობს ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი გიორგი ამიჩბა, მხოლოდ 550 წლის ზაფხულის განმავლობაში) იდგა წებელდის ციხეში (ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა ე.წ. „დიდი ომიანობა ეგრისში“, რომლის დროსაც დასავლეთ საქართველოში გაბატონებისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბიზანტია და ირანი). ი. ვორონოვის „მახვილგონივრული“ მიხვედრით, თურმე ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წებელდაში ჩაყენებული სპარსული გარნიზონის უფროსმა ნამუსი ახადა ციხის უფროსის ლამაზ ცოლს – „ტომით აფსილს“, რასაც მოჰყვა აფსილების განაწყენება და სპარსელების გამოყრა წებელდის მიდამოებიდან. ყველაფერს ვიფიქრებდი და ვერასოდეს ვერ წარმომედგინა, რომ პროკოფი კესარიელის მიერ დაფიქსირებულ ამ ფაქტს ოდესმე ვინმე ამგვარ ინტერპრეტაციას მისცემდა და გამოიყენებდა აფხაზ-სპარსელთა გენეტიკური ნათესაობის დამადასტურებელ არგუმენტად. ჭეშმარიტად, ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს.

უკანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე, ი. ვორონოვის განმარტებით, აფხაზეთში უცხოვრიათ და ადგილობრივ აფხაზურ მოსახლეობასთან ახლო კონტაქტები (მათ შორის, უნდა ვიფი-



ქროთ, ალბათ ქორწინებითიც) ჰქონიათ ებრაელებს, გერმანელებს, სომხებს, არაბებს, ხაზარებს, თურქული მოდემის ტომებს, სლავებს, მონღოლებს, იტალიელებს და ჩინელებსაც კი. ამათგან სლავური ტომების წარმომადგენლები აქ პირველად გამოჩენილან VI საუკუნეში, ხოლო ტმუტარაკანის რუსული სამთავროს ეპოქაში (IX-X სს.), ი. ვორონოვს აბსოლუტურად არ ეეჭვება აფხაზთა და რუსთა სისხლით დანათესაება. განსაკუთრებით ფართო ხასიათი კი ამას მიუღია XIX საუკუნეში, როდესაც მარტო ერთ სოფელ წებელდამი 120-ზე მეტი სამსახურიდან გამოქცეული რუსი ჯარისკაცი ყოფილა აფხაზ ქალიშვილებზე დაქორწინებული. კი მაგრამ, სადღა არიან ქართველები? ალბათ, იკითხავს მკითხველი. ი. ვორონოვი, ბუნებრივია, გრძნობს, რომ, ცოტა არ იყოს, უხერხული იქნება ამ კითხვას გვერდი აუაროს და ერთგვარი მოწყალების სახით ჩვენთვის იმეტებს რაღაცას. ის დაბეჯითებით გვაუწყებს, რომ თანამედროვე მეგრელთა წინაპრები — ლაზები, თურმე მხოლოდ VI საუკუნეში (ე.ი. იმავე დროს, როდესაც, ი. ვორონოვის ჭკუით, სლავები, როგორც ჩანს, აქ საკმაოდ მოშინაურებული იყვნენ.) გამოჩენილან აფხაზეთის შინაგან რაიონებში და მათთან აფხაზებს, რატომღაც, მარტო მატრიმონიალური კავშირები ჰქონიათ (ეს მიმართულება, როგორც ჩანს, ი. ვორონოვისათვის „მშობლიურია“, რადგან ცნობილია, რომ ის ქვეყნიერებას რატომღაც მოევლინა არა მამის, არამედ დედის გვარით). განსაკუთრებით ინტენსიური ეს ურთიერთობანი ყოფილა „საკონტაქტო ზონაში მდ. ენგურის გაყოლებით“. „მეგრელთა ინფილტრაცია“ აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში, განაგრძობს ი. ვორონოვი, უნდა გაძლიერებულიყო Xს. მიწურულიდან, როდესაც შეიქმნა ბედიის საეპისკოპოსო, რომლის იურისდიქციაში ენგურის მარცხენა სანაპიროც შედიოდა. მოგვიანებით კი, როდესაც სამეგრელომ „მოახდინა ზემო აფხაზეთის ანექსია“, გაძლიერებულა ასიმილაციური პროცესები, რის შედეგადაც მეგრელები და აფხაზები გენეტიკურად კიდევ უფრო დაახლოებულან. რაც შეეხება „ქართველ-გრუზინებსა“ და სვანებს, მათთან აფხაზებს ასევე ჰქონიათ (მისი აზრით, არა უადრეს VIII ს-სა), მართალია ეპიზოდური, მაგრამ „ნაყოფიერი კონტაქტები“. მოდი და ამის შემდეგ არ შეგეცოდოს სტრაბონისეული „სვანები“ თუ „სვანო-კოლხები“, რომელთაც ი. ვორონოვმა ასე ერთბაშად დაუკარგა სულ ცოტა ერთი ათასწლეულის „ნაღვაწი“ დიოსკურიასა და მის მიდამოებში. ან რა პირით შევხედოთ ზემოთ უკვე ნახსენებ

ჰეკატეოს მილეტელისა და ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ლხეზს“. ისინიც ხომ ჩვენი სისხლი და ხორცია. სადღა ვეძებოთ აფხაზებთან მათი „საკონტაქტო ზონები“? აფსუს! რამდენ პიკანტურ საიდუმლოს აეხდებოდა ფარდა ჩვენი ხალხების – აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის ისტორიაში ი. ვორონოვისთანა კიდევ რამდენიმე „ჭკუის კოლოფი“ ისტორიკოსი რომ გვყავდეს.

ი. ვორონოვის „მახვილ თვალს“ არც დინასტიური ქორწინებითი კავშირებიც გამორჩენია, თუმცა ჩვენთვის სრულებით გაუგებარია, თუ რომელ წერილობით წყაროებში დააფიქსირა მან „ადგილობრივ მეფეთა და მთავართა“ (ე.ი. აფხაზ ხელისუფალთა – ზ.პ.) ბერძენი, ოსი, სომეხი, ყივჩაყი მეუღლეები. ჩვენ, რასაკვირველია, არ გამოვრიცხავთ, რომ რომელიმე აფხაზ მთავარს მართლაც ჰყავდა ცოლად ზემოთ ჩამოთვლილი ხალხების წარმომადგენელი (ამაში გასაკვირი, აბა, რა უნდა იყოს), მაგრამ, სამწუხაროდ, წყაროებმა ამგვარი ინფორმაცია ნაკლებად შემოინახეს. ერთადერთი, რაც ზედმიწევნით არის ჩვენთვის ცნობილი, ესაა გაერთიანებული საქართველოს („აფხაზთა“) მეფეთა: გიორგი I-ის, ბაგრატ IV-ის, დავით IV აღმაშენებლის, გიორგი III-ისა და სხვა ბაგრატიონთა დინასტიური ქორწინებები სომხეთის, ბიზანტიის, ოსეთის სამეფო საგვარეულოების წარმომადგენლებსა და ყივჩაყთა ბელადის ასულზე. თუ ეს ქორწინებანი აქვს მხედველობაში ი. ვორონოვს, მაშინ რაღა დააშავა სხვა ხალხებმა, თუნდაც მონღოლებმა? აკი ცნობილია, რომ დავით ულუს – ლაშა-გიორგის ძეს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს განაგებდა, მაინც „აფხაზთა“ მეფედაც იწოდებოდა, მონღოლი ჰყავდა ცოლად. რა გვიშლის ხელს, ეს ფაქტიც გამოვიყენოთ აფხაზთა გენეტიკური ტიპის ჩამოყალიბების ისტორიის შესწავლისას? არა გვგონია, ამ შემთხვევაში ი. ვორონოვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს იმ „უმნიშვნელო“ გარემოებას, რომ ულუ-დავითს ჯივდა-ხათუნ მონღოლთან შთამომავლობა არ გასჩენია და ამდენად ეს „უნაყოფო“ ქორწინება, ბუნებრივია, ვერ იქონიებდა გავლენას აფხაზთა გენეტიკური ტიპის ჩამოყალიბებაზე. ამ მხრივ, არც ბაგრატ IV – „აფხაზთა“ მეფის ბიზანტიის საიმპერატორო კარის წარმომადგენელ ელენეზე ქორწინება იყო „ნაყოფიერი“. ასე რომ, არა გვაქვს არავითარი საფუძველი, ვილაპარაკოთ აფხაზურ-ბერძნული დინასტიური ქორწინებების (სხვა ფაქტი „აფხაზ“ მეფეთა ბერძენი ცო-





ლების შესახებ ჩვენ არ გაგვაჩნია) „წვლილზე“ აფხაზური ბერძნული სისხლით გაკეთილშობილების საქმეში.

ი. ვორონოვის ფალსიფიკატორული ნიჭი კულმინაციას აღწევს ბროშურის დასკვნით ნაწილში, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი სათაური აქვს: „აფხაზეთი – 2500-წლოვანი სახელმწიფოებრიობის ქვეყანა“. თავის მსჯელობას სახელმწიფოებრიობის გენეზისზე აფხაზეთში ი. ვორონოვი იწყებს მისთვის ჩვეული თეორიული „ფართი-ფურთით“. მისი „მიხვედრით“, სახელმწიფოებრიობა თურმე ყოფილა „არსებობის შენარჩუნებისათვის ზრუნვის სისტემა, რომელიც დამყარებულია პროდუქტების ცენტრალიზებულ შეგროვებასა და განაწილებაზე“. ამ დასკვნის პოლიტიკური სარჩული ნათელია: დღევანდელ აფხაზეტს არსებობის შენარჩუნებისთვის აუცილებლად სჭირდებათ ეროვნული სახელმწიფოებრიობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გადაშენება უწერიათ. ამას მოსდევს კიდევ უფრო გონებამახვილური დასკვნა: სახელმწიფოებრიობა აფხაზეთის ტერიტორიაზე „შემოუტანიათ“ მილეტელ ბერძნებს, რომლებმაც ძვ. წ. VI ს. – ე.ი. 2500 წლის წინათ – დააარსეს ქალაქ-სახელმწიფო დიოსკურია. სწორედ აქედან იწყებს აფხაზური სახელმწიფოებრიობის ათვლას ჩვენი „გულთმისანი“ მეცნიერი. რაც შეეხება კოლხეთის სამეფოს, რომელიც არსებობდა ძვ. წ. VI-I სს. და „რომლის ფარგლებში შედიოდა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია“, ეს, ი. ვორონოვის მტკიცებით, წმინდა წყლის ისტორიული მითია და ის თურმე შეუქმნიათ „პოლიტიკოსებსა და მეცნიერებს ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების მიწურულიდან – ლავრენტი ბერიას ეპოქაში“. პირდაპირ უნდა განვაცხადო, მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც ძველი კოლხეთის სახელმწიფოებრიობას ერთგვარად ჰიპერბოლიზირებულად წარმოაჩენს და მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტად ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღმოცენება და საბოლოოდ გაფორმება რეალურად დაკავშირებულია აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებასთან – იბერია-ქართლთან, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კოლხეთში არავითარი სახელმწიფოებრიობა არ არსებობდა. პირიქით, ჩვენს განკარგულებაში არსებული წერილობითი (ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები) თუ არქეოლოგიური მონაცემები (მათ შორის, პირველ რიგში, ნუმიზმატიკური მასალა) აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ კოლხეთში

VI-ი საუკუნეებში (თუ უფრო ადრე — არგონავტიების  
ნაში — არა) მაინც არსებობდა სახელმწიფოებრივი წარმო-  
ნაქმნი ჩამოყალიბებული სამეფო ხელისუფლებით. როგორც  
ცნობილია, ანტიკური ხანის არაერთი ავტორი (ქსენოფონტი,  
სტრაბონი, პლინიუსი, პომპონიუს მელა და სხვ.) დაბეჯითებით მი-  
უთითებს კოლხეთში ადგილობრივი დინასტიის არსებობაზე და  
ადასტურებს ლეგენდარული აიეტის შთამომავლების ყოფნას სა-  
ხელმწიფოს სათავეში. თუ ი. ვორონოვის ლოგიკას გავყვებით, მა-  
შინ გამოდის, რომ ანტიკური ხანის ავტორთა ის მდიდარი წერი-  
ლობითი ტრადიცია კოლხეთის სამეფოს არსებობის შესახებ მი-  
თია, ხოლო სახელმწიფოებრიობა იმ ტომებისა, რომელთა ხსენე-  
ბაც არ არის აღნიშნულ ავტორთა თხზულებებში, ისტორიული რე-  
ალობა. ჩვენს ბედოვლათ „მკვლევარს“ კოლხ-ქართველებისათვის  
დიოსკურია და გიენოსი რომ არ ემეტება, ეს ცხადზე ცხადია, მა-  
გრამ გაუგებარია, თუ რანაირად შეიძლება აფხაზური სახელმწი-  
ფოებრიობის გენეზისი დაუკავშირდეს ამ ბერძნული ახალშენების  
აღმოცენებას (სხვა შემთხვევაში აფხაზური სახელმწიფოებრიობა  
ნამდვილად ვერ იქნება 2500-წლოვანი). ერთი წუთითაც რომ დაკუ-  
შვით ი. ვორონოვის თეზისის სისწორე და წარმოვიდგინოთ, აფხა-  
ზებმა, ბერძნების გავლენით, მართლაც ჩაუყარეს საფუძველი ერო-  
ვნულ სახელმწიფოებრიობას ძვ. წ. VI ს-ში, მაშინ რა ღმერთი გა-  
უწყრა კოლხებს, რატომ ვერ ისარგებლეს მათ ბერძნების გავლე-  
ნით (რა, ფაზისი რითიმე ჩამორჩებოდა დიოსკურიას?) და ვერ შე-  
ქმნეს თავიანთი სახელმწიფო?

აბსოლუტურად არასწორი და ტენდენციურია ი. ვორონოვის  
მსჯელობა ლაზთა (ეგრისის) სამეფოს აღმოცენებისა და მასში  
აფხაზური პოლიტიკური წარმონაქმნების გაერთიანების დროისა  
და პირობების შესახებ. მისი აზრით, თურმე ლაზიკის სამეფო შე-  
ქმნილა მხოლოდ VI ს. I ნახევარში. ისტორიოგრაფიაში კი დიდი  
ხანია დადგენილია, რომ ლაზიკის ირგვლივ მთელი დასავლეთ სა-  
ქართველოს (მათ შორის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის)  
გაერთიანება დამთავრებული იყო უკვე IV ს. მიწურულისთვის (ს.  
ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, ზ. ანჩაბაძე, ნ. ლომოური, დ. მუსხელი-  
შვილი, გ. ამიჩბა და სხვ.). ის კი არა და, VI ს. I ნახევარში, ზოგი-  
ერთი მკვლევარის (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, ზ. ანჩაბაძე, გ. ამი-  
ჩბა) აზრით, შესაძლებელია, აბაზგები, რომლებიც, პროკოპი კესა-  
რიელის თქმით, „ძველი დროიდან“ ითვლებოდნენ ლაზების ვასა-

ლებად, სულაც გამოსული ყოფილიყვნენ ეგრისის მეფის დაქვემდებარებიდან. ამკარაა, რომ ი. ვორონოვს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც აღელვებს ერთი საკითხი, როგორმე არ დაფიქსირდეს ქართველებისა (ამ შემთხვევაში, ეგრისის ქართული მოსახლეობის) და აფხაზების ერთ სახელმწიფოში ხანგრძლივად ყოფნა, რადგან მაშინ მის მიერ დადგენილ აფხაზთა 2500-წლოვან სახელმწიფოებრიობას კიდევ რამდენიმე საუკუნე მაინც დააკლდება.

ამავე მიზანს ისახავს აგრეთვე „აფხაზთა“ სამეფოს აღმოცენების ი. ვორონოვისეული ვერსია, რომელშიც აბსოლუტურად იგნორირებულია ის ქართული მოტივები, რომლებმაც სინამდვილეში განაპირობეს ერთიანი დასავლურ-ქართული (და არა აფხაზური) სახელმწიფოს წარმოქმნა. ამიტომაცაა, რომ ი. ვორონოვი არაბეზზე ანაკოფიის მისადგომებთან მოპოვებულ გამარჯვებას მარტო აფხაზებს მიაწერს და არაფერს ამბობს ამ ეპოქაში ქართველთა მონაწილეობაზე. მან რომ სრული სიმართლე თქვას, მაშინ მკითხველი უთუოდ დაფიქრდება: რატომაა, რომ ანაკოფიის ციხესთან მურვან-ყრუს ლაშქრის წინააღმდეგ მებრძოლ აფხაზთა და ქართველთა ძალებს სარდლობენ ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი, ხოლო „აფხაზეთის ერისთავი“ ლეონი სხვა სამხედრო ამოცანას ასრულებდა და ბრძოლის დროს ანაკოფიაში საერთოდ არ იმყოფებოდა. რაც შეეხება „აფხაზთა“ სამეფოს 200-წლოვან პერიოდს, რომელიც, რასაკვირველია, ი. ვორონოვმა ასევე უბოდიშოდ მიათვალა აფხაზური სახელმწიფოებრიობის 2500-წლოვან ისტორიას, ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა და ამჯერად მასზე ყურადღებას არ შევანჩერებთ. ერთს დავუმატებდით მხოლოდ, რომ არც აკად. სიმონ ჯანაშიას, არც პროფ. ზურაბ ანჩაბაძეს, როგორც იტყვიან, აფხაზეთის ღვიძლ შვილებს, ი. ვორონოვსა და არც სხვა ვინმეზე ნაკლებად არ ჰყვარებიათ აფხაზეთი და აფხაზები და ამის საფუძველი რომ ჰქონოდათ, მათ ვერავინ ვერ დაუშლიდა (მათ ამისათვის მეცნიერული და მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა და, რაც მთავარია, სათანადო კომპეტენტურობა გააჩნდათ.), საქვეყნოდ გამოეცხადებინათ „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურობა.

ანტიქართულმა ფსიქოზმა ი. ვორონოვს, როგორც ჩანს, არა მარტო გონება დაუბნელა, არამედ მეხსიერებაც დაუქვეითა. აბა რას უნდა მივაწეროთ ისეთი ფაქტოლოგიური ლაფსუსი, რომელიც მას დაშვებული აქვს ბაგრატ III გენეალოგიური შტოს გაშიფვრისას: ჩვენმა „ყოვლისმცოდნე“ არქეოლოგ-ისტორიკოსმა „აფხაზთა“ მე-

ფე გიორგი II-ის ასული გურანდუხტი, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარ ვაჟს — ბაგრატ III-ეს შერთო ცოლად. ი. ვორონოვი იმდენადაა გატაცებული მისხალ-მისხალ დაითვალოს აფხაზური სახელმწიფოებრიობის არსებობის წლები, რომ მზადაა თვით XI-XII საუკუნეებშიც კი არ გააკეთოს წყვეტა და ეს 200 წელიც კი, ამ თვალსაზრისით, აქტივში ჩაუთვალოს აფხაზებს. მერე რა, რომ ამისთვის ის ზოგად (და, რასაკვირველია, აბსოლუტურად უსაფუძვლო) განცხადებას სჯერდება იმის თაობაზე, რომ თითქოს ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლისა და თამარის საქართველოში აფხაზეთს თავისი გამოკვეთილი ავტონომიური სამთავრო ჰქონოდა, რომლის სათავეში ჩაჩბა-შარვაშიძეთა საგვარეულო იდგა. აფხაზეთის სამთავრო, როგორც აფხაზური ეროვნული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, თურმე XII ს. შემდგომაც არსებობდა და, ი. ვორონოვის სიტყვებით, განაგრძობდა „თავგანწირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის მეგრელ და იმერელ ხელილსუფალთა წინააღმდეგ“ (ხაზგასმა ჩვენია — ზ.პ.). მთელი ამ ხნის განმავლობაში აფხაზები თურმე გმირულად უმკლავდებოდნენ მეგრელებსა და იმერლებს და მათ დასახმარებლად მოსულ ქართველებსაც. ვერც XVII ს-ში „აფხაზ-მეგრელთა 30-წლიანი ომის“ (საოცარია პირდაპირ, აქამდე ნამდვილად არ ვიცოდი, რომ XVII ს. I ნახევარში, თითქმის ერთდროულად, ორი ოცდაათწლიანი ომი ყოფილა მსოფლიო ისტორიაში: ერთი — საქვეყნოდ გახმაურებული 30-წლიანი ომი შუა ევროპაში, რომელშიც ჩათრეული იყო ევროპის თითქმის ყველა წამყვანი სახელმწიფო, ზოლო მეორე — აქ, ჩვენთან, როგორც იტყვიან, „ყურის ძირში“.) პერიოდში მეგრელი მთავრების მიერ აგებულ 60-კილომეტრიან კელასურის კედელს შეუჩერებია აფხაზები. მათ თურმე „შტურმით“ აუღიათ ეს „მრისხანე ზღუდე“ (საინტერესოა, ასეთი დაწვრილებითი ინფორმაცია ვინ მიაწოდა ი. ვორონოვს.) და აღუდგენიათ „თავიანთი ძველი პოლიტიკური საზღვარი“ მდ. ენგურის გაყოლებით. აი, რამდენი პათოსი ჩააქსოვა აფხაზთა მრავალსაუკუნოვან ბრძოლას „ქართველი დამპყრობლების“ წინააღმდეგ ჩვენმა აფხაზების ჭირ-ვარამით „გულდათუთქულმა მემატრიანემ“. და ეს მაშინ, როდესაც ის კრინტს არ ძრავს აფხაზთა ბრძოლაზე ნამდვილი დამპყრობლების — თურქების წინააღმდეგ. მისი სიტყვებით, XVII საუკუნიდან ადგილი ჰქონია არა აფხაზეთის მოქცევის ოტომანთა იმპერიის უღლის ქვეშ, არამედ, ნუ იტყვით და, თურქეთის სახელმწიფოსთან

„პოლიტიკური კავშირების ზრდა – „ნარაშჩივანიეს“. ხელდასმული გორი სიტყვა გამოძებნა – „ნარაშჩივანიე“. არავითარი „დაპურობა“ – „ზავოევანიე“, არამედ „ნარაშჩივანიე“. რას იზამთ, დღევანდელ აფხაზ სეპარატისტთა პოლიტიკურ კონიუნქტურას სჭირდება თურქთა როლის ასეთი შეფასება კავკასიაში და ამ კონიუნქტურის სამსახურში მყოფი ლაქიისაგან (თუნდაც რუსი, ქრისტიანი კაცისაგან), აბა, სხვას რას უნდა მოველოდეთ.

ქართულ-აფხაზური „ტრადიციული მტრობისა“ და „წინააღმდეგობის“ ფონზე ი. ვორონოვს, რასაკვირველია, არ გამოპარვია რუსეთის იმპერიის „პროგრესული“ როლი აფხაზთა ცხოვრებაში: „ქალაქების აღმშენებლობა, გზების გაყვანა, ელექტროსადგურების, სკოლების, ბიბლიოთეკების, საავადმყოფოებისა და თეატრების აგება; რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შექმნა“ და ა. შ. ამდენ სიკეთესთან, აბა, რა მოსატანია ის „წვრილმანი“ გაუგებრობები, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში ოქტომის მთელი XIX ს-ის განმავლობაში. იქნებ არც ის „საღვთისმშობლი“ – „ჰაზავათია“ სახსენებელი, რომელშიაც ჩაბმული იყო მუსლიმანური აფხაზობა თავიანთ ჩრდილოკავკასიელ მოძმეებთან ერთად ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ და რომელსაც შეეწირა ათასეულობით აფხაზის სიცოცხლე? ან რუსეთის იმპერიის მიერ მოწყობილი მაჰაჯირობა, რომლის შედეგადაც აფხაზური მოსახლეობის ნახევარმა მაინც დასტოვა მშობლიური მიწა-წყალი და თურქეთში სამუდამოდ გადასახლდა, მხოლოდ კონსტანტინოპოლის ღირსშესანიშნაობების ხილვით დატკობის სურვილით ორგანიზებული უფასო ტური-სტული ექსკურსია იყო და სხვა არაფერი? სამაგიეროდ, ი. ვორონოვს სრულებითაც არ ავიწყდება გენერალ მაზნიაშვილის მიერ 1918 წელს აფხაზეთის „ოკუპაცია“, ხოლო შემდგომ „კიარაზის“ რაზმებისა და IX წითელი არმიის მიერ აფხაზებისათვის „მოპოვებული დამოუკიდებლობის“ „ანულირება“ სტალინისა და ბერიას მიერ. და კიდევ ერთი, ი. ვორონოვს არ ავიწყდება „აფხაზთა მასობრივი პროტესტები ქართული „კოლონიური რეჟიმის“ წინააღმდეგ, აფხაზეთის რსფსრ-ს შემადგენლობაში გადაყვანის მოთხოვნით. ამ ბრძოლის დაგვირგვინებად კი მას მიაჩნია 1991 წ. მარტში სსრ კავშირის არსებობის თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები, რომელშიც აფხაზეთმა გამოთქვა სურვილი

იყოს „კავშირში“, საქართველომ (ოპ, ეს საზიზღარი საქართველო!)  
კი ხმა მისცა მის დაშლას.

ასეთია, ძირითადად ი. ვორონოვის ახალი ისტორიოგრაფიული  
„შედევრის“ შინაარსი. მკითხველმა შეიძლება იკითხოს: კი მა-  
გრამ, რა საჭიროა ამ პირწავარდნილი შოვინისტიკისა და ფალსიფი-  
კატორის ყოველ ნაჯღაბნზე ასე ოპერატიული რეაგირება (გასულ  
წელს ჩვენ ასევე გამოვეხმაურეთ ი. ვორონოვის ანალოგიური ხა-  
სიათის პასკვილს. იხ. გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ 16 და 17 აგვისტოს  
ნომრები)? ერთი შეხედვით, ეს შეიძლება მართლაც ზედმეტი იყოს,  
მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საზოგადოებრიობის ცხოველ  
ინტერესს საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულისადმი,  
ვფიქრობთ, ჩვენი სურვილი, უპასუხოდ არ დაგვეტოვებინა ი. ვო-  
რონოვის ეს ახალი გამოხდომა, გამართლებულია. მით უფრო  
დღეს, როდესაც აშკარა გახდა იმ მავნებლური, დიახ, სწორედ მა-  
ვნებლური საქმიანობის ტრაგიკული შედეგები, რომელსაც წლე-  
ბის განმავლობაში ასე ნაყოფიერად ეწეოდნენ საქართველოსა და  
ქართველი ხალხის საზიანოდ ჩვენი ე.წ. „კოლეგა ისტორიკოსები“.

და ბოლოს, კიდევ ერთი. ჩვენი წერილის სათაურს – „უმე-  
ცრობის ფართი-ფურთი“ – დიდ ილიას დავესესხეთ და მოგვი-  
ტევოს მისმა უკვდავმა სულმა, თუ სათქმელი ისე „მკვახედ“ (ილი-  
ასებურად) ვერ ვთქვით, როგორც საჭირო იყო.



# დასავლეთ საქართველო – აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიიდან

## VIII საუკუნის I ნახევარი

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში VIII-IX საუკუნის დამდეგი მნიშვნელოვან ტეხილს წარმოადგენს. ეს იყო უდიდესი ცვლილებების ხანა, როდესაც უძველესი ქართული სახელმწიფოების ქართლ-იბერიისა და ეგრის-ლაზიკის ნანგრევებზე აღმოცენდნენ ახალი სამეფო-სამთავროები: კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამთავრო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო (შემდგომში „ქართველთა“ სამეფოდ წოდებული) და „აფხაზთა“ სამეფო. დასრულდა თბილისის საამიროს ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესი. ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნა გამოწვეული იყო როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებით, ისე საგარეო-პოლიტიკური ფაქტორებით. კერძოდ, ქართლისა და ეგრისის სამეფოების მოშლა და მათ ადგილზე ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების გაჩენა მნიშვნელოვანწილად განაპირობეს VIII-IX საუკუნის დამდეგს საერთაშორისო არენაზე – კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ ბიზანტია-არაბთა სახალიფოს დაპირისპირების ფონზე თვალი გაგვედევნებინა დასავლეთ საქართველო-აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისათვის VIII საუკუნის I ნახევარში და გვეჩვენებინა ის ცვლილებები საერთო-პოლიტიკურ სიტუაციაში, რომლებმაც განაპირობეს აფხაზეთის „ერისთავის“ ხელისუფლების განვრცობა მთელ დასავლეთ საქართველოზე და ახალი ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა“ სამეფოს<sup>1</sup> წარმოქმნისათვის პირობების შემზადება.

<sup>1</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნისა და მისი ეთნოკულტურული თუ პოლიტიკური ისტორიის საკითხები საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი. ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ზ. ანჩაბაძის, მ. ლორთქიფანიძის, დ. მუსხელიშვილისა და სხვა მკვლევართა შრომებში კაპიტალურადაა დამუშავებული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხი და დამაჯერებლად არის ნაჩვენები ამ სა-



VIII საუკუნის მთელ მანძილზე ამიერკავკასია რჩებოდა დიდი პოლიტიკური ძალის: არაბთა სახალიფოს, ბიზანტიის იმპერიისა და ხაზართა ხაკანათის ურთიერთჭიდილის არენად<sup>2</sup>. VIII ს-ის დამდეგისათვის ამ ბრძოლაში თანდათანობით გამოიკვეთა სახალიფოს უპირატესობა. ჯერ კიდევ VII ს-ის მიწურულს – 697 წ., როგორც ცნობილია, ლაზიკის პატრიკიოზმა სერგი ბარნუკის ძემ ზურგი აქცია კონსტანტინოპოლს და ქვეყანა არაბებს ჩააბარა.<sup>3</sup> ამით არაბებმა ფეხი მოიკიდეს არა მარტო ლაზიკა-ეგრისის სიღრმეში, არამედ მათ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი განაპირა რეგიონებიც, კერძოდ, მისიმიანეთ-აფშილეთის ტერიტორიაც მოიცვეს. ცნობილია, რომ VIII ს. დამდეგს არაბთა გარნიზონები იდგნენ კოდორის ხეობის ზოგიერთ სიმაგრეში.<sup>4</sup> ამავე პერიოდში არაბთა გავლენის ქვეშ მოექცა აგრეთვე აბაზგიაც.<sup>5</sup> ამრიგად, VIII ს-ის 10-იანი წლების დასაწყისისათვის არაბები ფაქტობრივად მთელ დასავლეთ საქართველოს დაეპატრონნენ. აღსანიშნავია, რომ ეს მათ მოახე-

ხელმწიფოებრივი წარმონაქმნის როლი და ადვილი საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში. ამდენად, დღეს უკვე გარდა სეპარატისტულად განწყობილი თითო-ორი აფხაზი ვაი-ისტორიკოს-პოლიტიკოსისა და მათი მხარდამჭერი ცალკეული რუსი „ინტელიგენტებისა,“ არავის ეეჭვება, რომ „აფხაზთა“ სამეფო, მიუხედავად მპართველი დინასტიის შესაძლო აფხაზური ეთნიკური წარმომავლობისა, იმთავითვე წარმოადგენდა ქართულ ეროვნულ სახელმწიფოს, როგორც თავისი ეთნოკულტურული, ისე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახით.

<sup>2</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ს. ჯანაშია, არაბთა საქართველოში, – „მრომები“, ტ. II, თბ., 1952, გვ. 365-367; М.И. Артамонов, История хазар, Л., 1962, გვ. 202-252; А.Н. Тер-Гевонцян, Армения и Арабский халифат, Ереван, 1977, გვ. 85-88; А.А. Богвердзе, Раннефеодальные Грузинские государства, – “Очерки истории Грузии,” т. II, Тб., 1988, გვ. 173-185; ბ. სელაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით), თბ., 1991, გვ. 66-87.

<sup>3</sup> თეოფანე ჟამთააღმწერელი, – „გეორგიკა“. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1941, გვ. 105; ს. ჯანაშია, არაბთა საქართველოში..., გვ. 368.

<sup>4</sup> თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 106; ს. ჯანაშია, არაბთა..., გვ. 368.

<sup>5</sup> თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 106; З.В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959, გვ. 59; А.А. Богвердзе, Раннефеодальные..., გვ. 174.



რხეს არა ფართომასშტაბიანი სამხედრო ექსპედიციების მოწყობის გზით (წყაროებში არავითარი მინიშნება არაა ამის შესახებ), არამედ მოქნილი დიპლომატიის წყალობით. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ლიდერის, ლაზიკის მმართველის სერგი ბარნუკის ძის გადმობრებას. ყოველივე ეს ბიზანტიური დიპლომატიის მნიშვნელოვან მარცხს წარმოადგენდა.

ბიზანტიის ხელისუფლება, ბუნებრივია, ვერ მოითმენდა ამგვარ პოლიტიკურ კრახს ლაზიკა-აბაზგიის მხარეში და ოპერატიულად გამოეხმურა კიდევ დასავლეთ საქართველოში მომხდარ ცვლილებებს. იმპერიის მესვეურებმა „ლალატიისათვის“ ლაზთა და აბაზგთა სამაგალითო დასჯა გადაწყვიტეს.<sup>6</sup> ამ მიზნით კონსტანტინოპოლმა საგანგებო დიპლომატიური მისიით კავკასიაში მოავლინა მაღალი რანგის მოხელე (სპათარი), ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, მოქნილი დიპლომატი ლეონ ისავრიელი, რომელსაც დაეუკლა ალანთა მოსყიდვა და მათი აბაზგ – ლაზების წინააღმდეგ ამხედრება.<sup>7</sup> დასავლეთ საქართველოში, ფაზისში,<sup>8</sup> მოსულ ლეონ ისავრიელს თავდაპირველად, ეტყობა, რამდენადმე გაუჭირდა თავისი მისიის აღსრულება და მან ეს მხოლოდ მას შემდეგ შესძლო, როდესაც აფშილების მომხრობა მოახერხა. მათ ჯერ თავიანთი ტერიტორიით გაატარეს ბიზანტიელი ემისარი ალანთაში, სადაც ამ უკანასკნელმა მოაწყო აბაზგთაში ალანთა მარბიელი ლაშქრობის ინსპირირება, ხოლო მოგვიანებით „აფშილთა შორის უპირველესმა“ მარინოსმა ფაქტობრივად უზრუნველყო მისი უსაფრთხო მობრუნება ალანიდან, ამჯერადაც აფშილეთის გზით.

ლეონ ისავრიელის მისიამ თავის მიზანს მიაღწია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან შეძლო ალანთა წაქეზება და ისინი აბაზგებს მიუსია. აბაზგთა ცდა, დიპლომატიური არხებით მოეგვარებინათ

<sup>6</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 85; Т.Г. Папуашвили, Взаимоотношения грузин и абхазов на фоне политической обстановки в Этриси и Абхазии в VII-VIII вв. წიგნში: Г.А. Амичба, Т.Г. Папуашвили, Из истории совместной борьбы грузин и абхазов против иноземных завоевателей (VI-VIII вв), Тб., 1985, გვ. 75.

<sup>7</sup> თეოფანე უამთააღმწერელი, გვ. 106; З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 86. А.А. Богвердзе, Раннефеодальные..., გვ. 174.

<sup>8</sup> როგორც ჩანს, ამ დროს სანაპირო ზოლს ბიზანტიელები აკონტროლებდნენ. А.А. Богвердзе, Раннефеодальные..., გვ. 175.

<sup>9</sup> თეოფანე უამთააღმწერელი, გვ. 106.

კონფლიქტი ალანებთან, წარუმატებელი გამოდგა. მათი ორგანიზაციული ელჩობა ალანიაში ამ ქვეყნის მესვეურთა მოსყიდვისა და ამ გზით კონსტანტინოპოლის რეზიდენტის ხელში ჩაგდების მიზნით ფაქტობრივად ჩაიფუშა. ალანებმა ვერაგულად მოატყუეს აბაზგები, ფულიც აიღეს, ბიზანტიელი სტუმარი კი არ გადასცეს მათ. უფრო მეტიც, ალანებმა კვლავ დალაშქრეს აბაზგთა ქვეყანა და იქიდან მრავალი ტყვეც წაიყვანეს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლეონ ისავრიელმა ალანთა და აფშილთა მეშვეობით შესძლო აბაზგების ბლოკირება, რის შემდეგაც ეს უკანასკნელნი, როგორც ჩანს, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ. მან აბაზგთა მმართველს საგანგებო წერილი გამოუგზავნა, რომელშიც უბრძანებდა მას ხელი შეეწყო ლეონ ისავრიელის ბიზანტიაში უვნებლად მობრუნებისათვის, რის საფასურადაც ადრე ჩადენილი შეცოდებების პატიებას ჰპირდებოდა.<sup>11</sup> თეოფანე ყაპთააღმწერლის ცნობით, აბაზგები სიხარულით შეხვედრიან იმპერატორის ამ წინადადებას და სათანადო აქტიურობაც გამოუჩინიათ ლეონ ისავრიელის ალანიიდან გადმოსაყვანად, მაგრამ მათი მესამე ელჩობაც ჩრდილოეთ კავკასიაში უშედეგოდ დასრულდა. ლეონ ისავრიელი არც ახლა ენდო აბაზგებს და ამჯერადაც მოცდა ამჯობინა.<sup>12</sup>

ბიზანტიის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლეონ ისავრიელის დიპლომატიურ მისიას კავკასიაში და მისი წარმატების უზრუნველსაყოფად დამატებითი, ამჯერად უკვე სამხედრო ზომების მიღებაც გადაწყვიტა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ბიზანტიელთა სამხედრო „დესანტის“ (ბიზანტიურ – სომხური შეიარაღებული ნაწილების) გადასხმა ლაზიკაში, რომელმაც ალყა შემოარტყა არქეოპოლისს.<sup>13</sup> მაგრამ კონსტანტინოპოლის ამ გამოხდომას უმაღლვე უპასუხეს არაბებმა, რომლებმაც სასწრაფოდ გამოსწიეს ლაზიკის მთავარი ციხისაკენ და აიძულეს ბიზანტიელები, აყრილიყვნენ იქიდან.<sup>14</sup> ამ ბიზანტიური „დესანტიდან“ იყო ის ორასკაციანი რაზმი („რომელებისა და სომხებისგან შემდგარი“), რომელიც აფშილეთისა და მისიმიანეთის მთებში ჩარჩა და იქ ყაჩაღობით ირჩინდა თავს.<sup>15</sup> ამ რაზმის იმედით ლეონ ისავრი-

<sup>10</sup> თეოფანე ყაპთააღმწერელი, გვ. 107-109.  
<sup>11</sup> იქვე, გვ. 109-110.  
<sup>12</sup> იქვე, გვ. 110.  
<sup>13</sup> იქვე.  
<sup>14</sup> იქვე.  
<sup>15</sup> იქვე.

ელმა დატოვა ალანია და მათკენ გამოეშურა. მან მონღოლმა მისიმიანთა მთავარი სიმაგრის – ე.წ. „რკინის ციხის“ (წახარის) დაუფლება, რომელიც არაბებს ეკავათ. მათ გარნიზონს სომეხი კომენდანტი, ვინმე ფარასმანი ხელმძღვანელობდა. ლეონმა მოციქული, ასევე სომეხი – ამჯერად უკვე თავისი რაზმიდან – გაუგზავნა ფარასმანს და ციხის ჩაბარება მოსთხოვა, მაგრამ კომენდანტმა ლეონის ელჩი ცივი უარით გამოისტუმრა. სწორედ ასეთ ვითარებაში აღმოუჩინა ბიზანტიელებს დახმარება „აფშილთა შორის უპირველესმა“ მარინოსმა, რომელიც სამასი აფშილთ მთა და დაეხმარა ციხის დაუფლებაში.<sup>16</sup> იმავე მარინოსმა დიდი პატივით მიიპატიჟა მალაღწინოსანი ბიზანტიელი სტუმარი აფშილეთში და ღირსეული მასპინძლობა გაუწია მას, ხოლო შემდეგ მიაცილა ის ზღვის ნაპირამდე, საიდანაც ლეონი გემით კონსტანტინოპოლს გაემართა.<sup>17</sup>

ასე დასრულდა ლეონ ისავრიელის ვოიაჟი კავკასიაში. როგორც ვხედავთ, მან მოახერხა, შეერყია არაბთა გავლენა დასავლეთ საქართველოში. ბიზანტიური დიპლომატიის ეს წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა აფშილთა გამოკვეთილმა ანტიარაბულმა პოზიციამ. ამ დროიდან, სწორედ აფშილები იქცნენ ბიზანტიური პოლიტიკის დასაყრდენად რეგიონში. ისტორიოგრაფიაში „აფშილთა შორის უპირველესის“ მარინოსის პრობიზანტიური კურსი ახსნილია იმით, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ვერ გაუძლო არაბთა ჩაგვრას.<sup>18</sup> რასაკვირველია, არ შეიძლება იმის მთლიანად უარყოფა, რომ არაბებს თავიანთი მკაცრი პოლიტიკით, მართლაც შეეძლოთ გამოეწვიათ აფშილთა გაღიზიანება, მაგრამ ჩვენ უფრო იმ აზრს ვემხრობით, რომ აფშილეთის მმართველი მარინოსის ანტიარაბული დემარში მთლიანად განპირობებული იყო აფშილეთის არისტოკრატიის სურვილით, თავი დაეღწიათ ლაზიკის უზენაესობისაგან.<sup>19</sup> უნდა ვიფიქროთ ასევე, რომ აფშილთა სწრაფვა სუვერენიტეტის მოპოვებისაკენ ინსპირირებული იყო კონსტა-

<sup>16</sup> თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 113. საინტერესოა, რომ ბიზანტიელი ავტორის ცნობით, მარინოსმა ეს ლეონის შიშით გააკეთა (გეორგიკა, IV, ნაკვ. 1, გვ. 112), მაგრამ, ჩვენი აზრით, აფშილების ბელადს სხვა უფრო შორსმომავალი მიზნები ამოძრავებდა.

<sup>17</sup> თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 113.

<sup>18</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 92.

<sup>19</sup> А.А. Богвердзе, Раннефеодальные..., გვ. 184

ნტინოპოლის მიერ, რომელიც ამ გზით ცდილობდა ანტიბიზანტიურად განწყობილი ლაზიკა-ეგრისის ცენტრალური ხელისუფლებისათვის მტკივნეული დარტყმა მიეყენებინა.<sup>20</sup> როგორც ირკვევა, მარინოსმა მი-აღწია კიდევ მიზანს და ბიზანტიის აქტიური მხარდაჭერით მართლაც მოიპოვა სუვერენიტეტი. ამის დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მარინოსი მოგვიანებით (738, 740 წლების ამბებთან დაკავშირებით) ორჯერ იხსენიება პატრიკიონის ტიტულით. ამ ტიტულს კი, როგორც წესი, ბიზანტიისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ქვეყნების მმართველებს ანიჭებდნენ.<sup>21</sup>

ლეონ ისავრიელის ვოიაჟის შედეგად, როგორც ჩანს, აბაზგიაც ჩამოცილდა ლაზიკა — არაბებს და ბიზანტიის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ დროიდან ამტკიცებდა „აფხაზეთის ერისთავს“ ბიზანტიის კეისარი. ერთი სიტყვით, VIII ს. 10-იანი წლების დამდეგისათვის ბიზანტიამ რამდენადმე აიღო რევანში და ნაწილობრივ მაინც აღადგინა თავისი გავლენა დასავლეთ საქართველოში. ამასთან, ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო ლაზიკის ცენტრალურ რაიონებში. სახალიფოს ხელისუფლება არ შეიძლებოდა, არ დაეფიქრებინა აბაზგია-აფშილეთის განდგომას და საფიქრებელია, რომ არაბები ყოველნაირად ეცდებოდნენ, არ დაეშვათ ბიზანტიელთა წინსვლა ლაზიკის სიღრმეში. ის ფაქტი, რომ მათ ასე ოპერატიულად აღკვეთეს ბიზანტიელთა მიერ არქეოპოლისის დაკავების მცდელობა, სწორედ ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მაგრამ, როგორც ჩანს, მოგვიანებით არაბთა გავლენა ლაზიკა-ეგრისის ამ ნაწილშიც შეირყა.

როგორც ცნობილია, VIII ს. 20-იან წლებში სახალიფოს მნიშვნელოვანი გართულებები ჰქონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. არაბულ წყაროებში (ტაბარი, ალ-ბალამი) დაფიქსირებულია იმდროინდელი ქართლის მმართველის საკმაოდ მასშტაბური ანტიარაბული სამხედრო დიპლომატიური მოღვაწეობა.<sup>22</sup> ეს ის პერიოდი იყო, როდესაც არაბთა მფლობელობას ამიერკავკასიაში სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ხაზარებმა. ქართლის ერისმთავარი, რომელიც ამ დროს სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების ძლიერ ზეწოლას განი

<sup>20</sup> А.А. Богверадзе, Раннефеодальные..., გვ. 184.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> ამის შესახებ იხ.: М.И. Артамонов, История хазар, გვ. 213; А.Н. Тер-Гевондян, Армения и Арабский халифат, გვ. 87-88; ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა, გვ. 83-87, 94-95.

ცდიდა,<sup>23</sup> შეეცადა ხაზართა მეშვეობით განედევნა არაბები აღმოსავლეთ საქართველოდან. როგორც იუწყება ცნობილი არაბი ავტორი ალ-ტაბარი, „ქართველი მალიქი“ გამოვიდა სათანადო დიპლომატიური ინიციატივით, წარავლინა ხაზართა ხაკან ხაკასრთან თავისი ელჩი და შესთავაზა მას არაბთა წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიციის მოწყობა ამიერკავკასიაში.<sup>24</sup> ხაზარები გამოეხმურნენ ქართლის მმართველის ინიციატივას და მართლაც ილაშქრეს ამიერკავკასიაში ხაკანის ძის ბარჯიკის წინამძღოლობით. გადამწყვეტი შეტაკება მოხდა აზერბაიჯანში – ქ. არდებილთან 730 წელს.<sup>25</sup> ხაზარებმა გაანადგურეს არაბთა ჯარი. ბრძოლაში დაიღუპა ცნობილი სარდალი, ქართლის არაერთხელ დამლაშქრავი ჯარაჰ იბნ-აბდალლაჰი.<sup>26</sup> ერთ-ერთი ავტორის (ალ-ბალამი) ცნობით, არაბთა დამარცხებაში დიდი წვლილი სწორედ ქართლის ხელისუფალმა („მალიქმა“) ითამაშა, რომელიც თავისი ჭკვიანური რჩევებით დიდად დაეხმარა ხაზართა სარდალს.<sup>27</sup> არაბთა მიერ განცილებმა ამ კატასტროფამ, როგორც ჩანს, დროებით გააძლიერა ქართლის მმართველი დინასტიის პოზიციები და საფიქრებელია, არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ამ დროიდან დამყარდა სტეფანოზ ერისმთავრის

<sup>23</sup> VIII საუკუნის 20-იან წლებში ამიერკავკასიის ახალმა გამგებელმა ჯარაჰ-იბნ აბდალლაჰმა განაახლა თავის დროზე (VII ს. შუა ხანები) ჰაბიბ იბნ-მასლამას მიერ ქართლის მოსახლეობისთვის ბოძებული ე.წ. „დაცვის სიგელი“, რომელშიც შეტანილ იქნა თბილისის ირგვლივ მცხოვრები ხალხის მიერ ჯიზიასთან ერთად ამჯერად უკვე ხარაჯის გადახდის ვალდებულება, რამაც, ეტყობა, უკიდურესად დამაბა ქართულ-არაბული ურთიერთობა და ქართული მოსახლეობის პროტესტის აზვირთება გამოიწვია. ამის შესახებ იხ.: ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა..., გვ. 75-85.

<sup>24</sup> ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა..., გვ. 86; А.А. Богверадзе, Раннефеодалные..., გვ.176.

<sup>25</sup> ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაზიარებულია ეს დათარიღება (ამის შესახებ იხ.: ბ.სილაგაძე, არაბთა ბატონობა..., გვ. 85). თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი არდებილთან ბრძოლისა და ჯარაჰის დაღუპვის თარიღად 731-732 წლებს მიიჩნევს (А.П. Новосельцев, Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа, М., 1990, გვ. 178.).

<sup>26</sup> ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა..., გვ. 85; М.И. Артамонов, История хазар, გვ. 211-213.

<sup>27</sup> М.И. Артамонов, История хазар, გვ. 213; ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა..., გვ. 95.

სახლის კონტროლი ეგრისზე.<sup>28</sup> თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ქართლის მმართველ წრეებს უფრო ადრეც გადაედგათ გარკვეული ნაბიჯები ეგრისის შემოერთებისა და იმიერ-ამიერ – საქართველოში ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის, ამასთან, ეს მათ სულაც არაბთა ხელშეწყობით მოეხერხებინათ.<sup>29</sup>

და მაინც, უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ეგრისზე ქართლის მმართველი დინასტიის გაბატონება ბიზანტიის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით მომხდარიყო. მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ არაბებს სათანადოდ არ დაეფასებინათ ლაზიკის პატრიკიონის სერგი ბარნუკის ძის ღვაწლი სახალიფოს წინაშე და

<sup>28</sup> ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება ბოლა ყოფილიყო ქართველი „მალიქი“, რომელმაც მოიწვია საზარები არაბთა წინააღმდეგ. ბ. სილაგაძე, იზიარებს რა გ. აბრამიშვილისეულ დათარიღებას არჩილ II-ის ზეობისა – 719-745 წწ. (იხ. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 35, 53), ფიქრობს, რომ ეს „მალიქი“ იყო არჩილ ერისმთავარი (ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა..., გვ. 87). განსხვავებული მოსაზრება აქვს ა. ბოგვერაძეს, რომელიც თვლის, რომ 730 წელს ერისმთავარი უნდა ყოფილიყო არა არჩილი, არამედ მამამისი – სტეფანოზ II (ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979, 101-102; მისივე, Раннефеодальные..., გვ. 177.), რაც, ჩვენი აზრით, უფრო მისაღები ჩანს.

<sup>29</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 76-77. ისტორიაში არცთუ იშვიათად მომხდარა, რომ სხვადასხვა იმპერიებს დაპყრობილ ქვეყნებში სათანადო სახელმწიფო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით თვითონ შეუწყვიათ ხელი ამა თუ იმ ცენტრის, ან პიროვნების დაწინაურებისა და მის ირგვლივ სხვა რეგიონების გაერთიანებისათვის. საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში ამის ნათელ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ თუნდაც ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფოს ფორმირების პროცესი II-V სს.-ში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლაზ მუფეთა დაწინაურებასა და მათი კვერთხის ქვეშ მთლიანად დასაკლეთ საქართველოს გაერთიანებას ხელს უწყობდა რომის იმპერია. რასაკვირველია, ეს, პირველ რიგში, თვით რომის იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. როგორც ცნობილია, III-V საუკუნეებში რომს აღმოსავლეთში გამოუჩნდა მრისხანე მეტოქე სასანიდური ირანის სახით, რომელმაც აშკარად შეუქმნა საფრთხე რომის მფლობელობას ამიერკავკასიაში. ამავე პერიოდში ვახშირდა (ჩრდილოეთ კავკასიიდან) სხვადასხვა მომთაბარე ტომთა (გუთების, ჰუნების) ამაოზრებული შემოსევები. ასეთ ვითარებაში, რომს დაქსაქსული წვრილი „სამეფოების“ ნაცვლად ესაჭიროებოდა ძლიერი ვასალი – მოკავშირე, რომელიც იქცეოდა რომის მთავარ დასაყრდენად ამიერკავკასიაში. სწორედ ეს ფუნქცია ეკისრებოდა ლაზიკა-ეგრისის სამეფოს ახ. წ. III-V სს.-ში. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: Н.Ю. Ломоури, Западная Грузия - Этриси (Лазика) в IV-V вв. - "Очерки истории Грузии," т. II, Тб., 1988, გვ. 113-115.

მისთვის, თუ მისი მემკვიდრეებისათვის ვერაგულად წაერთმიათ ლაზიკა-ეგრისის ქვეყნის მმართველობა. ჩვენი აზრით, ამას არა სახალიფო, არამედ სწორედ ბიზანტიის ხელისუფლება გააკეთებდა, რომელიც უთუოდ არ გაუშვებდა შანსს, დაემხო „მოლალატე“ სერგი ბარნუკის ძის საგვარეულოს მმართველობა და ლაზიკაში მისთვის სასურველი რეჟიმი დაემყარებინა. ასეთად კი არაბების წინააღმდეგ ენერგიულად მებრძოლი სტეფანოზ ერისმთავრის სახლი მიეჩნია. ჩვენი აზრით, კონსტანტინოპოლი უთუოდ იქნებოდა დაკავშირებული იმ მოვლენებთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაში VIII ს. 20-იან წლებში.<sup>30</sup> არაა გამორიცხული, რომ ქართლის ერისმთავრის ფართო ანტიარაბული სამხედრო-დიპლომატიური საქმიანობა, რომლის შესახებაც ზემოთ ვგვქონდა საუბარი, სწორედ იმპერიის მიერ ყოფილიყო ინსპირირებული.<sup>31</sup> სავსებით დასაშვებია, რომ ბიზანტიის იმპერიამ ამ დროიდან სწორედ ქართლის ერისმთავარი ჩათვალა მთავარ ანტიარაბულ ძალად ამიერკავკასიაში და თავად გადადგა ნაბიჯები მისი პოზიციების განსამტკიცებლად.<sup>32</sup> უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, შეიძლება მსჯელობა ლაზიკა-ეგრისის ერთგვარ გადანაწილებაზეც. იმპერიამ თავისთვის დაიტოვა აბაზგია – აფშილეთი (მდ. კელასურამდე), ხოლო ლაზიკის დანარჩენ ნაწილში ქართლის ერისმთავრის მფლობელობა ცნო. ეს თუ ასეა, ლაზიკის განაწილება კონსტანტინოპოლის დიპლომატიის უაღრესად წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამით ბიზანტიამ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვა ლაზიკა-ეგრისს, როგორც ცალკე სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, რომელიც, როგორც ცნობილია, არაერთხელ დაპირისპირებია ბიზანტიის ინტერესებს ამიერკავკასიაში (გაეზისენოთ თუნდაც გუბაზ II-ის ანტიბიზანტიური დემარში 542 წ., როდესაც მან ლაზიკაში სპარსელები მო-

<sup>30</sup> ცნობილი რუსი მკვლევარის ა. ნოვოსელცევის აზრით, ბიზანტია – სახალიფოს და ხაზარეთ-არაბების ომები არა მარტო ურთიერთდაკავშირებული მოვლენები იყო, არამედ VIII ს. I ნახევარში საერთოდ არსებობდა ბიზანტია-ხაზარეთის (სამხედრო-პოლიტიკური) კავშირი არაბების წინააღმდეგ. А.П. Новосельцев, Хазарское государство..., გვ. 178.

<sup>31</sup> ა. ბოგვერადის აზრით, ხაზართა მოწვევისას (730 წ.) ქართლის მმართველი მოქმედებდა ბიზანტიის ხელისუფლების სახელით. А.А. Богверадзе, Раннефеодалные..., გვ. 177.

<sup>32</sup> ა. ბოგვერადეს საერთოდ მიაჩნია, რომ ქართლიდან დევნილ ერისმთავარს ბიზანტიის მაშინდელმა იმპერატორმა ლეონ ისავრიელმა მიანიჭა ლაზიკის პატრიკიონის ტიტული. იხ.: ა. ბოგვერადე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება..., გვ.99.

იწვია). ეგრისის დიდი ნაწილის ქართლისათვის მიერთებითა და ბიზანტიის ერთგული ქართლ-ეგრისის ერთიანი სახელმწიფოს შექმნით, იმპერია განავრცობდა (იურიდიულად მანც) თავისი გავლენის სფეროებს და ფაქტობრივად ცდილობდა იმ ვითარების აღდგენას, რომელიც შეიქმნა 628 წელს ჰერაკლე კეისრისა და ხაზარების მიერ თბილისის აღების შემდეგ. გარდა ამისა, ბიზანტიის ხელისუფლება სხვა უფრო ლოკალურ ამოცანებსაც წყვეტდა. საფიქრებელია, რომ კონსტანტინოპოლმა „დააკმაყოფილა“ აბაზგია – აფშილეთის ლიდერთა სწრაფვა, ჩამოშორებოდნენ ლაზიკა-ეგრისს და უშუალოდ დაიქვემდებარა ისინი. სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ქართულ მატრიანეში კელასურს იქითა ქვეყანა (ე.ი. აბაზგია – აფშილეთი) საბერძნეთად არის გამოცხადებული.<sup>33</sup> არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია (ჯუანშერი) მაინცდამაინც ამ პერიოდის (VIII ს. 30-იანი წლების) მოვლენების აღწერისას აფიქსირებს პირველად ცნებას „საქართველო“, რომელიც მოიცავს ქართლ-ეგრისს და რომლის საზღვარი საბერძნეთთან (ე.ი. ბიზანტიასთან) გადის მდ. კელასურზე.<sup>34</sup>

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია – VIII ს. 30-იან წლებში საქართველოში მურვან-ყრუს ლაშქრობის წინ, ლაზიკა-ეგრისს თავისი ადგილობრივი ხელისუფალი არ ჰყავს<sup>35</sup> და ეს ქვეყანა სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახელმწიფოს ნაწილად არის ნაგული-სხმევი.<sup>36</sup> ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი და უნდა მიგვანიშნებდეს

<sup>33</sup> ჯუანშერ ჯუანშერიანი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, – „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 235.

<sup>34</sup> იქვე.  
<sup>35</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1949, გვ. 89. ნიშანდობლივია, რომ სერგი ბარნუკის ძე არის უკანასკნელი ჩვენთვის ცნობილი ლაზი ხელისუფალი. ამის შემდეგ წყაროებში არა გვაქვს არავითარი ინფორმაცია ლაზიკის ადგილობრივ მმართველებზე, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეგრისში ამ პერიოდში ხელისუფლების ადგილობრივი ინსტიტუტი ნამდვილად არ არსებობდა.

<sup>36</sup> ისტორიოგრაფიაში სულ უფრო პოპულარული ხდება აზრი იმის შესახებ, რომ ჯუანშერის თხზულებაში დაფიქსირებული ქართლ-ეგრისის ერთიანობა და სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახლის ეგიდით საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნა ისტორიულ რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს. დაწვრილ. იხ.: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1978, გვ. 579; ზ. ალექსიძე, ქართული და სომხური წყაროები VIII ს. დამდეგს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ, – წიგნში: „ეპისტოლეუთა წიგნი.“ სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამო-



იმაზე, რომ ამ დროს მართლაც ჰქონდა ადგილი დიდ ცვლილებებს საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე და რომ სადღაც VIII ს. 20-იანი წლებიდან მაინც, ნამდვილად შეწყვეიბა არსებობა ლაზიკა-ეგრისის გაერთიანებამ და მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ერთიანი ქართლ-ეგრისის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. რაც შეეხება მდ. კელასურს იქითა ტერიტორიას – აფხაზეთ-აფშილეთს, იქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალოდ იმპერიის ადმინისტრაცია დამყარდა, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული მატიანის „ერისთავი კეისრისა“ მთლად ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო მოხელეს არ ნიშნავდა. ამ შემთხვევაში, როგორც ეს სავესებით სწორად არის აღნიშნული ისტორიოგრაფიაში, საქმე უნდა გვქონდეს ადგილობრივ მმართველთან, ფაქტობრივად მთავართან,<sup>37</sup> რომელსაც ნიშნავდა ან ამტკიცებდა ბიზანტიის ხელისუფლება. ყოველი შემთხვევისათვის, უთუოდ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მურვან-ყრუს დასავლეთ საქართველოში მოსვლის ჟამს, ქართული მატიანის მიხედვით, ლეონ „აფხაზეთის ერისთავი“ ერთადერთი ადგილობრივი ლიდერია და სხვა ვინმე მის გარდა იმდროინდელ მოვლენებში არ ფიგურირებს, თუმცა ბიზანტიელი ავტორი თეოფანე ჟამთააღმწერელი დაახლოებით იმავე პერიოდის (738,740 წლების) ამბების აღწერისას ახსენებს აფშილეთის მმართველის პატრიკიოზ მარინოსის ვაჟს ევსტაფისაც.<sup>38</sup>

მურვან-ყრუს ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში არაბთა მხრიდან ლიხსიქეთში სახალიფოს კონტროლის აღდგენის სერიოზული მცდელობა იყო. თუ ქართული მატიანის მონაცემებს ვენდობით (უნდა ითქვას, რომ მათში დაუჯერებელი არაფერი არ უნდა იყოს),<sup>39</sup> ბიზანტიის დიპლომატიამ მარჯვედ გამოიყენა მირისა და არჩილის მიერ აფხაზეთში ანაკოფიის კედლებთან მოპოვებული სამხედრო წარმატების შემდეგ მურვან-ყრუს წასვლა დასავლეთ საქართველოდან და ქართლის ერისმთავრები თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა. ქართველი მემატიანე საკმაოდ დაწვრილებითა და საინტერესოდ

სცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 173; ვ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 35; ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური..., გვ. 99-100; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის., გვ. 76-77; Т.Г. Папуашвили, Взаимоотношения грузин и абхазов..., გვ. 65.

<sup>37</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 87.

<sup>38</sup> თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 115-116.

<sup>39</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი, ტ. II; თბ., 1965, გვ. 80.

აღგვიწერს ამ პერიოდის ქართულ-ბიზანტიური დიპლომატიური კონტაქტების პერიპეთიებს. როგორც ამ მასალებიდან ჩანს, მრისხანე არაბ სარდალზე გამარჯვებულ<sup>40</sup> ქართველ ერისმთავრებსა და ლეონ „აფხაზეთის ერისთავს“ საგანგებო ელჩობა მოუწყვიათ კონსტანტინოპოლს და ბიზანტიის იმპერატორისათვის საზეიმოდ უცნობებიათ „ესე ყოველი, რაცა იქმნა ღმრთისა მიერ ხელითა მათითა.“<sup>41</sup> იმპერიის ხელისუფლებამ, ეტყობა, სწორად შეაფასა დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენები და მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინა არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ჯუანშერის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორმა „წარმოსცა ორი გვირგვინი და გუჯარი მირსა და არჩილს და მოსწერა მათ თანა, ვით-

<sup>40</sup> ისტორიოგრაფიაში არ არის ცალსახა შეფასება მურვან-ყრუს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის შედეგებისა. კერძოდ, არსებობს შეხედულება, რომ ქართველ ერისმთავრებს არ მოუპოვებიათ დიდი გამარჯვება არაბ სარდალზე. ამასთან დაკავშირებით ყურადღება ექცევა ანონიმი ავტორის „დავით და კონსტანტინეს წამების“ მონაცემებს, რომლებიც თითქოს უარყოფენ ჯუანშერის თხზულებაში მოცემულ ინფორმაციას ანაკოფიის ბრძოლის შესახებ (A.A. Богверд-ზე, Раннефеодальные..., გვ. 178). „დავით და კონსტანტინეს წამებაში,“ რომლის ჩვენამდე მოღწეული ვარიანტი XII ს. I ნახევარში უნდა იყოს შექმნილი (ქართული პროზა, წ. I, თბ., 1982, გვ. 584). მართლაც არის მითითება იმაზე, რომ ქართულიდან დევნილი ერისმთავრების მცირერიცხოვანი რაზმი გამოსული ანაკოფიის ციხიდან „ბრძოლად წარმართთა იძლინეს მათგან, რამეთუ მოკლეს ძმაი უხუცესი არჩილ, ხოლო დარჩილ შევიდა ციხესავე ანაკოფიას“ (ქართული პროზა, წ. I, გვ. 178, ხაზგასმა ჩვენი - ზ.პ.). მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერის თხზულებაში უდავოდ არის ერთგვარი გადაჭარბება ანაკოფიის ბრძოლის აღწერისას და აქ შესაძლებელია მირისა და არჩილის ლაშქარს მართლაც არ მოუპოვებია „დიდი ძლევა,“ ჩვენ მაინც მივგანჩნია, რომ ჯუანშერთან დაცული ინფორმაცია უფრო სანდოა. ყოველი შემთხვევისათვის, ერთი რამ ფაქტია: მურვან-ყრუმ ანაკოფია ვერ აიღო (ამას „დავით და კონსტანტინეს წამება“-ც ადასტურებს) და ის იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა დასავლეთ საქართველო. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ რიგ მკვლევარებს ეჭვი შეაქვთ მურვან-ყრუს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის რეალურობაში. ერთი მოსაზრებით ასეთ ამოხრებელ ლაშქრობას ეგრისში ადგილი უნდა ჰქონოდა არა 735-38 წლებში, არამედ უფრო ადრე (VIII ს. დამდეგს) და აქ მოსულა არა მურვან იბნ-მუჰამადი, არამედ მისი მამა მუჰამად იბნ-მურვანი (გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის..., გვ. 31), მეორე შეხედულებით ჯუანშერის თხზულებაში დაფიქსირდა ცნობილი არაბი სარდლის მასლამა იბნ აბდ ალ-მალეჩის 731 წლის ლაშქრობა ამიერკავკასიაში, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მურვან იბნ-მუჰამადი, როგორც ლაშქრის ერთ-ერთი სარდალი (ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა..., გვ. 105.).

<sup>41</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 239.

არმელ: „თქუენი იყო მეფობა, სიმხნე და სიბრძნე ქართლსა შინა...“<sup>42</sup>

როგორც ვხედავთ, ბიზანტიამ ცნო ქართლის ლიდერთა სამეფო უფლებები ქართლ-ეგრისში. ამავე დროს, იმპერატორმა განსაზღვრა ლეონის სტატუსიც და დაუმტკიცა მას „აფხაზეთის ერისთავობა“ მემკვიდრებით, თან საგანგებოდ გააფრთხილა ის: „კეთილად პატივ-სცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნულარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით.“<sup>43</sup> ერთი სიტყვით, ბიზანტიის ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოში ფაქტობრივად ახალი წესრიგი დაამყარა. მან განამტკიცა ქართლის მმართველი დინასტიის ლეგიტიმური უფლებები ეგრისზე, ხოლო აფხაზეთის ერისთავს უბრძანა, ლოიალობა გამოეჩინა ქართლ-ეგრისის ხელმწიფეთა მიმართ. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჯუანშერის თხზულებიდან შემოთმოყვანილ ცნობაში დაფიქსირებული ბიზანტიის იმპერატორის მითითება ლეონისადმი: „ამიერითგან ნულარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა (ე.ი. ქართლის „მეფეთა“ – ზ.პ.) და საზღვართა მათთა ეგრისათა,“<sup>44</sup> რაც აშკარად უნდა მიგვანიშნებდეს იმას, რომ მანამდე „აფხაზეთის ერისთავი“ იჩენდა გარკვეულ აქტიურობას ამ მიმართულებით და დიახაც „ვნებად“ მათ. უფრო მეტიც, საფიქრებელია, რომ „აფხაზეთის ერისთავის“ ამგვარი ქმედებანი თვით კონსტანტინოპოლის მიერ ყოფილიყო ინსპირირებული. ამაზე უნდა მიუთითებდეს იმპერატორის მიერ ლეონისადმი გაგზავნილ წერილში იმის ხაზგასმაც, რომ „ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩუენგან ქმნილ არს ვნება“.<sup>45</sup>

ქართულ-ბიზანტიური დიპლომატიური კონტაქტების გააქტიურების ამსახველ შემოთმოტანილ მასალებზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ცალკეულ უზუსტობებს, რომლებიც გვხვდება აფხაზი ისტორიკოსის მ. გუნბას შრომებში. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს აფხაზი მკვლევარის არასწორი ინტერპრეტაცია სიტყვისა „ხელგეწიფების“, რომელიც მას გაგებულ

<sup>42</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 239.  
<sup>43</sup> იქვე, გვ. 240.  
<sup>44</sup> იქვე (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).  
<sup>45</sup> იქვე, გვ. 239 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).



აქვს „ხელმწიფედ“ („властитель,“ „государь“ )<sup>46</sup>. აქედან გამომდინარე, მ. გუნბა აკეთებს სრულიად დაუსაბუთებელ დასკვნას იმის შესახებ, რომ თითქოს ლეონს უკვე ჰქონდა „მეფის“ (ხელმწიფის) სტატუსი და მხოლოდ ამიტომ არ გამოუგზავნა მას ბიზანტიის იმპერატორმა ცალკე სამეფო გვირგვინი. ამ შემთხვევაში, მ. გუნბა უშვებს უხემ ენობრივ შეცდომას, რაც ძველი ქართულის არასაკმარისი ცოდნით არის გამოწვეული. სინამდვილეში, ჯუანშერის ცნობაში სრულიად გარკვევით წერია, რომ ლეონს არ უნდა ხელეწიფებოდეს (ე.ი. არ უნდა შეეძლოს) ქართლის მეფეთათვის ზიანის მიყენება. მ. გუნბა ლეონ I მეფობის სტატუსისა და არჩილის სახლისაგან მისი სუვერენიტეტის ძიებით იმდენად გატაცებულია, რომ ვერ ამჩნევს იმ ელემენტარულ წინააღმდეგობრიობას, რომელშიც ის ვარდება. ასე, მაგალითად: თავისი ნაშრომის ერთ ადგილას მ. გუნბა კატეგორიულად აცხადებს, რომ „факт зависимости Леона I от Арчила не подтверждается источниками“<sup>48</sup> და იქვე აღნიშნავს, რომ „зависимость Леона I от Арчила, на наш взгляд, могла существовать только при этих правителях и продлиться около десяти лет, поскольку Арчил был казнён в 745 году.“<sup>49</sup> აქვე მ. გუნბა იჩენს საოცარ გულმავიწყობას და რატომღაც კვლავ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ასკვნის, რომ „Вообще в источниках нет прямых указаний на зависимость Леона I от Арчила. Они говорят о том, что Леон I и Леон II были правителями, зависимыми от Византии.“<sup>50</sup>

ჩვენ აქ არ ვაპირებთ მ. გუნბას ნაშრომში მოცემული ამ და სხვა არანაკლებ საეჭვო დებულებების საფუძვლიან კრიტიკულ ანა-

<sup>46</sup> М.М. Гунба, Абхазия в первом тысячелетии н.э. (Социально-экономические и политические отношения), Сухуми, 1989, გვ. 229; იხ. აგრეთვე: М.М. Гунба, К Вопросу о времени образования Абхазского царства, - "Известия" Абхазского научно-исследовательского института языка, литературы и истории им. Д.И. Гулия АН Грузинской ССР, II, Сухуми, 1973, გვ. 209.

<sup>47</sup> М.М. Гунба, Абхазия в первом тысячелетии..., გვ. 229.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>49</sup> იქვე (ნაზგასმა ჩვენია - ზ. პ.).

<sup>50</sup> იქვე (ნაზგასმა ჩვენია - ზ.პ.).



ლიზს, შეეჩერდებით მხოლოდ ლეონ I-ის სტატუსის საკითხზე. ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომ უკეთებს იმის რირებას მ. გუნბა ჯუანშერის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომ ბიზანტიის იმპერატორმა მაინცა და მაინც „ერისთავობა აფხაზეთისა“ (და არა მეფობა) უბოძა ლეონს და მის „შვილთა... და მომავალთა... მიუკუნისამდე.“<sup>51</sup> ასევე გაუგებარია, თუ რის საფუძველზე ადანაშაულებს აფხაზი ისტორიკოსი იოვანე საბანისძეს, როდესაც ეს უკანასკნელი აფხაზეთის ხელისუფალს (უკვე VIII ს. 80-იან წლებში) იხსენიებს „მთავრის“ ტიტულით — სუბიექტივიზმში.<sup>52</sup> იოვანე საბანისძე, როგორც ცნობილია, თხზულებაში აღწერილი მოვლენების თანამედროვეა და ამდენად მის მონაცემებს ფაქტობრივად დოკუმენტური მასალის მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იოვანე საბანისძე ძალზე ზუსტია თხზულებაში დაფიქსირებულ სხვა ხელისუფალთა ტიტულატურის ჩვენებისას. ასე, მაგალითად: ნერსე ერისმთავარს, რომელიც თავისი თანამდებობით ქართლის მეფეთა სამართალმემკვიდრე იყო, ის არ იხსენიებს მეფედ და მას ხან ერისმთავარს,<sup>53</sup> ხან კიდევ ერისთავს უწოდებს.<sup>54</sup> ერისმთავრად იხსენიება სტეფანოზიც, რომელმაც ქართლის მმართველის ტახტზე ნერსე შეცვალა.<sup>55</sup> ეს მაშინ, როდესაც ქართველი მწერალი ხაზარეთის ხელისუფალს მეფის ტიტულით იხსენიებს.<sup>56</sup> ყოველივე ეს შემთხვევითი რომ არ იყო და რომ იოვანე საბანისძე ქართველ თუ არაქართველ ლიდერთა სტატუსის ჩვენებისას, პირველ რიგში, გარკვეულ (ბუნებრივია, იმდროინდელ) პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ კონიუნქტურას ითვალისწინებდა, აშკარად ჩანს „ჰაბოს წამებიდან“ მოტანილი შემდეგი ნაწყვეტიდანაც: „... მეფობასა კონსტანტინეპოლის, ქალაქსა მას დიდსა, ქრისტიანეთა ზედა კონსტანტინეისსა, ძისა ლეონისსა, სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუშნისასა, ძისა მაჰდისსა, ქართლს შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისმთავრობასა სტეფანოზისასა, ძისა გუ-

<sup>51</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 240.

<sup>52</sup> М.М. Гунба, Абхазия..., გვ. 229.

<sup>53</sup> იოვანე საბანისძე, ჰაბოს წამება, — „ქართული პროზა“, ტ. I, თბ., 1982, გვ. 125.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 126-127.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 129-130.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 127.

რგენისსა...<sup>57</sup> ამრიგად, როგორც ვხედავთ, იოვანე საბანიძემ უკუ-  
ლაც არ არის ემოციებს აყვლილი ავტორი და მან მშვენივრად  
იცის, თუ რეალურად ვინ რომელი ტიტულის მატარებელია. ეს  
რომ ასე არ იყოს, მას არავინ დაუშლიდა მეფედ, პირველ რიგში,  
ქართლის ლიდერები მოესხენიებინა. თუ გავითვალისწინებთ იმა-  
საც, რა დიდი სიმპათიითაა გამსჭვალული „ჰაბოს წამების“  
ავტორი აფხაზეთის მთავრისადმი, მით უფრო გაუგებარი გახდება,  
თუ რატომ უნდა დაემალა მას ამ უკანასკნელის სამეფო რეგალი-  
ები. ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ  
ფაქტსაც, რომ შუა საუკუნეების ქართული აგიოგრაფიული მწე-  
რლობისთვის საერთოდ დამახასიათებელია სიზუსტე ამა თუ იმ  
მეფე-მთავრის სტატუსის გაშიფრვისას, რის ნათელ მაგალითად  
შეიძლება მოვიყვანოთ შესაბამისი ადგილი გიორგი მერჩულეს  
„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: „... დაიწერა ცხორებაი ესე...  
ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა  
ადარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა  
გიორგისსა, ძისა კონსტანტინე მეფისასა, ერისთავთა ერისთა-  
ვობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა, მაგისტროსო-  
ბასა ადარნერსესსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთავო-  
ბასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისასა...“<sup>58</sup> გარდა ამისა, იმავე  
თხზულებაში „აფხაზთა“ კიდევ ერთი ხელისუფალი – დემეტრე  
არაერთხელ იხსენიება მეფედ: „ერთი სიტყვით, ქართული აგი-  
ოგრაფიული ძეგლებიდან აქ მოტანილი მასალები ცალსახად მე-  
ტყველებენ იმაზე, რომ შუა საუკუნეების ქართველ მწერლებს სუ-  
ლაც არ ჰქონდათ ზერელე წარმოდგენა იმდროინდელ ქართველ  
მეფე-მთავართა ხელისუფლების აღმნიშვნელ გარეგნულ ატრიბუ-  
ტიკაზე და არა ვვაქვს არავითარი საბაბი, ეჭვი შევიტანოთ მათ  
მიერ ამა თუ იმ მოღვაწის მეფედ ან მთავრად მოხსენიების საფუ-  
ძვლიანობაში.

სრულიად გაუმართლებლად და ამასთან აშკარად ტენდენცი-  
ურად მიგვაჩნია აგრეთვე მ. გუნბას მცდელობა, რაღაც არ უნდა და-  
უჯდეს, უარყოს ლეონ I-ის მიერ არჩილის უზენაესობის აღიარება

<sup>57</sup> იქვე, გვ. 131 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).  
<sup>58</sup> გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, – „ქართული პროზა“, ტ. 1, თბ., 1982, გვ. 323 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).  
<sup>59</sup> იქვე, გვ. 242-246.

და „აფხაზეთის ერისთავის“ ქართლ-ეგრისის ლიდერის ვასალად გადაქცევა. ჯუანშერის ქრონიკაში, როგორც იტყვიან, შავით თეთრზე წერია, თუ როგორ განაცხადა ლეონ „აფხაზეთის ერისთავმა“ უარი არჩილის მიერ შემოთავაზებულ ჯილდოზე (უნდა ვიგულისხმობთ ეგრისის ნაწილიდან რაღაც ტერიტორიის გადაცემა ლეონისათვის მისი „კეთილისა მსახურებისა საფასურად“.) და როგორ სთხოვა მან ქართლის ერისთავს, რომ ისიც ეღიარებინა მას ისეთივე მონად, შვილად და ძმად, როგორადაც არჩილმა სცნო ქართლის ის ერისთავები, რომელთაც მიათხოვა გარდაცვლილი ძირის ქალიშვილები: „შემართე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირს-ყვენ შვილად და ძმად შენდა.“<sup>60</sup>

აფხაზეთის მემკვიდრეობითი მფლობელის ახალი სტატუსის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლეონის შემდეგ სიტყვებს, რომლითაც ის მიმართავს არჩილს: „არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“.<sup>61</sup> აგრეთვე ჯუანშერის მითითებას იმაზე, რომ „...ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა.“<sup>62</sup> ვფიქრობ, რომ ჯუანშერის ეს მონათხრობი არ იძლევა დაეჭვების არავითარ საბაბს (რასაკვირველია, თუ საერთოდ არ გამოვიუცხადებთ უნდობლობას აღნიშნულ მატთან მთლიანად, ან თუნდაც ფრაგმენტს მურვან-ყრუს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობისა და აქ დატრიალებული მოვლენების შესახებ)<sup>63</sup> და ვთვლით, რომ ლეონ „აფხაზე-

<sup>60</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 242 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>61</sup> იქვე (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>62</sup> იქვე, გვ. 243 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>63</sup> ცნობილია, რომ ისტორიოგრაფიაში ყველა მკვლევარი როდი ეკიდებოდა ნდობით ჯუანშერის მასალებს (იხ. მაგ.: ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, – თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 189-194.), მაგრამ, ჯერ ერთი, ძირითადად, ეს ეხებოდა საკუთრივ ვახტანგ გორგასლის ისტორიას და მეორეც, ამ უკანასკნელ ხანს უცხოურ წყაროებში მოპოვებულ იქნა არაერთი ახალი ცნობა, რომელიც ადასტურებს ჯუანშერის თხზულებაში გადმოცემული ისტორიული ფაქტების რეალურობას (მ. ლორთქიფანიძე, რედაქტორისაგან, – იხ. ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 13; მისივე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1976, გვ. 11-13.). გარდა ამისა, ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად დიფერენცირებული მიდგომა წყაროს ცნობებისადმი მხოლოდ იმ მოტივით, რომ იქ გადმოცემული ინფორმაციის ერთი ნაწილი არ ესადაგება წინასწარ აკვირებულ დასკვნას. არ შეიძლება უტყუარად მიიჩნიო ამა თუ იმ ცნობაში დაფიქსირებული ერთი რომელიმე კონკრეტული ფაქტი (ამ შემთხვევაში, ჯუანშერის მონათხრობი ბიზანტიის იმპერატორის მიერ



თის ერისთავმა“ მართლაც გადადგა ნაბიჯი არჩილის სახლთან და ახლოვებლად.<sup>64</sup> სრულიად აშკარაა, რომ „აფხაზეთის ერისთავი“ კარგად ზედადდა იმ პერსპექტივებს, რასაც მოუტანდა მას ქართლ-ეგრისის მმართველ დინასტიასთან დაახლოება-დანათესავება. შემთხვევითი არაა, რომ ჯუანშერი საგანგებოდ უსვამს ხაზს ლეონის დაქორწინებას მირის ერთ-ერთ ქალიშვილზე – გურანდუხტზე და იმ სამეფო გვირგვინის გადაცემის ფაქტს, „რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისათვის.“<sup>65</sup> ე.ი. თუ გარდაცვლილი მირის დანარჩენ ექვს სიძეს მზითევში კონკრეტული ტერიტორიები (საერისთავოები) ერგოთ მემკვიდრეობით მფლობელობაში, ლეონმა, მათგან განსხვავებით, უარი თქვა ამგვარ წყალობაზე. სამაგიეროდ, მან მიიღო ლეგიტიმური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი კომპენსაცია – თავისი სიძამრის სამეფო გვირგვინი, რითაც იმთავითვე განაცხადა პრეტენზია პოლიტიკური ძალაუფლების მპოვებაზე მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით.

ამრიგად, VIII ს. 30-იანი წლების მიწურულისათვის საქართველოში შეიქმნა სრულიად ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურა. მთელი იმერ-ამერი, კელასურს იქითა მხარის – აფხაზეთის ჩათვლით, იურიდიულად გაფორმდა ერთიან სახელმწიფოდ, რომლის სათავეში იდგა ქართლის ერისმთავრის არჩილის სახლი.<sup>66</sup> „აფხაზეთის ერისთავი“ ლეონი ნებაყოფლობით შე-

ლეონის აფხაზეთის მემკვიდრეობით მფლობელად გამოცხადების შესახებ), ხოლო იმავე ცნობაში გადმოცემულ სხვა ინფორმაციას (კერძოდ, ლეონის მიერ არჩილის უზენაესობის აღიარების ფაქტს) სრულებით არ გაუწიო ანგარიში. თუ წყაროს ესა თუ ის ფრაგმენტი არ იმსახურებს ნდობას (რაც არცთუ ისე იშვიათად გვხვდება), ამას სჭირდება არა ზერელე, უაპელაციო განცხადება, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული, ობიექტური წყაროთმცოდნეობითი არგუმენტაცია, რასაც სამწუხაროდ მ. გუნბას ნაშრომში ვერ ვხვდავთ.

<sup>64</sup> ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია საკვებით საფუძვლიანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლეონის შემოსვლა საერთო-ქართულ სამყაროში სანქციონირებული იყო კონსტანტინოპოლის მიერ. იხ.: З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 73; Т.Г. Папуашвили, Взаимоотношения..., გვ. 66.

<sup>65</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 241-243.

<sup>66</sup> ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება ერთიანი ქართლ-ეგრისის სახელმწიფოს შექმნის მხოლოდ ფორმალურ გამოცხადებაზე, რეალურად კი ასეთი სახელმწიფო არ არსებობდა, რადგან ჯერ მასლამა იბნ ალ-მალიქის, ხოლო შემდეგ მურვან იბნ-მუჰამადის დამსჯელი ექსპედიციების შედეგად სტეფანოზ ერისმთავრის სახლის მფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტობრივად ამოიკვეთა (შესაძლებელია, ის მხოლოდ კანეთს-პერეთს აკონტროლებდა.). უფრო





მოვიდა საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში და თავისი ახალი ქართლ-ეგრისის „მეფის“ (მირის) მემკვიდრის სტატუსით, როგორც ჩანს, მაშინვე იქცა საერთო-ქართული პოლიტიკური ელიტის წამყვან ფიგურად. სწორედ ამ დროიდან იწყება ლეონ I-ის პოლიტიკური კარიერის ახალი ეტაპი, რომელიც მოგვიანებით (VIII ს. 80-იან წლებში ეს მომხდარი ფაქტია), არჩილის აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში მისი ერთპიროვნული მმართველობის დამყარებით დასრულდა.

ცხადია, დასავლეთ საქართველოში მომხდარი ამ ცვლილებების უკან უდავოდ ბიზანტია იდგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონსტანტინოპოლის დიპლომატიამ ამ პერიოდში მკვეთრად შეძობაბრუნა სიტუაცია თავის სასარგებლოდ და საგრძნობი დარტყმა მიაყენა სახალიფოს ინტერესებს რეგიონში. რასაკვირველია, არაბები პოზიციებს ასე უბრძოლველად არ დათმობდნენ. მართლაც, დაახლოებით 738 წ. ისინი კვლავ გამოჩენილან დასავლეთ საქართველოში. კერძოდ, მათ დაულაშქრავთ აფშილეთი და მისიმიანეთი. სწორედ ამ დროს შეუპყრია არაბთა ჯარის სარდალს სულეიმან იბნ-ასამს „აფშილთა შორის უპირველესის“ პატრიკიოზ მარინოსის ვაჟი ევსტაფი, რომელიც 740 წელს წამებით მოუკლავს.<sup>67</sup> მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ლაშქრობას ლოკალური ხასიათი ჰქონდა და მას არ შეუცვლია საერთო სიტუაცია დასავლეთ საქართველოში, რომელიც კვლავ რჩებოდა ბიზანტიის გავლენის სფეროში. ასეთი ვითარება მხოლოდ VIII ს. მიწურულს შეიცვალა, როდესაც ეგრის-აფხაზეთის ახალმა ლიდერმა, ლეონ I-ის ძმისწულმა ლეონ II-მ ზურგი აქცია „ბერძენთა მეფეს“ და თავი სუვერენულ ხელმწიფედ გამოაცხადა.

---

მეტიც, როგორც ცნობილია, სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი არაბულ ადმინისტრაციულ ერთეულს – თბილისის საამიროს.

<sup>67</sup> თეოფანე ჟამთააღმწერელი, გვ. 115-116.

XI-XV საუკუნეები

აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის მთავარ დასაყრდენს ყოველთვის წარმოადგენდა ისტორიოგრაფიული მასალით სპეკულაცია. დაწყებული XX ს. 20-იანი წლებიდან, როდესაც თავისი ანტიქართული განწყობილებებით საყოველთაოდ ცნობილმა აფხაზმა „სწავლულმა“ ს. აშხაწავამ საპროგრამო „ნაშრომით“ – „Пути развития Абхазской истории“ (1925 წ.) – სათავე დაუდო ე.წ. „აფხაზურ ისტორიოგრაფიას“, სეპარატისტული იდეოლოგია მუდამ იკვებებოდა შოვინისტო-ისტორიკოსებისა თუ მწერალ-ფილოლოგთა ფალსიფიკატორული მონაჩმახით აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ისტორიის შესახებ. ამ „ისტორიოგრაფიული“ პროპაგანდის მთავარი მიზანი იყო, როგორმე ჩაეგონებინათ ხალხისათვის, რომ აფხაზებს არაფერი არ აკავშირებთ ქართველებთან და რომ მათ ყოველთვის გააჩნდათ თავიანთი ეროვნული სახელმწიფო. ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან აფხაზ სეპარატისტთა ლიდერები ურცხვად გაიძახოდნენ, რომ მათი სახელმწიფოებრივი ისტორია სულ მცირე 1200 წელს ითვლის. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს, სეპარატისტთა ცნობილმა იდეოლოგმა, მოსკოვის იმპერიულ-შოვინისტური ძალების აგენტმა ი. ვორონოვმა ესეც არ იკმარა და ისტორიული მეცნიერება

<sup>1</sup> სეპარატისტული იდეოლოგიის ჩამოყალიბების საქმეში აფხაზური ისტორიოგრაფიის „მიღწევების“ შესახებ იხ.: ზ. პაპასქირი, საქართველო – აფხაზეთის ისტორიული წარსული ე.წ. „აფხაზურ ისტორიოგრაფიაში“, – „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი“, ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე: „საქართველო“, ბიულეტენი, №2, თბ., 1994; მისივე: Историческое прошлое Грузии-Абхазии в т.п. "Абхазской историографии" - всемирный конгресс всех грузин. Картвелологический научный симпозиум на тему: "Сакартвело" (Грузия), Бюллетень №2-3, Тб., 1994, გვ.71-80.

თავისი ახალი სენსაციური „აღმოჩენით“ განაცვიფრა. მისი „მტკიცებული“ მტკიცებით, აფხაზური სახელმწიფოებრიობა, თურმე, არც მეტი, არც ნაკლები – 2500 წლის ყოფილა.<sup>2</sup>

ერთი სიტყვით, დაწყებული ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდან დღემდე აფხაზებს თითქმის ყოველთვის ჰქონიათ ეროვნული სახელმწიფო, რომელსაც XX ს. 30-იანი წლების დამდეგს (1931წ., როდესაც აფხაზეთის „დამოუკიდებელი“ სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს სსრ-ში შემაგვალ ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა) „ბოლო მოუღეს“ ქართველმა ბოლშევიკებმა – ი. სტალინმა და ლ. ბერიამ. თავის დროზე, ჩვენ საკმაოდ ოპერატიულად გამოვეჩმაურეთ ი. ვორონოვის ამ და სხვა ისტორიოგრაფიულ „შედეგებს“ და ვამხილეთ ფალსიფიკატორი ისტორიკოსის პუბლიკაციების ანტიმეცნიერული არსი.<sup>3</sup> წარმოდგენილ ნაშრომში კი შევეცადეთ, სათანადო საისტორიო მასალებზე დაყრდნობით გვეჩვენებინა, რამდენად შეესაბამება რეალობას მტკიცებანი აფხაზური ეროვნული სახელმწიფოებრიობის შესახებ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში – XI-XV საუკუნეებში, რომლებიც ი. ვორონოვმა, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ასევე მიათვალა აფხაზური სახელმწიფოებრიობის 2500-წლოვან ისტორიას.<sup>4</sup>

X ს-ის მიწურულისა და XI ს-ის დამდეგისათვის დასრულდა ქართული მიწების გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი და წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო, რომლის სათავეში აღმოჩნდა მეფე „აფხაზთა“ და „ქართველთა“ ბაგრატ III ბაგრატიონი. საქართველოს გაერთიანება, პი-

<sup>2</sup> Ю.Н. Воронов, Абхазы - кто они?, Сухуми, 1992.

<sup>3</sup> ზ. პაპასქირი, „უმეცრობის ფართი-ფურთი“, ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამოხდობა, გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 150, 151, – 21, 26. XI. 1992; მისივე: Парад Невежества. Или очередной вымысел известного фальсификатора, - газ. „Демократическая Абхазия,“ №9, 10, 11, – 26. II, 3. III, 7. III, 1993; ამ სტატიის შემოკლებული ვარიანტი იხ. აგრეთვე: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 25.VII; I.VIII.1994. ი. ვორონოვის „მეცნიერული ნააზრების“ კრიტიკა მოცემულია აგრეთვე ჩვენს სტატიაში: „ინტერფერენტის ლიდერის ახალი „გმობანი“. ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი: „აფხაზები და აფხაზეთი,“ – გაზ. „აფხაზეთის ხმა,“ №136, 137, – 16, 17. VIII. 1991.

<sup>4</sup> წარმოდგენილი სტატია არის ქართული ვარიანტი ჩვენს მიერ რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომისა: Территория современной Абхазии в XI-XV вв., რომელიც შესულია კოლექტიურ მონოგრაფიაში: „Грузино-абхазские исторические разыскания“ (წარმოებაში).



რველ რიგში, ნიშნავდა ორი სამეფო ტახტის – „აფხაზთა“ (დასავლურ-ქართული) და „ქართუელთა,“ – შერწყმას, რაც დე-ფაქტო განხორციელდა 1008 წ., ბაგრატ III-ის მამის, მეფეთ მეფე გურგენის სიკვდილის შემდეგ. 1010-1011 წწ.-ში ბაგრატ III-ის ძალაუფლება გავრცელდა კახეთ-ჰერეთზე. დაახლოებით ამავე პერიოდში ბაგრატ III-მ თავის კონტროლს დაუქვემდებარა კლარჯეთის ურჩი ბაგრატიონების სამფლობელოებიც და ამით ფაქტობრივად დაასრულა ქართული მიწების გაერთიანება. ერთიანი სამეფოს გარეთ რჩებოდა მხოლოდ თბილისის სამიროს ტერიტორია და ე.წ. დავით კურაპალატის „მემკვიდრეობა,“ რომელიც მითვისებული ჰქონდა სამხრეთგაოელი მმართველის „კანონიერ“ მემკვიდრეს – ბიზანტიის იმპერატორს ბასილი II-ს.

გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს პირველი მეფის ტიტულატურა იწყებოდა სიტყვებით: „მეფე აფხაზთა“... ეს იყო გამოხატულება იმ ხელმძღვანელი როლისა, რომელიც ითამაშა „აფხა-

<sup>5</sup> „ქართუელთა“ სამეფო ანუ ტაო-კლარჯეთის სამთავრო, რომელიც წარმოიქმნა სამხრეთ საქართველოში IX ს-ის დამდეგს ქართლის უკანასკნელი ერისმთავრის აშოტ ბაგრატიონის ეგვიდით, ფაქტობრივად გამოდიოდა ისტორიული ქართლის (იბერიის) სამეფოს ერთგვარი სამართალმემკვიდრის როლში, თუმცა საკუთრივ „ქართლი“ (უნდა ვიგულისხმობთ მხოლოდ შიდა ქართლი) ამ პერიოდში (X ს. II ნახევარი) არ შედიოდა სამხრეთ-ქართული წარმონაქმნის შემადგენლობაში და წარმოადგენდა „აფხაზთა“ სამეფოს ნაწილს.

ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი აზრი, თუ როდის მიიღო ბაგრატ III-მ ოფიციალურად „ქართუელთა მეფის“ ტიტული. მკვლევართა ერთი ნაწილი (ნ. შოშიაშვილი, ვ. სილოგავა, მ. ლორთქიფანიძე) თვლის, რომ ეს მოხდა დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ – 1001 წ. (ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 56; ქართული წარწერების კორპუსი., II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 52-53; М. Д. Лордкипанидзе, Возникновение новых феодальных государств, - Очерки истории Грузии, т. II, Тб., 1988, გვ. 338-339.), მაგრამ ჩვენ უფრო რეალურად გვეჩვენება ამ მოვლენის დაკავშირება არა დავით კურაპალატის გარდაცვალებასთან, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც იყო იმდროინდელი საქართველოს უდავო ლიდერი, არასოდეს არ ატარებდა „ქართუელთა“ მეფის ტიტულს, არამედ ბაგრატიონთა გვარის სხვა წარმომადგენლის – ბაგრატ II „რეგუენის“ – „ქართუელთა“ მეფის (958-994 წწ.), ბაგრატ III-ის პაპის სიკვდილთან. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 75-82.

ზთა“ (დასავლეთ საქართველოს) სამეფომ ქვეყნის გაერთიანების პროცესში. სწორედ ქუთაისის ტახტის ირგვლივ ხდებოდა ყველა ქართული მიწის შემოკრება და საერთო-ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირება. და ეს სულაც არ იყო დაკავშირებული დინასტიის ცვლასთან. „აფხაზთა“ სამეფო თავიდანვე იყო ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ხოლო „აფხაზი“ მეფეები ე.წ. „ლეონიდების“ დინასტიიდან, აფხაზური (აფსუური) „ეროვნული ისტორიის“ ზოგიერთი თავგამოდებული ქომაგის მტკიცების მიუხედავად, ისეთივე ქართველი ლიდერები იყვნენ, როგორც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები. საკუთრივ ბაგრატ III-ის დასავლეთ საქართველოში გამეფებაც მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს დინასტიის შეცვლად, რადგანაც მან დასავლეთ საქართველოს ტახტი დაიკავა არა როგორც ბაგრატიონმა, არამედ როგორც „ლეონიდთა“ დინასტიის კანონიერმა (დედის ხაზით) წარმომადგენელმა – შვილიშვილმა (ქალიშვილის ვაჟი) ყველაზე ცნობილი „აფხაზთა“ მეფის გიორგი II-ისა (922-957წწ.), რომელმაც, სხვათა შორის, საერთო-ქართული მასშტაბით ჰეგემონობისათვის ბრძოლაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

ქუთაისში ბაგრატ III-ის გამეფებით „აფხაზთა“ სამეფოს არ განუცდია არანაირი ცვლილებები როგორც ეთნოპოლიტიკურ, ისე

---

<sup>7</sup> თავის დროზე, კ. კუდრიავეცი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი იყო აფხაზეთის ისტორიის ანტიქართული გააზრებით, მთელი მონღოლებით ცდილობდა, წარმოედგინა VIII-X სს. „აფხაზთა“ სამეფო აფხაზურ (აფსუურ) ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე აცხადებდა, რომ თვედოსი II „უხინათლოს“ ჩამოკლების შემდეგ აფხაზეთის ტახტი დაიკავა **„Новая, не национальная“** (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.), *чуждая ей династия*“-მ (К. Кудрявцев, Сборник материалов по истории Абхазии, Сухуми, 1926, გვ.120-121.). მეორე რუსი ისტორიკოსი, დიდი ხნის განმავლობაში სოხუმში მცხოვრები და იქ მოღვაწე ა. ფადეევი, მართალია, აშკარად არ აფიქსირებდა „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ (აფსუურ) „ეროვნულ“ პერიოდს, მაგრამ ბაგრატ III-ის გაერთიანებულ ქართულ სამეფოს მოიხსენიებდა „სამოკავშირეო სახელმწიფოდ“ – „союзное государство“ (ბუნებრივია, აფხაზურ (აფსუურ) – ქართული – ზ.პ.), ხოლო მეფე ბაგრატს „союзный государь“-ს უწოდებდა (А. Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, т.1, Сухуми, 1934, გვ. 84,86.). აქედან კი აშკარად გამომდინარეობს დასკვნა, რომ „ლეონიდთა“ სამეფო ნამდვილად წარმოადგენს მხოლოდ ეთნიკურ აფხაზთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ასე რომ, „აფხაზთა“ სამეფოს თითქოს-და გაუქმების (ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლის – ბაგრატ III-ის გამეფების შედეგად) შესახებ, რომელსაც აქა-იქ ვხვდებით ცალკეულ ისტორიკოსთა შრომებში, საფუძველშივე მცდარია.<sup>8</sup> სინამდვილეში ხდება „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრების შემდგომი გაფართოება. შემთხვევითი არ არის, რომ პრაქტიკულად ყველა ქართველი მემატიანე XI-XII სს.-ში – ერთიანი ქართული მონარქიის აყვავების ხანაში – ქვეყანას – ე.ი. მთლიანად საქართველოს, მონიხსენიებს „აფხაზეთად.“ ზემოაღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენენ „მატიანე ქართლისაის“,<sup>9</sup> სუმბატ დავითის-ძის ქრონიკის,<sup>10</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების,<sup>11</sup> ლაშა-გიორგის ხანის მემატიანის,<sup>12</sup> თამარ მეფის ისტორიკოსისა<sup>13</sup> და სხვათა ცნობები.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, მიუხედავად ზოგიერთი ვაი-ისტორიკოსის დიდი მცდელობისა, იპოვოს აფხაზური (აფსურული) ეროვნული სახელმწიფოებრიობის ელემენტები ერთგვარი ავტონომიის სახით საერთო-ქართული სახელმწიფოს შიგნით, XI-XII სს.-ში<sup>14</sup> სულაც არ წარმოადგენდა ერთიან ორგანიზმს არათუ სახელმწიფოებრივად, არა-

<sup>8</sup> რომ არაფერი ვთქვათ აშკარად ტენდენციურად განწყობილ მკვლევარებზე (კ. კულრიავცევი, ა. ფადეევი, ი. ვორონოვი და სხვ.), რომლებიც „ლეონიდის“ ხანის „აფხაზთა“ სამეფოს თვლიან არა ქართულ, არამედ აფხაზურ (თანამედროვე ეთნიკური ვაკეებით) ეროვნულ-პოლიტიკურ წარმონაქმნად, ბაგრატ III-ის გამეფება ქუთაისში „აფხაზთა“ სამეფოს არსებობის ფაქტობრივ დასასრულად აღიქმება ისეთი კომპეტენტური და მიუკერძოებელი მეცნიერის შრომებშიც, როგორც იყო ზ. ანჩაბაძე (იხ.: З.В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959, გვ. 166,17; მისივე, Очерк этнической истории Абхазского народа, Сухуми, 1976, გვ. 57). ამ დასკვნამდე მიდის შ. ინალ-იფაც (იხ.: Ш.Д. Инал-ица, Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми, 1976, გვ.412).

<sup>9</sup> მატიანე ქართლისაი, – „ქართლის ცხოვრება“, – ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუნჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 295.

<sup>10</sup> სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონი, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, – „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 382.

<sup>11</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, – „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 358.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 369.

<sup>13</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, – „ქართლის ცხოვრება“, – ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუნჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959, გვ. 38.

<sup>14</sup> Ю.Н.Воронов, Абхазы - кто они? Сухуми, 1992.



მედ ადმინისტრაციულადაც. ის ჯერ კიდევ ლეონ II-ის — „აფხაზთა მხარის“ მეფოს დამარსებლის — დროიდან (IX ს. დამდეგი) დაყოფილი იყო ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებად — საერისთავოებად: ჩრდილოეთი ნაწილი — დაახლოებით ანაკოფიიდან (ახალი ათონი) ნიკოფსიამდე (თან. ქ. ტუაფსეს ჩრდილოეთით) — აფხაზეთის საერისთავო; ცხუმის საერისთავო (თან. გუდაუთის რ-ნის ნაწილი — დაახლ. ანაკოფიამდე, სოხუმისა და გულრიფშის რ-ნები) და ბედიის საერისთავო (ოჩამჩირის რ-ნის ნაწილი და გალის რ-ნი).<sup>15</sup> თავის დროზე, ზ. ანჩაბაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ თამარ მეფის დროს მოხდა ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოების შერწყმა, რაც, მეცნიერის აზრით, თითქოს ეთნიკურმა ფაქტორმა განაპირობა, კერძოდ იმან, რომ ორივე საერისთავოს ტერიტორიაზე სახლობდნენ ეთნიკურად ერთგვაროვანი აფხაზური (აფსუური) ტომები.<sup>16</sup> აღნიშნული თვალსაზრისი ემყარებოდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ერთი ცნობის არასწორ გააზრებას.<sup>17</sup> მაგრამ დღეს, თამარის მატანიის მონაცემების უფრო სრული ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად, მეცნიერებმა სავსებით საფუძვლიანად დაასკვნეს, რომ არავითარი შერწყმა ორი საერისთავოსა — აფხაზეთის და ცხუმის — მოცემულ პერიოდში არ მომხდარა.<sup>18</sup> ამდენად, ზემოაღნიშნული საერისთა-

<sup>15</sup> З.В. Анчабадзе. Из истории..., გვ. 177; Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960, გვ.79.

<sup>16</sup> З.В. Анчабадзе. Из истории..., გვ.177-178.

<sup>17</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ.33-34.

<sup>18</sup> „ისტორიანი და აზმანის“ ხელნაწერებში თამარ მეფის მიერ აღნიშნული ერისთავების ჩამოთვლისას დასახელებული არიან: ოთალო შარვაშიძე — ცხუმის ერისთავი და ბედიანი — ოდიშის ერისთავი. ზემოაღნიშნულ ერისთავებს შორის არის მოხსენიებული ერისთავი ამანელის-ძე, მაგრამ საკუთრივ მისი საერი-სთავოს სახელწოდება წყაროებში არ გვხვდება. ხელნაწერების ამ ხარვეზის შევსება სცადა კ. კეკელიძემ, რომელმაც ჩათვალა, რომ ამანელის-ძე იყო არგვეთის ერისთავი და შეიტანა შესაბამისი შესწორება მატანიის ტექსტში, რაც შემდეგ გაიმეორა ს. ყაუხჩიშვილმა. სწორედ ტექსტის ამგვარ ზერეულ და დაუსაბუთებელ შესწორებაზე დაყრდნობით დაასკვნა ზ. ანჩაბაძემ, რომ თამარ მეფის ეპოქაში მოხდა ორი საერისთავოს — აფხაზეთისა და ცხუმის — შერწყმა. კ. კეკელიძის შესწორების უსაფუძვლობა აღნიშნა გ. ცქიტიშვილმა, რომელმაც დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ამანელის-ძენი არ იყვნენ არგვეთის ერისთავები (იხ.: გ. ცქიტიშვილი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი ადგილის წაკითხვისათვის, — კრებულში: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 222-227.). ი. ანთელავამ, დაადასტურა რა გ. ცქიტიშვილის არგუმენტაციის სისწორე და დაეყრდნო რა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, — „ქართლის ცხოვრება,“ —



ვლების მოსახლეობის ეთნიკური ერთგვაროვნების საკითხი უნდა იქნას. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზებს არ შეეძლოთ საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებს გარეთ ცხოვრება, მათ შორის, ცხუმის საერისთავოს ტერიტორიაზე, ისევე, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა რეგიონში. მაგრამ ის ფაქტი, რომ „აფხაზთა“ სამეფოში „ლეონიდების“ ხანაშიც (IX-X სს.) და ბაგრატ III-ის მემკვიდრეების მმართველობის პერიოდშიც – ე.ი. გაერთიანებულ ქართულ სამეფოში – სახელწოდება „აფხაზეთი“ ერქვა კონკრეტულ ოლქს – თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილს, რომელშიც არ შედიოდა ცხუმის საერისთავოს ტერიტორია, ამკარად მეტყველებს იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები ძირითადად სწორედ აღნიშნულ (ე.ი. აფხაზეთის) საერისთავოში იყვნენ თავმოყრილნი.<sup>19</sup> იმ შემთხვევაში, თუ ეთნიკური აფხაზები მართლაც სახლობდნენ ცხუმის საერისთავოს ტერიტორიაზეც და ეს ფაქტორი განსაზღვრავდა ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფას, მაშინ გაუგებარია, რატომ არ მოხდა ორი ეთნიკურად ერთგვაროვანი საერისთავოს ამგვარი შერწყმა თავიდანვე, ჯერ კიდევ ლეონ II-ის – „აფხაზთა“ სამეფოს დამაარსებლის ხანაში, რომელსაც მიაწერს კიდევ ძველი ქართული ისტორიული ტრადიცია ქვეყნის საერისთავოებად დაყოფას.

ცხუმის, აფხაზეთისა და ბედიის (ოდიშის) ერისთავთა სტატუსი არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა ერისთავების სტატუსისაგან.<sup>21</sup>

ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 172.) და აგრეთვე მ. ბროსეს ჰიპოთეზას (მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნიკ. ლობჯინაძის გამოცემა, ნაწ. I, ტფილისი, 1895, გვ. 163.), სავსებით სამართლიანად დაასკვნა, რომ ამანელის-ძე იყო ცხუმის ერისთავი, ხოლო ოთაღო შარვაშიძე – აფხაზეთის ერისთავი, რითაც გამორიცხა რაიმე ცვლილებები საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში თამარ მეფის ხანაში (იხ.: ი. ანთელავა, მასალები „ისტორია და აზმათა“ ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის, – წიგნში: ი. ანთელავა, XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, – თბ., 1988, გვ. 142-147; იხ. აგრეთვე: მ. ბახტაძე, საერისთავო „ქვეყნები“ და ერისთავობის ინსტიტუტი XI-XV სს. საქართველოში, – საღისურთაგო მაცნე, თბ., 1995, გვ. 13-14; დ. გოგოლაძე, „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბ., 1995, გვ. 12-14.).

<sup>19</sup> დ. გოგოლაძე, „აფხაზთა“ საერისთავოს..., გვ. 14-15.

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 796.

<sup>21</sup> ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვერ დავეთანხმებით გ. წულაიას მიერ ამ უკანაკნელ ხანს გაკეთებულ დასკვნებს, თითქოს-და აფხაზეთს (XI-XII სს.-ში) გააჩნდა რაიმე „Собственные геополитические и этнические характеры“



ისინი, როგორც მართებულად აღნიშნა ზ. ანჩაბაძემ, დასავლეთ საქართველო სხვა ერისთავების მსგავსად, იმყოფებოდნენ არა მეფის პირდაპირ დაქვემდებარებაში, არამედ ემორჩილებოდნენ უშუალოდ მსახურთუხუცესს, რომელიც, ფაქტობრივად, მთელ დასავლეთ საქართველოს განაგებდა.<sup>22</sup> ცნობილია, რომ საქართველოში XII ს.-ში დიდებულ აზნაურებს, რომელთაც მალალი თანამდებობები ეკავათ სამეფო კარზე – ცენტრალურ ხელისუფლებაში – პარალელურად ქვეყნის ცალკეული დიდი რეგიონების მართვაც ევალებოდათ. ზოგიერთ ამ დიდებულს „მეფეთა ადგილზე მჯდომი“-ც კი ეწოდებოდა (მაგალითად: გუზან ტაოელი – „ტაოელ მეფეთა ადგილზე მჯდომი“; ზაქარია მხარგრძელი – „სომეხთა მეფეთა ადგილზე მჯდომი“). ასეთი დიდებულები უდავოდ უფრო მალა იდგნენ, ვიდრე ჩვეულებრივი ერისთავთ-ერისთავები.<sup>23</sup> დაახლოებით ამგვარივე უფლებებით სარგებლობდა დასავლეთ საქართველოს მიმართ XII ს. მიწურულს მსახურთუხუცესი ვარდან დადიანიც, თუმცა, მას არ გააჩნდა „მეფეთა ადგილზე მჯდომის“ სტატუსი.<sup>24</sup>

СТИКИ“ და რომ „Она относилась к эриставствам того уровня, которые не уступали владетельным единицам - мтаварствам даже в период расцвета феодального Грузинского царства“. უფრო მეტიც, „и в эпоху Давида Строителя... власть абхазского эристава не была ослаблена царской властью“ (Г.В. Сулая, Абхазия и абхазы в контексте истории Грузии. Домонгольский период, М., 1995, გვ. 37, ხაზგასმა ჩვენია – ზ.ა.). ვარდა იმისა, რომ აქ მოცემულია XI-XII სს. საქართველოს სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურისა და აგრეთვე მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის არცთუ სწორი გააზრება, ჩვენთვის გაუგებარია, საკუთრივ რა იგულისხმება მოცემულ კონტექსტში ტერმინ „Абхазия“-ში. თუ ეს მთლიანად თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაა, მაშინ უპრიანი იქნებოდა სამივე საერისთავოზე საუბარი და არა მხოლოდ „აფხაზეთის საერისთავოზე.“ მით უფრო, რომ თავისი ნაშრომის სხვა ადგილას გ. წულაია საერთოდ გამორიცხავს XIII ს.-ში ამგვარი საერისთავოს არსებობას. იზიარებს რა ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისს ორი საერისთავოს – ცხუმისა და აფხაზეთის – შერწყმის შესახებ, მეცნიერი აკეთებს დასკვნას, რომ სწორედ „под Цхумским (და არა აფხაზეთის – ზ.ა.) эриставством должна подразумеваться Абхазия в конкретном этнотерриториальном значении“ (Г.В. Сулая, Абхазы..., გვ. 131.).

<sup>22</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 178.

<sup>23</sup> თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, ტ. III, თბ., 1967, გვ. 158.

<sup>24</sup> თ. ბერაძის ჰიპოთეზა, რომ საქართველოში უნდა ყოფილიყვნენ „აფხაზთა მეფეთა ადგილზე მჯდომი“ ერისთავთ-ერისთავებიც მხოლოდ იმის გამო, რომ ქვეყნის გაერთიანებამდე „აფხაზთა“ სამეფო (ისევე, როგორც სომხეთი და



წყაროებში შემონახულია მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები ბედიის ცხუმისა და აფხაზეთის ერისთავების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIII ს. დამდეგისათვის აფხაზეთის საერისთავოს სათავეში ედგა შარვაშისძეთა წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი – დოთალოდ შარვაშისძე. ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი აზრი ამ საგვარეულოს წარმომავლობისა და მისი დაწინაურების დროის თაობაზე. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ისინი არიან შთამომავლები შარვანშაჰთა სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლისა, რომელიც დავით აღმაშენებელმა აფხაზეთში გადაიყვანა ანისის საქა-

ტაო-კლარჯეთი) ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა (თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ.155.), არასწორია. საქართველოში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერისთავთ-ერისთავი, რომელსაც ექნებოდა „აფხაზთა მეფეთა ადგილზე მჯდომის“ არაოფიციალური სტატუსი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვითონ საქართველოს მეფე ითვლებოდა „აფხაზთა მეფეთა ადგილზე მჯდომად.“ ამიტომ, როგორც ჩანს, არ არის შემთხვევითი, რომ ვარდან დადიანიც კი, რომელიც ფაქტობრივად დასავლეთ საქართველოს სრულუფლებიანი მმართველი იყო, არ არის მოხსენიებული „აფხაზთა მეფეთა ადგილზე მჯდომად“. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გ. წულაიას მეტად საეჭვო დასკვნას **„об эволюции грузино-абхазского симбиоза почти за три столетия,“** რომელიც თითქოს-ღა **„выразилась в характере интеграции Абхазии и на этом основании превращения владетеля - мтавара Абхазии VIII в. в эристава - „чиновника“ XI в., уже зависимого от центральной власти“**(Г.В. Цулая, Абхазия и абхазы., გვ. 37, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ჯერ ერთი, აფხაზეთის მთავართა შთამომავლები იქცნენ არა ერისთავებად – „ჩინოვნიკებად,“ არამედ, როგორც ეს ზემოთ არის ნაჩვენები, გაერთიანებული საქართველოს მეფეებად. მეორეც, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთის – დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა საერისთავოებად მოხდა ჯერ კიდევ „აფხაზთა“ სამეფოს ფორმირების ყველაზე ადრეულ ეტაპზე – ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის დამაარსებლის – ლეონ II-ის ხანაში, რომელმაც, როგორც ჩანს, დანიშნა კიდევ პირველი ერისთავ – „ჩინოვნიკები“ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთგვარი წინააღმდეგობრიობა გ. წულაიას მსჯელობებში. სწორად უსვამს რა ხაზს, რომ **„владельцем Абхазии (XII в.) был потомок Леонидов Давид IV Строитель“** (Г.В. Цулая, Абхазия и абхазы., გვ. 132), იქვე, რატომღაც სრულიად საწინააღმდეგოს ამბობს: **„Для судеб Абхазии эпоха правления этого монарха (დავით აღმაშენებლის – ზ.პ.) имела особое значение. При нём она обрела статус владетельного княжества в пределах объединённой Грузии“?**! (Г.В. Цулая, Абхазия и абхазы., გვ. 130. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

9. ზ. პაპასქირი



რთველოსთვის შემოერთების შემდეგ.<sup>25</sup> მაგრამ არსებობს მართლაც ზრება იმის შესახებაც, რომ შარვაშისძეთა წინაპრები აქტიურ როლს თამაშობდნენ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში ჯერ კიდევ XI ს.-ში. კერძოდ, „მატიანე ქართლისაში“ მოხსენიებულია ვინმე ქუაბულელი ჭაჭას-ძე – ოთალო, რომელიც „მოაყენა (ბაგრატი IV-მ – ზ.პ.) ანაკოფიას გარე... აფხაზეთისა ლაშქრითა.“<sup>26</sup> ამ შემთხვევაში ყურადღება მიექცა XII-XIII სს. მიჯნაზე მცხოვრები ერისთავ შარვაშისძის სახელის – დ-ოთალო-დ – მსგავსებას ქუაბულელ ჭაჭას - ძის სახელთან – ოთალო,<sup>27</sup> რის საფუძველზეც ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ იხრება იმ აზრისაკენ, რომ „ჭაჭას-ძე“ არის საგვარეულო სახელის „ჩაჩბას“ ქართული ფორმა.<sup>28</sup> ვთვლით რა შესაძლებლად „ჭაჭას-ძე“ – „ჩაჩბას“ შორის ურთიერთკავშირს,<sup>29</sup> ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება დაუკავშიროთ „ჭაჭას-ძე“ – „ჩაჩბა“ „შარვაშიძეს.“ როგორც საკვებით სწორად მიუთითა ზ. ანჩაბაძემ, აფხაზ თავად-ახნაურთა გვარების ქართული ფორმები უშუალოდ გამომდინარეობენ შესაბამისი აფხაზური გვარებიდან: მარშანია – ამარშანი, ინალი-შვილი – ინალ-იფა, ანჩაბაძე – აჩბა, ძიაფშიშვილი – ძიაფშიფა, მარღანია – მაანი და ა.შ. რაც შეეხება შარვაშიძეს, ის ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს. ამ გვარის აფხაზურ ფორმას (აჩაჩბა – ჩაჩბა) არაფერი აქვს საერთო მის ქართულ ფორმასთან – შარვაშიძე.<sup>30</sup>

ისტორიოგრაფიაში სწორად არის აღნიშნული, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ერთიანი ქართული სახელმწიფოს

<sup>25</sup> ეს პიპოთუა ჯერ კიდევ აკად. შ. ბროსემ წამოაყენა (იხ.: შ. ბროსე, საქართველოს ისტორია, გვ. 154). აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, აფხაზთა შორის აფხაზეთის ისტორიის პირველად დამწერი დ. გულია ასევე თვლიდა შარვაშისძეებს შირვან-შაჰთა საგვარეულოს წარმომადგენლებად (Д.И. Гулия, История Абхазии, Тифлис. 1925, გვ. 138, 208.). ფაქტობრივად ამავე აზრზე იდგა ზ. ანჩაბაძეც, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ შარვაშიძის გვარის ძველი ქართული ფორმა – „შარვაშა (იხ-ძე სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ში (ა) რვანშაჰის შვილს“ (З.В. Анчабаше, Из истории..., გვ. 192.).

<sup>26</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 299.

<sup>27</sup> З.Д. Анчабаше, Из истории..., გვ. 193-194.

<sup>28</sup> Ш.Д. Инал-ина. Вопросы..., გვ. 408.

<sup>29</sup> ბ. ბერძენიშვილი, წერილი რედაქტორს, „ლიტერატურული გაზეთი“, 1957, №6, 8.11.

<sup>30</sup> З.В. Анчабаше, Из истории..., გვ. 194.



არსებობის პერიოდში "меньше всего походила на отдалённую провинциальную область."<sup>31</sup> ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცებო, რომ XI-XII სს.-ში სწორედ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საერისთავოები წარმოადგენდნენ საქართველოს მეფეების დასაყრდენს ფეოდალური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემთხვევითი არ არის, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ თავის ერთ-ერთ (შესაძლოა, მთავარ) რეზიდენციად აქცია ბეღია, სადაც ააშენა შესანიშნავი ტაძარი – თავისი სამკალე. არ არსებობს არც ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობდეს აფხაზი ფეოდალების ანტისამთავრობო, მით უფრო სეპარატისტულ განწყობილებებს, რომლებიც თითქოს უკმაყოფილონი იყვნენ „აფხაზთა“ სამეფოს გაუქმებით, როგორც ამას მიიჩნევს ზოგიერთი მკვლევარი.<sup>32</sup> ჯერ ერთი, როგორც ზემოთ აღინიშნა, 978 წ. „აფხაზთა“ სამეფოს არანაირი გაუქმება არ მომხდარა (არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აღნიშნული სამეფო, მისი წარმოქმნის დღიდანვე იყო არა საკუთრივ ეთნიკურ აფხაზთა „ნაციონალური“ სახელმწიფო, არამედ დასავლურ-ქართული პოლიტიკური წარმონაქმნი), ამიტომ საკითხის დაყენება ამ კუთხით საფუძველშივე მცდარია. მეორეც, პრაქტიკულად ყველა ანტისამთავრობო გამოხველა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI-XII სს.-ში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, მიზნად ისახავდა არა ამა თუ იმ ოლქის საქართველოს სახელმწიფოსათვის ჩამოცილებას,<sup>33</sup> არამედ ამა თუ იმ მონარქის ჩამოგდებას და სამეფო ტახტზე ამბოხებულთათვის სასურველი პრეტენდენტის დასმას. როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, მოცემულ პერიოდში, ფეოდალური ოპოზიციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამეფო კარზე თავისი გავლენის განმტკიც-

<sup>31</sup> Ш.Д. Инал-ипа, Вопросы..., გვ. 141.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 412.

<sup>33</sup> უკანასკნელ სეპარატისტულ გამოხველვებად უნდა ჩაითვალოს ქართლის აზნაურთა გამოსვლები ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის მეფობის დასაწყისში (X ს. 80-იანი წლები) შიდა ქართლში დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის სურვილით, რომელსაც სათავეში მარიონეტული დინასტია ჩაუდგებოდა (ამის შესახებ იხ.: ზ. პაპასკირი, ერთიანი ქართული..., გვ. 70.). ყველა შემდგომი გამოსვლა (ლიპარიტ ბაღვაში და ა.შ.) კი მიმართული იყო მხოლოდ ძლიერი სამეფო ხელისუფლების შესუსტებისა და ოპოზიციისათვის სასურველი პოლიტიკური რეჟიმის დამყარებისაკენ.



ცემა, პოლიტიკური კურსის კონკრეტული მიმართულებით შეცვლა.<sup>34</sup> ასე იყო, კერძოდ, დემეტრე უფლისწულის მისივე ნახევარძმის – მეფე ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ გამოსვლისას. მართალია, ამ ამბების აღწერისას „მატიანე ქართლისას“ ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი აზნაური მხარს უჭერდა ანაკოფიაში გამაგრებულ აჯანყებულ უფლისწულს (XI ს.-ის 30-იანი წლების დამდეგი), მაგრამ აქ არ არის არავითარი მინიშნება, რომ ეს იყო ეთნიკურად აფხაზ ფეოდალთა სეპარატისტული გამოსვლა, როგორც ამას უშვებს ზ. ანჩაბაძე.<sup>35</sup> სავსებით ნათელია, რომ დემეტრე უფლისწულის მომხრეები იბრძოდნენ არა საქართველოს სახელმწიფოს რომელიმე ოლქის გამოყოფისათვის, არამედ თავისი პრეტენდენტის ქუთაისში გასამეფებლად. ე.ი. ჩვენ აქ საქმე გვაქვს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან, რომელშიც სულაც არ იყო აუცილებელი მხოლოდ აფხაზ (ეთნიკურად) აზნაურთა მონაწილეობა. უფრო მეტიც, როგორც შემდგომმა მოვლენებმა (XI ს. 40-იანი წლები) ცხადყოფს, დემეტრე უფლისწულს მისი გვირგვინოსანი ძმის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს უჭერდა ფეოდალური ოპოზიცია ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან, მაშინ როდესაც ბაგრატ მეფე მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას დასავლეთ საქართველოში,<sup>36</sup> მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, რასაკვირველია, ანაკოფიის ციხის გამოკლებით,<sup>37</sup> რომელიც ჯერ კიდევ XI ს. 30-იან წლებში გადასცა ბიზანტი-

<sup>34</sup> ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებში, – წიგნში: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 34.

<sup>35</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 178; დაახლოებით ანალოგიურ შეფასებას აძლევს ამ მოვლენას გ. წულაიაც (იხ.: Г.В. Цулая, Абхазия и абхазы..., გვ. 122.).

<sup>36</sup> გ. ანჩაბაძე, „შიდა ლაშქრის“ („შიდა სპას“) მნიშვნელობის გარკვევისათვის, – „მაცნე“, №1, 1987, გვ. 85-86; ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: З.В. Папаскири, "Варанги" грузинской "Летописи Картли" и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI веке, - "История СССР," №3, М., 1981, გვ. 164-169; მისივე, У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982; მისივე, ერთიანი ქართული..., გვ. 188-189.

<sup>37</sup> მიუხედავად „მატიანე ქართლისას“ – ერთადერთი წყაროს, რომელიც მოგვითხრობს ამ მოვლენების შესახებ – პირდაპირი მითითებისა, რომ დემეტრე უფლისწულმა ბიზანტიელებს გადასცა მხოლოდ ანაკოფიის ციხე (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 295.), ზოგიერთ შრომაში (Очерки истории Абхазской 132

იას კონსტანტინოპოლში გაქცეულმა მეამბოხე უფლისწულმა.<sup>38</sup> თუმცა ვითვალისწინებთ იმასაც, რომ XI ს. 40-იან წლებში ანაკოფიის ციხის განთავისუფლება ბაგრატ IV-მ დაავალა „აფხაზეთის ლაშქარს,“ რომელსაც სათავეში ედგა ქუაბულელ ჭაჭას-ძე ოთაღო – ალბათ, აფხაზეთის საერისთავოს ხელმძღვანელი, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი ლამის შარვაშიძეთა – მოგვიანებით აფხაზეთის სამთავროს მმართველი საგვარეულოს – მამამთავრად მიიჩნევს,<sup>39</sup> მაშინ მტკიცება აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთის რაიმე სეპარატისტული განწყობილებების შესახებ, აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

გაუმართლებელია სეპარატისტული განწყობილებების ძიება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დავით აღმაშენებლის ხანაშიც.<sup>40</sup> ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არგუმენტად გამოვიყენოთ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის“-აში დაფიქსირებული ცნობა იმ ზომების შესახებ, რომლებიც გაატარა დავით IV-მ „აფხაზეთს ბიჭვინტამდე“ თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად.<sup>41</sup> და უკვე სავსებით გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, აფხაზი დიდებულების მონაწილეობა აჯანყებაში, რომლის მიზანი იყო თამარ მეფის პირველი ქმრის – გიორგი რუსის აყვანა ტახტზე, ამბოხებულთა პარტიკულარული ტენდენციების გამოხატულებად.<sup>42</sup> ამ შემთხვევაშიც ხომ აჯანყებულები ისწრაფოდნენ პოლიტიკური

---

АССР, т.I გვ. 77; Ш.Д. Инал-ипа, Вопросы..., გვ. 413.) რატომღაც გატარებულია აზრი ბიზანტიის მიერ აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავების შესახებ.

<sup>38</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ზ. პაპასქირი, „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის, – ა.მ. გორკის სახ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, თბ., 1983, გვ. 136-144; მისივე, О некоторых вопросах внешней политики Грузинского царства в I трети XI века, - "Сборник работ молодых учёных и специалистов Абхазии", Сухуми, 1980, გვ. 64-74.

<sup>39</sup> Ш. Д. Инал-ипа, Вопросы..., გვ. 408.

<sup>40</sup> З. В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 182; Ш. Д. Инал-ипа, Вопросы..., გვ. 413.

<sup>41</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 339.

<sup>42</sup> З. В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 184; Ш. Д. Инал-ипа, Вопросы..., გვ. 413.

რეჟიმის შეცვლას მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, ე.ი. იხრძოდნენ ცენტრალური ხელისუფლებისათვის და არა მისგან გამოყოფისათვის.

ამრიგად, არა გვაქვს არავითარი საბაბი, რომ დავეჭვდეთ აფხაზთა ლოიალობაში ცენტრალური ხელისუფლების მიმართ XI-XII სს.-ში. პირიქით, ჩვენს ხელთ არსებული უკლებლივ ყველა მასალა ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები იყვნენ საქართველოს მეფეთა ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ქვეშევრდომები. აფხაზი დიდებულები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამეფო კარზე. ამას ნათლად მოწმობს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტში შემონახული აღწერა თამარ მეფის მმართველობის პერიოდში მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების მიღების ცერემონიისა. ამგვარი მიღებების დროს აფხაზები სვანებთან, გურულებთან ერთად იმყოფებოდნენ უშუალოდ სამეფო აპარტამენტების სიახლოვეს.<sup>43</sup> მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საერისთავოების, კერძოდ, ცხუმის საერისთავოს როლი. თვითონ ქალაქი ცხუმი – სოხუმი – კი იქცა მეფეთა ერთ-ერთ საზაფხულო რეზიდენციად.<sup>44</sup> თამარის ისტორიკოსის ცნობით, „მეფე თამარ ზამთრის ღურს იყვის და ზაფხულს კოლას და ცელის ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს: გეგუთს“<sup>45</sup> და ცხუმს“.<sup>46</sup> ყოველივე ეს უდავოდ მოწმობს, რომ ცხუმი ნამდვილად იყო საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრი.<sup>47</sup>

საკუთრივ აფხაზები სისტემატურად ფიგურირებენ საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში მთელი XI-XII სს.-ის მანძილზე. ისინი, რასაკვირველია, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყველა დიდ ბრძოლაში. არც ერთ წყაროში არ

<sup>43</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 65.

<sup>44</sup> З. В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 189.

<sup>45</sup> გეგუთი – სოფელი ქუთაისის მიდამოებში. იქ იყო საქართველოს მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. ის ფაქტი, რომ ქართველი მემკვიდრე მას „აფხაზეთში“ ათავსებს, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ იმ დროს დასავლეთ საქართველო ისევ აფხაზეთად იხსენიებოდა.

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 65.

<sup>47</sup> В Сизов, Восточное побережье Чёрного моря, Материалы по археологии Кавказа (МАК), вып. II, М., 1889, გვ. 49.



კვლევით რაიმე მინიშნებასაც კი, რომ ისინი რითიმე განსხვავდებოდნენ გაერთიანებული ქართული სამეფოს სხვა რეგიონების მკვიდრთაგან. აფხაზური ნაციონალ-სეპარატიზმის ზოგიერთ იდეოლოგთა მცდელობა, იპოვონ აფხაზურ-აფსუური ნაციონალური სახელმწიფოებრიობის ელემენტები ავტონომიური სამთავროს სახით XI-XII სს.-შიც კი – ერთიანი ფეოდალური მონარქიის აყვავების ხანაში,<sup>48</sup> სრულიად აბსურდულია და სხვა არაფერია, თუ არა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსულის უხეში ფალსიფიკაცია. XI-XII ს-ში დღევანდელ აფხაზეთს არავითარი ავტონომია არ გააჩნდა. ის, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ადმინისტრაციულადაც კი არ იყო ერთიანი. ერთადერთი პრივილეგია, რომელსაც უდავოდ ესწრაფვოდნენ აფხაზები XI-XII სს.-ში, იყო თავგამოდებული ბრძოლა თავისი სახელმწიფოს ერთიანი ქართული სამეფოს – საქართველოს – სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურის მხარე იყო. ამ მხრივ, აღნიშნული რეგიონი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებს.<sup>49</sup> ამ დროს აფხაზეთში აგებულ იქნა მრავალი ქრისტიანული ტაძარი, რომელთა შორის გამოირჩევა ბაგრატ III-ის მიერ აგებული ბედიის ტაძარი. ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლებს წარმოადგენენ ლიხნის (X-XI სს.-ის მიჯნა) და ბიჭვინთის (XII ს.) ტაძრები. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ პერიოდში შენდებოდა ციხე-სიმაგრეები და სხვა თავდაცვითი ხასიათის საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომელთა შორის გამოირჩევა სიმაგრეები ივერიის მთაზე, ე. ანაკოფიაში (ახალი ათონი), რომლებიც სხვადასხვა დროს (IV-XI სს.)<sup>50</sup> იქნა აგებული და, აგრეთვე, ბაგრატის ციხე, განლაგებული ერთ-ერთ გორაზე სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აღნიშნული ციხე, აგებული ბაგრატ III-ის ან ბაგრატ IV-ის მიერ, მკვლევართა აზრით, წარმოადგენდა შუა საუკუნეების სოხუმის

<sup>48</sup> Ю. Н. Воронов, Абхазы - кто они?  
<sup>49</sup> Очерки истории Абхазской АССР, т. I, გვ. 86.  
<sup>50</sup> Очерки истории Абхазской АССР, т. I, გვ. 86.



ციტადელს და იცავდა ნავსადგურს (რომელიც მაშინ განლაგებული იყო მდინარე ბესლეთის შესართავთან) და მის შემოგარენს.<sup>51</sup> შუა საუკუნეების პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრების ტიპიურ ძეგლს წარმოადგენს ერთთაღიანი ბესლეთის ხიდიც სოხუმის მახლობლად, რომელზეც ამოკვეთილია ძველქართული წარწერა. აღნიშნული წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XI-XII სს.-ით თარიღდება.<sup>52</sup> დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ეკლესია-მონასტრები წარმოადგენენ ქართული მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებს. რეგიონის წერილობითი კულტურა ამ დროს მხოლოდ ქართული იყო. XI-XII სს.-ის ჩვენამდე მოღწეული თითქმის ყველა ლაპიდარული წარწერა შესრულებულია ქართულ ენაზე.

XI-XII სს. აფხაზეთის ისტორიის საკითხების განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ტერმინების – „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ – მნიშვნელობის საკითხს, რაც ხშირად სეპარატისტულად განწყობილ მოღვაწეთა მეცნიერულ-პოლიტიკური სპეკულაციის საგნად არის გადაქცეული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბაგრატ III-ის გამეფება აფხაზეთში – დასავლეთ საქართველოში 978 წ. და ქუთაისის ტახტის გარშემო დანარჩენი საქართველოს გაერთიანება, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-კულტურული შინაარსის შეცვლას. ამ აქტით მხოლოდ და მხოლოდ მოხდა „აფხაზთა“ სამეფოს ტერიტორიული გაფართოება. აი, რატომ ერქვა ამ დროიდან მოყოლებული „აფხაზეთი“ არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ მთელ ქვეყანას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართველი მემკვიდრეები, რომელთა თვალწინაც ხდებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირება, ყოველგვარი განმარტების გარეშე უწოდებდნენ ამ სახელმწიფოს „აფხაზეთს“, თვლიდნენ რა ამას სრულიად ბუნებრივ მოვლენად. თუკი VIII-X სს.-ის „აფხაზთა“ სამეფო ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროსათვის წარმოადგენდა აბსოლუტურად უცხო სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, რომელიც უბრალოდ იპყრობდა

<sup>51</sup> В Сизов, Восточное побережье..., გვ. 21; Очерки истории Абхазской АССР, т.1, გვ.83.

<sup>52</sup> Очерки истории Абхазской АССР, т. I, გვ. 81.

<sup>53</sup> იქვე.

ქართულ ტერიტორიებს, როგორც ფიქრობს ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი<sup>54</sup>, მაშინ გაუგებარია, რატომ აღიქვა შუა საუკუნეების ქართულმა პოლიტიკურმა ცნობიერებამ „აფხაზ“ მეფეთა ამგვარი „აგრესიული“ ქმედებები ასე უმტკივნეულოდ. ერთადერთი პასუხი აქ შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ „აფხაზი ლეონიდები“ (იმის მიუხედავად, ნამდვილად იყვნენ თუ არა ისინი თავისი ეთნიკური წარმომავლობით აფსუა-აფხაზები) „ქართველთა“ სამეფოს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებზე არანაკლებად იყვნენ ზოგად-ქართული იდეების მატარებელნი და საერთო-ეროვნული ქართული სახელმწიფოს – „საქართველოს“ მშენებელნი.

საკუთრივ ქართული წყაროების გარდა, „აფხაზეთი“, ლამის როგორც გაერთიანებული ქართული სამეფოს ოფიციალური სახელწოდება, ფიგურირებს იმ პერიოდის მეტ-ნაკლებად ცნობილ უცხოენოვან წყაროებში. ასე, მაგალითად: თითქმის ყველა ბიზანტიელი ავტორი (სკილიცა-კედრენე,<sup>55</sup> მიხეილ ატალიატე,<sup>56</sup> იოანე ზონარა,<sup>57</sup> იოანე ცეცე და სხვ.), რომელიც მოგვითხრობს მოვლე-

<sup>54</sup> M.M. Гунба, Абхазия в тысячелетии. Социально-экономические и политические отношения, Сухуми, 1989, გვ. 243; Ш. Д. Инал-ипа, Вопросы, გვ. 401-402.

<sup>55</sup> იოანე სკილიცა-გიორგი კედრენეს თხზულებაში ქართველი მეფეები: გიორგი I (1014-1027 წწ.), ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) იხსენიებიან „აბაზგიის არქონტებად“, ხოლო მათი ქვეყნის მოსახლეობა – „აბაზგებად“. იხ.: გიორგი კედრენე, ქრონოგრაფია, – წიგნში: „გეორგიკა“. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. V, თბ., 1963, გვ. 22-24, 31, 55-56; ნ. ლომოური, საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში, – კრ.: „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ., 1993, გვ. 83.

<sup>56</sup> მიხეილ ატალიატე, ისტორია, – „გეორგიკა“, ტ. VI, თბ., 1966, გვ. 27-30; ნ. ლომოური, საქართველოს სახელწოდებანი, გვ. 83.

<sup>57</sup> იოანე ზონარა, ბაგრატ IV-ის მიერ ბიზანტიასთან ზავის დარღვევის ფაქტის გადმოცემისას, საქართველოს ხელმწიფეს „აბაზგიის“ მმართველს უწოდებს (იხ.: იოანე ზონარა, ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად დაამზადა და გამოკვლევა დაურთო მ. კახაძემ, – გეორგიკა, ტ. VI, თბ., 1966, გვ. 235.). ამ თხზულების სხვა ადგილას (იმპერატორ ალექსი კომნენოსის გარდაცვალების აღწერისას) მოხსენიებულნი არიან „აბაზგები“, რომლებიც „იყვნენ აბაზგიიდან წამოყოლილი მხლებლები იმ ქალიშვილისა, რომელიც დანიშნული იყო კეისრის უფროს ვაჟზე“ (გეორგიკა, ტ. VI, გვ. 239.). როგორც სავსებით სამართლიანადაა აღნიშნული ისტორიოგრა-

ნებზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქართველი მეფე-მეფეობა, როგორც წესი, მათ მოიხსენიებს „აბაზგიის“ მმართველებად („ორქონტებად“), ხოლო ქვეყნის მოსახლეობას – „აბაზგებად“ და იშვიათად „იბერებად“.<sup>59</sup> სამწუხაროდ, ეს გარემოება ზოგჯერ ხდება მიზეზი დასანანი გაუგებრობებისა, რომლებიც გვხვდება ზოგიერთი ბიზანტიანისტიისა<sup>60</sup> და აგრეთვე ცალკეულ აფხაზმცოდნეთა შრო-

აფიაში, „აბაზგი“ პრინცივს კეისრის უფროს ვაჟზე დანიშნვის ფაქტი, რომელიც მოყვანილი აქვს იოანე ზონარას, წარმოადგენს პირდაპირ დადასტურებას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობისა დავით მეფის ასულის – კატაის ალექსი კომნენოსის ერთ-ერთ ვაჟზე მითხოვების შესახებ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 334.). ამის შესახებ დაწერილებით იხ.: ვ. კობალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან XI-XII სს. მიჯნაზე, – XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ შრომები, ტ. 125, გვ. 113-120; შ. მესხია, ძლევაი საკვირველი, – წიგნში: შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1986, გვ. 51-53; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 291; მისივე, Внешняя политика Грузии в средние века (XII век), Тб., 1995, გვ. 34.

<sup>58</sup> იოანე ცეცე, ისტორიის წიგნი, „გეორგია“, ტ. VII, თბ., 1967, გვ. 23. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ იოანე ცეცე იძლევა განმარტებას, თუ როდის და რატომ მოხდა ტერმინების „აბაზგები“, „იბერები“ შენაცვლება. ამ ავტორის მითითებით, „იბერები, აბასგები და ალანები წარმოადგენენ ერთ ტომს, რომლის შიგნითაც პირველობა ეკუთვნით იბერებს“ (გეორგია, ტ. VII, გვ. 23.). ამის შესახებ დაწერილებით იხ.: А. П. Каждан, Армяне в составе господствующего класса в Византийской империи XI-XII вв., Ереван, 1975, გვ. 143-144; З. В. Панаскири. У истоков... გვ. 55-56.

<sup>59</sup> ნიკიფორე ვრიენოსი – ანა კომნენოსის მეუღლე – ლამის ერთადერთი ავტორია, რომელიც ბაგრატ IV-ს – ბიზანტიის დედოფალ მარიაშის მამას – მოიხსენიებს „იბერთა“ მმართველად (იხ.: ნიკიფორე ვრიენოსი, ისტორიული მასალები, გეორგია, ტ. V, გვ. 306.). გაერთიანებული ქართული სამეფოს სახელწოდების სახით „იბერიის“ ხმარებას ვხვდებით გიორგი კედრენეს თხზულებაშიც (გეორგია, ტ. V, გვ. 79-81; ნ. ლომოური, საქართველოს სახელწოდებანი, გვ. 87.). ანალოგიური სიტუაციაა მიხეილ ატალიატესა (გეორგია, ტ. VI, გვ. 23-26.) და იოანე ზონარას შრომებშიც (გეორგია, ტ. VII, გვ. 234, 236-237; ნ. ლომოური, საქართველოს სახელწოდებანი..., გვ. 88.).

<sup>60</sup> ამ მხრივ, განსაკუთრებით თვალშისაცემია უზუსტობანი, რომლებიც დაშვებულია „ბიზანტიის ისტორიის“ II ტომში (შესაბამისი ნაწილის ავტორი – გ. ლიტაერინი), სადაც, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ნახმარია ისეთი გამოთქმები, როგორცაა: „Абхазская знать“ (რომლებმაც 1027 წ. წამოაყენეს პრეტენზიები ბასილი II-ის მიერ ვასპურაკანში დაკავებულ ტერიტორიებზე) „наследник Гиоргия Абхазского Баграт“ (რომელთანაც შესძლო ზავის დადება რომანოზ არგიროსმა – ბიზანტიის იმპერატორმა) და ა.შ. (История Византии, т. II, М., 1967, გვ. 270.). ამ გამოცემის სხვა ადგილას ასევე ვხვდებით „აფ-

მებში.<sup>61</sup> „აფხაზეთად“ და „აფხაზებად“ მოიხსენიებენ საქართველოსა და საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობას არაბი ავტო-

ნაზთა“ მოხსენიებას (“Вышли из повиновения абхазцы, сербы” - История Византии, т. II, гв. 270.) ყოველგვარი კომენტარის გარეშე ყველა შემთხვევანულ ნაწევებში „აფხაზთა“ ქვეშ იგულისხმებიან არა ეთნიკურად აფხაზები (ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით), როგორც ეს შეიძლება აღიქვას გაუთვითცნობიერებელმა მკითხველმა, არამედ გაერთიანებული ქართული სამეფოს – აფხაზეთის – მოსახლეობა და მისი ლიდერები. “Истории Византии”-ს ეს და სხვა ხარვეზები, თავის დროზე, ქართველი ისტორიკოსების სამართლიანი კრიტიკის საგანი გახდა (იხ.: Ш. А. Месхия, Н. Ш. Асатиани, В. У. Копалиани, Э. В. Хоштария, Некоторые замечания ко второму тому “Истории Византии”, - “Вопросы истории”, №9, 1969, гв. 178-180.). უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ხასიათის უზუსტობებს უშვებდა აკად. თ. უსპენსკიც, რომელიც თავის „ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში“, ასევე ყოველგვარი განმარტების გარეშე, არცთუ იშვიათად უწოდებდა გიორგი I-ს „აფხაზეთის მეფეს“, ხოლო დავით კურაპალატს მოიხსენიებდა საქართველოს მეფედ (Ф. И. Успенский, История Византийской империи. Глава XXIV. Походы на Сирию и Армению, - „მაცნე“, №4, 1968, гв. 130.). ერთ ადგილას კი მეცნიერი საერთოდ აბსურდამდე მიდის, როდესაც წერს, რომ: “При наступлении зимы Василий II перевел свое войско в Трапезунт, имея намерение весной следующего года докончить завоевание **Абхазии и Грузии** („მაცნე“, №4, 1968, гв. 130, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ამის შესახებ აგრეთვე იხ.: ზ. პაპასკირი – ერთიანი ქართული., გვ. 155-156; მისივე, Международное положение средневековой Грузии (70-тые годы X – 80-ые годы XI вв.). Диссертация на соиск. Ученой степени доктора исторических наук в форме научного доклада, Тб., 1991, гв. 31-32.

<sup>61</sup> მაგალითად, ცნობილი აფხაზი ისტორიკოს-ეთნოგრაფი შ. ინალი-იფა, რომელსაც, როგორც ჩანს, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობაზე ქართულ სამეფო სახლსა და კომწენოსებს შორის XII ს. I მეოთხედში არსებულ დინასტიურ-ნათესაურ კავშირებზე და ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემის გარშემო გამოთქმულ მოსაზრებებზე, ტენდენციურად უდგება იოანე ზონარას შემთხვევანულ ცნობას „აბაზგი“ პრინცივსა კონსტანტინოპოლში ყოფნის შესახებ და მიაჩნია ეს ფაქტი კომწენოსთა უშუალოდ თანამედროვე აფხაზების წინაპრებთან დამოყვრების მოწმობად. უფრო მეტიც, შ. ინალი-იფამ რატომღაც ჩათვალა, რომ „აბაზგი ქალიშვილი“ მაინცდამაინც აღექვის კომწენოსის უფროს ვაჟს – მომავალ იმპერატორ იოანე II-ს უნდა გაჰყოლოდა ცოლად და უაპელაციოდ უწოდებს მას „აფხაზთა სიძეს“. კიდევ უფრო ფანტასტიკურია მეცნიერის დასკვნა, რომ ამ პერიოდში „Среди сторонников Иоанна были и другие люди (იმათ ვარდა, ვინც თან ახლდა ბიზანტიელი უფლისწულის საცოლეს – ზ.პ.) абхазского происхождения, в том числе и

რები, რომლებიც მოგვითხრობენ XI-XII სს.-ის მოვლენებზე. ანტიოქიელი (XI ს.) გიორგი I-ს უწოდებს „აფხაზთა მეფეს“ („ბილიქ ალ-აფხაზ“), ხოლო მის სამეფოს – „აფხაზთა ქვეყანას“ („ბილადალ-აფხაზია“), „აფხაზის ქვეყანას“ („ბილადალ-აფხაზი“) ან „აფხაზის სამეფოს“ („მულქ ალ-აფხაზი“).<sup>62</sup> „აფხაზთა მეფის“ ტიტულითაა მოხსენიებული ბაგრატ IV-ც, ხოლო „აფხაზთა და ქურჯთა მეფედ“ – დავით IV, დემეტრე I და გიორგი III.<sup>63</sup> სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის ცნობით, ალფ-არსლანი გამოეკიდა „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ IV-ს „ქურჯისტანში“ (საქართველო).<sup>64</sup> „აფხაზთა მეფედაა“ წოდებული დავით აღმაშენებლის მემკვიდრე დემეტრე I ცნობილი არაბი მოგზაურის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის თხზულებაში.<sup>65</sup> ზოგიერთი არაბი ავტორი უფრო გვიანდელი პერიოდის (მაგ. XIII ს.) ამბების გაშუქებისას კვლავინდებურად მთლიანად საქართველოს „აფხაზეთად“ მოიხსენიებს. ასე, მაგალითად: ჯალალ ედ-დინ ხორეზმ-შაჰის ბიოგრაფი ან-ნასავი აღმოსავლეთ საქართველოში ჯალალ ედ-დინის ლაშქრობის აღწერისას აღნიშნავს, რომ მან შეაღწია „აფხაზეთის მიწების სიღრმეში“.<sup>66</sup> XIII ს. მეორე ავტორის – იაკუთისათვის „აფხაზთა“ ქვეყანა დასახლებუ-

такие, которые занимали видные государственные посты в Константинополе (Ш. Д. Инал-ина, Вопросы..., გვ. 196. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>62</sup> ბ. სილაგაძე, იაკობ ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს. ბოლო მეოთხედსა და XI ს. პირველ მეოთხედში, – „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VI, თბ., 1986, გვ. 116-118; გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. – კრ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 132.

<sup>63</sup> გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს..., გვ. 134.

<sup>64</sup> ნ. შენგელია, სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, – კრ: „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ. 192-193; Садр ад-дин Али ал-Хусайни. Ахбар ад-даулат ас-селджукийя. Издание текста, перевод, введение, примечания З. М. Бунятова, М., 1989, გვ. 54; გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს..., გვ. 132.

<sup>65</sup> В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, გვ. 222-223.

<sup>66</sup> Ан-Насави. Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны. Перевод с арабского, предисловие, комментарии, примечания и указатели З. М. Бунятова, Баку, 1973, გვ.160; გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს..., გვ. 132.



ლია „ქურჯებით“ (ქართველებით).<sup>67</sup> იბნ ალ-ასირის თხზულებებში ცნობილი ქართველი მოღვაწე კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში მოხსენიებულია „აფხაზეთის მალიქ-კარიტად“.<sup>68</sup> იმად აღდინ ალ-ისპაჰანის ცნობით, 1154 წ. სელჩუკი უფლისწული სულეიმან-შაჰი დაქორწინდა ქართველი მეფის („მალიქ ალ-ქურჯ“) ასულზე, რომელიც იყო „აფხაზი ქალბატონი“ („ნათუნ ალ-აფხაზია“).<sup>69</sup>

თითქმის ანალოგიურ სიტუაციას ვხვდებით სპარსულ წერილობით ძეგლებშიც. XII-XIII სს. სპარსი ისტორიკოსის იბნ-ისფანდიარის თქმით, თამარი იყო „თბილისისა და აფხაზის ფადიშაჰი“.<sup>70</sup> თავის ერთ-ერთ ლექსში ცნობილ აზერბაიჯანელ პოეტ ხაკანის (XII ს.) აქვს შემდეგი სტრიქონი: „Стал я жителем Абхазии и заговорил по грузински“...<sup>71</sup> მეორე ცნობილი პოეტის ფელეკი შირვანის ოდაში დემეტრე მეფე გამოცხადებულია „Шахиншахом Абхаза и Шаки, царем горизонтов“.<sup>72</sup> სელჩუკი ქრონისტის იბნ ბიბის თხზულებაში თამარ მეფე („თამარ ხანუმი“) მოხსენიებულია „მალიქა გურჯ“ად (ე.ი. ქართველ დედოფლად), რომელიც მართავდა „მამლაქათ-აფხაზს („აფხაზთა ქვეყანა“) და დარ ალ-მულქ (დედაქალაქი) ტფილისს“.<sup>73</sup>

სომხურ წყაროებში, მართალია, არც ისე ხშირად, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს მე-

<sup>67</sup> იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, - არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, ნაკვ. I, თბ., 1964, გვ. I; გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს, გვ. 132.

<sup>68</sup> ბ. სილაგაძე, იბნ ალ-ასირის თხზულების „თარიხ ალ-ქამილი“-ს ერთი ადგილის დადგენისათვის. - „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971, გვ. 68; გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს., გვ. 133.

<sup>69</sup> გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს., გვ. 133.

<sup>70</sup> გ. ბერაძე, მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში, - „საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები“, წ. I, თბ., 1976, გვ. 70.

<sup>71</sup> А. Н. Болдырев, Два ширванских поэта - Низами и Хакани, - в сб.: Памятники эпохи Руставели, Л., 1938, გვ. 137.

<sup>72</sup> М. Буниятов, Грузия и Ширван в I половине XII века, - კრ.: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 289.

<sup>73</sup> А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто, Л. В. Черепнин. Пути развития феодализма, М., 1972, გვ. 37 (ა. ნოვოსელცევის თარგმანი). იხ. აგრეთვე იბნ ბიბის გერმანული თარგმანი: H.W.Duda. Die Seltchukengeschichte des Ibn-Bibi, Munksgard-Kopenhagen, 1959, გვ. 33.



ფეები მოხსენიებულნი არიან „აფხაზთა“ მეფეებად. ასე უწოდებენ მაგალითად, ბაგრატ III-ს XI ს. ისტორიკოსები: სტეფანოს ტაინეცი<sup>74</sup> და არისტაკეს ლასტივერტცი.<sup>75</sup> ამ უკანასკნელის თხზულებაში გიორგი I-ც მოხსენიებულია „აფხაზად“ და მისი ქვეყანაც „აფხაზეთად“,<sup>76</sup> თუმცა სომეხი ისტორიკოსი თავისი შრომის სხვა ადგილას მას „ქართველ მთავარსაც“ უწოდებს.<sup>77</sup> გიორგი I-ს „აფხაზთა“ მეფედ მოიხსენიებს კარდან „დიდიც“.<sup>78</sup>

XI-XII სს-ის საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ ერთი სახელწოდებით – „Обези“ (აფხაზეთი) იცნობენ ძველი რუსული მატრიანები<sup>79</sup> და სხვა წერილობითი ძეგლები.<sup>80</sup> ისტორიოგრაფიაში სავსებით ნათლად და არგუმენტირებულადაა ნაჩვენები სრული

<sup>74</sup> ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ X-XI საუკუნეებში, – „მრავალთავი“ (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), II, თბ., 1973, გვ. 176; Всеобщая история Степаноса Таронского - Асохика по прозванию, писателя XI столетия, Перевод с армянского Н. Эмина, М., 1864, გვ. 200.

<sup>75</sup> ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები., გვ. 179, 180; არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 41-42; “Повествование” Варданета Аристакэса Ластивертци. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашьяна, М., 1968, გვ. 57-58.

<sup>76</sup> ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები., გვ. 182, 185, 187, 190; არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, გვ. 48, 50-52; “Повествование” Варданета Аристакэса..., გვ. 67, 69.

<sup>77</sup> ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები., გვ. 181; არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, გვ. 45; “Повествование” Варданета Аристакэса..., გვ. 65.

<sup>78</sup> Всеобщая история Вардана Великого, Перевод с древнеармянского Н. Эмина, М., 1861, გვ. 117; ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები., გვ. 195.

<sup>79</sup> ტერმინს “Обези” ვხვდებით: Ипатьевская Летопись (ПСРЛ, т.II, М., 1908, столб. 465, 468, 716.), Воскресенская Летопись (ПСРЛ, т.VII, 1856, გვ. 60), Московский летописный свод конца XVв. (ПСРЛ, XXV, М.-Л., 1949, გვ. 175).

<sup>80</sup> ამ ცნობებს ვხვდებით: “Патерик Киевско-Печерского монастыря”-სა და “Толковая палея”-ში. იხ.: Памятники славяно-русской словесности. Патерик Киевско-Печерского монастыря, СПб., 1911 (под ред. Д. М. Абрамовича), გვ. 8.193; Палея Толковая по списку, сделанному в г. Коломне в 1406 г. Труд учеников Н. С. Тихонравова, М., 1892, вып. 1, გვ. 119, მოთ. 14.



უსუსურობა და აბსურდულობა ზოგიერთი აფხაზმცოდნის მცდელობისა, ძველი რუსული მატრიანების „Обези“, „Обезанин“-ში იგულისხმონ „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ თანამედროვე გაგებით<sup>81</sup> და ცალსახადაა ნაჩვენები, რომ ძველრუსული წყაროების ყველა ცნობაში, რომლებშიც მოხსენიებულია „Обези“, საუბარია „აფხაზეთზე“ ფართო გაგებით, ე.ი. ერთიან ქართულ სახელმწიფოზე და ამ სახელმწიფოს მოსახლეობაზე.<sup>82</sup>

ეს არის მხოლოდ არასრული სია იმ უცხოენოვანი წყაროებისა, რომლებშიც ტერმინ „აფხაზეთის“ ქვეშ იგულისხმება გაერთიანებული ქართული სამეფო მთლიანად და ამ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა. დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არ არსებობს XI-XII სს. მოვლენების ამსახველი არც ერთი უცხოენოვანი წერილობითი წყარო, რომელშიც ტერმინებს „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ ექნებოდა სხვა მნიშვნელობა. ასე რომ, ზოგიერთი ისტორიკოსის – აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგის მიერ ატეხილი ისტერიკა ეთნიკურ აფხაზთა არარსებულ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმზე XI-XII სს.-ში, მით უფრო საერთაშორისო არენაზე რაიმე დამოუკიდებელი როლის მქონე წარმონაქმნზე, აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

<sup>81</sup> Ш. Д. Ингал-ина, Вопросы..., გვ. 416-417; А. Л. Папаскири, Проблемы изучения русско-абхазских литературных и культурных связей, - Труды Абхазского государственного университета, т. VI, Сухуми, 1988, გვ. 114-129.

<sup>82</sup> ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956, გვ. 65-67; მისივე, ძველი რუსული მასალები (XI-XVI სს.) საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 15-26; Г. Г. Сулава, Что понимали в Древней Руси под названием "Обезь", - "История СССР", 1957, №2, გვ. 158; Ш. А. Месхия, Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв., Тб., 1958, გვ. 12; З. В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 171-177; Н. Ф. Котляр, Грузинские сюжеты древнерусских летописей, - в сб.: "Из истории украинско-грузинских связей, III, Тб., 1975, გვ. 7-19; Г. В. Цулая, "Обези" русских источников, - "Советская этнография", №2, М., 1976; З. В. Папаскири, К вопросу о международной роли Грузии в XI-первой половине XII в., - "Проблемы истории СССР", вып. V, М., 1976, გვ. 121-123; მისივე, У истоков..., გვ. 116-123; უკანასკნელ ხანს აღნიშნული პრობლემის ისტორიოგრაფიის ყოველმხრივი და ამომწურავი ანალიზი გააკეთა გ. პაიჭაძემ, რომელმაც ფაქტობრივად წერტილი დაუსვა ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველანაირ ეჭვებს. იხ.: Г. Г. Пайчадзе, Названия Грузии в русских письменных исторических источниках, Тб., 1989, გვ. 11-60.





XIII ს.-ში ჯერ ხორეზმ-შაჰ ჯალალ ედ-დინის გამანადგურებელი შემოსევების, ხოლო შემდეგ მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად, არა მარტო მნიშვნელოვნად იქნა შერყეული ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება, არამედ ერთიან ქართულ სახელმწიფოებრიობაში პირველი ბზარიც გაჩნდა. როგორც ცნობილია, XIII ს. 40-იან წლებში მონღოლებმა საქართველო რვა დუმენად (სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი) დაჰყვეს. დასავლეთ საქართველოში ორი დუმენი იყო. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია შევიდა დუმენში, რომელსაც მართავდა ცოტნე დადიანი<sup>83</sup>. დღევანდელი აფხაზეთის მოსახლეობა, მათ შორის საკუთრივ ეთნიკური აფხაზები, ამ პერიოდშიც განაგრძობდნენ საერთო-ქართულ პროცესებში აქტიურად მონაწილეობას. ასე, მაგალითად: ჟამთააღმწერლის ცნობით, აფხაზები მონაწილეობდნენ ლაშა-გიორგის (1207-1222) ცნობილ ლაშქრობაში განძაზე<sup>84</sup>. აქვე მოთხრობილია, რომ ლაშა-გიორგი „ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი“<sup>85</sup>. აღნიშნული ცნობა ყურადღებას იპყრობს იმიტაც, რომ ჟამთააღმწერელი მიჯნავს ერთმანეთისაგან ცხუმს და აფხაზეთს. ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ XIII ს.-ში ეს ოლქები არ წარმოადგენდნენ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულსაც კი, რომ არაფერი ვთქვათ სამთავროზე ლამის თანამედროვე ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში. თუ რამდენად ახლო და ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფო სახლს აფხაზურ ეთნიკურ სამყაროსთან XII-XIII სს.-ში, ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თამარ მეფემ თავის ვაჟს და მემკვიდრეს მეორე სახელად დაარქვა „ლაშა“, რაც ძველი ქართველი მემკვიდრის (ან აშკარად ლაშა-გიორგის ეპოქის ახლო ხანებში მცხოვრები რედაქტორ-კომენტატორის) განმარტებით, „განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა (აფსართა ენითა)“<sup>87</sup>.

<sup>83</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 233.

<sup>84</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 156.

<sup>85</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 156.

<sup>86</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 215.

<sup>87</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 58. მეცნიერებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა „აფსართა“ – „აფსილი“ – „აფს-უა“-ს – ე.ი. თანამედროვე აფხაზი – იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერთა თვალსაზრისს (მ. ჯანაშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ხ. ბლაჟუბა, ზ. ანჩაბაძე, გ. წულაია, თ. გვანცელაძე და სხვ.), რომლებიც



აფხაზები აქტიურობდნენ საერთო ქართულ არენაზე რუსეთის მეფობის პერიოდშიც (1222-1245). ასე, მაგალითად: ჯალალ ედ-დინის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსუდანმა მოუწოდა „სპათა თვისთა, იმერთა და ამერთა... ჰერ-კახთა სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა... აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა.“<sup>88</sup> აფხაზთა აქტიური მონაწილეობით მოხდა დავით რუსუდანის ძის ქუთაისში დასავლეთ საქართველოს მეფედ გამოცხადებაც.<sup>89</sup> ჟამთააღმწერლისვე ცნობით, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებაში (კონტასთავის შეთქმულება) სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ „უშორეს მყოფნი აფხაზნი“.<sup>90</sup> მოგვიანებით, დავით ნარინის აჯანყების (1259 წ.) მარცხისა და მისი დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ: „აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერელთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე – ყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე“.<sup>91</sup> ამ დროიდან ერთიანი ქართული სახელმწიფო ფაქტობრივად ორ სამეფოდ დაიშალა. აღმოსავლეთ საქართველოში ისევ მეფობდა დავით ულუ – ლაშა-გიორგის ძე, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ლიხთ-იმერეთში – დავით ნარინმა (რუსუდანის ძე) შექმნა დამოუკიდებელი სამეფო, რომელმაც იარსება XIV ს. 20-იანი წლების ბოლომდე. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, რასაკვირველია, აღმოჩნდა დავით ნარინის სამფლობელოში. ამ ტერიტორიაზე მისი მოღვაწეობის შესახებ პირდაპირ მიუთითებს ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის ერთ-ერთ ვერცხლის ხატზე გაკეთებული წარწერა,<sup>92</sup> რაც იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული რეგიონი შემოდიოდა საერთო-ქართულ ქრისტიანულ სამყარარწმუნებულნი არიან ასეთი იდენტიფიკაციის სისწორეში. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: З.В. Анчабадзе, Из истории., გვ. 213-216; Г.В. Цулая, Абхазия и абхазцы., გვ. 137-139; თ. გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ „აფხაზისა“ და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ, – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი., გვ. 575-576.

<sup>88</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 182.  
<sup>89</sup> იქვე, გვ. 180.  
<sup>90</sup> იქვე, გვ. 215.

<sup>91</sup> ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება“). – გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა, თბ., 1996, გვ. 468-469; შდრ.: ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 229 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>92</sup> З.В. Анчабадзе, Из истории., გვ. 234.

როში. ამ საკითხზე ყურადღებას საგანგებოდ იმიტომ ვამახვილებთ, რომ სეპარატისტულად განწყობილი ისტორიკოსები და მათი მფარველები – რუსული ნაციონალ-შოვინიზმის იდეოლოგები (მაგ. ვ. კოჟინოვი) ცდილობენ გაავრცელონ აზრი აფხაზური ეროვნული საეკლესიო ორგანიზაციის არსებობის შესახებ. ისინი ახდენენ აპელირებას იმ ფაქტით, რომ შუა საუკუნეებში საქართველოში ფუნქციონირებდა ე.წ. „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო, რომელიც, სენსაციის მოყვარულთა ფანტასტიკური მონაჭვორის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენდა არა აფხაზურ, არამედ წმინდა ქართულ საეკლესიო ორგანიზაციას,<sup>93</sup> რაზეც

<sup>93</sup> ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაზუსტებული, თუ როდის დაიწყო ფუნქციონირება ე.წ. „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსომ. მართალია, წყაროებში არ არის ზუსტი დამადასტურებელი ცნობები, მაგრამ ჰიპოთეტურად სავსებით დასაშვებია დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბება კათალიკოსით სათავეში ჯერ კიდევ „აფხაზთა“ სამეფოში „ლუნიდების“ მმართველობის ხანაში, ე.ი. IX-X სს-ში (ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, – „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. III, თბ., 1966, გვ. 50; კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, – წიგნში: კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 355; М.Д. Лордкипანიძე, Возникновение новых феодальных государств, - Очерки истории Грузии, т. II, Тб., 1988, გვ. 291.). ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ დასავლურ-ქართული ეკლესია „ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთავან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაიდან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოსსა აფხაზეთისასა და არა ეგრისისასა და იმერეთისასა“ (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 746.). XI-XII სს. „აფხაზ“ კათალიკოსებზე მცირე რამ არის ცნობილი და მხოლოდ XIII ს.-დან, დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გამეფების შემდეგ, გამოდინა ისინი წინა პლანზე (იხ.: ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 180). აფხაზეთის საკათალიკოსოს, როგორც დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის, საბოლოო გაფორმება მოხდა XV ს. II ნახევარში, როდესაც დასავლეთ საქართველოს ლიდერების – იმერეთის (შემდეგ კი ქართლ-იმერეთის) მეფის ბაგრატისა და „დიდ ერისთავთ-ერისთავის დადიან-გურიელ“ შამადავლეს ინიციატივითა და ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის უშუალო მონაწილეობით მოხდა მეფე იოვანეს ხელდასხმა „ღმისთამერისა და აფხაზეთის“ კათალიკოსად. ამასთან დაკავშირებით, შედგენილ იქნა სპეციალური დოკუმენტი – „მცნებაი სარჯულო“, რომელშიც, სხვათა შორის, მოცემული იყო „აფხაზეთის“ კათალიკოსის მოქმედების არეალი: იმერეთი, გურია, ოდიში, აფხაზეთი, სრულიად აჭარა, შაქსეთი და კლარჯეთი („მცნებაი სარჯულო“



ერთმნიშვნელოვნად მეტყველებენ როგორც ნარატიული წყაროები ისე, რაც მთავარია, დოკუმენტური მასალები, პირველ რიგში, აფხაზეთის საკათალიკოსოს მოღვაწეობის ამსახველი ძეგლები: ე.წ. „აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი“ (ანუ „ბიჭვინთის იადგარი“)<sup>94</sup> და „აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი იადგარი“.<sup>95</sup> ერთადერთი, რაც აკავშირებს „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს აფხაზურ ეთნიკურ სამყაროსთან, არის ის, რომ კათალიკოსთა რეზიდენცია დიდი ხნის განმავლობაში (XVII ს. შუახანებამდე)<sup>96</sup> იყო ბიჭვინთაში<sup>97</sup> – ე.ი. აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე, სადაც

ტექსტი იხ.: ქართული სამართლის ძეგლები, გამ. ი. დოლიძე, ტ. III, თბ., 1966, გვ. 221-233. ამ მოვლენის შეფასება იხ.: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1966, გვ. III-III.4.). ამრიგად, ნათელია, რომ „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს დაწესება XV ს. II ნახევარში ნიშნავდა დასავლეთ საქართველოს მმართველების სეპარატისტული მისწრაფებების გამარჯვებას. მათ საკუთარი ამბიციების განსაკმაყოფილებლად დასჭირდათ „თავისი“, საერთო-ქართული ერთიანობის განმასახიერებელი მცხეთის საკათალიკოსოსაგან დამოუკიდებელი ეკლესია.

<sup>94</sup> იქმნებოდა XVI-XVIII სს-ში. ამ ძეგლის უძველეს ნაწილს, ანუ საკუთრივ „იადგარს“, რომელიც შედგენილია XVI-XVII სს. მიჯნაზე, საფუძვლად დაედო იმერეთის ცნობილი მეფის – ბაგრატ III-ის მიერ ბიჭვინთის ეკლესიისადმი ბოძებული (1537-1565 წწ.-ში) „იადგარი“. მეორე ნაწილი კი ამ დოკუმენტისა წარმოადგენს იმერეთის მეფეების, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებისა და მთავრების მიერ ბოძებული სიგელების კრებულს.

<sup>95</sup> შედგენილია 1622 წ. მალაქია კათალიკოსის დაკვეთით. მასში დაფიქსირებულია იმერეთის, გურიისა და ოდიშის ფარგლებში კათალიკოსის კუთვნილი გლეხები.

<sup>96</sup> ზ. ანჩაბაძის აზრით, „აფხაზეთის“ კათალიკოსთა რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადატანა მოხდა XVII ს. შუახანებში კათალიკოს ზაქარია ქვარიანის დროს (З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 278.), მაგრამ ბოლო ხანებში ეს აქტი თარიღდება XVI ს. შუახანებით – კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის მმართველობის პერიოდით (1558-1578 წწ.) (ბ. ლომინაძე, გელათი, თბ., 1958, გვ. 12. იხ. აგრეთვე: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977, გვ. 31.). მიუხედავად იმისა, თუ როდის – XVI ს-ში თუ XVII ს-ში გადავიდნენ „აფხაზეთის“ კათალიკოსები გელათში, ერთი რამ ნათელია: ეს გამოწვეული იყო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მღვდმარეობის მნიშვნელოვანი გაუარესებით. მიუხედავად ამისა, ბიჭვინთა ამის შემდეგაც რჩებოდა დასავლურ-ქართული ეკლესიის მნიშვნელოვან ცენტრად, სადაც ხდებოდა მირონის კურთხევა და სხვა სადღესასწაულო რიტუალები (Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 1875, გვ. 121-122; З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 242, 278).

<sup>97</sup> ბიჭვინთის წარმოჩენა საერთო დასავლურ-ქართული რელიგიური ცენტრის სახით, ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისით, ხდება საბედიანოს (ე.ი. სამეგრელოს – ზ.პ.) სამთავროს გაძლიერების ხანაში. მისი თქმით, „ჯერ კიდევ XIII ს. ბოლოს“



ცხოვრობდნენ აფხაზური ტომები. ასე რომ, ე.წ. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს ეროვნულ-კულტურული სახე არავითარ ეჭვს არ იწვევს: აღნიშნული ეკლესია მთლიანად ქართული იყო<sup>98</sup>, ხოლო ის ფაქტი, რომ დასავლურ-ქართული ეკლესიის ცენტრი იყო ბიჭვინთა, მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები ამ ხანაშიც (XIV-XV ს. I ნახევარი მაინც) რჩებოდნენ ქართული ქრისტიანობის არეალში.

დავით ნარინის სიკვდილის შემდეგ (1293) დასავლეთ საქართველო შინაშლილობამ მოიცვა, რითაც ისარგებლა გიორგი დადიანმა, რომელმაც, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიადმდე. ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი... განიძკვიდრა თვისად...“<sup>99</sup> აღნიშნულ ცნობას, ჩვენი აზრით, მეცნიერებაში არცთუ სწორი ინტერპრეტაცია ეძლევა. ზ. ანჩაბაძე, გამოდის რა არასწორი თეზისიდან, რომ ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოები გაერთიანდნენ ერთიან ცხუმის საერისთავოში, რომელსაც შარვაშიძე ედგა სათავეში, აღნიშნავს, რომ ცხუმის ერისთავები იძულებულნი გახდნენ, შემოფარგლულიყვნენ ყოფილი აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიით.<sup>100</sup> ე.ი., მეცნიერის აზრით, ცხუმის საერისთავოს ტერიტორია დადიანმა წაართვა შარვაშიძეს. მაგრამ ვახუშტის ცნობა აშკარად მოწმობს, რომ ამ მოვლენების წინახანებში არავითარი ერთიანი ცხუმ-აფხაზეთის საერისთავო არ არსებობდა. პირიქით, ვახუშტი ცხუმის საერისთავოს მთელ ტერიტორიას ანაკოფიითურთ (ამის იქით იწყებოდა აფხაზეთის საერისთავო) – ცალსახად მიიჩნევს „სრულიად ოდიშად“.

აღნიშნულ პერიოდში აშკარაა დასავლეთ საქართველოს ერისთავების სწრაფვა, კიდევ უფრო განიმტკიცონ თავიანთი მემკვიდრეობითი უფლებები საერისთავოებზე,<sup>101</sup> რასაც, ბუნებრივია, წინააღმდეგობას უწევდნენ ლიხთ-იმერეთის მეფეები. თავის მხრივ,

ბიჭვინთა „ხდება მთელი დასავლეთ კავკასიის რელიგიური ცენტრი“ ( ზ.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 241). მკვლევართა აზრით, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ დროს ბიჭვინთის მიტროპოლიას შეუერთეს ალანიისა და ზიზიის (ჯიქეთის) მიტროპოლიები ( ზ.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 241; ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 102.).

<sup>98</sup> ზ.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 242.  
<sup>99</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 80; ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, – „მომომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 175.

<sup>100</sup> ზ.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 235.  
<sup>101</sup> იქვე.

დასავლეთ საქართველოს ფეოდალური არისტოკრატია ყველაზე  
ირად ცდილობდა ქუთაისის ტახტის მოშლას. ამიტომ იყო, რომ  
ერისთავები გარკვეული ენთუზიაზმით შეზდნენ ქუთაისში გი-  
ორგი V ბრწყინვალის მოსვლას და მის მიერ ბაგრატიის – დავით  
ნარინის შვილიშვილის – ტახტიდან გადაყენებას. რასაკვირველია,  
ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს  
ერისთავებს გულზე ეხატებოდათ თბილისის ხელისუფლება. ოდი-  
შის ერისთავის ძამია დადიანის, გურიელის, სვანეთის ერისთავისა  
და აფხაზეთის ერისთავ შარვაშიძის ენთუზიაზმი უდავოდ იძულებ-  
ითი იყო. მათ არ გააჩნდათ საკმარისი ძალები საქართველოს მე-  
ფისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და ალბათ ამიტომ იჩქარეს  
მასთან გამოცხადება „ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმე-  
რეთისა და ყოვლისა გიორგიისა“ (ე.ი. საქართველოსი – ზ.პ.).<sup>102</sup>  
ამით, როგორც ჩანს, მათ შეძლეს თავიანთ საერისთავოებში მე-  
მკვიდრეობითი უფლებების შენარჩუნება.<sup>103</sup> ამან საშუალება მისცა  
გიორგი ბრწყინვალეს ძლევამოსილად განეგრძო გზა და ზედმეტი  
გართულებების გარეშე დაემყარებინა სრული კონტროლი მთელ  
დასავლეთ საქართველოზე. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი  
აღნიშნავს, მეფე „შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა (სა-  
ქმენი) მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თვისად“.<sup>104</sup> ყურადღებას  
იქცევს ის ფაქტი, რომ გიორგი V-მ რატომღაც საჭიროდ ჩათვალა  
(და ეს აშკარად ხაზგასმულია ვახუშტის ცნობაში) აფხაზეთის  
ციხე-სიმაგრეებზე უშუალოდ სამეფო კონტროლი დაემყარებინა  
(„დაიპყრნა ციხენი თვისად“). ცხუმის საერისთავო კი ისევ გადაეცა  
ოდიშის ერისთავს – „ბედელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო“.<sup>105</sup>

XIV ს. 80-იანი წლების ბოლოს, ისარგებლეს რა თემურ-ლენგის  
შემოსევების შედეგად საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდ-  
გომარეობის გართულებით, დავით ნარინის შთამომავლებმა, კე-  
რძოდ, იმერეთის ერისთავმა ალექსანდრემ – გიორგი ბრწყინვა-  
ლის მიერ ქუთაისის ტახტიდან გადაყენებული ბაგრატი მეფის ვა-  
ჟმა, სცადა იმერეთის სამეფო ტახტის აღდგენა და ამ მიზნით გადა-  
წყვიტა დადიან-გურიელის, შარვაშიძისა და სუანთა მომხრობა,  
„არამედ არა ინებეს, რამეთუ შიში აქუნდათ ჯერეთ ბაგრატი მეფისა

<sup>102</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 258.  
<sup>103</sup> З.В. Анчабадзе, Из истории., გვ. 236.  
<sup>104</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 258.  
<sup>105</sup> იქვე.



(საქართველოს მეფე 1360-1393 წწ.-ში) და ეგნენ ერთგულებასა და სსა ზედა“<sup>106</sup> მიუხედავად ამისა, ალექსანდრემ, როგორც ჩანს, მაინც შესძლო თავისი თავის მეფედ გამოცხადება (1387-1389), მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა მემკვიდრემ იმერეთის ტახტზე – გიორგიმ ვერ შეძლეს მთავრების დამორჩილება. უფრო მეტიც, სრული კრახით დასრულდა იმერეთის მეფის ლაშქრობა ოდიშში 1392 წ.,<sup>107</sup> სადაც „ეწყო მას დადიანი „აფხაზთა შეწვევითა“, სძლია მას და „მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი.“<sup>108</sup> ამრიგად, მიუხედავად თემურ-ლენგის შემოსევებით გამოწვეული სირთულეებისა, ბაგრატ V-მ შესძლო ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და „ბაგრატ იყო მორჭმული სახელოვანი. ამას ჰქონდა ქართლი, სომხითი და ჰმონებდენ პიტიახშნი ლორისა, კახეთისა, შარვანისა და სამცხისა, და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი, მთიულნი კავკასიანნი“<sup>109</sup>

ამრიგად, მთელი XIV ს. განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ერისთავები, მათ შორის, აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძე, სტაბილურად ცენტრალური ხელისუფლების ერთგულნი იყვნენ, რითაც მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი საერთო-ქართული სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნებას. ამავე დროს, ქუთაისის ტახტის საწინააღმდეგოდ და, როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით ხდება ოდიშის მმართველების – დადიანების გაძლიერება, რომლებიც თანდათანობით დასავლეთ საქართველოს ფაქტობრივ ლიდერებად იქცნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი ამ პერიოდში მუდმივად ფლობდნენ ცხუმის საერისთავოს. აშკარაა მათი გავლენა აფხაზეთის ერისთავებზე – შარვაშიძეებზეც, რომლებიც, როგორც წესი, ყოველთვის მონაწილეობდნენ ოდიშის მთავრების სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში. უფრო მეტიც, ზოგიერთი უცხოური წყაროს მონაცემებით, საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოც შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XIV ს. არაბი ავტორის ალ-მუჰიბის (გარდ. 1384

<sup>106</sup> იქვე გვ. 803.

<sup>107</sup> დ. ნინიძე. „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995, გვ. 123.

<sup>108</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 265; დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები“..., გვ. 123.

<sup>109</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 342 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).



წ.) ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ: „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს და დადიანი – მეფე, რომელიც განაგებს სუხუმსა და აბხაზს. ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე“.<sup>110</sup> ანალოგიურ ცნობას ვხვდებით შიკაბ ედ-დინ ალ-კალკაშანდის „ენციკლოპედიაშიც“.<sup>111</sup> ვენეციელი დიპლომატის – იოსაფაატ ბარბაროს, რომელმაც იმოგზაურა აღმოსავლეთში XV ს. შუა ხანებში (1436-1451 წწ.), თქმით, სამეგრელოს საზღვარი ვრცელდება ჩერქეზეთამდე,<sup>112</sup> რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ მთელი აფხაზეთი ჩერქეზეთამდე ოდიშის საზღვრებში იყო მოქცეული.<sup>113</sup> ამას ადასტურებს ჯორჯო ინტერიანოც (XV ს.), რომელიც საქართველოსა და ჩერქეზეთს შორის საზღვრად ასახელებს ანგაქსია-ს (Angaxia), რომელიც მკვლევართა აზრით, უნდა ვეძიოთ გაგრის ჩრდილოეთით – თანამედროვე ადღერის მიდამოებში.<sup>114</sup>

ერთი სიტყვით, არსებობს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ოდიშის სამთავროს საზღვრები XIV-XV ს. I ნახევარში ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით ვრცელდებოდა არა მდ. ბზიფამდე,

<sup>110</sup> XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გონილ-ეიშვილმა, თბ., 1988, გვ. 53 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ამ წერილში ნახსენები დავით მეფე არის საქართველოს მეფე – დავით IX (1346-1360), ხოლო დადიანი (დადიანი) – გიორგი II დადიანი (1345-1384). ამის შესახებ იხ.: XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები..., გვ. 45; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 41.

<sup>111</sup> ალ-კალკაშანდი წერს: „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე, ერთი მათგანია... თბილისის გამგებელი... მეორე სუხუმისა და აბხაზის გამგებელი, რომელსაც ეწოდებოდა დადიანი... ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე“. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები..., გვ. 56 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). იხ. აგრეთვე: В.Г.Тизенгаузен. Заметки Эль-Калкашанди о грузинах, перевод на русский язык и издание В.Г. Тизенгаузена, - “Записки Восточного Отделения Русского Археологического Общества, т. 1, вып. 3, СПб., 1886, გვ. 214; ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 101.

<sup>112</sup> XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, – იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 55; იხ. აგრეთვე: ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, – თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 310, თბ., 1992, გვ. 49-50.

<sup>113</sup> ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 50.

<sup>114</sup> იქვე.





როგორც ამას თვლიდა ზ. ანჩაბაძე,<sup>115</sup> არამედ მდ. ფსოუმდე.<sup>116</sup> ესეც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის საერისთავო (რომ არაფერი ვთქვათ მთელ თანამედროვე აფხაზეთზე) წარმოადგენდა არა რაიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნს, რომელსაც სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, არამედ იყო სამეგრელო-ოდიშის შემადგენელი ნაწილი, რომლის მმართველებიც — დადიანები, მიუხედავად სუვერენიტეტის საკმაოდ მაღალი ხარისხისა,<sup>117</sup> მაინც რჩებოდნენ ქვეყნის (საქართველოს) ცენტრალური ხელისუფლების ძირითად დასაყრდენ ძალად დასავლეთ საქართველოში. ისინი იყვნენ საქართველოს მანდატურთუხუცესები<sup>118</sup> (შესაძლოა, აგრეთვე ამირსპასალარებიც).<sup>119</sup>

XV ს. დასაწყისში ვამეყ I დადიანის მემკვიდრემ — მამიამ (1396-1414) კვლავ დაუდასტურა თავისი ერთგულება საქართველოს მეფეს — გიორგი VII და არ დაუჭირა მხარი იმერეთის ბაგრატი-

<sup>115</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 240.

<sup>116</sup> ე. მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 50.

<sup>117</sup> ოდიშის მმართველების სუვერენიტეტზე, კერძოდ, მოწმობს ის ფაქტი, რომ დადიანთა გვარის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი — ვამეყ I (1384-1396 წწ.) საკუთარ მონეტას ჭრიდა ცხუმში — სებასტოპოლისში, სადაც იყო ზარაფხანა. იხ.: Д. Капанაдзе, Грузинская нумизматика, М., 1955, გვ. 97; З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 238; По поводу искажения грузино-абхазских взаимоотношений (Ответ авторам "абхазского письма"), Тб., 1991, გვ. 12,76.

<sup>118</sup> საქართველოს მანდატურთუხუცესებად დასახელებულნი არიან ბედან დადიანი (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი სამეგრელოში, — „ძველი საქართველო“, ტ. III, ტფილისი, 1913-1914, გვ. 132; თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III, თბ., 1967, გვ. 158.) და ვამეყ I დადიანი (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური..., გვ. 132-133).

<sup>119</sup> სებასტოპოლისის კათოლიკური მისიის ხელმძღვანელის ეპისკოპოსის პიეტრო გერალდის ცნობით, მამია დადიანი — ოდიშის მთავარი (1323-1345 წწ.) — იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ, — თსუ შრომები, ტ. 243, თბ., 1983, გვ. 98-99; მისივე, საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 104.

ონებს მათ მცდელობაში, მოეხდინათ დასავლეთ საქართველოში ხელისუფლების უზურპაცია. ამისათვის მეფემ კვლავ უბოძა ოდიშის მფლობელს ცხუმის საერისთავო.<sup>120</sup> საქართველოს მანდატურთუხუცესთა ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა იყო საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამიტომ ისინი ხშირად აწყობდნენ საჭირო სამხედრო აქციებს. კერძოდ, წყაროებში შემონახულია ცნობები ამგვარი აქციის შესახებ, რომელიც მოაწყო ვამეყ II დადიანმა ჯიქეთში, სადაც მან დაანგრია „... და უხმარ იქმნა მათი სიმაგრეები გაგარი და უღალნი“.<sup>121</sup> ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ ეს ლაშქრობა უშუალოდ შარვაშიძის წინააღმდეგაც იყო მიმართული,<sup>122</sup> რომელიც, შესაძლოა, უკვე იწყებდა ბრძოლას დადიანის ვასალური დამოკიდებულებისაგან თავის დასახსნელად. ასეთ შემთხვევაში ეს არის ქვეყნის შიგნით ფეოდალური ურთიერთდაპირისპირების ტიპური გამოვლინება და ჯერ კიდევ არ მოწმობს აფხაზეთის ერისთავის მისწრაფებაზე, გამოვიდეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან. თუ შემდგომი მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ აფხაზეთის ერისთავი (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც) ცდილობს მიაღწიოს მხოლოდ ოდიშის მთავრის შუალედური ხელისუფლების ლიკვიდაციას, რათა უშუალოდ ცენტრის დაქვემდებარებაში აღმოჩნდეს. როგორც ჩანს, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 1414 წ., როდესაც „მამია დადიანმან... ინება დამორჩილება აფხაზთა“ და ამ მიზნით „შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა“ (სალაშქროდ) შარვაშიძის წინააღმდეგ, სადაც მას „ეწყო შარვაშიძე აფხაზით... მოსწყვიდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია“.<sup>123</sup> შეიტყო რა აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტის შესახებ, საქართველოს მეფე ალექსანდრე I (1412-1442) დაუყოვნებლივ ჩავიდა ოდიშში, სადაც მას დახვდა მამია დადიანის ვაჟი — ლიპარიტი, რომელმაც პატიება ითხოვა მამამისის მიერ აფხაზეთში ჩადენილის გამო.<sup>124</sup> ე.ი. გამოდის, რომ მამია

<sup>120</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 269.

<sup>121</sup> ხობის მონასტრის წარწერა გამოქვეყნებულია: ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური..., გვ. 133; იხ. აგრეთვე: ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 49; თ. ბერაძე, „გაგარი“ და „უღალის“ განმარტებისათვის, — „მაცნე“ (ისტორია...), №1, თბ., 1973, გვ. 122.

<sup>122</sup> ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 49.

<sup>123</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 278.

<sup>124</sup> იქვე.



დადიანის მიერ აფხაზეთში მოწყობილი სადამსჯელო ექსპედიციები იყო სანქციონირებული საქართველოს მეფის მიერ. შესაძლოა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას უკვე ეშინოდა კიდეც ოდიშის ლიდერთა ზედმეტად გაძლიერებისა და თვითონ იყო დაინტერესებული აფხაზეთის ერისთავის დადიანის ქვეშევრდომობიდან გამოყვანაში. ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია: ალექსანდრე I-მა შესძლო კონფლიქტის ჩაქრობა. მან აპატია ლიპარიტ დადიანს და მასთან ერთად „წარვიდა აფხაზეთს“. აქ მეფეს „მოეგება შარვაშიძე და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, ვითარცა პირველთა მეფეთასა; განაგნა (ალექსანდრე I – ზ.პ.) მუნებურნი და დაამშვიდნა ივინი და მოვიდა ქუთათისს“.<sup>125</sup>

XV ს. პირველი ნახევრის განმავლობაში შეიმჩნევა ოდიშის მთავრების შემდგომი გაძლიერება. ამ პერიოდში დადიანის ძალაუფლება პრაქტიკულად მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. იოსაფაატ ბარბაროს მონაცემებით, ზღვისპირა ზონაში ის ფლობდა სებასტოპოლისს (სოხუმი) და ვათს (ბათუმი).<sup>126</sup> XV ს. შუახანებში ოდიშ-სამეგრელოს მმართველმა მიიღო საერთაშორისო აღიარება. ის ხდება აქტიური წევრი ანტიოსმალური კოალიციისა, რომლის ორგანიზებასაც ცდილობდა გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1446-1466). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მეფის მიერ რომში გაგზავნილ წერილში (1459 წ.) ბედიანი (იგივე დადიანი) მოხსენიებულია „სამეგრელოს მეფედ“ („Bandian rex Mingreliae“),<sup>127</sup> ხოლო რომში ჩასული ქართველი ელჩები ბედიანს იხსენიებენ „სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფედ“ („Bendas Mengrelia et Abasiae rex“).<sup>128</sup> ამავე კოალიციაში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე „ანოკასიის მთავარი რაბია“, რომელიც ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა „ანაკოფიის მთავრად“.<sup>129</sup> ზ. ანჩაბაძის აზრით, რაბია იყო „აპოკაზიის“, ე.ი. აფხაზეთის მთავარი.<sup>130</sup> მაგრამ, უკანასკნელ ხანს, ე. მაძისთვალის მიხედვით, ჩვენი

<sup>125</sup> ე. მაძისთვალის მიხედვით, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 52-53 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>126</sup> XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები..., გვ. 55; 3.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 239.

<sup>127</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 595; 3.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 239.

<sup>128</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 596; 3.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 239.

<sup>129</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 68.

<sup>130</sup> 3.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 253-254.

აზრით, საკმარის დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ საქართველოს მეფის წერილის ლათინურ ტექსტში ლაპარაკია არა „ანაკოფიაზე“ ან „აპოკაზიაზე“, არამედ „ანოკასიაზე“,<sup>131</sup> რის ქვეშაც ის გულისხმობს ჯიქებით დასახლებულ ტერიტორიას, ხოლო რაბიას თვლის ჯიქეთის მთავრად.<sup>132</sup> აქედან და აგრეთვე იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ დროს სწორედ ბედიანი ითვლებოდა „სამეგრელოსა და აფხაზეთის“ მეფედ, ემამისთვალიშვილი აკეთებს სავსებით ლოგიკურ დასკვნას, რომ ამ პერიოდში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთოდ არ არსებობდა ოდიშის პატრონისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული.<sup>133</sup>

ბედიან-დადიანების უფლებები აფხაზეთზე ნათლად არის დაფიქსირებული გენუელთა კოლონიების მასალებში. როგორც ცნობილია, გენუელთა პირველი კოლონიები შავიზღვისპირეთში ჯერ კიდევ XIII ს. II ნახევარში გაჩნდა.<sup>134</sup> მალე მათ ტანადან სებასტოპოლის-სოხუ-მამდე დაარსეს 39 დასახლება, აქედან 7 – საქართველოს სანაპიროზე.<sup>135</sup> ყველა ეს დასახლება მდებარეობდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე: გაგრა (Cacary), სოფ. ალახაძის მახლობლად – Santa-Soffia, ბიჭვინთაში (Pezonda), გულაუთის რაიონში (Cavo di Buxo), ახალ ათონში (Nicoffa), სოხუმში (Sevastopoli) და მდ. ენგურის შესართავთან (Sant-Angelo).<sup>136</sup> ამ კოლონიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სებასტოპოლისი – სოხუმი, სადაც ჯერ კიდევ 1354 წ-დან იმყოფებოდა გენუის რესპუბლიკის კონსული.<sup>137</sup> ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გენუის რესპუბლიკის მთავრობა კონსულს სებასტოპოლის-სოხუმში ნიშნავდა ადგილობრივი მმართველის – ბედიანის თანხმობით (კერძოდ, ამას მოწმობენ 1424 წ. „გენუის ანალები“).<sup>138</sup> იოსაფაატ ბარბარომ დააფიქსირა

<sup>131</sup> ე. მამისთვალიშვილის დაკვირვებით, მ. თამარაშვილის არქივში ყველაგან დაფიქსირებულია „Anocasia“ ან „Angosia“. ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 51.

<sup>132</sup> ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 51-52.

<sup>133</sup> ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 52.

<sup>134</sup> იქვე.

<sup>135</sup> იქვე.

<sup>136</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 244.

<sup>137</sup> Е.С. Зевакин и Н.А. Пенчко, Очерки по истории Генуэзских колоний на Западном Кавказе в XIII-XV вв., - "Исторические записки", т. 3, М. 1938, გვ. 86. პირველ კონსულად მოხსენიებულია ამბროჯო დე პეტრო (ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 52.).

<sup>138</sup> ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 52-53.



ბედიანის გარკვეული პრეტენზიები სებასტოპოლისის შემოქმედებებზე.<sup>139</sup> სებასტოპოლის-სოხუმზე ოდიშის მთავრის რეალურ ძალაუფლებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გენუის ხელისუფალნი ყოველმხრივ ცდილობდნენ მისი კეთილგანწყობილების მოპოვებას. მაგალითად, ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში კაფის კონსულის სახელზე მითითებული იყო: “Всего более достойно похвалы то, что вы стараетесь со всеми властями и народами того края жить в дружбе и избегать случаев столкновения. И подобным же образом довольны мы тем, что вы писали нам о надеждах на прочный мир с Бендиано, князем Себастиана.”<sup>140</sup> აღნიშნული მითითება, როგორც ჩანს, იყო გენუის მთავრობის თავისებური რეაქცია კაფის კონსულის მოხსენებაზე (1465 წ. 1 დეკემბრისა), რომელშიც კონსული გამოხატავდა თავის კმაყოფილებას იმით, რომ „კარგად მოგვარდა საქმე სამეგრელოს მთავარ ბენდიანოსთან.“<sup>141</sup>

თავის მხრივ, დადიანებიც ასევე დაინტერესებულნი იყვნენ გენუელ კოლონიზებთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებაში და ხანდახან ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდ რამდენადმე ელაქუცებოდნენ მათ. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ცნობა აქვს ზემოხსენებულ „კათოლიკურ ეპისკოპოსს ქვემო იბერიისა“, რომელიც სოხუმში იჯდა – პიეტრო გერალდის. მისი თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა (ამ დროს კი – XIV ს. I მესამედი – გერალდის ცნობით, სებასტოპოლის-სოხუმში ცხოვრობდნენ ქართველები, მაკმადიანები და ებრაელები)<sup>142</sup> აღშფოთდა იმით, რომ დადიანმა კათოლიკეებს გამოუყო ცალკე სასაფლაო. განრისხებულმა ხალხმა მოგლიჯა ლათინური სასაფლაოს ცენტრში აღმართული ჯვარი და საფლავის ქვები. ლათინებმა კვლავ აღმართეს ჯვარი და აღადგინეს საფლავის ქვები. მაშინ ადგილობრივმა „სქიზმატიკოსებმა (მართლმადიდებლები), მღვ-

<sup>139</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>140</sup> Е.С. Зевакин и Н.А. Пенчко, Очерки по истории Генуэзских колоний, გვ. 113; З.В. Анчабадзе, Из истории., გვ. 246 (ზაზგასმა ჩვენია – ზ. პ.).

<sup>141</sup> Е.С. Зевакин и Н.А. Пенчко, Очерки по истории Генуэзских колоний, გვ. 114; З.В. Анчабадзе, Из истории., გვ. 246.

<sup>142</sup> ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო, გვ. 102-103; ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 56.



დღებმა და ხალხმა, სარკინოზებისა და ებრაელების დახმარებით, მიქაელის მესამედ აღმართული ჯვრები და საფლავის ქვები სქიზმატიკოსების მთავარ ეპისკოპოსს.<sup>143</sup> პიეტრო გერალდი აღნიშნავს, რომ ქართველებს, მათი რჯულშემწყნარებლობიდან გამომდინარე, არაფერი ჰქონდათ საწინააღმდეგო, რომ მათ ჰქონოდათ საერთო სასაფლაო ლათინებთან, მაგრამ ამ უკანასკნელთ უარი თქვეს თავიანთი მკვდრების ქართველთა შორის დამარხვაზე.<sup>144</sup> ფიქრობენ, რომ ამ კონფლიქტს აღვივებდნენ სარკინოზები — მაჰმადიანები (რუმის სასულთნოდან გამოსული თურქ-სელჯუკები) და ებრაელები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ ცხუმ-სებასტოპოლისიდან გენუელი კონკურენტების განდევნას.<sup>145</sup>

კონსტანტინოპოლის დაცემისა (1453 წ.) და თურქ-ოსმალების ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში გააქტიურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ვითარება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც. უკვე 1454 წ.<sup>146</sup> თურქებმა მოაწყვეს პირველი სამხედრო ექსპედიცია სოხუმის რაიონში, გაძარცვეს ქალაქი და აფხაზეთის სანაპირო.<sup>147</sup> მართალია, საქართველოს მეფე გიორგი VIII, გაიგო რა თურქული დესანტის გადმოსხმის შესახებ, დაუყოვნებლივ გაემართა აფხაზეთში, მაგრამ ვერ დაეწია მოწინააღმდეგეს და მხოლოდ ის მოახერხა, რომ „მკვიდრნივე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს.“<sup>148</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, გიორგი VIII-მ 50-იანი წლების ბოლოს

<sup>143</sup> ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო, გვ. 103; ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 56.

<sup>144</sup> ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო, გვ. 103; ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 56.

<sup>145</sup> ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 56. დადიანების გენუელ კოლონიზატებთან ურთიერთობების ხასიათზე დაწვრილებით იხ.: ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981, გვ. 75-80.

<sup>146</sup> ვახუშტი თურქების პირველ გამოჩენას ათარილებს 1451 წ.-ით (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 284), მაგრამ შეცნიერებაში დაზუსტებულია ამ მოვლენის თარიღი — 1454 წ. — 3.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 252; ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 54; М. Свапидзе, Из хронологии Вахушти Багратиони (Первое вторжение турок на черноморском побережье Грузии), - "Источниковедческие разыскания", Тб., 1985, გვ. 110.

<sup>147</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 284; ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 54; 3.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 252.

<sup>148</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 284; ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 54.

სცადა შეექმნა მძლავრი ანტიოსმალური კოალიცია აღმოსავლეთში და ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად მიეყენებინათ გამანადგურებელი დარტყმა თურქ-ოსმალებისათვის.<sup>149</sup> მაგრამ მისი ეს ინიციატივა ჩაიფუშა, რამაც მკვეთრი გავლენა იქონია საქართველოს შიგნით პოლიტიკურ სიტუაციაზე. XV ს. 60-იან წლებში ქვეყანა მოიცვა მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა, რომლის შედეგადაც, საბოლოო ჯამში, ერთიანი სახელმწიფო დაიშალა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კვლავინდებურად სამეგრელოს მმართველი საგვარეულოს კონტროლს ექვემდებარებოდა, თუმცა სწორედ ამ დროიდან (XV ს. შუახანები) შეიმჩნევა აფხაზ-ჯიქების ექსპანსიის დაწყება სოხუმ-სებასტოპოლისის მიმართულებით. სებასტოპოლის-სოხუმის კონსულის ჯერარდო პინელის ცნობით, 1455 წ. 28 ივლისს ქალაქს მოულოდნელად დასხმიან თავს ავოგაზები. ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად აყრილა და გაქცეულა, რათა თავი გადაერჩინა, რადგან ავოგაზებს მათი დატყვევება ჰქონიათ განზრახული.<sup>150</sup> აღნიშნული ცნობის ანალიზის საფუძველზე ზ. ანჩაბაძე მივიდა დასკვნამდე, რომ ეს იყო ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის აჯანყება გენუელების წინააღმდეგ.<sup>151</sup> მაგრამ, როგორც სწორად შენიშნა ე. მამისთვალიშვილმა, არც ერთ წყაროში არ არის დაფიქსირებული XIV-XV სს-ში სოხუმში აფხაზური მოსახლეობა, ამიტომ საუბარი გენუელთა წინააღმდეგ აფხაზთა განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ ძალიან საეჭვოა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ავოგაზებს“ ჩავთვლით აფხაზებად, და არა ჯიქებად, — წერს ე. მამისთვალიშვილი. — სოხუმზე თავდასხმის ხასიათი მაინც არ შეიცვლება, რადგან სახეზეა ადგილობრივი მოსახლეობისათვის აშკარად უცხო ტომთა შემოსევა, რომლის მიზანი იყო ალაფისა და ტყვეების მოპოვება.<sup>152</sup>

XV ს. 60-იან წლებში აფხაზები კვლავინდებურად ჩართულნი არიან საერთოქართულ პროცესებში. კერძოდ, ისინი, „დადიან-გურიელ... და სუანნი“ მხარს უჭერენ ბაგრატ ბაგრატიონს, რომელმაც თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა<sup>153</sup> და მადლობის ნიშნად ბაგრატ მეფისაგან ჯი-

<sup>149</sup> ამის შესახებ იხ.: დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989.  
<sup>150</sup> ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 55.  
<sup>151</sup> З.В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 248.  
<sup>152</sup> ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 55.  
<sup>153</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 806.

ლდოდ მიიღეს: „დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი და გელოანმან სუანეთი, და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ.“<sup>154</sup> ჩვენ შემთხვევითად არ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან მოყვანილი ამ ცნობის თანახმად, შარვაშიძემ, განსხვავებით დასავლეთ საქართველოს სხვა მთავრებისაგან – დადიანი, გურიელი, გელოვანი, რომლებმაც განიმტკიცეს შესაბამისი რეგიონები: ოდიში, გურია, სვანეთი, – მიიღო არა აფხაზეთი, ასევე კონკრეტული რეგიონი, არამედ მხოლოდ ხელმძღვანელობა აფხაზებსა და ჯიქებზე. ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მაშინ სულაც არ იყო ადმინისტრაციულად ერთიანი და რომ შარვაშიძეები იმ დროს, უკეთეს შემთხვევაში, რჩებოდნენ მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს მფლობელებად. ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია: ვახუშტის, რომელიც მოღვაწეობდა XVIII ს-ში, როდესაც შარვაშიძეები ერთმნიშვნელოვნად ითვლებოდნენ აფხაზეთის მმართველებად (სხვათა შორის, მის დღევანდელ საზღვრებში), ჰქონდა სერიოზული მიზეზები, რომ არ გადაეტანა თავისი დროის კონიუნქტურა XV ს-ში და შარვაშიძეთა გვარის მაშინდელი წარმომადგენლები არ მიეჩნია დღევანდელი აფხაზეთის მფლობელებად.

დასავლეთ საქართველოს მთავრების, პირველ რიგში, მათ შორის ყველაზე გავლენიანი დადიანების, ლოიალობა ბაგრატ მეფისადმი, რაც ასე ნათლად გამოძედა როგორც XV ს. 60-იან წლებში, ისე მოგვიანებითაც – იოვაკიმეს დასავლეთ საქართველოს – „აფხაზეთის“ – კათალიკოსად არჩევისას, დიდხანს არ გაგრძელებულა. შამადავლე დადიანის, დასავლეთ საქართველოში მცხეთის კათალიკოსისაგან დამოუკიდებელი იერარქის დაყენების ერთ-ერთი ინიციატორის, სიკვდილის შემდეგ ოდიშის მმართველი ხდება ვამეყ II დადიანი, რომელსაც არ მოეწონა ბაგრატ მეფის ასეთი გაძლიერება და ამიტომ „შემოიკრიბნა აფხაზნი და გურიელი და უწყო კირთება, ოხრება და დაპყრობა იმერეთსა.“<sup>155</sup> მღვთმარეობის გამოსწორება შესძლო ბაგრატის ვაჟმა – ალექსანდრემ (1484-1510), რომლის დროსაც დასრულდა იმერეთის სამეფოს, რო-

<sup>154</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 806.

<sup>155</sup> იქვე, გვ. 807.



გორც ცალკე პოლიტიკური წარმონაქმნის, საბოლოო გაფორმება, თუმცა ეს უცბად არ მომხდარა. თავდაპირველად, როდესაც ალექსანდრემ მამის სიკვდილის შემდეგ სცადა იმერეთის ტახტზე დაჯდომა და „ამისთვის მოუწოდა დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და გელოვანს“, მათ უარი თქვეს<sup>156</sup> და ამან განაპირობა დასავლეთ საქართველოში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენლის – კონსტანტინე II (ქართლ-იმერეთის მეფე 1478-1484 წწ-ში, ქართლის მეფე 1484-1505 წწ-ში) გამარჯვება.<sup>157</sup> მოგვიანებით (1484 წ.) ალექსანდრე ბატონიშვილმა მაინც მოახერხა ქუთაისში დამკვიდრება. ის „დაეზავა დადიან-გურიელსა. ამით დაიმშვიდა იმერეთი და დაიპყრა უმტკიცესად და დაიმორჩილნა აფხაზნი და სუანნიცა, გარნა არა ეგოდენად, ვითარცა ენება“.<sup>158</sup>

XV ს. ბოლოსათვის, როგორც ცნობილია, ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად. აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ქართლისა და კახეთის სამეფოები, დასავლეთ საქართველოში კი შეიქმნა იმერეთის სამეფო. ცალკე არსებობდნენ ოდიშის სამთავრო და სამცხე-საათაბაგო. რაც შეეხება აფხაზეთს, ის ფაქტობრივად ჯერ კიდევ რჩებოდა სამეგრელოს მმართველის გავლენის სფეროში, თუმცა უშუალოდ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში ტერიტორიულად შედიოდა მხოლოდ „აფხაზეთის ზემოთი“<sup>159</sup> ხოლო „აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“.<sup>160</sup>

შემდგომში (XVII ს. დასაწყისი) შარვაშიძეებმა მაინც შეძლეს დადიანის გავლენისაგან განთავისუფლება და დამოუკიდებელი სამთავროს შექმნა, რომლის საზღვარმაც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჯერ მდ. კოდორის ნაპირებს მიაღწია, ხოლო შემდეგ (XVII-XVIII სს. მიჯნაზე) – მდ. ენგურსაც.

ამრიგად, როგორც ზემოთმოყვანილი მასალიდან ირკვევა, XI-XV საუკუნეებში, მიუხედავად აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა დიდი სურვილისა, აწინდელი აფხაზეთის ტერიტორია სულაც არ წარ-

<sup>156</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 807-808.

<sup>157</sup> სხვათა შორის, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში შემონახულია ცნობა იმის შესახებ, რომ კონსტანტინე II-მ „მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი, აფხაზნი...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 343).

<sup>158</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 809.

<sup>159</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 349.

<sup>160</sup> იქვე.

მოადგენდა ერთიან სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, თუნდაც ავტონომიურ სამთავროს საქართველოს სამეფოში. მოცემულ პერიოდში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ადმინისტრაციულად შედიოდა ოდიშისა და ცხუმის საერისთავოებში, რომლებიც ძირითადად ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ცხუმი, ყველა მონაცემებით, იყო ქართული ქალაქი. ის წარმოადგენდა სამეგრელოს მთავრის რეზიდენციას, სადაც ეს უკანასკნელი ჭრიდა მონეტას. საკუთრივ აფხაზურ ტომებს, შესაძლოა, ეკავათ მხოლოდ აფხაზეთის საერისთავო, რომლის სამხრეთი საზღვარი ანაკოფიას (დღ. ახალი ათონი) არ სცილდებოდა. აღნიშნული საერისთავო, რომელსაც შარვაშიძეთა საგვარეულო ედგა სათავეში, ასევე საერთო-ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. XIII-XV სს. თითქმის მთელ მანძილზე შარვაშიძეები ინარჩუნებდნენ ლოიალობას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში ისინი ავლენდნენ მეტ ერთგულებას თბილისის ხელისუფლებისადმი და წარმოადგენდნენ მის დასაყრდენს დასავლეთ საქართველოში.

ანუ ღამიბრუნებთ თუ არა აზხაზეთს\*

ძნელია, დღეს მოიძებნოს ქართველი, ვისაც ეს კითხვა არ უღრღნიდეს გულს და არ უფორიაქებდეს სულს. დიახ, XX საუკუნის მიწურულს ისტორიის მსახვრალმა ხელმა ჩვენი ხალხი უმძიმესი განსაცდელის წინაშე დააყენა. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეს უკვე მერამდენედ დაემუქრა საშიშროება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენი ქვეყნის გარეშე და შინაური მტრების, მათ შორის რენეგატ ქართველთა აქტიური მეცადინეობის შედეგად საქართველომ დაკარგა მისი ძირძველი კუთხე – აფხაზეთი; ის აფხაზეთი, რომელიც VIII საუკუნეში მეწინავეობდა ბრძოლას ქვეყნის გაერთიანებისა და საერთო-ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის.

დღეს უკვე არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ აფხაზეთის ტრაგედია იყო საპასუხო რეაქცია წითელ-ყავისფრად შეღებილი იმპერიული ძალებისა, რომლებმაც საქართველოსა და ქართველ ხალხს არ აპატიეს „ურჩობა“ და „განზე განდგომა“. ერთ დროს უძლეველი საბჭოთა იმპერიის ნგრევა რომ მტკივნეული პროცესი იქნებოდა, იმთავითვე ნათელი იყო, მაგრამ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა იმას, რომ ამ ნგრევით გამოწვეული ყველა უბედურება მაინცა და მაინც საქართველოს დაატყდებოდა. მართლაც, დაწყებული 1989 წლის 9 აპრილიდან დღემდე, როგორც იტყვიან, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე, თორემ სხვა არაფერი არ დაგვკლებია. ყოველივე ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს და ამის ანალიზი ამჯერად შორს წაგვიყვანდა. გამოვეყოფდი

\* აღნიშნული სტატია დაიწერა გაზეთ „სიყვარულის“ რედაქტორის ბ-ნ ღერი მუსხელაძის დაკვეთით. უნდა აღინიშნოს, რომ სტატიის სათაურიც ბატონ ღერის ეკუთვნის. პუბლიკაცია იხ. გაზ. „სიყვარული“, №1, 1994 წლის 15 აპრილი, გვ. 4-5.



მხოლოდ ერთს, რომელიც, ჩემი აზრით, უმთავრესი იყო: ჩვენისთვის ლხის ბრძოლას თავისუფლებისათვის იმთავითვე აკლდა საჭირო აკადემიურობა და სიღინჯე, რაც ასე დამახასიათებელი იყო ბალტიისპირელი ხალხების მოძრაობისათვის. მოჭარბებულმა ემოციებმა, თითქმის ექსტრემიზმამდე დაყვანილმა თავშეუკავებლობამ და ყოველგვარ დიპლომატიურ სვლებზე დემონსტრაციულად უარის თქმამ მეტიმეტად გააღიზიანა იმპერიული რუსეთი, რომელმაც ქართული ეროვნული მოძრაობის ანტიიმპერიული მაქსიმალიზმი ანტირუსულ მაქსიმალიზმად გაითავისა და ამის გამო მთელი თავისი რისხვა ჩვენს ქვეყანას დაატეხა. რუსეთის მმართველ წრეებში საქართველო მიჩნეულ იქნა, და არცთუ უსაფუძვლოდ, მთავარ მეამბოხედ, რომელმაც ააბუნტა სხვა რესპუბლიკები და დაუპირისპირა ისინი იმპერიულ ცენტრს, ხოლო 9 აპრილის გმირული ეპოპეა იქცა საეტაპო მოვლენად, რომელმაც სათავე დაუდო საბჭოთა კავშირის დაშლას. არანაკლები როლი ითამაშა ბატონ ედუარდ შევარდნაძის პიროვნების ფაქტორმაც, რომლის სახელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული კომუნისტურ-ტოტალიტარული სისტემის – იმპერიის სიმტკიცის უმთავრესი ბერკეტის – რღვევა. სწორედ ქართული ეროვნული მოძრაობის გამომწვევეა „ანტირუსულმა“ ქმედებებმა საქართველოში და ედუარდ შევარდნაძის „მირგამომთხრელმა“ საქმიანობამ მოსკოვში გამოიყვანეს წონასწორობიდან იმპერიული სულისკვეთებით გაჟღენთილი კომუნისტ-ორთოდოქსები და ნაციონალ-შოვინისტები, რომლებმაც შესძლეს ანტიქართული მანქანის მთელი ძალით ამოქმედება. საქართველო გადაიქცა რუსეთის რეაქციის მთავარ სამიზნედ, რომელიც სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო და დაისაჯა კიდევ. სამწუხაროდ, რუსეთის დემოკრატიული ძალები და მათი ლიდერი პრეზიდენტი ბ. ელცინი ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე. დემოკრატიული რუსეთის ზელისუფლების მიერ საქართველოს მიმართ 1992-1993 წლებში გატარებულმა პოლიტიკამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ რუსი კაცის ფსიქოლოგია ჯერ კიდევ ძალზე შორს არის ევროპული თავისუფალი აზროვნებისაგან და მისი ასე ერთბაშად მორჩენა საუკუნეების მანძილზე შეძენილი იმპერიული სენისაგან არცთუ ისე ადვილია. და აი შედეგი: აფხაზეთი დღეს დე-ფაქტო არ არის საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი.

და მაინც, ეწევა თუ არა აფხაზეთს ტაო-კლარჯეთის ბედი? და-



ვკარგეთ თუ არა ეს მხარე საბოლოოდ? სანამ ამ პრობლემას ირგვლივ გარკვეულ აზრს ჩამოვყალიბებდეთ, არ იქნებოდა ურიგო, გაკვრით მაინც შევხებოდით საკუთრივ ტაო-კლარჯეთის დანარჩენი საქართველოსაგან ჩამოცილების ისტორიას. ტაო-კლარჯეთი—ტაოს ქვეყანა, როგორც ცნობილია, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას წარმოადგენს. აღნიშნულმა რეგიონმა უდიდესი როლი შეასრულა ერთიანი ქართული სახელმწიფოსა და ქართული ეროვნულ-კულტურული ერთობის ჩამოყალიბებაში. IX საუკუნის დამდეგისათვის აქ წარმოიქმნა ტაო-კლარჯეთის სამთავრო, შემდგომში „ქართველთა“ სამეფოდ წოდებული, რომლის როლი საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში განსაკუთრებით გამოიკვეთა X საუკუნის ბოლო მესამედში გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ლიდერის დავით კურაპალატის ხანაში. XI საუკუნის დამდეგს დავით ტაოელის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის იმპერიამ დროებით მოწყვიტა საქართველოს ისტორიული ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი — იმიერ-ტაო — გარდაცვლილი კურაპალატის სამემკვიდრეო ქვეყანა. ამით კონსტანტინოპოლმა, რომელიც შეშფოთებით აღევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე გამაერთიანებელ პროცესებს, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა დავით კურაპალატის შვილობილს — ბაგრატ „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფეს, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ ქვეყნის გაერთიანებისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. XI საუკუნის განმავლობაში ქართველი მეფეები უშედეგოდ ცდილობდნენ იმიერ-ტაოს დაბრუნებას. XII საუკუნეში დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების მმართველობის პერიოდში ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი და ერთიანმა ქართულმა სახელმწიფომ კვლავ თავის კონტროლქვეშ მოაქცია არათუ იმიერ-ტაო, არამედ თითქმის მთელი სამხრეთ ამიერკავკასია. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები განვრცობილი იყო „ნიკოფსით დარუბანდამდე“ და „ოკსეთით არეგაწამდე“. XIII-XV საუკუნეებში ჯერ მონღოლთა ბატონობისა და შემდგომ თემურლენგის დამანგრეველი შემოსევების შედეგად ერთიანი ქართული სახელმწიფოს ძლიერება მნიშვნელოვნად შესუსტდა, ბოლოს კი ის საერთოდ დაიშალა. ბუნებრივია, ამ პერიოდში საქართველო მხოლოდ ცალკეულ პერიოდებში თუ აკონტროლებდა ე.წ. „სამხრეთის ტერიტორიებს“, მათ შორის ისტორიულ ტაო-კლა-

რჯეთს. XVI საუკუნის მთელ მანძილზე ქართველი ხალხი აწარმოებდა წინააღმდეგობას უწევდა თურქ-ოსმალთა გაძლიერებული იმპერიის ექსპანსიას სამხრეთ საქართველოში, მაგრამ ამ უთანასწორო ბრძოლაში მაინც დამარცხდა. ამავე საუკუნის მიწურულს თურქეთმა ფაქტობრივად მთელი სამხრეთ საქართველო მიიტაცა. ასე მოექცა ისტორიული ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალი თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში. XIX საუკუნეში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად „სამხრეთის ტერიტორიების“ ერთი ნაწილი (ახალციხე, შავშეთ-აჭარა) კვლავ საქართველოს დაუბრუნდა, მაგრამ ტაოს მიწების განთავისუფლება მაინც ვერ მოხერხდა. XX საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ერთხელ კიდევ დაისვა საქართველოს „სამხრეთ ტერიტორიების“ დაბრუნების საკითხი, მაგრამ სსრ კავშირის მაშინდელი ხელისუფლება და, პირველ რიგში, „დიდი ქართველი“ ი. სტალინი მოერიდა დასავლეთელი მოკავშირეების განაწყენებას და არ მოინდომა თურქეთთან არსებული საზღვრების გადასინჯვა. ასე დარჩა საქართველოს ფარგლებს გარეთ ისტორიული ტაო-კლარჯეთის უდიდესი ნაწილი.

რამდენად მართებულია პარალელების გავლება აფხაზეთის ირგვლივ შექმნილ სიტუაციასა და იმ პროცესებს შორის, რომლებმაც თავის დროზე მიგვიყვანეს ტაო-კლარჯეთის დაკარგვამდე? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისტორიული პარალელების გავლება არცთუ სახარბიელო რამ არის. მით უფრო მაშინ, როდესაც თვისობრივად განსხვავებულ მოვლენებთან გვაქვს საქმე. XVI საუკუნეში თურქეთი დაუფარავად ეომებოდა მეზობელ სახელმწიფოს თუ სახელმწიფოებს (ქართლისა და იმერეთის სამეფოებს) და ყოველგვარი მორიდების გარეშე ახდენდა ქართული მიწების ანექსიას. აფხაზეთთან მიმართებაში კი თვისობრივად სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. გარეგნულად ეს თითქოს არის „აფხაზი ხალხის“ ბრძოლა „დამოუკიდებლობისათვის“ ქართველი „ოკუპანტების“ წინააღმდეგ, რომელსაც ფარულ, ხაზს ვუსვამ, ფარულ, დახმარებას უწევენ მეზობელი რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური თუ არაოფიციალური წრეები. სინამდვილეში კი, რასაკვირველია, ეს სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის იმპერიული ძალების მცდელობა აფხაზეთის მიტაცებისა. შესძლებს კი რუსეთი ამ გზით აფხაზეთის წართმევას? თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე მსოფლიოში შექმნილ საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტი-

კურ კონიუნქტურას, რა თქმა უნდა, ამგვარი რამ პრაქტიკულად გამორიცხულია. მართალია, რუსეთმა ჯერჯერობით საბოლოოდ ვერ გაარკვია ამიერკავკასიის რეგიონში თავისი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები, ერთი რამ მაინც დღესაც ნათელია: ის დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ამკარა გამოსვლას მაინც ერიდება. რასაკვირველია, თუ გავიხსენებთ იმას, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკისათვის ისტორიულად არის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობრიობა (ერთი რამ, რაც რუსეთს არასოდეს ეშლებოდა და რასაც ის თანმიმდევრულად ახორციელებდა, ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობა-მიტაცება იყო), მოსკოვისადმი ბოლომდე ნდობა, ვინც არ უნდა იყოს იქ ხელისუფლებაში, მაინც არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ თანამედროვე მსოფლიო განვითარების ამ ეტაპზე კრემლის ლიდერები ვერ გაბედავენ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და ისინი ჩვენი ქვეყნის რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ სივრცეში დატოვებას დასჯერდებიან. უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის ავანტიურა რუსეთს სწორედ ამ მიზნის მისაღწევად დასჭირდა, რაც შემდგომ აფხაზეთის ომში დამარცხებული საქართველოს „სნვ“-ში გაწვევრიანებით იქნა უზრუნველყოფილი. ჩვენი მსჯელობა თუ სწორია, მაშინ ჩვენ უნდა ვენდოთ ბ. ელცინის მთავრობის განცხადებებს იმის შესახებ, რომ რუსეთი დაინტერესებულია პოლიტიკურად სტაბილური და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს არსებობით. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“ დიდი ხანი არ უწერია და, დღეს თუ ხვალ, ის კვლავ დაუბრუნდება დედა-საქართველოს. ასეთ ვითარებაში ისმის კითხვა, თუ რა გზით შეიძლება აფხაზეთში რეალურად აღსდგეს საქართველოს იურისდიქცია.

როგორც ცნობილია, ამ საკითხზე ქართულ პოლიტიკურ წრეებში ძირითადად ორი მოსაზრება არსებობს. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელსაც მხარს უჭერს საპარლამენტო უმრავლესობა, კურსი აღებული აქვს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებაზე, რის მიღწევასაც ის ცდილობს გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რუსეთის ფედერაციის აქტიური ჩართვით სამშვიდობო პროცესში. ოპოზიციური ძალები აღნიშნულ კურსს უპერსპექტივოდ თვლიან და დაუყოვნებლივი სამხედრო რევანშის მოთხოვნით გამოდიან. ამ



მოსაზრების დასასაბუთებლად ხშირად იშველიებენ ასეთ არგუმენტს – ისტორიამ არ იცის არც ერთი ფაქტი, როდესაც ქვეყანას ომით დაკარგული ტერიტორიები მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით დაებრუნებინოს. იშვიათად, მაგრამ ისტორიაში მაინც ჰქონდა ადგილი ომით დაკარგული ტერიტორიებისა თუ პოზიციების დაბრუნების ფაქტებს. სხვა უფრო ნაკლებად ცნობილი ფაქტების მოძიებას აქ არ შეეუდგებით, მოვიყვანო მხოლოდ ერთ, შეიძლება ითქვას, ამ თვალსაზრისით, კლასიკურ მაგალითს: 1871 წელს ლონდონში სამშვიდობო კონფერენციაზე რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა კანცლერმა გორჩაკოვმა – ამ თავისი დროის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა დიპლომატმა, შეძლო, უომრად დაებრუნებინა რუსეთისათვის შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება, რომელიც იმპერიამ დაკარგა 1853-1856 წლებში ყირიმის ომის სამარცხვინო წაგებით. ასე რომ, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ხელისუფლების ცდებს, მშვიდობიანი გზით მოაგვაროს აფხაზეთის პრობლემა, სასურველი შედეგი მოჰყვეს. მით უფრო, რომ პრინციპში არც რუსეთისთვისაა მომგებიანი „აფხაზური პრეცედენტის“ დაშვება – ეს საფრთხეს შეუქმნის თვით რუსეთის სახელმწიფოებრიობას, რადგან მოსალოდნელია, რომ თავიანთი „აფხაზი ძმების“ მაგალითს მიჰბაძონ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებმა და ისინიც ისევე დაუპირისპირდნენ მოსკოვს, როგორც ეს გააკეთეს გუდაუთელმა სეპარატისტებმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს მიმართ.

რაც შეეხება მეორე გზას, რასაკვირველია, იდეალურია, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებლად, გარეგან ჩაურევლად, გადაწყვიტოს ნებისმიერი შინაპოლიტიკური პრობლემა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ეს ასე არ არის. მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ახალბედა ქართულმა სახელმწიფომ ჯერ კიდევ ვერ შეძლო ჯეროვნად გაწვრთნილი და მეტ-ნაკლებად ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების შექმნა, რომელსაც ხელეწიფება ქვეყნის სუვერენიტეტის სამხედრო უზრუნველყოფა. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად კატასტროფულია, რომ უახლოეს წანში ნორმალური არმიის შექმნაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში ახალი სამხედრო ოპერაციების წამოწყება აფხაზეთში, მით უფრო, რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლად, რბილად რომ ვთქვათ, მორიგი ავანტიურა იქნება. ამიტომ, სანამ იარაღს აღვმა-



რთავდეთ, აუცილებელია, საფუძვლიანად გავაანალიზოთ ყოველივე ის, რაც თავს დაგვატყდა აფხაზეთში და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. მე ხშირად მიხდება ამის კონსტატაცია და აქაც გავიმეორებ, რომ დღევანდელი საქართველო ჯერ კიდევ არ არის მზად, დავითისეული პოლიტიკა გაატაროს. უფრო მეტიც, თუ კარგად გავიხსენებთ ჩვენს ისტორიულ წარსულს, ძნელი არ იქნება დავინახოთ, რომ არც დავით აღმაშენებელი გადასულა ჯიქურ შეტევაზე და ვიდრე სელჩუკების წინააღმდეგ გამათავისუფლებელ ომს წამოიწყებდა, საკმაოდ დიდი ხანი (თითქმის 10 წელი) მოანდომა პერმანენტული შინააშლილობისა და „დიდი თურქობის“ შედეგად დაგლეჯილ-დაფლეთილ საქართველოს დაწყნარება-დალაგებას. ამასთან, ის დაელოდა შესაფერის საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციას – ბიზანტიის იმპერიის დაუძლურებასა და სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლას. რასაკვირველია, დრო არ ითმენს, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგამაძღე ის უმთავრესი გარეშე ბარიერები მაინც უნდა დაკძლიოთ, რომლებმაც სამხედრო კატასტროფამღე მიგვიყვანა. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს რუსეთის ნეიტრალიზება. ამ თვალსაზრისით, უთუოდ დამაიმედებელი ჩანს ის პროგრესი, რომელიც უდავოდ შეიმჩნევა დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობებში რუსეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტისა და აქ მოწერილი ხელშეკრულებების შემდეგ. სულ უფრო რეალური მოჩანს – და ამას დიდი იმპულსი მისცა საქართველოს სახელმწიფოს ლიდერის ამასწინანდელმა გამოსვლამ უშიშროების საბჭოში, შეხვედრებმა ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში, – დახმარება, რომელსაც ჩვენ მოველით გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან აფხაზეთის კონფლიქტის მორეგულირების საქმეში. ერთი სიტყვით, ჯერ არაფერი არ არის დაკარგული, წინ დიდი ბრძოლა გველის და ჩვენი ხალხის ძალისხმევაზე ბევრად არის დამოკიდებული, თუ რამდენად მალე დავიბრუნებთ აფხაზეთს. დაბრუნებით კი აუცილებლად დავიბრუნებთ, მე ამის მტკიცედ მჯერა.

**მორიგი ტაო-კლარჯეთი არ განმეორდება!**

# საქართველო - აფხაზეთის ისტორიული წარსული „აფხაზურ ისტორიოგრაფიაში“

... პირველ რიგში, დავაზუსტოთ ცნება „აფხაზური ისტორიოგრაფია“. ამ ცნებაში ჩვენ ვგულისხმობთ არა აფხაზეთში მცხოვრებ ისტორიკოსთა ნამოღვაწარს მთლიანად – თავისთავად ეს საერთო-ქართული ისტორიული მეცნიერების შემადგენელი ნაწილია – არამედ მხოლოდ იმ ვაი-ისტორიკოსთა ნაცოდვილარს, რომლებმაც თავისი „მეცნიერული“ საქმიანობა ჩააყენეს აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის სამსახურში.

აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბება XX ს. 20-იანი წლებიდან იწყება, როდესაც გამოქვეყნდა ცნობილი აფხაზი მოღვაწის ს. აშხაწავას ბროშურა: "Пути развития афхазской истории" (1925 წ.). მას საფუძვლად დაედო ს. აშხაწავას მიერ მხარეთმცოდნეთა ყრილობაზე (ჩატარდა სოხუმში 1924 წ.) წაკითხული მოხსენება. აღნიშნულ ბროშურაში სრულიად თავდაყირაა დაყენებული საქართველოს ისტორია. ავტორი, ყოველმხრივ ცდილობს რა აფხაზ ტომთა პოლიტიკურ-კულტურული როლის წარმოჩენას კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში, ფაქტობრივად, საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ისტორიას აფხაზების კუთვნილებად აცხადებს და მათვე მიაწერს ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის შექმნასაც. მისი მტკიცებით, ქართველები გვიანდელ შუა საუკუნეებში (თითქმის ვახტანგ VI ეპოქაში) დაეპატრონენ იმას, რასაც საუკუნეების მანძილზე ასე მონღოლებით ქმნიდნენ თურმე აფხაზები (მათ შორის დამწერლობაც). ს. აშხაწავას ამ „ნაშრომის“ მთავარი მიზანი იყო აფხაზი ხა-

---

\* სტატია პირველად დაიბეჭდა: „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი“. ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე: „საქართველო“, ბიულეტენი №2, თბ., 1994; იხ. აგრეთვე: „ჯვარი ვაზისა“, №1, 1995. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.



ლხის „ისტორიოგრაფიული დამუშავება“, იმის შთაგონება, რადი  
 აფხაზები წარმოადგენენ აფხაზეთის (და არა მარტო აფხაზეთის)  
 ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას თავიანთი მდიდარი და სახელო-  
 ვანი ისტორიით, რომლის მითვისებასაც ცდილობენ ქართველები.

ს. აშხაწავას „ნაშრომის“ შექმნა არ იყო შემთხვევითი მოვლენა.  
 ეს ერთგვარი პოლიტიკური დაკვეთა იყო ბოლშევიკური აფხა-  
 ზური ელიტის მხრიდან, რომელმაც 1921 წლის გაზაფხულზე მი-  
 აღწია „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკის გა-  
 მოცხადებას. „დამოუკიდებელ“ აფხაზეთს, ბუნებრივია, დამოუკი-  
 დებელი ისტორია ესაჭიროებოდა, ისეთი ისტორია, რომელსაც  
 არაფერი ექნებოდა საერთო საქართველოსთან და ქართველებთან.  
 ს. აშხაწავამაც არ დააყოვნა და შეასრულა ეს პოლიტიკური და-  
 კვეთა. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ამ პოლიტიკური დაკვეთის  
 რეალიზაციას ხელი შეუწყო აკად. ნ. მარმა, რომელმაც არათუ არ  
 გაილაშქრა ს. აშხაწავას ნაბოღვარის წინააღმდეგ, არამედ თავისი  
 წინასიტყვაობით მწვანე შუქი მისცა მის გამოქვეყნებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. აშხაწავა არ იყო პირველი, ვინც  
 საქართველო-აფხაზეთის ისტორიული ერთობის უარყოფასა და  
 აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტას შეეცადა.  
 ამგვარი ამოცანა უფრო ადრე რუსეთის იმპერიულ-მოვინისტურმა  
 წრეებმა დაისახეს. სროგორც ცნობილია, XIX საუკუნის 70-იანი  
 წლების მიწურულიდან, მას მერე, რაც ცარიზმმა სისხლში ჩაახშო  
 „აფხაზური წინააღმდეგობა“ და მხარის ეთნიკური წმენდა „მუჰა-  
 ჯირობის“ ორგანიზებით დაასრულა, რუსეთის იმპერიის მესვე-  
 ურები შეუდგნენ აფხაზეთის „იდეოლოგიურ ათვისებასაც“. სწო-  
 რედ მაშინ იშვა პირველად აფხაზთა ქართველებისგან ჩამოცილე-  
 ბისა და ე.წ. „რუსული აფხაზეთის“ შექმნის იდეა. ამ იდეის რეალი-  
 ზაციას ემსახურებოდა ხელისუფლების მიერ განათლებისა და კუ-  
 ლტურის სფეროში გადაადგმული ნაბიჯები, პირველ რიგში, კი რუ-  
 სული ანბანის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შექმნა, რაც,  
 მათი აზრით, უნდა ქცეულიყო **“средством к ослаблению... пот-  
 ребности в грузинском языке.”** იგივე ამოცანა იდგა რუსეთის  
 საეკლესიო კლერიკალური წრეების წინაშე. ისინიც ყოველმხრივ  
 ცდილობდნენ აფხაზეთის მოწყვეტას საქართველოს ეკლესიისა-  
 გან. ამ კლერიკალურ-შავრაზმულ წრეში XX ს. დამდეგს (1907 წ.)  
 შეიქმნა ბროშურა საკმაოდ გამომწვევი სათაურით: **“Абхазия, это**



не Грузия”, რომლის ავტორი იყო ვინმე ლ. ვორონოვი. აღნიშნულ „ნაშრომში“ ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ აფხაზეთი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს ორგანული ნაწილი, არც პოლიტიკურად და არც კონფესიურად. მისი აზრით, ქართველები აფხაზეთათვის ისეთივე დამპყრობლები არიან, როგორებიც იყვნენ თავის დროზე რომაელები, ბერძნები, თურქები და ა.შ. ლ. ვორონოვი ქართველებს ადანაშაულებს იმაშიც, რომ მათ აფხაზებს იმთავითვე არ შეუქმნეს საკუთარი დამწერლობა და არ უთარგმნეს მშობლიურ ენაზე ქრისტიანული ლიტერატურა და აქვე სთავაზობს მათ უანგარო დახმარებას. მისი აზრით, უმჯობესია აფხაზებმა ეკლესიაში დაამკვიდრონ სლავური ენა, რომელსაც, „გონებაშეზღუდული“ ქართველებისაგან განსხვავებით, „ბუნებით პოლიგლოტი“ აფხაზები იოლად შეითვისებენ და გავლენ „განათლების ფართო გზაზე“. ამ კეთილშობილურ განზრახვას კი ხელს უშლის ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც ტიპიური ნაციონალისტია და აფხაზეთში ქართული ენის შემოღებით ცდილობს გზა დაუხშოს სლავურის დამკვიდრებას. ლ. ვორონოვის მტკიცებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა დამლუპველი იქნება აფხაზებისათვის. ეს თურმე ხელს შეუშლის ქრისტიანობის გავრცელებას წარმართ და მუსლიმან აფხაზებს შორის. ავტორი ასკვნის, რომ აფხაზეთი XIX ს. დამდეგიდან რუსეთის ნაწილია და იგი ეკლესიურადაც მას უნდა ექვემდებარებოდეს და არა საქართველოს.

ქართველებისაგან „დაჩაგრული“ აფხაზი ხალხის რუს „მეგობარ-დამცველთა“ კოჰორტას ამშვენებს ე.წ. „ყუბანის მთავრობის“ წევრი ნ. ვორობიოვი, რომელმაც 1919 წ. ღონის როსტოვში გამოსცა წიგნაკი სათაურით: „სოხუმის ოლქზე (აფხაზეთზე) საქართველოს უფლებების განცხადების უსაფუძვლობის შესახებ“. ავტორი, ავლენს რა სრულ უვიცობას საქართველო-აფხაზეთის ისტორიის საკითხებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაწერს ქართველთათვის „სრულიად არამონათესავე აფხაზეთის ხალხის ჩაყლაპვის მცდელობას“. ნ. ვორობიოვი, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, აცხადებს, რომ გაგრა (თავისი შემოგარენით) არასოდეს არ შედიოდა საქართველოს სახელმწიფოში, რომ არ არსებობს გაგრის საქართველოსადმი კუთვნილების არც ეთნოგრაფიული და არც ისტორიული საბუთი. „ჩვენ, — აცხადებს ნ. ვორობიოვი. — ვერ დავთმობთ რუსეთის მიწა-წყალს, როგორცაა სოჭისა და გაგრის ოლქები (ხაზგასმა ჩვენია — ზ.პ.).



რასაკვირველია, ლ. ვორონოვისა და ნ. ვორობიოვის „ნაწილებს“ ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით არავითარი ღირებულება არც მაშინ ჰქონდათ და, ბუნებრივია, არც დღეს აქვთ. მიუხედავად ამისა, აფხაზმა ნაციონალ-სეპარატისტებმა ამ ბოლო დროს ორივე ეს ნაშრომი სახელდახელოდ გამოსცეს და დიდი მონდობებით დაიწყეს მათი რეკლამირება. უფრო მეტიც, თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთმა იდეოლოგმა – ისტორიკოსმა სტ. ლაკობამ 1990 წელს გამოსცა მონოგრაფია “Очерки политической истории Абхазии”, რომელშიც 1918-1919 წლების ისტორიული მოვლენები მთლიანად ნ. ვორობიოვის მიხედვით გააშუქა.

XX ს. ოციან წლებში (1925 წ.) თბილისში რუსულ ენაზე გამოვიდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, დიმიტრი გულიას წიგნი “История Абхазии” (ტ.1), რომელიც, ავტორის თქმით, იყო: “Первым камнем, брошенным в спокойную гладь научного равнодушия”, და რომელსაც უნდა გამოედვიებინა მკვლევართა ინტერესი აფხაზეთის ისტორიული წარსულის მიმართ. მიუხედავად დ. გულიას ამ შეგონებისა და, უფრო ადრე, ს. აშხაწავას ენერგიული მცდელობისა, თითქმის 50-იანი წლების დამდეგამდე საკუთრივ აფხაზეთის ისტორიის შესწავლა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. არსებული პოლიტიკური მდგომარეობა არ აძლევდა საშუალებას მონაციონალისტო მეცნიერებს, ფრთები შეესხათ სეპარატისტული ისტორიოგრაფიის შექმნის იდეისათვის.

XX ს. 50-იან წლებში ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ე.წ. ხრუშჩოვის “Оттепель”-ის პერიოდში, ხელსაყრელი პირობები შეექმნა სეპარატისტულ იდეოლოგიას. მთელი ძალით ამოქმედდა დ. გულიას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, სადაც დაიწყო საკუთრივ „აფხაზეთის ისტორიის“ პრობლემების სისტემური დამუშავება. შეიქმნა შრომები არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიაში. აფხაზ ტომთა ისტორიული ფესვების ძიებას მიუძღვნა არაერთი ნაშრომი აფხაზური არქეოლოგიის პატრიარქმა მ. ტრაფშმა, რომლის შრომებსაც წითელ ზოლად გასდევს აფხაზთა პრიორიტეტის ჩვენება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან. არანაკლებ ნაყოფიერად ამ მიმართულებით იმუშავა აფხაზური ეთნოგრაფიული სკოლის მამამთავარმა შ. ინალ-იფამ, რომელმაც თავისი ადრი-



ნდელი ნაშრომები შეაჯამა ვრცელ მონოგრაფიაში "Абхазия" (1960). აღნიშნული შრომები თვისობრივად ახალი ეტაპი იყო სეპარატისტული იდეოლოგიის უზრუნველყოფის საქმეში. თავიანთ უბადრუკ წინამორბედებთან შედარებით 50-60-იანი წლების ისტორიკოსები (მ. ტრაფში, შ. ინალ-იფა და სხვ.) უდაოდ გამოირჩეოდნენ თავიანთი პროფესიული მომზადებით და მათი მოღვაწეობა, ერთი შეხედვით, არ სცილდებოდა აკადემიური კვლევის ფარგლებს.

ამ პერიოდში აფხაზთა და აფხაზური ისტორიის „მეგობრების“ რიცხვს კიდევ ერთი „მოღვაწე“ შეემატა. ეს იყო იაფფასიანი სენსაციების მოყვარული ლენინგრადელი პროფესორი გ. ტურჩანინოვი, რომელმაც ე.წ. „მაიკოპის ფილის“ წარწერა თანამედროვე აფხაზურ ენაზე გაშიფრა და ამის საფუძველზე „მსოფლიო აღმოჩენა“ გააკეთა. გ. ტურჩანინოვის მტკიცებით, აფხაზებს უძველეს დროში (ძვ. წ. III-II ათასწლეულებში) ეკავათ არა მარტო დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, არამედ დასავლეთი კავკასია მთლიანად (რასაკვირველია, კოლხეთის ჩათვლით). ამ აფხაზებმა შექმნეს უძველესი ცივილიზაცია (მათ შორის ე.წ. „კოლხური კულტურა“, რომლის შემქმნელებად, საყოველთაო აზრით, ითვლებიან კოლხ-ქართველები და სხვა ქართველური ტომები: მაკრონები, სასპერები, ტიბარენები და სხვ.) და კაცობრიობას შეუქმნეს უძველესი (ფინიკიელებზე ადრე) ანბანი. აღსანიშნავია, რომ გ. ტურჩანინოვის ეს „ნააზრევი“ იმთავითვე სასაცილოდ აიგდეს თვით რუსმა მეცნიერებმა. მიუხედავად ამისა, აფხაზი ისტორიკოსები და განსაკუთრებით, მწერალ-ფილოლოგები, არცთუ ისე იშვიათად, მაინც გამოხატავდნენ ერთგვარ სიამაყეს „მაიკოპური დამწერლობის“ გამო. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს გამოამჟღავნა მწერალმა გიორგი გულიამ, რომელმაც, თავის დროზე, ამ ფაქტს (გ. ტურჩანინოვის „აღმოჩენას“) აღფრთოვანებული ნარკვევების მთელი სერია მიუძღვნა. 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დამდეგს აფხაზურმა ტელევიზიამ და სეპარატისტულმა პრესამ ჯეროვანი პატივი მიაგო გ. ტურჩანინოვის „ღვაწლს“ აფხაზური ისტორიისა და კულტურის კვლევის საქმეში და ის ანტიქართული ისტერიის გასაღვივებლად გამოიყენა.

50-60-იანი წლების სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენდა შ. ინალ-იფას გახმაურებული წიგნი: "Вопросы этнокультурной истории Абхазии", რომელიც



გამოიცა 1976 წ. სოხუმში. ეს წიგნი მისი დაქირავებული რედაქტორის — რუსი აკადემიკოსის, ცნობილი ეგვიპტოლოგის, მ.კ. კოროსტოვცევის აზრით, არის, არც მეტი, არც ნაკლები, “своего рода энциклопедия по проблемам этногенеза и культурно-политической истории Абхазов”. შ. ინალ-იფა სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს საკვლევი თემის და, პირველ რიგში, აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხის ყოვლისმომცველ გამოკვლევაზე და ერთბაშად გვევლინება სულ ცოტა არქეოლოგის, ანთროპოლოგის, ენათმეცნიერის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის როლში. შ. ინალ-იფას ეს ნაშრომი ტიპიური ნიმუშია იმისა, რასაც პირობითად შეიძლება მეცნიერებაში პროვინციულობის გამოვლინება ეწოდოს. შ. ინალ-იფას მთავარი მიზანია იმის დამტკიცება, რომ აფხაზები და მხოლოდ აფხაზები წარმოადგენენ აფხაზეთისა და მთლიანად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას — “не разделяя ни с кем свою аборигенность”. ავტორის მტკიცებით, აფხაზები მთელი ისტორიის მანძილზე არათუ ინარჩუნებდნენ თავის ისტორიულ მეობას, არამედ, ხშირ შემთხვევაში თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. შ. ინალ-იფას წიგნიდან ამკარად იკვეთება აზრი, რომ ე.წ. „კოლხური კულტურის“ პერიოდში (ძვ. წ. XIV-VII სს.) აფსუა-აფხაზთა განსახლება მოიცავდა არა მარტო დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიას, არამედ მთლიანად კოლხეთს. აფხაზურ ტომებადაა გამოცხადებული უკლებლივ ყველა ის ტომი (კორაქსები, ჰენიოხები, სანიგები, აფსილები, აბაზგები, მისიმიანები), რომლებიც დაფიქსირებული ჰყავთ ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორებს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ის, მართალია, ერთგვარი სიფრთხილით, მაგრამ მაინც უშვებს კოლხთა აფხაზობას საერთოდ. შ. ინალ-იფას აზრით, აფსუა-აფხაზთა პრიორიტეტი აფხაზეთ-დასავლეთ საქართველოში ამკარაა გვიან ანტიკურ ხანაში და ადრეულ შუა საუკუნეებშიც. VIII-X სს. „აფხაზთა“ სამეფო მიჩნეულია აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად, აფხაზური ეროვნული ეკლესიითა და პოლიტიკური მისწრაფებებით. შ. ინალ-იფა ზერელედ ეკიდება XI-XII საუკუნეების უცხოურ (ბიზანტიურ, სომხურ, აღმოსავლურ, ძველ-რუსულ) წყაროებში დაფიქსირებულ ცნობებს „აფხაზეთზე“ („აბაზგია“, „აბაზა“, „ობეზი“ და

ა.შ.) და მათში დაცულ ინფორმაციას სრულიად უკრიტიკოდ ავრცელებს მხოლოდ დღევანდელ აფხაზეთსა და აფხაზებზე. ასე კეთდება შორს მიძავალი და ამასთან, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი დასკვნები საკუთრივ აფხაზეთის (დღევანდელი გაგებით) და აფსუა-აფხაზების მნიშვნელოვან როლზე მეზობელი ქვეყნების (ბიზანტია, ძველი რუსეთი და ა.შ.) კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში (მაგალითად: იოანე პეტრიწის აფხაზ ფილოსოფოსად მიჩნევა, ან კიევის სოფიის ტაძრის მოხატვა ეროვნებით აფხაზი ოსტატების მიერ აფხაზეთიდან ჩატანილი სამოზაიკო მასალით და სხვ.). შ. ინალ-იფა ამჟღავნებს აბსოლუტურ უვიცობას საკლევ თემასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების ირგვლივ. დილექტანტურია მისი დაკვირვებები ენობრივ მასალაზე, ტოპონიმიკასა და ანთროპონიმიკაზე.

შ. ინალ-იფას წიგნმა იმთავითვე გამოიწვია საზოგადოებრიობის ინტერესი. 1977 წლის გაზაფხულზე დ. გულიას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყო მისი განხილვა სპეციალისტთა ვიწრო წრეში, რომელზედაც პრაქტიკულად ყველა გამომსვლელმა (ზ. ანჩაბაძემ, გ. ძიძარამ, ხ. ბლაჟამ, გ. შამბამ, ი. ვორონოვმა, ზ. ჰაპასქირმა და სხვ.) მკაცრად გააკრიტიკა ავტორი მის მიერ წამოყენებული მთელი რიგი დაუსაბუთებელი დებულებებისა და დასკვნების გამო. ადგილობრივმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ვრცელი ანგარიში ამ განხილვის შესახებ. შ. ინალ-იფას წიგნმა გამომხაურება ჰპოვა თბილისშიც. ქართველმა მეცნიერებმა (მ. ლორთქიფანიძემ, ო. ჯაფარიძემ, დ. მუსხელიშვილმა და სხვ.) გააანალიზეს აღნიშნული ნაშრომი და წარმოადგინეს კვალიფიციური დასკვნები, რომელთა პუბლიკაცია, სამწუხაროდ, იმ პერიოდში ვერ მოხერხდა. ყოველივე ამან აღაშფოთა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენცია, რომელმაც შ. ინალ-იფას ნაშრომის კრიტიკულ განხილვაში აფხაზური ისტორიისა და კულტურის „მორიგი დევნა“ დაინახა. თანდათანობით დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, რაც შემდგომ 1978 წლის აფხაზეთის ცნობილ კრიზისში გადაიზარდა.

70-80-იანი წლების პირველ ნახევარში შ. ინალ-იფას ახალგაზრდა კოლეგებიც „წამოეშველნენ“. გამოქვეყნდა მთელი რიგი სტატიებისა, რომლებშიც უაღრესად ტენდენციურად იყო გაშუქებული აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ისტორიის ცალკეული პრობლემები. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა





აღინიშნოს ისტორიკოს მ. გუნბას, ფილოლოგ ა. პაპასქირის წყაროები. თავისი ანტიქართული მეცნიერული საქმიანობა დაიწყო ი. ვორონოვმა. არ ცხრებოდნენ ცალკეული მწერალ-ფილოლოგები. აქტიურად ამოქმედდნენ აფხაზთა „მეცნიერ-მეგობრები“ მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წიგნად გამოსცა ამავე უნივერსიტეტის პროფესორის ი. ფიოდოროვის სპეცკურსი, რომელშიც „კოლხური კულტურის“ შემქმნელებად არიან გამოცხადებული მხოლოდ აფხაზთა წინაპრები. მწვავე ანტიქართული პასკვილი გამოაქვეყნა ცნობილმა რუსმა შოვინისტმა, ლიტერატორმა ვადიმ კოჟინოვმა, რომელმაც ერთი ხელის მოსმით წაართვა ქართველებს და საქართველოს „აფხაზთა“ სამეფო და ის აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა, თავისი „აფხაზური ქრისტიანული“ სარწმუნოებითა და, რაც მთავარია, გ. ტურჩანინოვისეული აფხაზური დამწერლობით.

აღნიშნული ნაშრომებიდან, ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, მხოლოდ მ. გუნბას ნაშრომზე თუ შეიძლება მსჯელობა. მასში ავტორმა არქეოლოგიურ მასალაზე და შესაბამის წერილობით მონაცემებზე დაყრდნობით მოინდომა „კაპიტალურად“ შეესწავლა აფხაზეთის ისტორიული წარსული ახ. წ. I ათასწლეულის მანძილზე. არსი და მიმართულება ამ ნაშრომისა ცალსახაა: მოცემულ პერიოდში, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ტომი მხოლოდ აფხაზური წარმოშობისაა; VIII საუკუნეში შექმნილი „აფხაზთა“ სამეფო, რასაკვირველია, აფხაზური სახელმწიფოა, რომელიც ქართული მიწების გაერთიანებისათვის კი არ იბრძვის, არამედ უბრალოდ იპყრობს მთელ საქართველოს.

ამრიგად, 50-80-იან წლებში აფხაზ ისტორიკოსთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა სეპარატისტული იდეოლოგიის შემადგერება შესაბამისი ისტორიოგრაფიული მასალით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისინი ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ თავიანთი კვლევებისათვის მიზანმიმართული პოლიტიკური დატვირთვის მიცემას და გარეგნულად მაინც ცდილობდნენ, დაეცვათ აკადემიურობა. ვითარება ძირეულად შეიცვალა 80-იანი წლების მიწურულიდან, როდესაც სეპარატისტული ისტორიოგრაფია გამოვიდა ერთგვარი „იატაკქვეშეთიდან“ და დაუფარავად გადავიდა შეტევაზე. ამ დროიდან მთლიანად წაიშალა ზღვარი მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის და ისტორიოგრაფია

მთლიანად აფხაზური ნაციონალ-სეპარატიზმის სამსახურში  
დგა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აფხაზეთში მო-  
ღვაწე რუსმა ისტორიკოსებმა, მათ შორის, პირველ რიგში, ი. ვო-  
რონოვმა, რომელმაც ამკარად დაკარგა კონტროლი საკუთარ თავ-  
ზე და მეცნიერული საქმიანობა მთლიანად პოლიტიკანობას ანა-  
ცვალა. ამის ნათელი გამოვლინებაა მისი ბოლოდროინდელი პუბ-  
ლიკაციები, რომელთაგან განსაკუთრებით თვალში საცემია მისი  
ღვარძლიანი რეცენზია-პასკვილი მ. ლორთქიფანიძის წიგნზე „აფ-  
ხაზები და აფხაზეთი“ (თბ., 1990), რომელიც მან გამოაქვეყნა სეპარა-  
ტიზტების რუპორად ქცეულ გაზეთ „Абхазия“-ში (16.07.1990) და ე.წ.  
ექსპრეს-ნარკვევი „Абхазы.-Кто они?“, რომელიც გამოიცა 1992 წ.  
ზაფხულში. ამჯერად, აქ არ შეეჭრებოდა დაწვრილებით ი. ვორო-  
ნოვის ამ ისტორიოგრაფიულ „შედეგებზე“, მით უფრო, რომ ისინი  
არ დარჩენილა შეუმჩნეველი ქართველი ისტორიკოსების მხრიდან  
(იხ. მ. ლორთქიფანიძის, ნ. ლომოურის, ზ. პაპასქირის სტატიები),  
რომლებიც საკმაოდ ოპერატიულად გამოეხმაურნენ აღნიშნულ  
პუბლიკაციებს და საკადრისი პასუხი გასცეს მათ ავტორს.

რასაკვირველია, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა არ შე-  
იძლება აცხადებდეს სრულყოფილი ისტორიოგრაფიული გამო-  
კვლევის პრეტენზიას. მასში ჩვენ შევეცადეთ, მოგვეცა მხოლოდ  
ზოგადი მონახაზი აფხაზური სეპარატიზტული ისტორიოგრა-  
ფიის ჩამოყალიბება-განვითარებისა. რაც შეეხება აღნიშნული პრო-  
ბლემის ყოვლისმომცველ, ამომწურავ შესწავლას, ვფიქრობთ, ეს  
უახლოესი მომავლის საქმეა.

## მართალი წიგნი აფხაზეთის კონფლიქტზე\*

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სვეტლანა ჩერვონნაიას წიგნი: „აფხაზეთი – 1992: პოსტკომუნისტური ვანდია“ ბევრად სცილდება ჩვეულებრივი საინფორმაციო-შემეცნებითი გამოცემის ფარგლებს და უდავოდ საექტაპო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს.

დღეს აქ, ამ დარბაზში, ალბათ, არავისთვის არ უნდა იყოს საიდუმლო, თუ როგორ გვიჭირს სიმათლის გატანა მსოფლიოში, თუ როგორ ცდილობენ, და ჯერჯერობით საკმაოდ წარმატებითაც ახერხებენ კიდევ, ჩვენი მტრები იმ გაუგონარი ბოროტების მიჩუმათებას, რომელიც დაატენეს თავს საქართველოსა და ქართველ ხალხს გუდაუთელმა სეპარატისტებმა და მათმა გადაძვირებულმა მფარველებმა. მართალია, ამ ბოლო დროს გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები და რამდენადმე მოხერხდა კიდევ ინფორმაციული ბლოკადის გარღვევა, მაგრამ მდგომარეობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ოდნავადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ბევრი რამ, სამწუხაროდ, ჩვენი ბედოვლათობითაც გვჭირს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოზე სწორი, ობიექტური ინფორმაციის გავრცელება აწყდება უამრავ დაბრკოლებას, რომელთა გადალახვა ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ასეთ ვითარებაში მართლაც რომ გძირობაა, დამლიო ყველა ეს ხილული და უხილავი ბარიერი და ფართო მკითხველამდე მიიტანო მართალი სიტყვა. განსაკუთრებით ძნელია ამის გაკეთება რუსეთში, სადაც ჯერ კიდევ ჭარბობენ საბჭოურ იმპერიაზე ნოსტალგიით შეპყრობილი ძალები, რომლებიც, ცნობილი მიზეზების გამო, მთელ თავის ბოლმასა და ღვარძლს საქართველოზე და ქართველ ხალხზე ანთხევენ.

\* ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის I ფორუმის პროგრამით გათვალისწინებული სვეტლანა ჩერვონნაიას წიგნის: „Абхазия – 1992. Посткоммунистическая Вандея (М., 1993) – პრეზენტაციაზე (ტაბახმელა, 1994 წ.) გამოსვლის ტექსტი. იბეჭდება პირველად.

საქართველოს ყოველთვის ჰყავდა მეგობრები და თაყვანისმცემლები რუსეთში, რომლებიც გაჭირვების უამს მუდამ ცდილობდნენ ჩვენს გვერდით დამდგარიყვნენ და სხვადასხვა ფორმით თანაგრძნობა გამოეხატათ. მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იმან, რაც გააკეთა ქალბატონმა სვეტლანა ჩერვონნაიამ, ერთი შეხედვით, სრულიად უპრეტენზიო პიროვნებამ, რომელსაც მანამდე არაფერი არ აკავშირებდა ჩვენს ქვეყანასთან და რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავს, 1992 წლამდე – მისი აფხაზეთში ჩამოსვლამდე – არასოდეს ყოფილა საქართველოში, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მე სიტყვა „გმირობა“ შემთხვევით არ ვიხმარე: ის, რაც გააკეთა ს. ჩერვონნაიამ, მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს. განა გმირობა არაა, უმოკლეს ვადაში, ფაქტობრივად მოვლენების კვალდაკვალ, გადმოსცე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიპეტიები და მისცე მას მეცნიერულად დასაბუთებული (უამრავ დოკუმენტურ და ისტორიოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით) ანალიზი?! მე ხაზს ვუსვამ: არა არსებული მასალების უბრალო, ზედაპირული მიმოხილვა, არამედ მათი ყოველმხრივი, სკრუპულოზური მეცნიერული შესწავლა და ამის საფუძველზე საქართველო-აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების ზუსტი, ობიექტური სურათის ჩვენება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ამ ტიპის, სამუშაო ამ მასშტაბით ჩვენში ჯერჯერობით არ შესრულებულა. სწორედ ამიტომ აქვს ს. ჩერვონნაიას წიგნის პრეზენტაციას აქ, ჩვენთან – საქართველოში, ასეთი დიდი მნიშვნელობა და უაღრესად სიმბოლურია, რომ ეს ხდება ყოველთა ქართველთა კონგრესის პირველი ფორუმის დროს. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ავტორი მოუცლელობის გამო (ის სამეცნიერო მივლინებით საზღვარგარეთ იმყოფება) ამჯერად თვითონ ვერ ჩამობრძანდა და ვერ დაესწრო საკუთარი წიგნის პრეზენტაციას. მაგრამ გვჯერა, რომ სულ მალე ის აუცილებლად იქნება ჩვენთან და არა მხოლოდ აქ, თბილისში, არამედ აფხაზეთშიც. სვეტლანა ჩერვონნაიამ მეცნიერულთან ერთად მოქალაქეობრივი გმირობაც ჩაიდინა. ის არ შეუშინდა მის გარშემო დამკვიდრებულ იმპერიულ-რუტინულ აზროვნებას და უყოყმანოდ დააყენა პირად კეთილდღეობაზე მაღლა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი.

ჩემს გამოსვლას აბსოლუტურად არა აქვს ქ-ნ ს. ჩერვონნაიას ნაშრომის სრულყოფილი მეცნიერული შეფასების პრეტენზია. მე

მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილავ პრობლემათა იმ სპექტრს, რომელიც მასშია გაშუქებული.

პირველ რიგში, სათაურის შესახებ. უაღრესად სიმპტომატურია აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შედარება ვანდეასთან. უკვე სათაურიდან არაორაზროვნად გამოჩნდა ავტორის დამოკიდებულება აფხაზეთის კონფლიქტისადმი. მის მიერ ეს კონფლიქტი ცალსახადაა აღქმული, როგორც მოკომუნისტო-მოფაშისტო შავი მასის ამხედრება დემოკრატიისა და პროგრესის წინააღმდეგ. ყველასათვის ცნობილია, რომ რუსულმა იმპერიულ-შოვინისტურმა ძალებმა მთელი ყოფილი სსრ კავშირის მასშტაბით არაერთი ასეთი „ვანდია“ დაგვემეს, მაგრამ ამგვარ ჭეშმარიტად „ვგვაროსნულ ლაშქრობას“ დაკარგული პოზიციების აღსადგენად, როგორიც მათ აფხაზეთში მოაწყვეს (ვერჯერობით მაინც), სხვაგან ადგილი არ ჰქონია. ქ.ნ. ს. ჩერვონაია გულდასმით და ობიექტურად აანალიზებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზებს და სათანადო დოკუმენტური მასალის მოშველიებით ამხელს აფხაზ სეპარატისტთა აღიანსს ამ ძალებთან.

განსაკუთრებით ფასეულია „აფხაზურ საკითხზე“ გამოქვეყნებული ისტორიულ-პოლიტოლოგიური მასალების ს. ჩერვონაიასეული ანალიზი, რომელშიც ავტორმა თავი მოუყარა როგორც საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ამსახველ სამეცნიერო ლიტერატურას, ისე უკანასკნელ წლებში რუსეთსა და უცხოეთში გამოსულ ისტორიოგრაფიულ-პოლიტოლოგიური ხასიათის პუბლიკაციებსაც; წარმოაჩინა ქართულ-აფხაზური „ისტორიული დავის“ პოლიტიკურ-იდეოლოგიური ასპექტები. განსაკუთრებით ყურადსაღებია და გასათვალისწინებელია თანამედროვე რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების ანალიზის შედეგად ს. ჩერვონაიას მიერ გაკეთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ დემოკრატიული საქართველო და დემოკრატიული რუსეთი აშკარად აგებენ „ინფორმაციულ ომს“, „уступая свои позиции войнствующему натиску чёрносотенной прессы, оголтелого национал-экстремизма и красно-коричневого патриотизма“.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ს. ჩერვონაიას წიგნში მოცემული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიული რეტროსპექტივა. მართალია, ამ ნაწილს უდავოდ აკლია საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ცალკეული ნიუანსების სიღრმისეული ცოდნა (მაგ. „აფხაზთა“ სამეფოს ისტორია; მსჯელობა ე.წ. „აფხაზურ“ სა-

ხელმწიფოებრიობაზე შუა საუკუნეებში და ა.შ.), მაგრამ მთავარია ის, რომ ავტორი ძირითადად სწორად და ობიექტურად გადმოსცემს ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიას, რაც მთავარია, ხაზს უსვამს ქართველთა პირველმოსახლეობას (აფხაზებთან ერთად) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ს. ჩერვონნაია არ ერიდება პოლემიკას აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ცალკეულ წარმომადგენლებთან – ი. ვორონოვთან, სტ. ლაკობასთან – და იძლევა მათ პუბლიკაციებში მოცემული რუსულ-აფხაზური ურთიერთობის იდილიური სურათის დასაბუთებულ კრიტიკას. სათანადო მასალებზე დაყრდნობით ააშკარავებს ცარიელსტული რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას კავკასიაში. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი მონღოებმით ცდილობენ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერები და მათი მფარველი რუსი შოვინისტები, დაუმალონ თავიანთ ხალხებს ისტორიული სიმართლე. ამ მიზნით ისინი ისტორიის აშკარა ფალსიფიკაციასაც არ ერიდებიან და ისეთ მკრეხელობამდეც კი მიდიან, რომ ლამისაა მეფის რუსეთის მიერ მოწყობილი აფხაზთა მუჰაჯირობაც კი (რომლის დროსაც მშობლიურ მიწა-წყლიდან აყრილი და თურქეთში გადასახლებულ იქნა 50 ათასამდე აფხაზი – აფხაზური მოსახლეობის ნახევარზე მეტი) ქართველებს გადააბრალონ. ს. ჩერვონნიას დამსახურება სწორედ ისაა, რომ მან ერთხელ კიდევ (თავის დროზე ეს შესანიშნავად გააკეთა გამოჩენილმა აფხაზმა ისტორიკოსმა, თავისი კუთხის ჭეშმარიტმა პატრიოტმა გ. ძიძარაიამ), შესაბამისი ფაქტობრივი მასალის მოშველიებით, თვალნათლივ აჩვენა იმპერიული რუსეთის საბედისწერო როლი აფხაზი ხალხის ამ ტრაგიკულ ხვედრში.

ასევე მდიდარ ფაქტობრივ მასალაზეა აგებული 1917-1921 წლებში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორია. ს. ჩერვონნიას აბსოლუტურად სწორად და მიუკერძოებლად აქვს გააზრებული ამ პერიოდის მოვლენები. ის საფუძვლიანად აკრიტიკებს კომუნისტურ-სეპარატისტული იდეოლოგიის მონაჩმახს იმის შესახებ, თითქოს 1918 წელს ადგილი ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან აფხაზეთის ოკუპაციას და ხაზგასმით აღნიშნავს „ни об “аннексии”, ни об “оккупации” Абхазии грузинскими меньшевиками перед лицом этих исторических фактов, не может быть и речи“. განსაკუთრებით საყურადღებოა ს. ჩერვონნა-

იას დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი სამწლიანი ისტორია „наполнена динамикой поисков оптимальных отношений с автономной Абхазией, основанных на волеизъявлении народа и нормах демократической конституции“. მართლაც, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ იმ ურთულეს ვითარებაში შესძლო ცივილიზებული გზით გადაეჭრა „აფხაზეთის საკითხი“ და არ დაეშვა მისი მოწყვეტა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმისაგან. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს მხოლოდ მშვიდობიანი აქციებით არ მომხდარა და საქართველოს მაშინაც მოუხდა თავისი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მთლიანობის იარაღით დაცვა. ს. ჩერვონნაია სრულიად აქარწყლებს სეპარატისტ ისტორიკოს-პოლიტიკოსთა უსაფუძვლო მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთს 1918-1921 წლებში არ გააჩნდა არავითარი ავტონომია. სხვათა შორის, ჩვენშიც ხშირად იჩენენ უზუსტობას, როდესაც ამბობენ, რომ 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული კონსტიტუციით აფხაზეთს არ ჰქონდა ავტონომია. სინამდვილეში აფხაზეთი 1918 წლის ივნისიდან ავტონომიური უფლებებით შემოდიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ამის შესახებ სათანადო ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის 1918 წლის 8 ივნისს. ხოლო 1919 წლის 18-20 მარტს ახლადარჩეულმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის შესახებ, რომელიც მაშინვე (1919 წლის 20 მარტს) დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ. აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი საბოლოოდ განამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებულმა პირველმა ქართულმა კონსტიტუციამ, რომლის 107-ე მუხლში დაფიქსირებული იყო აფხაზეთის უფლება „ავტონომიურ უფლებებზე საშინაო საქმეებში“.

ს. ჩერვონნაია ასევე ამხელს სეპარატისტ იდეოლოგთა მიერ აფხაზი ხალხისათვის თავსმობვეულ მითს იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთს ქართველებმა წაართვეს (1931 წ.) სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი და გადააქციეს ის ავტონომიურ რესპუბლიკად.



ცალკე აღნიშვნის ღირსია ს. ჩერვონნაიას მსჯელობა კრემლის კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის მაპროვოცირებელ როლზე ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დაძაბვაში. ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება მეორე რუსი ავტორი, ვისაც ასე დაუფარავად გამოჰქონდეს სააშკარაოზე ხელისუფლების საქმიანობა აფხაზური სეპარატიზმის ფორმირებაში, რომელიც თვალნათლივ გამოიკვეთა 50-80-იან წლებში. მახვილგონივრულად უთითებს ს. ჩერვონნაია აფხაზთა რეგულარული (10 წელიწადში ერთხელ) გამოსვლების საეჭვო პერიოდულობაზეც ამ პერიოდში. აჯამებს რა თავის ისტორიულ ექსკურსს ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა, ს. ჩერვონნაია აკეთებს სავსებით დასაბუთებულ დასკვნას, რომ 1980-იანი წლების მიწურულისათვის აფხაზეთში არ არსებობდა არც ერთი პრობლემა, „которую нельзя было бы решить без применения силы, без военной развязки.. Не было здесь - в государственном устройстве Грузии, в автономии Абхазии, такого перекося, который нужно было бы непременно радикально исправить, перекроив границы Грузинской республики и разорвав исторически сложившиеся в этом регионе гео- и этнополитические связи“.

ცენტრის როლი განსაკუთრებით მკვეთრადაა წარმოჩენილი 1989-1992 წლების ამბების გადმოცემისას. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, ყურადღებაა გამახვილებული საკავშირო სუკის მოღვაწეობაზე ურჩ რესპუბლიკებში „ინტერფრონტებისა“ და სხვა სატელიტური ორგანიზაციების შექმნის საქმეში; გულდასმითაა შესწავლილი „აიდგილარას“ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა; მოყვანილია ათეულობით დოკუმენტი, რომელშიც მხილებულია აფხაზ სეპარატისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობა. ს. ჩერვონნაია უყურადღებოდ არ ტოვებს ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ დაშვებულ შეცდომებსაც და სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ ცალკეულ ლიდერთა მოუზომელ გამოსვლებს ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით მარჯვედ იყენებდნენ ცენტრში აფხაზთა, ოსთა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ასამხედრებლად. ს. ჩერვონნაია ნეტაგიურად აფასებს აფხაზეთის კრიზისის მოგვარებისთვის ზ. გამსახურდიას ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, კერძოდ: ის დიდ შეცდომად თვლის აპარტიდული საარჩევნო კანონის მიღებას, რომლის შედე-





გად ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაში მოვიდნენ, ადგილარას“ ლიდერები. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთები დღესაც ცდილობენ, გაამართლონ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ეს შეცდომა და მიუთითებენ, რომ მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი სისხლისღვრის აცილება აფხაზეთში. ვფიქრობთ, საკითხისადმი ამგვარ მიდგომას არავითარი გამართლება არ აქვს და დღეს მაინც, როდესაც ურემი გადაბრუნდა, უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, ვაღიაროთ დაშვებული შეცდომები.

ს. ჩერვონნაიას დოკუმენტური სიზუსტით აქვს გადმოცემული ომის დაწყების პერიპეტეიები. მის მონათხრობს უდავოდ აძლიერებს ის ფაქტი, რომ ავტორი სწორედ მაშინ იმყოფებოდა აფხაზეთში და თვით შეესწრო ყოველივეს. ის საკვებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ომი პროვოცირებულ იქნა ვ. არძინბას ხელისუფლების მიერ და რომ ეს იყო იმ დიდი პოლიტიკური დაკვეთის რეალიზაცია, რომელსაც ცენტრი ამზადებდა ათეული წლების განმავლობაში და რომლის გენერალური რეპეტიციაც იყო 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგედია.

ს. ჩერვონნაიას წიგნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარეა რუსეთის იმპერიულ-მოზინისტური წრეების პოზიციის სააშკარაოზე გამოტანა. მას მოტანილი აქვს უამრავი დოკუმენტი, რომელშიც ნაჩვენებია ამ წრეების როლი, როგორც კონფლიქტის მომზადებაში, ისე მის ესკალაციაში. ასევე ფართოდ და, რაც მთავარია, ობიექტურად არის გაშუქებული ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ მონაწილეობა აფხაზეთის ტრაგედიაში. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ თვით რუსეთის დემოკრატიულ წრეებშიც კი არ არის ბოლომდე დაძლეული ველიკორუსული სულისკვეთება და ხშირად მათი მხრიდან ადგილი აქვს ქართულ-აფხაზური კონფლიქტისადმი ტენდენციურ მიდგომას. აქ თავს იჩენს ე.წ. ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა: ის, რაც არ შეიძლება შენს სახელმწიფოში (ე.ი. რუსეთში), შეიძლება სხვაგან (საქართველოში). ბოლო დროს ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა აშკარად აჩვენეს პრობლემისადმი ამგვარი მიდგომისა და საერთოდ, რუსეთის დემოკრატიული მმართველობის ეროვნული პოლიტიკის სრული გაკოტრება. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენში მოარულ აზრს იმის შესახებ, რომ არავითარი „ორი რუსეთი“ არ არსებობს და რომ კომუნისტ-ნაციონალ-პატრიოტები და დემოკრატები ერთნაირად ისწრაფვიან იმპერიის აღდგე-

ნას. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს ასეც მოჩანს, მაგრამ თუ გულისხმობთ დღეებით გავეანალიზებთ მოვლენებს, დავრწმუნდებით, რომ ეს მთლად ასე არ არის. უფრო მეტიც, დღევანდელი რუსეთის პოლიტიკური სპექტრი გაცილებით უფრო ჭრელია და ორი კი არა, ვინ იცის, რამდენი რუსეთი არსებობს. მაგალითისათვის მარტო ჩეჩნეთის კრიზისისადმი რუსეთის ცალკეული პოლიტიკური წრეებისა და სამხედრო ფორმირებების (კაზაკობის) დამოკიდებულება იკმარება. რითი ავხსნათ, მაგალითად, ის, რომ რუს დემოკრატიულ ერთი ნაწილი (ს. შახრაი და სხვ.) მოითხოვენ ჯ. დუდაევის რეჟიმისადმი მკაცრი ზომების გატარებას, ხოლო მეორენი (გ. სტაროვოიტოვა) – „ხალხის მიერ არჩეული“ პრეზიდენტის დაცვის ფარისველური ლოზუნგის მოშველიებით ფაქტობრივად აკანონებენ ჩეჩნეთის რესპუბლიკის გამოსვლას რუსეთის სახელმწიფოს იურისდიქციიდან. ან როგორ გავიგოთ დონის კაზაკობის პოზიცია, როდესაც ის გამოდის ჯ. დუდაევის ანტირუსული სახელმწიფოებრივი კურსის დაცვით და ჰპირდება ახლადმოვლენილ შამილს სამხედრო დახმარებას სტავროპოლისა და თერგის კაზაკობის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში. აი, როგორი პარადოქსების ქვეყანაა რუსეთი და მოგვწონს თუ არ მოგვწონს ის, ჩვენ ვერ ვუგულებელვყოფთ მის როლს იმიერ თუ ამიერკავკასიის პოლიტიკურ პროცესებში. ამიტომ დროა, სწორად გავაანალიზოთ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები და მოვერიდოთ „დიდი დათვის“ გაღიზიანებას. სწორედ ამ გზით და არა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებით თუ შეიძლება აფხაზეთის კრიზისის დაძლევა, სამშვიდობო პროცესის განახლება, დღევანდელ მსოფლიოში აშკარად გამოიკვეთა კონფლიქტებისა და სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარების პრიორიტეტი და უკვე ამის პრაქტიკაც არსებობს (მაგალითისთვის ისრაელ-პალესტინის შერიგების ფაქტი რად ღირს). არც იმის გაუთავებელი ქადაგებაა გამართლებული, რომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული არც ერთი ადრე მიღებული შეთანხმება (1992 წ. 3 სექტემბრის, 1993 წ. 27 ივლისის და ა.შ.) არ შესრულებულა და ამიტომ მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზა უპერსპექტივოა. უმჯობესია, იმაზე დავფიქრდეთ, თუ რატომ ირღვეოდა ის შეთანხმებები. განა დღეს მაინც არაა ნათელი, თუ ვინ და რისთვის ავკიმხედრა აფხაზობა და რა იყო საბოლოო მიზანი მთელი ამ ავანტიურის? განა რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი ისეთივეა, როგორც ეს იყო



„სნგ“–ში ჩვენი ქვეყნის გაწვევრიანებამდე და საქართველო-რუსეთის გლობალური ხელშეკრულების დადებამდე? მართალია, ქართული დიპლომატიის ამ უდავო წარმატებებიდან ჯერჯერობით რეალური ნაყოფი ძალზე ცოტაა – აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან მიმართებაში მაინც, – მაგრამ ბრმა უნდა იყო კაცი, უკვე არსებული პოზიტიური ძვრები ვერ დაინახო.

და კიდევ ერთი: ვიდრე საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს გავაკრიტიკებდეთ და ხალხს ომის ახალი ესკალაციისაკენ მივუწოდებდეთ, იმაზე მაინც დაფიქრდეთ, თუ რა გააკეთა თითოეულმა ჩვენთაგანმა ამ ომში გამარჯვების მისაღწევად. განა ცოტანი იყვნენ ჩვენში ისინი, ვინც სოხუმის დაცემას ნიშნის მოგებითა და, ენა ვერ მიბრუნდება სათქმელად, ზარ-ზეიმითაც კი შეხვდა?! განა დღეს ვინმეს აეჭვებს ქართველ „პოლიტიკოსთა“ ერთი ნაწილის ალიანსი ვ. არძინბას ხროვასთან? ნათქვამია: დიდ ერს თავის ლაქების არ უნდა ეშინოდესო და საქართველოც არ დამალავს თავის ამ უდიდეს ეროვნულ სირცხვილს. ამის უფლება ჩვენ უბრალოდ არა გვაქვს. ამას არ გვაპატიებენ ის ღიმილის ბიჭები, რომლებმაც მამულის დაცვის წმინდა საქმეს უანგაროდ ანაცვალეს ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია – სიცოცხლე. ამას არ გვაპატიებენ ჩვენი გაუბედურებული თანამემამულენი, ის ხალხი, ვინც საკენ-ჭუბერის გოლგოთა გამოიარა.

და ბოლოს, სვეტლანა ჩერვონაიას წიგნის გამოსვლა უდავოდ განსაკუთრებული მოვლენაა. ამ პუბლიკაციას უდავოდ ეკისრება ერთგვარი გზამკვლევის ფუნქცია „აფხაზური“ კვანძის სწორად და ობიექტურად გაგების საქმეში. ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ ქნ სვეტლანას ეს უდავო მეცნიერულ-მოქალაქეობრივი გამარჯვება და ვუსურვოთ მას ახალი წარმატებები თავის მრავალმხრივ მეცნიერულ საქმიანობაში.



# აფხაზეთისათვის თავგადაღებული კაცის გახსენება\*

სოსო ადამია

დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა პატივი მივაგოთ ღირსეული მოქალაქის, აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, მამულისათვის უანგაროდ თავგადაღებული კაცის, ჭეშმარიტად რაინდული სულითა და ბუნების ადამიანის, კოლეგის, მეგობრისა და თანამებრძოლის – სოსო ადამიას ხსოვნას.

აგერ უკვე 6 წელია, რაც სოსო ადამია ჩვენს შორის აღარაა. იმ ავბედითი და, ამავე დროს, გმირული შარავანდედით მოსილი 1989 წლის შემოდგომის სუსხიან ღამეს უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე და ამასთან სიცოცხლეს მონატრებული კაცი. ოჯახს დააკლდა დედ-მამის მოსიყვარულე შვილი, მზრუნველი მამა და ერთგული მეუღლე. სოსო ადამია დააკლდა ახლობლებს, მშობლიურ ქალაქს, სრულიად საქართველოს. ძალზედ ადრე, ჭეშმარიტად ქრისტეს ასაკში წავიდა იგი ჩვენგან და ჰპოვა სასუფეველი ზეციურ საქართველოში. მისი ამქვეყნიური გზა სულაც არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. მას არაერთხელ უგემნია ჩვენი ბელუკულმართი ცხოვრების სიმწარე და ბეწვის ხიდზეც გაუვლია, მაგრამ კაცობისათვის არასოდეს უღალატია, მოყვარე არასოდეს გაუწირავს. თითქოს-და ცხოვრებისეულმა ჭირ-ვარამმა სრულიად ჭაბუკი ადრე დააკაცა, დაასერიოზულა.

ბატონებო, როგორც მოგეხსენებათ, სოსო ადამია სპეციალობით ისტორიკოსი გახლდათ. მან განათლება ამ დალოცვილ ტაძარში მიიღო, რომელშიც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით. სწორედ აქ, ერო-

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოსო ადამიას ხსოვნის საღამოზე – თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის ღია სხდომაზე (1995 წლის მაისი) – გამოსვლის ტექსტი. იბეჭდება პირველად.

ვნული უმაღლესი განათლების „Alma Mater“-ში, დიდი ივანე ნიშვილის უნივერსიტეტში, თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფეების ხელში მოხდა მისი, როგორც კვალიფიცირებული ისტორიკოსის ფორმირება. აქვე, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით გადადგა მან პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში, დაასრულა ასპირანტურის კურსი და ფაქტობრივად გაამზადა დასაცავად საკანდიდატო დისერტაცია ისეთ პრობლემატურ თემაზე, როგორცაა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსოს ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საკითხი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოსო ადამიას სადისერტაციო ნაშრომი არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით იყო საინტერესო, არამედ, გასაგები მიზეზების გამო, მას დიდი ეროვნულ-პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ეს ნაშრომი უნდა ქცეულიყო ქართული ისტორიოგრაფიის მძლავრ იარაღად აფხაზეთი სეპარატისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემთხვევითი არ იყო, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება ქ-მა მარიკამ სწორედ სოსოს დაავალა. ეს ერთგვარი აღიარება იყო მასწავლებლის მხრიდან სოსოს მეცნიერული პოტენციალისა და მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებებისა. სავალალოა, რომ უკუღმართმა ბედმა არ დააცალა სოსოს დაწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინება.

ნაყოფიერი იყო სოსო ადამიას პედაგოგიური საქმიანობა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ის წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს საქართველოს ისტორიაში. სულ მოკლე დროში მან სტუდენტობის, და არა მარტო ქართველი, არამედ, სხვათა შორის, აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა საყოველთაო სიმპათია და პატივისცემა დაიმსახურა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისმა ერუდიციამ და მაღალმა პროფესიონალიზმმა განაპირობა.

და მაინც, სოსო ადამიამ თავი, პირველ რიგში, დაგვამახსოვრა თავისი აქტიური და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობით, რომელმაც თვისობრივად ახალი სახე 80-იანი წლების მეორე ნახევარში ქართული ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლებისა და აღმავლობის პერიოდში მიიღო. ამ დარბაზში ალბათ არავისთვის არ არის ასახსნელი, თუ რამხელა რისკთან იყო დაკავშირებული იმ პერიოდში (1989 წ-მდე მაინც) აქტიური ეროვნული პროპაგანდა საზოგადოდ საქართველოში და განსაკუთრებით კი

აფხაზეთში, სადაც ქართული ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით გამოვლენა იმთავითვე ორმაგი წინხედის ქვეშ ექცეოდა, ხოლო ის, ვინც მაინც გაბედავდა ხმის ამოდებას, უაპელაციოდ ცხადდებოდა „აფხაზი ხალხის მტრად“. ამგვარი „იარლიყის“ მიღება კი გამოკვეთილი პროაფხაზური პოლიტიკური და იდეოლოგიური კონიუნქტურის სრული ბატონობის პირობებში ფაქტობრივად საზოგადოებისაგან გარიყვას უდრიდა. ამიტომაც იყო, რომ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ათეული წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, ვერ იკავებდა აქტიურ პოზიციას მომძლავრებული სეპარატიზმის მიმართ. სწორედ ასეთ ვითარებაში (სხვათა შორის, ჯერ კიდევ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან) გამოჩნდა თითო-ოროლა გაბედული ადამიანი, რომელმაც აღიმაღლა ხმა აფხაზეთში ქართული ეროვნული ინტერესების დასაცავად, რისთვისაც, იმთავითვე, ხელისუფლებისა და აფხაზი სეპარატისტების რისხვა დაიმსახურეს. სწორედ ქართველ პატრიოტთა ამ მცირე ჯგუფმა, რომელთა შორის სოსო ადამიაც იყო, გააჩნდა აქტიური მოღვაწეობა 1988-1989 წლებში და უდიდესი როლი შეასრულა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების საქმეში. იმ პერიოდში, როგორც მოგეხსენებათ, ე.წ. „ქართული წინააღმდეგობის ფრონტის“ თავისებურ ავანგარდად აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა იქცა. სწორედ მათ, თავიანთი მასწავლებლების – საქართველოს ისტორიის კათედრის ახალგაზრდა თანამშრომლების: სოსო ადამიას, ვახტანგ ჭანიას, დათო ჩიტაიას, ბესო ოდიშარიას და სხვათა შთაგონებითა და უშუალო ხელმძღვანელობით, ჩაიდინეს „გაუგონარი დანაშაული“ – აფხაზურ უნივერსიტეტში გამოსცეს ქართული ხელნაწერი ჟურნალი „ცხუმი“. ეს იყო სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად აფხაზეთში სოსო ადამია იქცა. 1989 წლის მოვლენებმა კიდევ უფრო წარმოაჩინეს სოსო ადამიას, როგორც ეროვნული ლიდერის როლი. ამ დროისათვის ის აქტიურად იყო ჩართული საერთო-ქართულ მოძრაობაში, რომლის ორგანიზაციულ და გონებრივ ცენტრად იმ დროს ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მოგვევლინა. სოსო ამ საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო. ის არჩეული იყო საზოგადოების უმაღლესი ორგანოს „დარბაზის“ წევრად.

დიდია სოსო ადამიას წვლილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაარსების საქმეში. დღეს მავანი და მავანი ცდილობს, დაამციროს აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობისა და პროფესორ-მასწავლებლების ამ, მე ვიტყვოდი, ჭეშმარიტად თავგანწირული ნაბიჯის მნიშვნელობა. მათ გასაგონად კიდევ ერთხელ მიხნდა ხმაძალდა განვაცხადო: აფხაზეთის უნივერსიტეტიდან ქართული ნაწილის გამოხველა და ახალი უმაღლესი სასწავლებლის დაარსება სრულებითაც არ იყო თვითმიზანი. ეს იყო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი: პირველი დიდი გამარჯვება აფხაზურ სეპარატიზმზე. სხვა საკითხია, რომ ჩვენმა უგერგილობამ და საქართველოს ძველი თუ ახალი ხელისუფლების პოლიტიკურმა უნიათობამ არ მოგვცა საშუალება ამ წარმატების შემდგომი განვითარებისა, ხოლო აფხაზეთში განცდილმა სამხედრო კატასტროფამ საერთოდ ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. სოსო ადამია ჩვენი ფილიალის ნამდვილი ბურჯი იყო. შემთხვევითი არ იყო, რომ 1989 წლის 15 ივლისს გუდაუთელი ფანატიკოსების მიერ პროვოცირებულ „ბართლომეს დამეს“, თავის სულიერ ძმასა და თანამებრძოლთან – ვოვა ვეკუასთან ერთად სწორედ სოსო იქცა გახელეებული ბრბოს ერთ-ერთ უმთავრეს სამიზნედ და მხოლოდ სასწაულით გადაურჩა აშკარა სიკვდილს.

მეგობრებო! სოსო ადამია ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერ მოესწრო თავისი სანუკვარი ოცნების აღსრულებას – ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. მაგრამ, ამასთან, მას, ჩვენთან შედარებით, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს – ის არ მოესწრო იმ დიდ ეროვნულ სირცხვილს, რომელსაც 1993 წლის 27 სექტემბერი ჰქვია! დღეს ჩვენ, მისი თანამებრძოლნი, უბრალოდ ვაღდებულნი ვართ, დავებრუნოთ მშობლიური მიწა-წყალი, წინაპართა საფლავები და, მიუხედავად თითქმის საყოველთაო გულგატეხილობისა, მე მჯერა, რომ, დღეს თუ ხვალ, ეს მაინც მოხდება და სულ მალე მოგვეცემა საშუალება, ყველა ერთად ავიდეთ სოსოს საფლავზე და მოვეფეროთ უდროოდ გარდაცვლილ მეგობარსა და თანამებრძოლს.

და ბოლოს, ჩვენ, საქართველოს ისტორიის კათედრის წევრები, დიდხანს ვფიქრობდით, თუ რა ფორმით აღგვენიშნა სოსო ადამიას ხსოვნის დღე. დიდი ბჭობის შემდეგ გადავწყვიტეთ, ღონისძიება ჩაგვეტარებინა უხმაუროდ, ყოველგვარი ზედმეტი პომპეზურობის

გარეშე. ამიტომაც ჩავთვალეთ მიზანშეწონილად დღევანდელი შეხვედრისათვის მიგვეცა კათედრის საგანგებო ღია სხდომის ფორმა, რომელზედაც შევეცადეთ, მოგვეწვია ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია სოსოს სახელი.

ნება მიბოძეთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის საგანგებო ღია სხდომა, მიძღვნილი კათედრის თანამშრომლის, აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის სოსო ადამიას ხსოვნისადმი, გახსნილად გამოვაცხადო.

თბილისი, 20 მაისი, 1995 წ.



# აფხაზეთის ტრაგედია

## მიზეზები და გაკვეთილები\*

ზუსტად 2-ნახევარი წლის წინ, 1993 წლის 27 სექტემბერს მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილმა საქართველომ უდიდესი ეროვნული კატასტროფა განიცადა – დაეცა სოხუმი. დედა-სამშობლოს მოსწყდა მისი ძირძველი კუთხე – აფხაზეთი; ის აფხაზეთი, სადაც თავის დროზე, VIII საუკუნეში დაირწა ერთიანი ქართული სახელმწიფოს აკვანი. ჩვენს ხალხს თავს დაატყდა გაუგონარი უბედურება. ის გახდა გუდაუთელი სეპარატისტებისა და დაქირავებული გადამთიელი ბანდიტების მიერ მოწყობილი გენოციდისა და ეთნოწმენდის მსხვერპლი. ომმა შეიწირა 30-ათასამდე ადამიანის სიცოცხლე, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველობა შეადგენს; მშობლიური კერებიდან გამოძევებულ იქნა და საკუთარ სამშობლოშივე ლტოლვილად იქცა 300-ათასამდე ჩვენი თანამემამულე; დაინგრა, დაიწვა, გაპარტახდა და განადგურდა ქალაქები და სოფლები.

დღეს, როდესაც მეტ-ნაკლებად ნათელი მოეფინა აფხაზეთის ომის არაერთ ხილულ თუ უხილავ ნიუანსს, მაინც არ არის ადვილი ჩვენი ეროვნული ტრაგედიის ყოვლისმომცველი, სრულყოფილი, გამოწველილვითი ანალიზის გაკეთება. ამისათვის დროა საჭირო და რამდენადაც ღიდი არ უნდა იყოს ჩვენი სურვილი, შეუძლებელია, ახლავე გავცეთ პასუხი ყველა მტკივნეულ კითხვას. ამდენად, ბუნებრივია, წარმოდგენილი მოხსენებაც ვერ იქნება ამომწურავი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევეცადეთ, დღევანდელი გადასახედიდან, ზოგადად გაგვეაზრებინა ყოველივე ის, რამაც ამ უბედურებამდე მიგვიყვანა და დაგვესახა სამომავლო მოქმედების გეგმა.

პირველი და უმთავრესი, რომლის უყოყმანოდ დაფიქსირება აქედანვე შეიძლება, არის ის, რომ აფხაზეთის ტრაგედია 1992 წლის 14

---

\* წაკითხულია მოხსენებად აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობაზე 1996 წლის 7 აპრილს. მთლიანად დაიბეჭდა გაზეთში „ფსიქოლოგიური კონსულტაცია“, №5, 6, 7. 1996 წ.



ავვისტოს არ დაწყებულა. მას საგულდაგულოდ ამზადებდა. მლინის კომუნისტური ხელმძღვანელობა სულ ცოტა ბოლო 4 ათეული წლის განმავლობაში. სწორედ მოსკოვიდან ხდებოდა დაპროგრამება აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის ლიდერთა არაერთი თაობისა, რომლებმაც, თავის მხრივ, ყველაფერი იღონეს და მიაღწიეს კიდევაც იმას, რომ აფხაზს ქართველში დაენახა არა მოძმე და მოყვარე, არამედ „მოსისხლე მტერი“, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, „ართმევს“ მას სამშობლოს და, საერთოდ, ყოველგვარ ისტორიულ პერსპექტივას „უკარგავს“. სწორედ რუსეთის იმპერიულ-შოვინისტური წრეების უშუალო წაქეზებით გახდა შესაძლებელი ფართო მასშტაბის ანტიქართული ისტერიის გაღვივება და ძმათამკვლელი სისხლიანი კონფლიქტის პროვოცირება აფხაზეთში. დიახ, ძმათამკვლელი ომისა, რამეთუ ერთმანეთის პირისპირ იარაღით ხელში დადგნენ ორი ჭეშმარიტად ახლობელი, მჭიდრო ნათესაური კავშირებით შეკრული ხალხის შვილები, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები და დეიდაშვილ-ძიძიშვილები. ასე დატრიალდა უდიდესი ტრაგედია ორი მოძმე ხალხის ისტორიაში, რომელთა წინაპრები საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ ებრძოდნენ უცხოტომელ მომხდურებს და ერთად იცავდნენ საერთო სამშობლოს – საქართველო-აფხაზეთს.

მაგრამ დღევანდელ აფხაზეთა ამგვარ განდგომა-გაუცხოებას უფრო შორეული ისტორიული ფესვებიც აქვს. ცნობილია, რომ ფაქტობრივად ისტორიის ყველა მონაკვეთზე, ყოველი შემთხვევისათვის, ამ უკანასკნელი 3 ათასწლეულის მანძილზე, რაც საერთოდ არსებობს ქართული (თავდაპირველად დასავლურ-ქართული – კოლხეთი, ლაზიკა-ეგრისი, შემდეგ კი ზოგადქართული) კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყარო, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, თითქმის ყველა იმპერია, რომელიც კი განაცხადებდა პრეტენზიას ამიერკავკასიაში გაბატონებაზე, ცდილობდა ე.წ. „აფხაზური კარტის“ გათამაშებას და ამით საერთო-ქართული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ერთობის მოშლას. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ოსმალეთმა, რომლისთვისაც აფხაზეთი სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში (XVI ს.-დან XIX ს. 70-იან წლებამდე) წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პლაცდარმს კავკასი-



ამი ფეხის მოსაკიდებლად. აღსანიშნავია, რომ დღევანდელი პარლამენტის შემადგენელი წევრების უმეტესი ტერიტორია იყო ის ერთადერთი რეგიონი საქართველოში (სამხრეთ საქართველოს იმ პროვინციების გამოკლებით, რომლებიც ადმინისტრაციულად მოექცნენ თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში), სადაც ფესვები გაიდგა ისლამმა. სწორედ ამ დროიდან გაჩნდა პირველი სერიოზული ბზარი ქართულ-აფხაზურ ისტორიულ-კულტურულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთობაში. მიუხედავად ამისა, თვით იმ პერიოდშიც კი, როდესაც განსაკუთრებით იძალა პროთურქულ-ისლამისტურმა ორიენტაციამ (XVIII-XIX ს. I ნახევარი) აფხაზეთის ფეოდალური არისტოკრატის მოწინავე წრეები ყოველმხრივ ცდილობდნენ, არ გაეწყვიტათ კავშირი ქართულ ქრისტიანულ სამყაროსთან. ამდროინდელი აფხაზეთის სამთავრო, რომელსაც შარვაშიძეთა საგვარეულოს გამუსლიმებული თუ ნახევრადგამუსლიმებული წარმომადგენლები ედგნენ სათავეში, იურიდიულად რჩებოდა ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებათა სისტემაში და იმერეთის მეფე, მართალია ნომინალურად, მაგრამ მაინც ითვლებოდა აფხაზეთის სამთავრო სახლის სიუზერენად. ქართული ენა კი ძველებურად ინარჩუნებდა დამწერლობისა და ოფიციალური საქმის წარმოების ენის ფუნქციას.

მაგრამ ის, რაც ვერ მოახერხეს თურქებმა, წარმატებით განახორციელა რუსეთის იმპერიამ, რომელიც, ამოეფარა რა „მცირე ერებზე“ ზრუნვის ფარისევლურ ღოზუნგს, ენერგიულად შეუდგა აფხაზთა „დამუშავებას“ საქართველოსა და ყოველივე ქართულის წინააღმდეგ. ცარიელთა რუსეთის ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა მანამდე მათ მიერვე „დამნაშავე ხალხად“ ცნობილი აფხაზობა, რომელიც მთელი 70 წლის განმავლობაში, თავიანთ ჩრდილო-კავკასიელ მაჰმადიან მოძმეებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული „პაზავათში“ — საღვთო ომში ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ, ამოეგლიჯათ საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზმიდან და მთლიანად რუსული იმპერიული პოლიტიკის სამსახურში ჩაეყენებინათ. ცარიზმის გამთიშველი პოლიტიკა განსაკუთრებით თვალნათლივ გამოიხატა აფხაზეთისთვის სლავურ-რუსული გრაფიკის საფუძველზე ეროვნული დამწერლობის შექმნაში, რომელიც კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთი არქიტექტორის, ცნობილი მოხელის ევგენი ვეიდენბაუმის განმარტებით, არც მეტი, არც ნაკლები, გამიზნული იყო მხოლოდ იმისათვის, რომ

აფხაზები ამოვარდნილიყვნენ ქართული ენობრივ-კულტურული სამყაროდან.

1917 წელს რუსეთში დატრიალებული ცნობილი მოვლენების შედეგად, რომელსაც მოჰყვა იმპერიის დანგრევა, ქართველ და აფხაზ ხალხებს მიეცათ საშუალება, გარედან ჩაურევლად გაერკვიათ ერთმანეთთან ურთიერთობა, რამაც იმთავითვე კეთილი ნაყოფი გამოიღო. დღევანდელი აფხაზეთის (მაშინდელი სოხუმის ოლქის) ტერიტორია გახდა ახლადშექმნილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი, რაც ოფიციალურად გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულებებით 1918 წ. თებერვალსა და ივნისში, რომელთაც ხელი მოაწერეს აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა. აღნიშნული დოკუმენტებით აფხაზეთს მიენიჭა ავტონომია ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში მიუხედავად რუსეთის შოვინისტური წრეების, როგორც მეფის გუნერლების, ისე ახლადმოვლენილი ბოლშევიკი ლიდერების, – ასევე თურქეთის მხრიდან არაერთგზის მცდელობისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში აფხაზეთში ქართული სახელმწიფოებრიობა არ შერყეულა, რაც მნიშვნელოვანწილად საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისა და, რასაკვირველია, აფხაზი ლიდერების გონივრულმა, კონსტრუქციულმა მოღვაწეობამ განაპირობა. უფრო მეტიც, ამ დროს ქართულმა ჯარმა, რომელშიც აფხაზი მეომრებიც მსახურობდნენ, დალაშქრეს სოჭი-ტუაფსეს მიდამოები და დროებით საქართველოს ისტორიული საზღვრების (ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით) დაბრუნებაც კი მოახერხეს. 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომლის შექმნაში აფხაზი ხალხის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, საბოლოოდ დაადასტურა საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობა, კონსტიტუციურად განამტკიცა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი ერთიან ქართულ სახელმწიფოში.

მაგრამ 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ და ჩვეხი ქვეყნის ნაძალადევა გასაბჭოებამ ერთბაშად წყალში ჩაყარა ქართულ-აფხაზური ერთობის გზაზე 1918-1921 წლებში გადადგმული ნაბიჯები. ე.წ. „ერთა თვითგამორკვევის“ ყალბ ლოზუნგს ამოფარებულმა რუსმა ბოლშე-



ვიკებმა და მათ მიერ დამუშავებულმა სეპარატისტულად განწყობილმა ბილმა აფხაზმა კომუნისტებმა, ქართველი ბოლშევიკი ლიდერების – პირადად სტალინისა და ორჯონიკიძის უშუალო მხარდაჭერით, აფხაზეთი ჩამოაცილეს საქართველოს და დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ეს იყო ქართველი ბოლშევიკების მიერ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩადენილი პირველი დიდი ეროვნული ღალატი. ჩვენ აქ არ ვაპირებთ ამ საკითხზე ვრცელ მსჯელობას, მაგრამ ვერ ვიკავებთ თავს ერთი დოკუმენტის მოყვანისაგან, რომელშიც ნათლად არის ნაჩვენები ქართველ ბოლშევიკთა ნამდვილი სახე. აი, რას წერდა 1921 წლის 13 თებერვალს – წითელი არმიის საქართველოზე თავდასხმის მე-3 დღეს – რუსეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ს კავკასიის ბიუროს წარმომადგენელი ქართველი ა. საჯაია ცნობილ აფხაზ (უფრო სწორად, გააფხაზებულ ქართველ) სეპარატისტს, აფხაზეთის სახალხო საბჭოს ე.წ. “независимц”-ების ფრაქციის წევრს მ. ცაგურაის: “Надеюсь, Вы вполне понимаете, что Абхазия, имеет, наконец, возможность самоопределиться подобно другим горским народам., организовавшимися под защитой Советской России в автономные советские республики”. ეს სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. ის მთლიანად გამომდინარეობდა კრემლის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ოფიციალური კურსიდან, რომლის ეროვნულ პოლიტიკას ქმნიდა არა სხვა ვინმე, არამედ ქართველი იოსებ ჯულაშვილი. სწორედ სტალინი აღვივებდა თავისი პუბლიკაციებით აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს საქართველოში. რად ღირს თუნდაც ის, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდა იგი ანტიქართულ გამოსვლებს “героической Абхазии, единодушно восставшей против черных банд тифлисского правительства и с оружием в руках отстаивающей против них Сухум” (1918 წ. 23 მაისი, გაზეთი „პრავდა“), ან კიდევ საქართველოს დადანაშაულება, მისი მხრიდან, აფხაზების, ოსებისა და სომხების დაჩაგვრაში („პრავდა“, 1921 წ. 10 თებერვალი). ყოველივე ამაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ერთხელ კიდევ შეგახსენოთ: აფხაზური სეპარატიზმის გაღვივებაში არცთუ ისე მცირე წვლილი თვითონ ჩვენ – ქართველებმა შევიტანეთ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა თითქმის ყველა ეტაპზე იჩენდა ზედმეტ და გაუმართლებელ შემოწმარებლობას აფხაზი ბოლშევიკი ლიდერების მიმართ და ფაქტობრივად მწვანე შუქს აძლევდა აფხაზური სეპარატივული იდეოლოგიის ჩამოყალიბებას სახელმწიფო დონეზე. აფხაზურმა სეპარატიზმმა განსაკუთრებით იძალა 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც, ისარგებლეს რა სსრ კავშირის მაშინდელი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გამეფებული ანტიქართული კონიუნქტურით, აფხაზური პარტიული ნომენკლატურისა და სეპარატივულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა წამოიწყეს თანმიმდევრული და მიზანმიმართული ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ამ დროიდან, აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები კრემლის უშუალო მფარველობითა და წაქეზებით, ყოველ ათ წელიწადში ერთხელ აწყობდნენ გამოსვლებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემაღენლობიდან აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოყვანისა და მისი რსფსრ-ს შემაღენლობაში შეყვანის მოთხოვნით. ყველა ეს გამოსვლა გარკვეულწილად აღწევდა მიზანს. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ ვერ გამოიჩინა სათანადო სახელმწიფოებრივი მიდგომა და არ გამოუცხადა პრინციპული და შეურიგებელი ბრძოლა აფხაზთა ამ სეპარატივულ ქმედებებს. პირიქით, ჩვენი ქვეყნის კომუნისტი ლიდერები დაყვავებითა და გაუმართლებელი დათმობებით ამაოდ ცდილობდნენ აფხაზების დაწყნარებას, მაგრამ დღეს უკვე აშკარაა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო. ამით არათუ ვერ მოხერხდა სეპარატიზმის ალაგმვა, არამედ, პირიქით, შეიქმნა პირობები სეპარატივული მოძრაობის ორგანიზაციული და იდეოლოგიური საქმიანობის უფრო ფართო მასშტაბებით გაშლისათვის. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც 1978-1979 წლების ცნობილი მოვლენების შედეგად სეპარატივების მიერ „მოპოვებული“ აფხაზური ტელევიზიის ღვაწლი დღევანდელი ტრაგედიის იდეოლოგიურ შემზადებაში. ამით ჩვენ სულაც არ ვაპირებთ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ აფხაზეთში ადგილობრივი ტელევიზიის, ისევე, როგორც უნივერსიტეტის, გახსნისა და ახალი აფხაზური ჟურნალ-გაზეთების გამოცემის მიზანშეწონილობა. პირიქით, ყოველივე ეს, ამჟამად, მართლაც საკმაოდ მძლავრი იდეოლოგიური კონტრარგუმენტია სეპარატივულ ცრუპროპაგანდის —

თითქოს საქართველოს სახელმწიფოში აფხაზებს არ ჰქონდათ თანადრო პირობები სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის – წინააღმდეგ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ გამოიჩინა სრული დაუდევრობა და არ აღუდგა წინ სეპარატისტთა ნამდვილ იდეოლოგიურ თარეშს იმავე აფხაზურ ტელევიზიასა თუ ინფორმაციის სხვა საშუალებებში. ხელისუფლებამ ასევე ვერ აღკვეთა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე უაღრესად საშიში პროცესები. ამის შედეგი იყო ის, რომ ეს უმაღლესი სასწავლებელი, რომლის სამეცნიერო-პედაგოგიურ პოტენციალს ძირითადად ქართველი პროფესორ-მასწავლებლები შეადგენდნენ, სულ ცოტა ხანში, აფხაზურ მწერალთა კავშირსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტთან ერთად, აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის მებაირახტრედ გადაიქცა. თუ რა უმძიმესი შედეგები მოჰყვა ამას, ნათლად აჩვენა 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკულმა მოვლენებმა.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში – აფხაზეთიდან გამოდევნილ ხალხში, არცთუ ისე იშვიათად მუსირებს მცდარი აზრი იმის შესახებ, თითქოს მაშინ, 1989 წლის გაზაფხულზე, როდესაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტობამ და პროფესორ-მასწავლებლებმა ვერ აიტანეს უნივერსიტეტის აფხაზური ნაწილის გამოკვეთილი ანტიქართული კურსი და არ ისურვეს სეპარატისტებთან ერთად ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა და მუშაობა, ჩვენ – ქართველებმა – დავაშავეთ და უნივერსიტეტის გახლეჩით თვითონ გავამწვავეთ პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში. ეს, ჩვენი აზრით, არც მეტი, არც ნაკლები, მკრეხელური ბრალდებაა. ამ აზრის მატარებლებს უბრალოდ ავიწყდებათ ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის გახლეჩას წინ უძღოდა ისეთი დიდი მოვლენა, როგორც იყო ლიხნის თავყრილობა. სწორედ ლიხნში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია კრიზისი უნივერსიტეტში და ეს სრულებითაც არ იყო შემთხვევითი, რადგან უნივერსიტეტი იყო ყველაზე დიდი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება აფხაზეთში, სადაც თავმოყრილი იყო ქართულ-აფხაზური ინტელექტუალური ძალები. ამდენად, ბუ-

ნებრივია, რომ აქ დაუპირისპირდა ყველაზე გლობალურად ერთმანეთს ნეთს ქართული და აფხაზური ეროვნული ინტერესები.

სამწუხაროდ, ყველა დღესაც კი ვერ ითავისებებს აღნიშნული პრობლემის მთელ სიმწვავეს. ამას თავისი ახსნაც აქვს. ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში აფხაზეთში პარტიული და სახელმწიფო ნომენკლატურის მიერ გატარებულმა გამოკვეთილმა პროაფხაზურმა კონიუნქტურამ დააბეჩავა ადგილობრივი ქართველობა, უკიდურესად დააქვეითა მისი ეროვნული თვითშეგნება და ჩამოუყალიბა არასრულფასოვნების კომპლექსი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოსკოვი არ დაუშვებდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან „აქტიურ ჩარევას“ აფხაზეთის „საშინაო“ საქმეებში, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს თბილისის პასიურობას. ვფიქრობთ, საკავშირო ცენტრის დიქტატის პირობებშიც კი შესაძლებელი იყო ქმედითი მექანიზმების მოძებნა რეგიონში მიმდინარე პროცესების დასარეგულირებლად. ამის ნაცვლად, სამწუხაროდ, საქართველოს სსრ კომუნისტური ხელმძღვანელობა ხშირ შემთხვევაში თვალებს ხუჭავდა და სირაქლემას პოზას იღებდა. ამ თვალსაზრისით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის საკადრო პოლიტიკა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საკადრო საკითხები მთლიანად აფხაზური ნომენკლატურის კარნახით წყდებოდა. ამის შედეგი იყო ის, რომ მმართველობის სტრუქტურებში ქართველებისათვის განკუთვნილ თანამდებობაზე პრიორიტეტი ეძლეოდათ ძირითადად ქართული გვარის მატარებელ, გარუსებულ, ეროვნულ თვითშეგნებაში მძლიერ პიროვნებებს, რომელთათვისაც აბსოლუტურად უცხო იყო საერთო-ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესები. ის თითო-ორიოლა ქართველი მოღვაწე, რომელიც მაინც გამოიჩინდა „ზომაზე მეტ ქართველობას“ და დაუპირისპირდებოდა აფხაზ ხელისუფალთა კონიუნქტურას, იმთავითვე ხდებოდა სეპარატისტთა ანგარიშსწორების ობიექტი. თბილისის ხელისუფლება კი არათუ არ იცავდა ამ ე.წ. „ქართველ მემბოხეებს“, არამედ, აფხაზ სეპარატისტთა გასახარად, დემონსტრაციულად იშორებდა მათ. არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდათ იმ აფხაზ მოღვაწეებსაც, რომლებსაც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად ობიექტური პოზიცია ეკავათ და, ასე თუ ისე, ცდილობდნენ, გამოიჯვნოდნენ სეპარატისტულ იდეოლოგიას. ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ აფხაზეთში





ჩამოყალიბდა ყოველად უხერხემლო, აფხაზ ხელისუფალთა მთავარი სამსახურს შეჩვეული და მათზე მთლიანად დამოკიდებული ქართული ნომენკლატურა, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, როგორც პროფესიონალური მომზადების დონით, ისე ზოგადი ინტელექტითაც აშკარად ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგე მხარეს. სხვათა შორის, სწორედ ამან განაპირობა მნიშვნელოვანწილად ის, რომ აფხაზეთის ქართველებს შორის კრიტიკულ მომენტში არ აღმოჩნდნენ ავტორიტეტული ლიდერები, რომელთაც ხელეწიფებოდათ თუნდაც აფხაზ სეპარატისტ მოღვაწეთა ღირსეული ოპონენტების როლში გამოსვლა.

აფხაზეთში ქართული მოსახლეობის თანდათანობით დაბეჩავებისა და მისი საკუთარ სამშობლოშივე მეორეხარისხოვან ხალხად გადაქცევის პროცესს ხელს უწყობდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების არათანმიმდევრული და ცალმხრივი პოლიტიკა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში. პირველ რიგში, ყურადღება ექცეოდა აფხაზი ეროვნების სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი კადრების მომზადებას, მათთვის მუშაობის საუკეთესო პირობების შექმნას. ყოველნაირად იღვენებოდა ქართული სახელმწიფოებრივი სულისკვეთების, ქართული სულიერების ნებისმიერი სახით გამოვლინება სასწავლო-სამეცნიერო თუ კულტურულ-შემოქმედებით დაწესებულებებში. გავიხსენოთ, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა ქართულ თეატრალურ დასს ს. ჭანბას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში; როგორი წინააღმდეგობით ხვდებოდნენ აფხაზები ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ჩამოყალიბებას; რა გადაულახავ სიძნელებებს აწყდებოდნენ ქართველი მწერლები თავიანთ ნაწარმოებთა გამოქვეყნებისას და როგორი ცინიკური დამოკიდებულება იყო მათდამი აფხაზეთის მწერალთა კავშირში. პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის აღიარება და პროპაგანდა, ხოლო პირები, რომლებიც შემჩნეულნი იქნებოდნენ ამგვარ „დანაშაულში“, ცხადდებოდნენ „აფხაზი ხალხის მტრად“, მაშინ, როდესაც ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებდა იმ აფხაზ „მოღვაწეთა“ (მეცნიერების, მწერლების და ა.შ.) მიმართ, რომელთა მთელი საქმიანობა მიმართული იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. განსაკუთრებით თვალნათლივ ეს გამოჩნდა ისტორიოგრაფიაში. სწორედ ისტორიული

სიმართლის გაყალბებამ დაიკავა გამორჩეული ადგილი ონალ-სეპარატისტთა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში. განა ყველას არ გვახსოვს, თუ რა ურცხვად ატყუებდნენ აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის „მაძებნი“ ხალხს თავიანთი ნაცოდვილარით, რა მიწიერ თუ არამიწიერ ცოდვებში არ სდებდნენ ისინი ბრალს საქართველოსა და ქართველ ხალხს. საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველობას სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებდნენ საუკუნეების მანძილზე აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებული ყველა უბედურებისა და ბოროტების მთავარ მიზეზად. ანტიქართული ფსიქოზით დაავადებული ცალკეული ისტორიკოს-პოლიტიკოსები ისეთ მკრეხელობამდეც კი მიდიოდნენ, რომ მზად იყვნენ თვით XIX საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ მოწყობილი აფხაზი ხალხის გენოციდშიც კი ქართველები დაედანაშაულებინათ. და ეს ყველაფერი მათ გასდიოდათ. ქართველი მეცნიერების ნებისმიერი მცდელობა, საკადრისი პასუხი გაეცათ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ჭეშმარიტი გამყალბებლებისათვის, უმეტეს შემთხვევაში, გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდებოდა საქართველოს სათანადო სტრუქტურების მხრიდან. ასეთ ვითარებაში, სამწუხაროდ, ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა ვერ ბედავდა სიტყვის ამოღებას და ღუმილს ამჯობინებდა, ხოლო იმ თითო-ოროლა მეცნიერს, რომელიც არ უშინდებოდა ამ კონიუნქტურას და მაინც იმაღლებდა ხმას, უმაღლვე ატყდებოდა თავს სეპარატისტულად განწყობილი აფხაზებისა და მათი მფარველი ოფიციალური ორგანოების რისხვა. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ არა მარტო აფხაზებმა, არამედ აფხაზეთის ქართველობის დიდმა ნაწილმა მართლა დაიჯერა, რომ აფხაზეთი არასოდეს არ იყო საქართველო, რომ აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას მარტო აფსუა-აფხაზები წარმოადგენდნენ და რომ ქართველებს, როგორც მოსულ ხალხს, არა აქვს უფლება, შეეცილონ მათ „საკუთარი“ სამშობლოს – აფხაზეთის მოვლა-პატრონობაში.

და მაინც, არა აქვს არავითარი გამართლება აფხაზეთის ქართველობის პასიურობას. როგორც არ უნდა ყოფილიყო ოფიციალური კონიუნქტურა აფხაზეთში, ჩვენ არ გვქონდა უფლება, პირში წყალი ჩაგვეგუბებინა და გულგრილად გვეცქირა იმისათვის, თუ რა მოურიდებლად ილაზებოდა ქართული მოსახლეობის ეროვნული თავმოყვარეობა ერთი მუჭა სეპარატისტების მხრიდან. იმის ნაცვლად, რომ დროულად გამოვფხიზლებულიყავით და აფხაზთა

ნაციონალისტური დემარშებისათვის აქტიური ეროვნული მოქმედება  
ლაქებორივი პოზიცია დაგვეპირისპირებინა, ჩვენ ჩვენივე ლა-  
ჩრული დუმილით კიდევ უფრო ვათამამებდით მათ. უფრო მეტიც,  
ბევრი ჩვენთაგანი არათუ არ იმაღლებდა ხმას სეპარატისტული  
გამოხდომების წინააღმდეგ, არამედ, რიგ შემთხვევებში, პირიქით,  
ცდილობდა კრიტიკულ სიტუაციაში გამოკვეთილი პროაფხაზური  
პოზიცია დაეკავებინა და ამით თავისი ერთგულება დაემტკიცებინა  
„ძლიერთათვის ამა ქვეყნისა“, რათა შემდგომ საჩუქრად თბილი სა-  
ვარძელი მიეღო. დიახ, სწორედ ლაჩრული დუმილი და პირფერობა  
გახდა ნომენკლატურაში მოხვედრისა და ამ გზით მატერიალური  
კეთილდღეობის უზრუნველყოფის უმთავრესი საშუალება. ამიტო-  
მაც ქართველი კაცის შეგნებაში მყარად გავჯდა აზრი, რომ ვერავი-  
თარ წარმატებას ვერ მიაღწევ სამსახურებრივად, თუ ვერ გამონა-  
ხავ „საერთო ენას“ აფხაზობასთან, თუ არ ჩავთვლიან ისინი თავი-  
ანთ კაცად. „საერთო ენის“ გამონახვა კი, პირველ რიგში, აქტიურ  
ეროვნულ პოზიციაზე უარის თქმისა და ფაქტობრივად სეპარატი-  
სტული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოქცევის ხარჯზე ხდებოდა.  
ვინც არ გაითვალისწინებდა ამას, ის, ბუნებრივია, იმთავითვე გა-  
ნწირული იყო. ყოველივე ეს ქართველ კაცს ლაქის ფსიქოლო-  
გიას უმუშავებდა. სამწუხაროდ, სწორედ ამგვარმა ფსიქოლოგიამ  
გამოიწვია აფხაზეთის ქართველობის ეროვნული თავმოყვარეობის  
სრული დეგრადაცია.

ასეთ ვითარებაში, სამწუხაროდ, ვერ აღმოჩნდა მოწოდების სი-  
მაღლეზე აფხაზეთის ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი  
ინტელიგენცია, რომელსაც არ ეყო გამბედაობა და ვერ იტვირთა  
ერის წინამძღოლის ფუნქცია. ესეც არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან  
ქართული ინტელიგენციაც, ისევე, როგორც ნომენკლატურა, ყალი-  
ბდებოდა პროაფხაზური კონიუნქტურის პირობებში და იმთავითვე  
ექცეოდა მისი გავლენის ქვეშ. ფაქტობრივად, ქართველი მწერლე-  
ბი, მეცნიერები, იშვიათი გამოჩაჩისის გარდა, სრულ ინდიფერენ-  
ტულობას ავლენდნენ რეგიონში მიმდინარე პროცესებისადმი და  
აბსოლუტურად არ ცდილობდნენ, დაპირისპირებოდნენ თავიანთი  
აფხაზი კოლეგების ანტიქართულ გამოხდომებს. უფრო მეტიც, ამ  
სფეროშიც გამოიკვეთა აფხაზური ნაციონალისტური იდეოლო-  
გიის დინების ფარვატერში მავალი ქართველ მწერალთა თუ მე-  
ცნიერთა ერთგვარი ელიტა, რომლისთვისაც არასოდეს არ არსე-  
ბულა საერთო-ქართული ეროვნული ინტერესები და რომელიც სა-

თანადოდ იყო დაფასებული აფხაზური ხელისუფლების მიერ. მანდობლივია, რომ ამ ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი დღესაც სოხუმშია და „წარმატებით განაგრძობს“ თავის „შემოქმედებით მოღვაწეობას“ ვ. არძინბას რეჟიმის საამებლად.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ერთი მხრივ, საქართველოში ეროვნული მოძრაობის აზვირთებამ და, მეორე მხრივ, აფხაზეთის ტრაგედია იქაური ქართველები, მართალია, გამოგვიყვანა „სალათას ძილიდან“ და რამდენადმე მტკიცე ეროვნულ მრწამსზე მოგვაქცია, მაგრამ ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგია ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაძლეული. ჩვენს შორის ჯერ კიდევ საკმაოდ არიან ისეთები, რომლებიც კვლავ ძველებურად აპირებენ აფხაზეთში თავიანთ აფხაზ „მომძიებთან“ „შენმატკბილებულად“, „წყნარად“ ცხოვრებას. ეს იმ კატეგორიის ხალხია, რომელიც აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზებს ეძებს არა აფხაზთა სეპარატიზმსა და მოსკოვის იმპერიულ პოლიტიკაში, არამედ მხოლოდ ქართველ „პოლიტიკოსთა“ „დესტრუქციულ ქმედებებში“, რომლებმაც მათ დაურღვიეს იდილია და „არიეს ქვეყანა“. მათთვის სულ ერთია, თუ როგორი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონიუნქტურის პირობებში იცხოვრებენ, ოღონდ პირადი, მატერიალური კეთილდღეობა ნუ მოაკლდებათ. მხოლოდ ასეთ ხალხს არ შეუძლია იმის გაგება, თუ რატომ არ ისურვა 80-იანი წლების მიწურულის ქართველმა სტუდენტობამ, რომელმაც თავი დააღწია მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის „უკვდავი იდეების“ ტყვეობას, ანტიქართული იდეოლოგიის ბუნაგად ქცეულ აფხაზურ უნივერსიტეტში დარჩენა. მხოლოდ ასეთ ხალხს შეუძლია, დაინახოს კრიმინალი იმაში, რომ ქართველ ახალგაზრდას საკუთარ სამშობლოში – საქართველოში – საერთო-ქართული ეროვნული იდეოლოგიის მატარებელ უმაღლეს სასწავლებელში სურს სწავლა.

ყოველივე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სწორედ ასეთმა ქართველებმა შეუწყვეს ხელი თავიანთი ლაჩრული დუმილით აფხაზობის მმართველ ერად ჩამოყალიბებას, აფხაზური ეთნოკრატიისა და ეთნოდიქტატურის დამყარებას ავტონომიურ რესპუბლიკაში. სწორედ ჩვენმა უმოქმედობამ და ყველაფრისადმი შემგუებლობამ მიიყვანა ერთი მუჭა სეპარატისტები იმ დასკვნამდე, რომ იქაურ ქართველობას აბსოლუტურად არ ძალუძს და არც აქვს მოთხოვნილება, დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები და რომ ისინი

უბრალოდ ვალდებულნი არიან, უსიტყვოდ დაემორჩილონ კანონების იმ წესს, რომელსაც აფხაზური ეთნოკრატია კარნახობს. აი, ამან გამოიწვია სეპარატისტთა გათავზელება. სწორედ ჩვენმა უნიათობამ და ბედოვლათობამ დაარწმუნა ისინი, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ: აქვთ უფლება თავიანთი თავი გამოაცხადონ აფხაზეთის ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობად, რომელმაც ერთპიროვნულად უნდა გადაწყვიტოს აფხაზეთის ბედი; აქვთ უფლება რეგიონის მოსახლეობის 90%-ს – ქრისტიანებს (მათ შორის, აფხაზთა დიდ ნაწილს) თავს მოახვიოს გამოკვეთილი ისლამისტური სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა; აქვთ უფლება საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით მიიღონ კონსტიტუცია და ამით, ერთი ხელის მოსმით, მეოთხედ მილიონზე მეტი მკვიდრი ქართული მოსახლეობა მოწყვიტონ დედა-სამშობლოს, აქციონ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებად. ბოლოს და ბოლოს, დროა, მოვეგოთ გონს, ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ არასრულფასოვნების კომპლექსისაგან, გავიხსენოთ, თუ „ვისი გორისანი“ ვართ და აწი მაინც ვუპატრონოთ ქვეყანას – ჩვენს აფხაზეთს.

აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზებზე უკვე ძალიან ბევრი დაიწერა და, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ბევრ რამეს მოეფინა ნათელი. ამჯერად, ჩვენ, მართალია, საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას საკუთარ ცოდვებზე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთის ომი ქართველებმა დავიწყეთ და რომ თითქოს ყოველივე იმაში, რაც აფხაზეთში დატრიალდა, ქართული მხარეა დამნაშავე. პირიქით, როგორც უკვე ზემოთ არაერთხელ მოგახსენეთ, აფხაზეთის ომის ინსპირირება მთლიანად აფხაზ სეპარატისტთა და მათი მფარველი რუსეთის იმპერიულ-მოვინისტური ძალების სინდისზეა. დღეს უკვე არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ აფხაზეთის ტრაგედია იყო საპასუხო რეაქცია წითელ-ყავისფრად შეღებილი რუსეთის იმპერიული ძალებისა, რომლებმაც საქართველოსა და ქართველ ხალხს არ აპატიეს „ურჩობა“ და „განზე გადაგომა“.

ერთ დროს უძლეველი საბჭოთა იმპერიის ნგრევის პროცესში რომ უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა, იმთავითვე ნათელი იყო, მაგრამ ალბათ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა იმას, რომ ამ ნგრევით გამოწვეული ყველა უბედურება მაინცა და მაინც საქართველოს დაატყდებოდა. მართლაც, დაწყებული 1989 წლის 9 აპრილიდან დღე-

მდე, როგორც იტყვიან, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა თავზე, თორემ სხვა არაფერი დაგვკლებია. ყოველივე ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს და ამის ანალიზი ამჯერად შორს წაგვიყვანდა. გამოვყოფდით მხოლოდ ერთს, რომელიც, ჩვენი აზრით, უმთავრესი იყო: ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის იმთავითვე აკლდა სათანადო აკადემიურობა და სიღინჯე. მოჭარბებულმა ემოციებმა, თითქმის ექსტრემიზმამდე დაყვანილმა თავშეუკავებლობამ და ყოველგვარ დიპლომატიურ სვლებზე დემონსტრაციულად უარის თქმამ მეტისმეტად გააღიზიანა იმპერიული რუსეთი, რომელმაც ქართული ეროვნული მოძრაობის ანტიიმიპერიული მაქსიმალიზმი ანტირუსულ მაქსიმალიზმად გაითავისა და ამის გამო მთელი თავისი რისხვა ჩვენს ქვეყანას დაატეხა. რუსეთის მმართველ წრეებში საქართველო მიჩნეულ იქნა, და არცთუ უსაფუძვლოდ, მთავარ მეამბოხედ, რომელმაც ააბუნტა სხვა საბჭოთა რესპუბლიკები და დაუპირისპირა ისინი იმპერიულ ცენტრს, ხოლო 9 აპრილის გმირული ეპოპეა იქცა საეტაპო მოვლენად, რომელმაც სათავე დაუდო საბჭოთა კავშირის დაშლას. არანაკლები როლი ითამაშა ბატონ ედუარდ შევარდნაძის პიროვნების ფაქტორმაც, რომლის სახელსაც უშუალოდ დაუკავშირდა კომუნისტურ-ტოტალიტარული სისტემის – იმპერიის სიმტკიცის უმთავრესი ბერკეტის – რღვევა. სწორედ ქართული ეროვნული მოძრაობის გამომწვევმა, „ანტირუსულმა“ ქმედებებმა საქართველოში, ერთი მხრივ, და ედუარდ შევარდნაძის „ძირგამომთხრელმა“, „ანტისახელმწიფოებრივმა“ საქმიანობამ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, მეორე მხრივ, გამოიყვანეს წონასწორობიდან იმპერიული სულისკვეთებით გაუღენთილი კომუნისტ-ორთოდოქსები და ნაციონალ-შოვინისტები, რომლებმაც შესძლეს ანტიქართული მანქანის მთელი ძალით ამოქმედება. საქართველო გადაიქცა რუსეთის რეაქციის მთავარ სამიზნედ, რომელიც სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო და დაისაჯა კიდევც.

იმპერიამ ამჯერადაც ნაცად მეთოდს მიმართა და საქართველოსა და ქართულ სახელმწიფოს, პირველ რიგში, მის ტერიტორიაზე არსებული ავტონომიები დაუპირისპირა. ჯერ კიდევ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც ერთბაშად იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში და გამოჩნდა სსრ კავშირის შემაღვენილობიდან საქართველოს შესაძლო გამოსვლის რეალური კონტურები, მოსკოვის კომუნისტურმა ხე-

ლმძღვანელობამ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები რესპუბლიკის მიზნით ფართო ანტიქართული ფრონტის შესაქმნელად. მთელი ძალით ამოქმედდა იმპერიის აგენტურა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ამოეფარნენ რა „დემოკრატიისა“ და „საჯაროობის“ ლოზუნგებს, კრემლის დაქირავებულმა აგენტებმა აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგია თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანეს და „აიდვილარას“ შექმნით ე.წ. „აფხაზური ეროვნული მოძრაობა“ ორგანიზაციულადაც გააფორმეს. ასე დაიწყო მორიგი იერიში საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის წინააღმდეგ. 1988 წლის ივნისში მომზადდა და მოსკოვში სკკპ XIX პარტიულ კონფერენციას გაუგზავნა ე.წ. „აფხაზური წერილი“, რომელშიც ცალსახად იქნა დასმული საკითხი აფხაზეთის საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შემდგომი დარჩენის მიზანშეუწონლობის შესახებ. ამჯერად სეპარატისტების ამ მოთხოვნას ახალი, პროვოკაციული მოტივაცია შეემატა: „ანტისოვეტიზმის, აგრესიული ნაციონალიზმისა და შოიანიზმის“ ჭაობში ჩაფლული საქართველო მიისწრაფვის განცალკევებისაკენ, ხოლო „დიადი ოქტომბრის, ლენინიზმისა და ინტერნაციონალიზმის“ ერთგულ აფხაზ ხალხს სურს საბჭოთა კავშირის ხალხების „ძმურ ოჯახში“ ცხოვრება.

1989 წლის 18 მარტს სეპარატისტებმა უპრეცედენტო ანტიქართული აქცია მოაწყვეს. მათ, აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელობის მონაწილეობით, ლიხნში მოიწვიეს „თავყრილობა“, რომელზეც მიიღეს „მიმართვა“ „მთელი აფხაზი ხალხის“ სახელით და ოფიციალურად, ფაქტობრივად სახელმწიფო ხელისუფლების სახელითაც, მოითხოვეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს სსრ-დან გასვლა და მისი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსში აყვანა. ამ „თავყრილობაზე“ მიღებულმა დოკუმენტებმა და განსაკუთრებით იმ ფაქტმა, რომ მას ხელი მოაწერა ავტონომიური რესპუბლიკის უკლებლივ ყველა აფხაზმა ხელმძღვანელმა მაშინდელი პარტიული ლიდერის ბორის ადლეიბასა და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვალერიან კობახიას მეთაურობით, აავსო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მოთმინების ფაქტობრივად და, პირველად აფხაზეთის სინამდვილეში, ქართველობამ ერთბაშად იფეთქა და წინ აღუდგა სეპარატისტთა თავგასულობას. 1989 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კრიზისმა აპოგეას მიაღწია 15-16 ივლისს, როდესაც აფხაზებმა ქართველებს „ბართლომეს ღამე“ მოგვიწვეს, მაგრამ მაშინ მოხერხდა კონფლიქტის ჩაცხრობა, რაც,

უწინარეს ყოვლისა, განაპირობა იმან, რომ როგორც ენგურსი  
ლმელი, ისე ენგურს გამოღმელი ქართველები ერთ მუშტად შევიკა-  
რით და მტერს ჩვენი ძალა ვაჩვენეთ. სწორედ ამან დააშინა მოწი-  
ნააღმდეგე და დროებით ხელი ააღებინა მას აქტიურ მოქმედებე-  
ბზე, თუმცა ფარული კონფრონტაცია გრძელდებოდა და აფხაზები  
ახალი ბატალიებისათვის მზადებას განაგრძობდნენ.

თითქმის ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, 1990  
წლის ზაფხულში, შეიარაღდნენ რა ანატოლი ლუკიანოვის იმპე-  
რიულ-შოვინისტური გუნდის, რომლის ერთ-ერთი ყველაზე აქტი-  
ური წევრი ვლადისლავ არძინბა გახლდათ, მომზადებული და შე-  
მდგომ საკავშირო პარლამენტის მიერ მიღებული ე.წ. კანონით  
„სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსი-  
ლებათა გამიჯვნის შესახებ“, აფხაზმა სეპარატისტებმა ახალი  
შეტევა წამოიწყეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანო-  
ბის წინააღმდეგ. 25 აგვისტოს მათ აფხაზეთის ასსრ უზენაესი სა-  
ბჭოს სესიაზე რეგლამენტის უხეში დარღვევით მიიღეს ე.წ. „დე-  
კლარაცია აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“ და დადგენილება  
„აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის სამა-  
რთლებრივი გარანტიების შესახებ“. ამ დოკუმენტებით სეპარატი-  
სტებმა, ფაქტობრივად, აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოცი-  
ალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. მართალია, ჯერ საქა-  
რთველოს სსრ-ს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა (1990 წ. 26 აგვი-  
სტო), ხოლო შემდეგ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს საგანგებო სე-  
სიამ (1990 წ. 31 აგვისტო) გააუქმეს 25 აგვისტოს ჩატარებული სე-  
სიის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები, მაგრამ ამით  
დაძაბულობა არ შენელებულა. „აიდვილარას“ ზეწოლის შედეგად  
აფხაზების დიდმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს  
უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს და არ და-  
უშვა აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა არჩევა საქართველოს  
უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

1990 წლის არჩევნების შემდეგ კომუნისტური პარტიის ნა-  
ცვლად საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულმა ერო-  
ვნულმა ძალებმა, სამწუხაროდ, ვერა თუ ვერ შეძლეს პოლიტი-  
კური სიტუაციის დარეგულირება, არამედ თავიანთი ნაჩქარევი და,  
როგორც შემდგომ გამოირკვა, საბედისწერო გადაწყვეტილებებით  
ახალი იმპულსები შემატეს სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს აფხა-



ზეთსა და სამაჩაბლოში. ერთ-ერთ ასეთ გაუთვლელ ნაბიჯს რმოადგენდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების თანხმობა ვლადისლავ არძინბას აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ ინიციატივის ავტორებს, მხედველობაში გვყავს ის ქართველი პოლიტიკოსები, რომელთა უშუალო მონაწილეობით გადაწყდა ეს საკითხი, კეთილშობილური ზრახვები ამოძრავებდათ და ისინი პატიოსნად ენდნენ აფხაზური მხარის დაპირებებს მათი მხრიდან სრული ლოიალობის შესახებ. მაგრამ ისინი უნდა დაეფიქრებინა ვ. არძინბას ავანტიურისტულ ბუნებას, მის საქვეყნოდ გამოქვეყნებულ ანტიქართულ პოზიციას, რომლის დემონსტრირებას ასე ეფექტურად ახდენდა იმპერიის მაღალი ტრიბუნებიდან, და, რაც მთავარია, მის კავშირებს რუსეთის ყველაზე შავ ძალებთან და ასე ბრმად არ უნდა დაეჭირათ მხარი ამ კანდიდატურისათვის. ყოველი შემთხვევისათვის, საჭირო იყო უფრო მყარი გარანტიები და დამცავი მექანიზმები, ვიდრე ის ე.წ. „ჯენტლმენური“ შეთანხმებები იყო, რომლებმაც ხელისმოწერის მეორე დღიდანვე დაკარგეს ძალა.

უფრო მეტიც, საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას, 1990 წლის 4 დეკემბრიდან 1991 წლის შემოდგომამდე, როდესაც გადაწყდა არჩევნების ჩატარება აფხაზეთში, საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა ვ. არძინბას ნამდვილი ზრახვების გამოსაცნობად. ამ ხნის მანძილზე მან არათუ არ გადადგა არც ერთი ნაბიჯი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოწესრიგების გზაზე, არამედ პირიქით, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საბოლოოდ ჩაეტეხა ხიდი ორ ხალხს შორის. აქ არაა იმის დრო, დეტალურად განვიხილოთ აფხაზი სეპარატისტების ლიდერის ყველა ანტიქართული ქმედება 1990 წლის დეკემბრიდან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ მის ხელახალ არჩევამდე. თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებზე: 1) როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ ბოიკოტი გამოუცხადა 1991 წლის 17 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმს სსრ კავშირის შენარჩუნების შესახებ. ვ. არძინბა დემონსტრაციულად გამოვიდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ამ უდავოდ სწორი და გამართლებული ნაბიჯის წინააღმდეგ და აფხაზეთის ტერიტორიაზე არათუ ჩაატარა რეფერენდუმი, არამედ უხეშად დაარღვია კანონი და მოსკოვს გაყალბებული მონაცემებით დაუფიქსირა აფხაზეთის მოსახლეობის „ერთსულოვანი“ გადაწყვეტი-



ლება სსრ კავშირის შენარჩუნების სასარგებლოდ; 2) 1991 წლის მარტს საქართველოს ხელისუფლებამ ჩაატარა უკვე საკუთარი რეფერენდუმი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. ვ. არძინბამ ამჯერად ოფიციალური ბოიკოტი გამოუცხადა ამ რეფერენდუმს და არ მიაღებინა მასში მონაწილეობა აფხაზური მოსახლეობის უდიდეს ნაწილს; 3) 1991 წლის 26 მაისს საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. ვ. არძინბამ ამჯერადაც ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმირების თვალსაზრისით ამ უაღრესად პრინციპულ აქტს და სრული იგნორირება გაუწია იმ პრეზიდენტს, რომლის უშუალო მხარდაჭერითაც მოხდა მისი ხელდასხმა აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს პოსტზე; 4) 1991 წლის ზაფხულში კრემლი გაცხარებულად ამზადებდა ე.წ. „ახალ საკავშირო ხელშეკრულებას“. ამ პროცესში გასაგები მიზეზების გამო, არ მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი. სამაგიეროდ, ვ. არძინბამ მოუხშირა ვოიაჟებს მოსკოვში და ის დემონსტრაციულად ესწრებოდა ე.წ. „ნოვო-ოგარიოვოს“ შეხვედრებს „უმაღლეს დონეზე“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იმ პერიოდში, ვ. არძინბამ საქართველოს მაშინ მოქმედი კონსტიტუციისა და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის უხეში დარღვევით, მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებიც მიიღო, რომლითაც, ფაქტობრივად, აფხაზეთი ჩამოაცილა დანარჩენ საქართველოს, კერძოდ: 1991 წ. 31 აგვისტოს მან უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის კანონები „ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში“ და „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“. იმავე 1991 წლის 10 და 26 სექტემბერს ვ. არძინბამ, ასევე პრეზიდიუმის დადგენილებით შექმნა საგარეო-ეკონომიკური, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის სახელმწიფო კომიტეტები, რესპუბლიკური საბაჟო სამსახური და ისინი პირდაპირ უზენაეს საბჭოს დაუქვემდებარა. ეს იყო ნამდვილი გამოწვევა. აღნიშნული ფაქტები ცალსახად მიუთითებდნენ იმაზე, თუ რა საშიში გზით მიდიოდა ვ. არძინბა, რა მიზანი ამოძრავებდა მას და რაოდენ სავალალოა, რომ ყოველივე ამის შემდეგ იმავე პოლიტიკურმა ძალებმა, რომელთა ხელშეწყობითაც ის მოვიდა ხელისუფლებაში, არათუ არ გადასინჯეს თავიანთი დამოკიდებულება არძინბას პიროვნების მიმართ, არამედ ჯიუტად განაგრძეს საერთო ენის გა-



მონახვა მასთან და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ახალი, გაუგონარი დათმობების საკენ უბიძგეს: მიღწეულ იქნა მთლიანობა მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო, ჭეშმარიტად აპარტიდული საარჩევნო კანონის მიხედვით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ. თავისთავად აზრი აფხაზეთში არჩევნების წინასწარ დადგენილი კვოტების მიხედვით ჩატარების შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს დიდ დანაშაულად. სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენ მართლაც შეგვეძლო გამოგვეხატა კეთილი ნება, გვეთქვა უარი თავისუფალ, დემოკრატიულ არჩევნებზე, რომელშიც ყველაზე ელემენტარული გათვლებით ქართული მხარე უდავო წარმატებას მიაღწევდა და წავსულიყავით გარკვეულ დათმობაზე, თუნდაც ქართულ-აფხაზური ადგილების თანაბრად განაწილებაზე. მაგრამ არავითარი ახსნა არა აქვს იმას, რომ აფხაზეთის მკვიდრ ქართულ მოსახლეობას, რომელიც რიცხობრივად, როგორც მინიმუმ, სამჯერ აღემატებოდა აფხაზებს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში ჰქონოდათ ადგილების მათზე ნაკლები რაოდენობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი მხრიდან ეს იყო აფხაზობის, როგორც აფხაზეთის ერთადერთი მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური პრიორიტეტის ოფიციალური აღიარება. ამით ჩვენ, ჩვენივე ხელით, იურიდიულად გავაფორმეთ ერთი ხალხის – აფხაზთა ეთნოკრატია და ეთნოდიქტატურა აფხაზეთში. ეს კი არ შეიძლება ჩაითვალოს დათმობად. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, იყო სრული კაპიტულაცია, რომელსაც მოგვიანებით უმძიმესი შედეგები მოჰყვა.

მიუხედავად ამისა, მას შერე, რაც საქართველოს ხელისუფლება წავიდა აფხაზეთის ქართველობის ეროვნული ინტერესების აშკარად შემლახველი საარჩევნო კანონის მიხედვით არჩევნების ჩატარებაზე, ჩვენ მაინც ვალდებულნი ვიყავით ერთ მუშტად შევკრულიყავით და გამოგვეყენებინა ის რეზერვები, რომელთა საშუალებითაც კიდევ შეიძლებოდა არჩევნების მოგება. ამისათვის ელემენტარულად საჭირო იყო აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ ძალებს გამოემუშავებინათ საერთო-ეროვნული პლატფორმა და, განურჩევლად პარტიულობისა, წინასწარვე (ისევე, როგორც ეს აფხაზებმა გააკეთეს) განგვესაზღვრა მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალთა – იურისტების, ეკონომისტების, ისტორიკოს-პოლიტიკოსებისა და ა.შ. – ძლიერი გუნდი, ყოველგვარი გართულების გარეშე აგვერჩია ის და მთელი ჩვენი ძალისხმევა მი-

გვემართა იმ 11 საარჩევნო ოლქში ჩვენთვის სასურველი კანდიდატის გასაყვანად, რომელშიც კენჭს ე.წ. „ეროვნული უმცირესობის“ წარმომადგენლები იყრიდნენ. ამის ნაცვლად ჩვენ, როგორც იტყვიან, „დავჭამეთ“ ერთმანეთი და იმასაც კი ვერ მივაღწიეთ, რომ ის 26-კაციანი კვოტა მაინც აკვეთისეხებინა. არაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორი შემაღვენლობის აღმოჩნდა ჩვენი დეპუტაცია და რა უსუსურად გამოიყურებოდა ის მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით.

აფხაზეთის ტრაგედიის მომზადებაში საბედისწერო როლი ითამაშა 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვარში თბილისში დატრიალებულმა მოვლენებმა. კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამხობამ და ამის შედეგად ქვეყანაში შექმნილმა უაღრესად მწვავე პოლიტიკურმა და კრიმინოგენულმა სიტუაციამ ხელ-ფეხი გაუხსნა ვ. არძინბას რეჟიმს და მნიშვნელოვნად გაუადვილა სეპარატისტებს თავისი შორსმიმავალი გეგმების ფორსირებული რეალიზაცია. 1992 წლის 25 იანვარს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტასთან დაკავშირებით აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოქმედების შესახებ“, რომლითაც ფაქტობრივად შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონების მოქმედება აფხაზეთის ტერიტორიაზე. უფრო ადრე, 1991 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მოხდა აფხაზეთში დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარება უზენაესი საბჭოსადმი. შეიქმნა ე.წ. „აფხაზური“ მონოეთნიკური გვარდია, რომელიც პირადად არძინბას დაქვემდებარებაში მოექცა. ამავე დროს, ანალოგიური დადგენილებებით ავტონომიური რესპუბლიკის იურისდიქციაში გადაყვანილ იქნა აფხაზეთის პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და აფხაზეთის უშიშროების სამსახური.

ვ. არძინბას რეჟიმის სამართლებრივმა თარეშმა კულმინაციას მიაღწია 1992 წლის 23 ივლისს, როდესაც აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია ქართულ დეპუტაციას, საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით, ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ასსრ მოქმედი კონსტიტუციის შეჩერებისა და, ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, ე.წ. „1925 წლის კო-



ნსტიტუციის“ ამოქმედების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებით აფხაზურმა მხარემ ფეხქვეშ გათელა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ეროვნული ინტერესები, გადადგა ნაბიჯი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და მის ერთ ნაწილში ცალკე, მონოეთნიკური სახელმწიფოს შექმნისაკენ. ამით სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზმა პარლამენტარებმა საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნილაბი და ყველას დაანახეს თავიანთი ნამდვილი სახე. ამ უკანონო ქმედებით მათ მოღალატურად ჩასცეს ლახვარი ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ძმობას და სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენეს ამ ორი სისხლ-ხორცეულად დაკავშირებული ხალხის მშვიდობიანი თანაცხოვრება მათ საერთო სამშობლო – აფხაზეთში.

ყოველივე ამას, პირველ რიგში, ისევ და ისევ ჩვენმა, აფხაზეთის ქართველობის გათიშულობამ შეუწყო ხელი. კრიტიკულ მომენტში, როდესაც, ფაქტობრივად, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, საჭირო იყო მთელი ძალების ერთიან ფრონტად მობილიზება და ვ. არძინბას სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ წარმართვა. ამის ნაცვლად აფხაზეთის ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაუმორჩილებლობას უცხადებდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და ამით სეპარატისტებისათვის უადრესად ხელსაყრელ ანტითბილისურ ფონს ქმნიდა ავტონომიურ რესპუბლიკაში. შორს რომ არ წავიდეთ, რად ღირს თუნდაც ის განცხადებები, რომელიც გაკეთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალში, საერთო-ქართული ეროვნული მოძრაობის მედროშედ მიჩნეულ დაწესებულებაში, იმის შესახებ, რომ არ უნდა დავემორჩილოთ თბილისის „ხუნტას“ და ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ „კონსტიტუციურად არჩეული“ აფხაზეთის ხელისუფლების, ე.ი. ვ. არძინბას რეჟიმის, წესებითა და კანონებით. კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია. ასეთ მძიმე ვითარებაში, სამწუხაროდ, მოწოდების სიმძალეზე ვერ აღმოჩნდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართული ფრაქცია, რომელმაც არათუ ვერ მოახერხა ქართული მოსახლეობის კონსოლიდაცია და მისი დარაზმვა სეპარატისმისა და ექსტრემისმის წინააღმდეგ, არამედ უფრო მარტივი ამოცანებიც კი ვერ გადაჭრა. განა შეიძლება ახსნა მოვუძებნოთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი დეპუტატები ვერაფრით ვერ მორიგდნენ ერთმანეთში და ვერ

შეძლეს ყველასათვის მისაღები კანდიდატის წამოყენება სტრატეგია საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. ან რა შეიძლება ეწოდოს იმ კაზუსს, რაც ჩაიდინეს ქართველმა დეპუტატებმა უზენაესი საბჭოს სესიაზე ამ საკითხის განხილვის დროს, როდესაც მათ თვითონვე ჩააგდეს ის კანდიდატი (სესიას ქართული ფრაქციის 31 დეპუტატიდან მხოლოდ 18 დაესწრო), რომელზედაც წინასწარ, ფრაქციის სხდომაზე, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდათ. ამით ხომ მათ ზედმეტი საბაბი მისცეს ვ. არძინბას, უნეშად დაერღვია ე.წ. „ჯენტლმენური“ შეთანხმება (რომლის მიხედვითაც აფხაზური მხარე უბრალოდ ვალდებული იყო, უყოყმანოდ გაეზიარებინა ქართული ფრაქციის აზრი) და აღნიშნულ თანამდებობაზე რენეგატი ვაჟა ზარანდია დაენიშნა. ან რით გავამართლოთ ის, რომ ქართული დეპუტაციის ცალკეული წარმომადგენლები, წამოეგნენ რა ვ. არძინბას ანკესზე, დახარბდნენ თანამდებობებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში (მხედველობაში გვაქვს ე.წ. „რაიონულ ადმინისტრაციათა მეთაურების“ პოსტები) და მოიხსნეს დეპუტატის სტატუსი, რითაც აფხაზური დეპუტაციის რიცხოვრივი უპირატესობა უზენაეს საბჭოში კიდევ რამდენიმე ხმით გაზარდეს. ხოლო იმ ლიდერებმა, რომლებიც დღესაც ამართლებენ აპარტიდულ საარჩევნო კანონს, პროტესტის ნიშნად პირველებმა თქვეს უარი უზენაესი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობაზე.

ვერ შეძლო მაკონსოლიდირებელი ფუნქციის ბოლომდე შესრულება 1992 წლის 9 მაისს სოხუმში ჩატარებული ქართველთა ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილმა ეროვნული ერთიანობის საბჭომ, რომელშიც აფხაზეთში არსებული თითქმის ყველა ქართული პოლიტიკური ძალა გაერთიანდა და რომელმაც, თავის დროზე, უდავოდ პოზიტიური წვლილი შეიტანა აფხაზეთის ქართველობის კონსოლიდაციისა და აფხაზურ სეპარატიზმთან იდეოლოგიური ბრძოლის გააქტიურების საქმეში. ამ შემთხვევაში არცთუ ისე მცირეოდენი როლი ითამაშა იმ გაუთავებელმა კინკლაობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა უზენაესი საბჭოს ქართულ ფრაქციასა და ეროვნული ერთიანობის საბჭოს შორის.

ასეთ პირობებში აფხაზური მხარე დროს არ კარგავდა და მაქსიმალურად იყენებდა ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევას თავისი გეგმის სისრულეში მოსაყვანად. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც 1992 წლის 24 ივნისის ცნობილი ფაქტი, როდესაც ვ. არძინბამ, ისა-

რეგებლა რა თბილისში შექმნილი რთული სიტუაციით – შევიდა დღეული ანტისამთავრობო გამოსვლით, – თავისი ბანდიტები მიუსია აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და ძალით დაიკავა ის. ივლის-აგვისტოს დასაწყისში ვ. არძინბა და მისი ხროვა შრომითი კანონმდებლობის დარღვევით ათავისუფლებდა ხელმძღვანელი თანამდებობებიდან ქართული ეროვნების ურჩ მუშაკებს და სამხედრო ძალის გამოყენებით იკავებდა სტრატეგიული მნიშვნელობის წარმოება-დაწესებულებებს. პარალელურად მიმდინარეობდა გამალებული მილიტარიზაციის პროცესი. აფხაზურ გვარდიას მხარში ამოუდგა ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ ბატალიონი.

აქ არ გვაქვს საშუალება, რამდენადმე დაწვრილებით შევეხთ ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ ანტიქართული საქმიანობის მასშტაბებს აფხაზეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ არ შეიძლება, არ დავაფიქსიროთ, რომ დღეს სავსებით ნათელი გახდა, თუ ვის მიერ და რისთვის იყო შექმნილი ეს ორგანიზაცია. ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებმა აშკარა გახადა, რომ არძინბას აფხაზეთის ეროვნულ გმირებად მიჩნეულ მუსა შანიბოვს, იუსუფ სოსლამბეკოვსა და KHK-ს სხვა ლიდერებს, რომლებმაც, თავის დროზე, სოხუმი კონფედერაციის დედაქალაქადაც კი გამოაცხადეს, არასოდეს ჰქონიათ რაიმე საერთო კავკასიის ხალხების ჭეშმარიტ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. სად არიან ისინი დღეს, რატომ არ ამოუდგებიან ისეთივე თავგამოდებითა და ენთუზიაზმით ჯოხნარ დუდაევსა და შამილ ბასაევს, როგორითაც ებრძოდნენ საქართველოსა და ქართველ ხალხს და რატომ არ აცხადებენ მოსკოვს, თბილისს მსგავსად, „უბედურების ზონად“? ქართველები ისტორიულად ყოველთვის მიმტევებელი ხალხი ვიყავით და არც ახლა ვართ აგრესიულად განწყობილი ვინმეს მიმართ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოს დალატი არავის არასოდეს არ შერჩენია და არც ახლა შერჩება. ჩვენი ჩრდილო-კავკასიელი ძმები კი, იმეღია, სულ ძალე დარწმუნდებიან იმაში, თუ რა უზნეო პროვოკაციაში ჩაითრიეს ისინი მათმა ვაი-ლიდერებმა და თვითონ გასცემენ საკადრის პასუხს საერთო-კავკასიური ისტორიული ძმობისა და ერთობის მოღალატეებს.

ამრიგად, 1992 წლის აგვისტოს დამდეგისათვის სიტუაცია აფხაზეთში უკიდურესად დაიძაბა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, ფაქტობრივად, მიდიოდა

ყველა დასაშვებ დათმობაზე და აფხაზეთის აძლევედა აბსოლუტურად ყველა იმ უფლებას, რომელიც ჰქონდა რუსეთის ფედერაციის ნებისმიერ სუბიექტს, სეპარატისტები ჯიუტად მოითხოვდნენ ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ სუვერენიტეტის ცნობას თბილისის მხრიდან და მხოლოდ შემდეგ თანხმდებოდნენ თანასწორუფლებიან, ხელშეკრულებით, ე.ი. კონფედერაციულ, ურთიერთობებზე საქართველოს რესპუბლიკასთან, რაზედაც, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება ვერ წავიდოდა. 1992 წლის 4 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ მისცა კიდევ ერთი შანსი არძინბას რეჟიმს, გადაეღვა შემხვედრი ნაბიჯი შერიგებისაკენ და მიიწვია ის თბილისში საზეიმო ღონისძიებებზე, რომლებიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოს გაწვევრიანებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მაგრამ არძინბამ ამჯერადაც ზურგი აქცია თბილისის ინიციატივას და პერსონალური თვითმფრინავის უქონლობის მომიზეზებით, „დიპლომატიური უარი“ შემოუთვალა საქართველოს ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ სეპარატისტულ რეჟიმს არჩევანი დიდი ხნის გაკეთებული ჰქონდა და ის მხოლოდ საბაბს ელოდა შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებისათვის. მალე ასეთი საბაბიც გაჩნდა.

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ნაწილებს, რომლებიც, ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სარკინიგზო მაგისტრალების გაძლიერებული დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გადაადგილდნენ საკუთარი სახელმწიფოს – საქართველოს – შიგნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ე.წ. „აფხაზურმა“ გვარდიამ მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნა ოხურეისთან და აგუძერაში. აფხაზთა შეიარაღებული წინააღმდეგობა მართლაც მოულოდნელი იყო, ვინაიდან, მანამდე, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ეს აქცია შეთანხმებული იყო ვ. არძინბასთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა არათუ არაფერი არ იღონა „გაუგებრობის“ თავიდან ასაცილებლად, არამედ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნილაბი და აფხაზეთის მთელ მოსახლეობას ქართველი ოკუპანტების წინააღმდეგ „სამამულო“ ომისაკენ მოუწოდა. ასე დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში, რომელიც სულ მალე ნამდვილ ომში გადაიზარდა.



დღეს ბევრს კამათობენ, იყო თუ არა იმ დროს აფხაზეთში რთული ჯარის შეყვანის აუცილებლობა. ჩვენ სულაც არ გვინდა, გამოვიდეთ იმ „ყოვლისმცოდნე წინასწარმეტყველების“ როლში, რომელთათვისაც იმთავითვე ყველაფერი ნათელია, მაგრამ ერთი რამ არ შეიძლება ხაზგასმით არ ითქვას. საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გათვალა მოსალოდნელი კონფლიქტის მასშტაბები და მართლაც ნაჩქარევად დაძრა ჯარები სოხუმისაკენ. რასაკვირველია, საქართველოს მთავრობას სრული იურიდიული უფლება ჰქონდა, თვითონ განესაზღვრა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში შეიარაღებული ძალების გამოყენების საჭიროება. ამდენად, აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო აფხაზ სეპარატისტთა და მათ გადამთიელ მფარველთა მიერ საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულება აფხაზეთის „ანექსიაში“. სამწუხაროა, რომ ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ბევრმა ჩვენმა თანამემამულემაც გამოიღო თავი, სრული სოლიდარობა გამოუცხადა „ქართველი ოკუპანტების“ წინააღმდეგ მებრძოლ „გმირ“ აფხაზ ხალხს და კატეგორიულად მოითხოვა „ხუნტის“ ჯარების დაუყოვნებლივი გამოყვანა აფხაზეთიდან. ამით მათ, ნებისთ თუ უნებლიედ, სეპარატისტების მიერ ატეხილ ანტიქართულ ისტერიას თავისებური იმპულსი შემატეს. ამასთან, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვცდილობთ, გავამართლოთ საქართველოს ხელისუფლების თუ მის ცალკეულ წარმომადგენელთა ეს საბედისწერო გადაწყვეტილება. პირიქით, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ აფხაზეთში ჯარების ნაჩქარევი შეყვანა იყო უდიდესი სტრატეგიული შეცდომა.

ახალბედა ქართული სახელმწიფო აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ ტიპის სამხედრო ოპერაციების ჩატარებისათვის. როგორც გამოირკვა, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სრული ანარქია სუფევდა. იმის ნაცვლად, რომ ჯარს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, პირველ რიგში, აფხაზობისათვის, ეჩვენებინა, რომ მისი მთავარი ამოცანა კანონიერებისა და სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვაა, სამწუხაროდ, მან თავი სულ სხვა რამით გამოიჩინა. თითქმის ყველა დაკავებულ ქალაქსა თუ სოფელში ფართო მასშტაბები მიიღო მაროდღირობამ, სახელმწიფო ქონების დატაცებამ, ადგილობრივი მოსახლეობის, ძირითადად აფხაზების, სომხების, დაყაჩაღება-დაწიოკებამ. ხელისუფლებამ გამოამჟღავნა სრული უსუსურობა და ვერაფრით ვერ შეძლო წესრიგის დამყა-

რება შეიარაღებულ ფორმირებებში. რად ღირს მართო ის ფაქტობრივად რომ ომის განმავლობაში სოხუმში გამოიქცა 7 კომენდანტი, მაგრამ საქმეს პრინციპულად მაინც არ ეშველა. ასეთ ვითარებაში ფაქტობრივად პარალიზებული აღმოჩნდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის სოხუმში დარჩენილი სტრუქტურები. ვერაფრით ვერ გაირკვა, თუ რომელი ორგანო იყო პასუხისმგებელი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად რეგიონში მიმდინარე პროცესებზე: აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართული ფრაქცია, მინისტრთა საბჭო, თუ ე.წ. „სტაბილიზაციის კომიტეტი“. ვერ გამართლა სახელმწიფო მინისტრის უწყების შემოღებამ, რაც უწინარეს ყოვლისა, ამ თანამდებობაზე დანიშნული პიროვნების არაკომპეტენტურობით იყო გამოწვეული. მდგომარეობის გამოსწორება, სამწუხაროდ, ვერც 1993 წლის ნოემბერში დამტკიცებულმა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ახალმა ხელმძღვანელობამ და ვერც მოგვიანებით შექმნილმა თავდაცვის საბჭომ მოახერხა. ერთი სიტყვით, ჩვენ ვერ შევძელით საჭირო სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება და მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სწორედ ამან აიძულა ბევრი აფხაზი, რომელიც თავიდან მეტ-ნაკლებად არ თანაუგრძნობდა ვ. არძინას რეჟიმს და შესაძლოა, ეთანამშრომლა კიდევ ჩვენთან, დაეტოვებინა ვაგრა, სოხუმში თუ ოჩამჩირე, გუდაუთას გადაბარებულიყო და იქიდან იარაღით დაგვპირისპირებოდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობას არ ჰქონდა საომარი ოპერაციების ჩატარების ზუსტი და გამოკვეთილი გეგმა. ბოლომდე არ არის გარკვეული, თუ რატომ შეჩერდა ჯარი გუმი-სთასთან. ამის გასამართლებლად მოტანილი არც ერთი არგუმენტი არ არის დამაჯერებელი. ყოველი შემთხვევისათვის, დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ მოსკოვის მუქარის შიშით იყო ეს, თუ გუდაუთაში მოსალოდნელი დიდი სისხლისღვრის თავიდან აცილების სურვილით, საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა. თუმცა იმ პერიოდში, ერთი შეხედვით, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქართული მხარის ყველა მოქმედება საკმაოდ კარგად იყო გათვლილი და მოვლენების მსვლელობა გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარებოდა. ეს დადასტურა კიდევ 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმებამ, რომელმაც თითქოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების რეალური მექანიზმები შექმნა, მაგრამ რუსეთის მხარის უპრინციპო-



ბისა და ორპირობის შედეგად ყველაფერი წყალში ჩაიყარა. წლის ოქტომბრის დასაწყისში, ისარგებლეს რა 3 სექტემბრის შეთანხმების რეალიზაციის მომლოდინე ქართული მხარის ყურადღების მოღუნებით, აფხაზმა სეპარატისტებმა და მათ მიერ დაქირავებულმა ჩრდილოკავკასიელმა „ბოვეიკებმა“, გუდაუთაში განლაგებული რუსეთის ნაწილების აქტიური დახმარებით, მუხანათურად დაარღვიეს მოსკოვის ხელშეკრულება, შეძლეს გაგრის აღება და რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გასვლა.

გაგრის ტრაგედიამ, სეპარატისტებისა და ჩრდილო-კავკასიელი გარეწრების, რუსეთის რეგულარული ჯარების ნაწილების არმიის ჯარისკაცების და ოფიცრების მიერ აქ მოწყობილმა ნამდვილმა სასაკლამო, რომელმაც შეიწირა ათასობით უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობა, ერთბაშად შეცვალა ომის ხასიათი და მასშტაბები. ამ დროიდან სამხედრო უპირატესობა აფხაზი სეპარატისტების ხელში გადავიდა და ქართული მხარე იძულებული შეიქნა, ყრუ და უსისტემო თავდაცვაზე გადასულიყო. დაიწყო ქ. სოხუმის მასირებული დაბომბვა, რომლის შედეგად დაიღუპა ასეულობით ადამიანი: ქალები, ბავშვები, მათ შორის აფხაზებიც. გუდაუთის ფაშისტურმა რეჟიმმა რამდენიმეჯერ სცადა იერიშით სოხუმის აღება. ყველაზე დიდი შეტევა, როგორც ცნობილია, სეპარატისტებმა 1993 წლის მარტის შუა რიცხვებში განახორციელეს, მაგრამ მათ ამჯერად სასტიკი მარცხი იწვნიეს. შეიქმნა უაღრესად ხელსაყრელი სიტუაცია ქართული ჯარის კონტრშეტევაზე გადასასვლელად, მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობამ არ დაუჯერა გამოცდილ, კომპეტენტურ სამხედრო სპეციალისტებს და თავი შეიკავა აქტიური სამხედრო მოქმედებების გაგრძელებისაგან. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, ქართული სარდლობის ეს გადაწყვეტილებაც ასევე საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა.

დღემდე გაუგებარია, აგრეთვე, თუ რატომ ვერ მოხერხდა ტყვარჩელის აღებაც და ე.წ. „მეორე ფრონტის“ მოშლა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტამიშის დესანტის შემდეგ ხომ აშკარა იყო, თუ რამდენად სახიფათო იყო ტყვარჩელის ფრონტის ხელუხლებლად დატოვება. ომმა გამოამყვანა ჩვენი დიპლომატიური უსუსურობაც. მას მერე, რაც რუსეთის მხარემ არ შეასრულა სამშვიდობო პროცესის გარანტის ფუნქცია და მანვე შუქი მისცა სეპარატისტების მიერ გაგრის დაკავებას, საქართველოს ხელისუფლებას მეტი სიფრთხილე მართებდა და მას კვლავ ასე გულუბრყვილოდ



არ უნდა ჩაებარებინა რუსეთისათვის ე.წ. „კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესი“. ჩვენ არა გვაქვს უფლება, არ დაუუჯეროთ საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობას იმის შესახებ, რომ თუ არა 27 ივლისის საბედისწერო დაზავება, სოხუმი უკვე მაშინ დაეცემოდა და მიგვაჩნია, რომ სოჭის აღნიშნულ შეთანხმებაზე წასვლა ქართული მხარისათვის მართლაც იძულებითი იყო. მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობას ამჯერად მაინც ყველა ზომა უნდა მიეღო იმისათვის, რომ გაგრილ ტრაგედია არ განმეორებულიყო.

და მაინც ჩვენ შეგვეძლო სამხედრო კატასტროფის თავიდან აცილება. ყველაფერს სოჭის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ქართული ჯარი ფაქტობრივად განიარაღებული იქნა, ნუ გადავებრალეხით. ეს მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ სოხუმი აფხაზთა შემოტევის მეორე დღესვე — 4 სექტემბერს — დაეცემოდა, როგორც ამას გეგმავედა კიდევ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კოლესნიკოვი, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, ქალაქმა კიდევ 10 დღე გაუძლო მტრის მასირებულ შემოტევას. ეს იყო ჭეშმარიტად გმირული ეპოპეა, რომელმაც არაერთი დიდებული ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა. ასეთ უმძიმეს სიტუაციაში, სამწუხაროდ, ჩვენ ბედის ანაბარად მიგვატოვა არა მარტო რუსეთმა — „სამშვიდობო პროცესის გარანტმა“ — არამედ ჩვენმავე თანამემამულეებმაც, რომლებმაც ვერ შეძლეს, თუ არ ისურვეს კოდორის „ფრონტის“ გარღვევა და სოხუმის გადარჩენა. დღეს ჩვენ ვერავინ დავგაჯერებს, რომ არათუ 10 დღის განმავლობაში, არამედ სულ ცოტა 2 დღეშიც კი არ შეიძლებოდა კოდორის გადმოლახვა და შეიარაღების დროულად შემოტანა სოხუმში. რატომ არ გაკეთდა ეს? ვინ დაუშალა კოდორს აქეთ მდგარ ჯარს, სამთავრობო შენაერთებს მაინც, ფორსირებულად შესვლა სოხუმში? ხომ სრულიად აშკარაა, რომ ამ სამხედრო ძალას შეეძლო არათუ ჩვენი გადარჩენა, არამედ თვით ფსოუზე გასვლაც კი. ჩვენ ოდნავადაც არ ვაპირებთ ხელისუფლების გამართლებას. ის ვალდებული იყო, ყოველივე ეს გაეთვალისწინებინა და არ ყოფილიყო მხოლოდ იმ ძალების იმედით, რომლებიც სულ რამდენიმე დღის წინ მას უპირისპირდებოდნენ. მაგრამ რა ვუწოდოთ ჩვენი სისხლისა და ხორცის საქციელს, რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ტაშ-ფანდურს, რომლითაც ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე შეხვდა ცნობას სოხუმის დაცემის



შესახებ. ნუთუ ძნელი იყო იმის გაგება, რომ სოხუმის დაცვამ იყო მხოლოდ ერთი პიროვნების პოლიტიკური კრახი, რომ ეს, არც მეტი, არც ნაკლები, საერთო-ეროვნული კატასტროფა იყო. და თუ ყოველივე ეს კეთდებოდა ერთი კაცის სიძულვილის გამო, ან თუნდაც ქვეყანაში არსებული ხელისუფლების შეცვლის მიზნით, მაშინ იქნებ კოდორს აქეთა აფხაზეთი მაინც გადაგვერჩინა, უბრძოლველად ოჩამჩირე და გალი მაინც არ დაგვეთმო. ამის ნაცვლად ჩვენი დებისა და ძმების ამწიოკებელ-დამაქცევარი აფხაზი და ჩვენი „ბოევიკები“ ზუგდიდშიც შემოვიყვანეთ და ამჯერად ხობსა და სენაკში შევეუსიეთ ჩვენსავე სისხლსა და ჯილაგს. ეს უკვე სოხუმში განცდილ სამხედრო კატასტროფაზე მეტი იყო. ეს საერთო-ეროვნულ დაცვას ნიშნავდა.

დიახ, ორნახევარი წელი გავიდა აფხაზეთის დაკარგვიდან. მთელი ამ ხნის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლება, ითვალისწინებდა რა ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, აგრეთვე მსოფლიოში არსებულ კონიუნქტურას, თანმიმდევრულად ადგა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარების გზას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივებმა ჯერჯერობით სასურველ შედეგს ნამდვილად ვერ მიაღწიეს, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები სრულიად უნაყოფო იყო. პირიქით, საერთაშორისო არენაზე საქართველომ უდავოდ მოიპოვა გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური კაპიტალი. გავარღვიეთ ინფორმაციული ბლოკადა. ჟენევაში, მოსკოვსა თუ სოჭში მიმდინარე მოლაპარაკებებზე, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებზე, ევროპის უშიშროების თათბირის, დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა შეხვედრებსა და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე, არაერთხელ ცალსახად დაფიქსირდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევობა, ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი აფხაზეთში; აღიარებულ იქნა სეპარატისტული რეჟიმების პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციის აუცილებლობა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა მიმდინარე წლის 19 იანვრის მოსკოვის სამიტზე მიღებული დოკუმენტები, რომლებშიც ფაქტობრივად პირველად (მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ ქალაქდზე) მიიღეს კონკრეტული პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები ვ. არძინბას სეპა-



რატისტული რეჟიმის მიმართ. მაგრამ ყოველივე ეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთგვარი მორალური კომპენსაციის ფარგლებს არ სცილდება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო თანადგომამ საქართველოს ბევრი ვერაფერი მისცა: აფხაზეთი კვლავ რჩება ჩვენი ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებს გარეთ; მშობლიურ კერას ვერ უბრუნდება 400 ათასამდე დევნილი; არძინბას რეჟიმი აგრძელებს ქართველთა ეთნიკურ წმენდას და გენოციდს; საზღვარი არა აქვს სეპარატისტთა დემაგოგიურ-პროპაგანდისტულ ექსპანსიას რუსეთისა და უცხოეთის სხვა ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებში.

აფხაზეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად საქართველოს ხელისუფლების დიპლომატიურ ნაბიჯებზე მსჯელობისას არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ერთ პრინციპულ საკითხზე, რომელიც, ჩვენი აზრით, იმთავითვე არასწორად იქნა გადაწყვეტილი. როგორც ცნობილია, ქართულ მხარეს თითქმის ყველა შეხვედრაზე ჟენევაში, სოჭსა თუ მოსკოვში წარმოადგენდა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც თვითონ აწარმოებდა დიალოგს აფხაზურ მხარესთან, როგორც აფხაზეთის ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური სტრუქტურების ცალკეული წარმომადგენლები შედიოდნენ ამა თუ იმ დელეგაციაში, აფხაზეთის ქართველობა ფაქტობრივად გამოთიშული აღმოჩნდა მოლაპარაკებითი პროცესიდან. რომ არაფერი ვთქვათ მიღწეულ შეთანხმებებში დაფიქსირებულ ქართული მხარისათვის ამკარად წამგებიან ცალკეულ დებულებებზე, ამით ჩვენ „შიდა-აფხაზური“ კონფლიქტი საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის რანგში ავიყვანეთ და სეპარატისტული რეჟიმი ოფიციალურად აფხაზეთის მხარედ გამოაცხადეთ. ეს, რასაკვირველია, სრულიად გაუმართლებელი მიდგომა იყო. ჩვენ არ უნდა გადაგვეხვია იმ პრინციპისაგან, რომელიც დაფიქსირდა მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის დოკუმენტის ხელმოწერისას, როდესაც აფხაზეთის სახელით დოკუმენტს ხელი მოაწერეს არა მარტო გუდაუთის მთავრობის წარმომადგენლებმა, არამედ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართველმა ხელმძღვანელებმაც, კერძოდ, ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა. ეს ტრადიცია მეტ-ნაკლებად გაგრძელდა ომის მსვლელობის პერიოდშიც, როდესაც მთელ რიგ შეხვედრებში მოლაპარაკებებს ქართული მხრიდან ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საკი-

თხებში ბატონი გ. ხაინდრავა, მოგვიანებით კი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ჟიული შარტავა. ომის დამთავრების შემდეგ კი ეს ტრადიცია სამწუხაროდ დაირღვა და ამიერიდან უკლებლივ ყველა მოლაპარაკება აფხაზურ მხარესთან მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ეგიდით წარმოებდა. ეს მაშინ, როდესაც თბილისში ფუნქციონირებდა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ხოლო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (შემდგომში თავმჯდომარე) ბატონი თ. ნადარეიშვილი ვიცე-პრემიერის რანგშიც კი იქნა აყვანილი და უკვე როგორც საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს დაევალა აფხაზეთის საკითხების კურირება.

ამო გამოდგა ის იმედები, რასაც საქართველოს ხელისუფლება ამყარებდა გაეროს ეგიდით ჩატარებულ სამშვიდობო ოპერაციაზე, რომელსაც აგერ უკვე წელიწადნახევარზე მეტია ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ნაწილები. დღეს უკვე ამკარაა, რომ სამშვიდობო ოპერაცია მთლიანად ჩაიშალა. ამან კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა რუსეთის ფედერაციის, როგორც სამშვიდობო პროცესის გარანტის სრული უსუსურობა და უნიათობა. უფრო მეტიც, მართლდება ეჭვი, რომ რუსეთის მხარეს არც ჰქონდა განზრახული ყოველმომცველი სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება აფხაზეთში. ერთადერთი ამოცანა, რომელიც რუსეთის სამშვიდობო ძალებმა ამ ხნის მანძილზე წარმატებით შეასრულეს, ესაა „სუვერენული“ აფხაზეთის ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის“ (საქართველოსთან) დაფიქსირება.

გაუგებარი რჩება რუსეთის ხელისუფლების პოზიცია. ერთი შეხედვით, კრემლის უმაღლესი ეშელონების ცალკეული წარმომადგენლები – პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და ა.შ. – ცალსახად აღიარებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ყოველივე ეს დეკლარატიული განცხადების ფარგლებს არ სცილდება და რაიმე სერიოზულ ზეწოლას მათი მხრიდან გუდაუთის რეჟიმი დღესაც, 19 იანვრის სამიტიის გახმაურებული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგაც კი არ განიცდის. პირიქით, გრძელდება სეპარატისტებისათვის მორალური, ეკონომიკური და ფინანსური მხარდაჭერის გაწევა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მხრიდანაც. ვერ იქნა და ვერ მივალწიეთ იმას, რომ რუსეთის ოფიციალურმა ხელისუ-

ფლებამ ერთხელ და სამუდამოდ, რეალურად და არა ქალაქად აღიაროს ვ. არძინბას სეპარატისტული რეჟიმის უკანონობა და სრული ბოიკოტი გამოუცხადოს მას.

გაკვირვებას იწვევს გაეროს შესვეურთა ზოგიერთი განცხადება საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობისა და აფხაზეთისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების შესახებ, რომლითაც ფაქტობრივად ეჭვქვეშაა დაყენებული ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობა. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიოს ცხელ წერტილებში, განსაკუთრებით ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განვითარებულმა მოვლენებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სრული უუნარობა, მშვიდობიანი გზებით მოაგვარონ ეთნოპოლიტიკური დაპირისპირებები. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ აგრესიული სეპარატიზმი მარტოოდენ შეგონებებითა და დიპლომატიური რევერანსებით უკან არ დაიხევს და რომ მისი აღკვეთა მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებითაა შესაძლებელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დადგა დრო, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ პრინციპულად უნდა შეცვალოს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მშვიდობიანი კურსი და მონახოს აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის ალტერნატიული გზები. რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს ამ პროცესის ფორსირებას და ნაჩქარევად ახალი ავანტიურის წამოწყებას. პირიქით, ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა სირთულეებთან იქნება დაკავშირებული აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ჩვენი სამხედრო პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მართლაც გაკეთდა ზოგი რამ საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნისათვის, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანას ჯერჯერობით არ ჰყავს ისეთი არმია, რომელსაც ხელეწიფება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტირებული სამხედრო უზრუნველყოფა. რასაკვირველია, სახელმწიფოს, რომელიც პროფესორს მხოლოდ 10-15 ლარს უხდის თვეში, გაუჭირდება ერთ-ორ წელიწადში სათანადოდ აღჭურვილი, კარგად გაწვრთნილი, ბრძოლისუნარიანი ჯარის შექმნა, მაგრამ ვფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ აამოქმედა ქვეყნის შიგნით არსებული ყველა რეზერვი ქართული ჯარის ფორმირების





დასაჩქარებლად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სრულიად განსხვავებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნა-ჩამოყალიბების პროცესის მთლიანად რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კისერზე ჩამოკიდება.

აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენასთან დაკავშირებით საქართველოს სამხედრო პოტენციალზე ყურადღების გამახვილება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ცალსახად ვუჭერთ მხარს აფხაზეთის დაბრუნების მხოლოდ ძალისმიერ გზას. პირიქით, დარწმუნებული ვართ, ჩვენს შორის ალბათ არც მოიძებნება პიროვნება, რომელსაც მაინცა და მაინც სისხლი სწყუროდეს. ჩვენ დღესაც, მიუხედავად მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოწყობილი ნამდვილი გენოციდისა და ყველა იმ საშინელებებისა, რომლებიც სეპარატისტებმა თავს დაგვატყვეს, მზად ვართ მივუხედეთ მოლაპარაკების მაგიდას და პირველებმა გადავდგათ ნაბიჯი შერიგებისაკენ. ჩვენ მზად ვართ, კვლავ გავუწოდოთ ძმობისა და მეგობრობის ხელი აფხაზ ხალხს, ყველა იმას, ვისაც ეყოფა მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა, აღიმაღლოს ხმა ავანტიურისტ ბელადების წინააღმდეგ, რომლებმაც თავისივე ხალხი უფსკრულში გადაჩეხეს; ვინც გამოიჩინეს სიბრძნეს და გონიერებას, თავს დააღწევს კაცთმოძულეობის კოშმარს და ასევე გამოგვიწვდის ძმობისა და მეგობრობის ხელს. ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველა იმასთან, ვინც დღეს კიდევ საბოლოოდ არ გადაგვარებულა, არ დავიწყნია ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ნათელი ფურცლები, ვისაც ჭეშმარიტად სურს ქართველებთან ერთად ერთ მიწა-წყალზე ცხოვრება, ახალი აფხაზეთის, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს შენება.

მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზეთში ჯერჯერობით არ გამოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც ანტიქართულ ნაციონალისტურ-შოვინისტურ ისტერიას რეალურად აღუდგება წინ. ამასობაში, ვ. არძინბას რეჟიმი, რაც დრო გადის, სულ უფრო აძლიერებს ტერორს აფხაზეთში ჩარჩენილი ქართველი მოსახლეობის მიმართ, მათ შორის იმ 12 კილომეტრიან ზონაშიც, რომელიც ე.წ. „სამშვიდობო ძალებმა“ უნდა გააკონტროლონ. სეპარატისტთა თავგასულობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. სხვა „სიკეთესთან“ ერთად, აფხაზეთში მიდის ფართო მასშტაბის ანტიქართული იდეოლოგიური დივერსია. ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაა გალის რაიონში, სადაც ვ. არძინბას ადმინისტრაცია ცდილობს მეგრული



სეპარატიზმის პროვოცირებას. ამ მიზანს ემსახურება, კერძოდ ე.წ. „მეგრული გაზეთების“ გამოშვება. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს გაჩნდა ინფორმაცია „მეგრული შეიარაღებული რაზმების“ ჩამოყალიბების თაობაზე, რომლებიც თითქოს იბრძვიან ე.წ. „კოლხურ-მეგრული სახელმწიფოს“ შექმნისათვის. როგორც ხედავთ, ჩვენი აფხაზი „ძმები“ ერთი ხელის მოსმით ცდილობენ იმის გაკეთებას, რაც XIX საუკუნეში შოვინისტმა რუსმა ჩინოვნიკებმა, ხოლო ჩვენ დროში ისაკ ჟვანიასთანა რენეგატებმაც კი ვერ მოახერხეს. არა მგონია, ამ დარბაზში საჭირო იყოს იმის განმარტება, რომ ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი ეროვნული თვითშეგნების კიდევ ერთი შეურაცხყოფა და ფეხქვეშ გათელვაა და რაოდენ სავალალოა, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ამ ანკესზე წამოეგო. ჩვენ ვაღდებულნი ვართ, დღეს, ამ დარბაზიდან, მივმართოთ მათ: გონს მოეგეთ, გაიხსენეთ, თუ „ვისი გორისანი ხართ“! გმირ კოლხთა შთამომავლებს, ცოტნეს ჯილაგის მოდგმას ასეთი რამ არ ეკადრება! ნუ ჩაიდნით ისეთ ღალატს ერისა და მამულის წინაშე, რომელიც ცოდვად დაედება თქვენს შთამომავლობას! სეპარატიზმთა ლიდერებს კი შევახსენებთ: აფხაზეთის ქართველობა სულაც არ აპირებს, აჰყვეს პროვოკატორებსა და დაქირავებულ აგენტებს, რომლებიც დღესაც იმპერიის წისქვილზე ასხამენ წყალს. ყველამ კარგად იცოდეს: ჩვენ არასოდეს შეეურიგდებით აფხაზეთის დაკარგვას და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ყველა საშუალებით ვიბრძობლებთ წინაპართა მიწის დასაბრუნებლად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოს იურიდიქციის აღდგენას წინ უნდა უძღოდეს გარკვეული დიპლომატიურ-იდეოლოგიური სამზადისიც საერთაშორისო არენაზე. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გვეკონდეს რუსეთის ფედერაციის მხრიდან სრული ნეიტრალიტეტის მყარი გარანტიები. არ შეიძლება უარყოფოთ, რომ ჩეჩნეთის მოვლენებმა პრინციპულად შეცვალეს ოფიციალური კრემლის დამოკიდებულება სეპარატიზმისა და ექსტრემიზმის მიმართ, რამაც რამდენადმე ხელსაყრელი ფონი შექმნა საქართველო-რუსეთის ინტერესების შემდგომი დაახლოებისათვის. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს პრობლემის გადაწყვეტას. ჯერ ერთი, რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, ფედერალურ კრებაში, თვით მთავრობაშიც კი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მრავლად არიან ანტიქართული სულისკვეთებით მოწამლული „მოღვაწენი“, რომე-



ლთა გავლენა ძლიერია არმიაში და არავინ იცის, რას მოიმოქმედებენ ისინი კრიტიკულ მომენტში. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ არ არის დასრულებული რუსეთის სახელმწიფოს მოწყობის პროცესი. მოსკოვს არ გააჩნია ჩამოყალიბებული, მიზანმიმართული პოლიტიკა ეროვნულ საკითხში, არა აქვს გამოკვეთილი არც თავისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები კავკასიის რეგიონში. ამას ემატება წინასაარჩევნო ციებ-ცხელება, რომელიც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის სხვადასხვა სახის პოლიტიკური სპეკულაციებისათვის. ასეთ ვითარებაში, ჩვენ ვეჭვობთ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა, მიუხედავად არაერთგზის დაპირებისა, უახლოეს ხანში (ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტის არჩევნებამდე მაინც) პრინციპულად შეცვლის თავის დამოკიდებულებას აფხაზეთის კონფლიქტისადმი და რაიმე სერიოზულ კორექტივებს შეიტანს თუნდაც სამშვიდობო ძალების საქმიანობაში. სწორედ ამიტომაც, რომ რუსები ასე ჭიმავენ სამშვიდობო ძალებისთვის ე.წ. „პოლიციური მანდატის“ მინიჭების საკითხს. მათ კარგად ესმით, რომ სამშვიდობო ძალების მხრიდან პოლიციური ფუნქციების რეალურად შესრულებას კონფლიქტის ზონაში შეიძლება მართლაც მოჰყვეს მათი დაჯანსაღება აფხაზ სეპარატისტებთან (რითაც იმუქრება კიდევ ვ. არძინბა). ეს კი, ამჟამად, როდესაც არ არის საბოლოოდ გარკვეული სიტუაცია ჩეჩნეთში, რუსეთისთვის, ბუნებრივია, მაინცდამაინც მთლად მისაღები არ არის.

აფხაზეთის კონფლიქტისადმი რუსეთის დამოკიდებულებაში, შესაძლოა, გარკვეული და ჩვენთვის არცთუ სასურველი კორექტივები შეიტანოს ამ უკანასკნელ ხანს ნავთობსადენთან დაკავშირებულმა აფიოტაჟმაც. მიუხედავად გარეგნული თავშეკავებისა, სრულიად აშკარაა, რომ კრემლი უაღრესად გააღიზიანა საერთაშორისო კონსორციუმის გადაწყვეტილებამ ნავთობსადენის ერთი ხაზის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების შესახებ, რითაც რუსეთმა დაჰკარგა ერთგვარი მონოპოლია აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირების საქმეში. ასეთ სიტუაციაში, ჩვენ არ უნდა გამოვრიცხოთ მოსკოვის მხრიდან ახალი პროვოკაციები საქართველოში დესტაბილიზაციის მოსახდენად, რაც სათუოს გახდის ნავთობსადენის გაყვანას ჩვენი ქვეყნის გავლით.

ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ბევრი ფაქტორი არსებობს, რომელიც საეჭვოს ხდის რუსეთის მზადყოფნას გადადგას რეალური,



ხაზს ვუსვამთ, რეალური ნაბიჯები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საბოლოოდ მოწესრიგებისა და აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენისათვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ სათანადო დასკვნების გამოტანა გვმართებს, რათა არ ავყვეთ ემოციებს და ნაჩქარევი, მოუმზადებელი აქციებით კვლავ არ მივცეთ მოწინააღმდეგეს ახალ ავანტიურაში ჩათრევის საშუალება. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ მთლად გულზელდაკრეფილები ვიჯდეთ და ასე ველოდოთ მოვლენების განვითარებას. რასაკვირველია, არა. პირიქით, საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც არასდროს, ახლა უნდა გააძლიეროს თავისი დიპლომატიური ზეწოლა მოსკოვზე, აამოქმედოს ყველა არსებული რეზერვი. პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებამ ყოველგვარი მობოდიშების გარეშე უნდა აგრძნობინოს რუსეთის მესვეურთ, რომ თუ ისინი კვლავ გააგრძელებენ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას და წინ აღუდგებიან საქართველოს სახელმწიფოს ცდებს, აღადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით, მაშინ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდება, ოფიციალურად აღიაროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შემდგომი ყოფნის და საერთოდ ამ თანამეგობრობის არსებობის სრული უპერსპექტივობა. უფრო მეტიც, კრემლი ბოლოს და ბოლოს უნდა დარწმუნდეს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ეყოფა გამბედაობა, პრინციპულად გადასინჯოს რუსეთის ფედერაციასთან დღეისთვის არსებული სამოკავშირეო ურთიერთობები, უარი თქვას მოსკოვთან სამხედრო-პოლიტიკურ პარტნიორობა-თანამშრომლობაზე და კატეგორიულად დასვას რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან, პირველ რიგში, აფხაზეთიდან დაუყოვნებლივი გაყვანის საკითხი. ყოველივე ეს სრულებითაც არ ნიშნავს ღია კონფრონტაციაზე წასვლას. ეს არის საქართველოს სამართლიანი პოზიციის დაფიქსირება, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენმა დიდმა მეზობელმა, თუ მას მართლაც სურს კავკასიაში არსებული გეოპოლიტიკური ბალანსის შენარჩუნება.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის დაბრუნება არცთუ ისე ადვილი საქმეა და ეს მართლ ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული. ასეთ სიტუაციაში როგორც არასოდეს, საჭიროა საერთო-ევროპული ძალისხმევა, ქვეყნის მთელი შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზება ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად. ვართ კი



ჩვენ მზად ამისათვის? სამწუხაროდ, როგორც განვლილმა 2-წლიანმა  
 ლიწადმა გვაჩვენა, აფხაზეთის ქართველობა თავს დამტყდარმა  
 უბედურებამ არათუ არ შეკრა ერთ მუშტად, არამედ კიდევ უფრო  
 დაქსაქსა და გაფანტა. რასაკვირველია, ამას თავისი ობიექტური  
 მიზეზებიც აქვს. ცხოვრების სიდუხჭირემ აფხაზეთის მკვიდრთა  
 დიდი ნაწილი აიძულა სამშობლოდან გადახვეწილიყო და ლუ-  
 კმა-პურის საშოვნელად სხვადასხვა ქვეყნებს მოსდებოდა. უძძიმე-  
 სმა ეკონომიკურმა პირობებმა, სოციალურმა დაუცველობამ, დევნი-  
 ლთა დიდი უძრავლესობა მეტისმეტად დააბეჩავა და სულიერად  
 დააუძღურა. ბევრმა ვერ გაუძლო მწარე ხვედრს და უდროოდ წა-  
 ვიდა წუთისოფლიდან. სახელმწიფო, ერთი შეხედვით, თითქოს ცდი-  
 ლობს აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარე-  
 ობის გაუმჯობესებას, მაგრამ ის, რასაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს ამ  
 მიმართულებით, ძალზე მცირეა და ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს  
 ადამიანის ელემენტარულ მოთხოვნილებებს. ამასთან, სახელმწი-  
 ფო სტრუქტურები, რბილად რომ ვთქვათ, ვერ ართმევენ თავს მათ-  
 დამი დაკისრებულ მოვალეობას. მათი მიზეზით დევნილები დროუ-  
 ლად ვერ ღებულობენ კუთვნილ ფულად თუ ჰუმანიტარულ დახმა-  
 რებას. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ნეგატიურად მოქმედებს დევნი-  
 ლთა მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, უიმედობასა და  
 პესიმიზმს ბადებს მათში. ასეთ ხალხს ძნელია, მოსთხოვო საზოგა-  
 დოებრივი აქტიურობა.

ამ ძნელბედობის ჟამს არ აღმოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც შე-  
 ძლებდა აფხაზეთის ქართველობის, საერთოდ დევნილთა დავრდო-  
 მილი სულის გამოცოცხლებას, მათ კონსოლიდაციას და ერთი მი-  
 ზნისაკენ წარმართვას. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლე-  
 ბის ოფიციალურმა სტრუქტურებმა – უზენაესმა საბჭომ და მინი-  
 სტრთა საბჭომ, სამწუხაროდ, ვერ გაართვეს თავი ამ უაღრესად პა-  
 სუხსაგებ მისიას. უფრო მეტიც, აღნიშნული სტრუქტურების ხე-  
 ლმძღვანელებმა, თავ-თავიანთი პარტიების შექმნით, აგრეთვე მთელ  
 რიგ პრინციპულ საკითხებში სრულიად საპირისპირო შეხედულე-  
 ბების არაერთგზის დეკლარირებით კიდევ უფრო დააბნიეს და გა-  
 თიშეს დევნილი მოსახლეობა. ავტონომიური რესპუბლიკის მმართვე-  
 ლობის სტრუქტურების მუშაობაში არსებულმა ამ და სხვა ხარვეზებმა  
 უაღრესად დასცა მათი ავტორიტეტი დევნილებში, კიდევ უფრო და-  
 ამორა ისინი ხალხს.

ფრიად უსუსურად გამოიყურებოდა საქართველოს პარლამე-

ნტის „აფხაზური“ დეპუტაციაც, რაზედაც მნიშვნელოვანი როლი იმოქმედდა დეპუტატებს შორის არსებულმა პარტიულმა გათიშულობამ. მათ ვერ მოახერხეს ერთიან მობილურ გუნდად ჩამოყალიბება და რაიმე სერიოზული ზეწოლის მოხდენა პარლამენტზე, რომელსაც მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ ახსენდებოდა აფხაზეთის პრობლემა. არც ერთი მოსმენა, რომელიც შედგა პარლამენტში 1993-1995 წლებში აფხაზეთის საკითხზე, არ იყო სათანადოდ მომზადებული, რის გამოც ამ დებატებმა არავითარი კონკრეტული შედეგი არ მოიტანეს. პირიქით, პარლამენტი იქცა ჩვენივე, აფხაზეთის დეპუტატების ყოვლად გაუმართლებელი ურთიერთინკლაობისა და ანგარიშსწორების არენად. ამ ბოლო დროს მდგომარეობა თითქოს რამდენადმე გამოსწორდა, როგორც იქნა, მოხდა აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატების ერთ ფრაქციად გაფორმება, დეპუტაციის წარმომადგენელი კი არჩეულ იქნა პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ. პარლამენტისა და მისი „აფხაზური“ ფრაქციის მოღვაწეობასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხთ იმ აჟიოტაჟს, რომელიც ატეხილი იყო აფხაზეთის საკითხზე პარლამენტში 5-6 აპრილს ჩატარებულ საგანგებო სესიის ირგვლივ. როგორც ცნობილია, აფხაზეთის საკითხის გლობალური განხილვის ინიციატივით, თავის დროზე, სახელმწიფოს მეთაური გამოვიდა. ეს გაკეთდა ისეთი მაღალი პათოსით, კონსტიტუციის მიღებით გამოწვეული საყოველთაო ეიფორიის ფონზე, რომ ამან ერთგვარი იმედი ჩაუსახა ხალხს, განსაკუთრებით დევნილებს და ისინიც მოუთმენლად ელოდნენ პარლამენტის საგანგებო სესიას, რომელსაც, მათი აზრით, თითქოს ერთი ხელის მოსმით უნდა გადაეჭრა ყველა პრობლემა. მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ჯერ კიდევ არაა მზად გააკეთოს აფხაზეთის ტრაგედიის ყოველმხრივი, გლობალური ანალიზი და, რაც მთავარია, მას არ გააჩნია კონფლიქტის რეალური მოწესრიგების რაიმე ახალი მექანიზმები. ასეთ ვითარებაში, პარლამენტის ხელმძღვანელობამ, სხვათა შორის, აფხაზეთის დეპუტაციის დიდი ნაწილის თანხმობით, მაინც გადაწყვიტა საგანგებო სესიის ჩატარება და აქცენტი სეპარატივისტების მიერ აფხაზეთში ჩადენილი გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შეფასების საკითხზე გადაიტანა. პირდაპირ ვიტყვით, ჩვენ არაფერი გვქონდა პარლამენტში ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის საწინააღმდეგო და მიგვაჩნია, რომ მას ეს აქამდეც, ყოვე-

ლგკარი ხმაურისა და ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე უნდა გაეყვებინა. მით უმეტეს, რომ საქართველოს პროკურატურას მართლაც კვალიფიცირებული მასალა ჰქონდა მომზადებული ამ პრობლემაზე. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ის, რისი მოწმენიც გავხდით ბოლო ორი დღის განმავლობაში, სრულებითაც არაა ის წინასადიდეგორო მზადება, რომელსაც ასე მოელოდა მთელი საქართველო.

ვერც საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და გაერთიანებებმა, მათ შორის, აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციამ და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საზოგადოებრივმა სათათბირომ, რომელთაც ამის ყველაზე მეტი პრეტენზია ჰქონდათ, ვერ მოახერხეს დევნილი მოსახლეობის მაკონსოლიდირებელი ფუნქციის შესრულება და მათი საერთო-ეროვნული იდეის ირგვლივ დარაზმვა. ყოველივე ამის შედეგია, რომ დევნილები თანდათანობით იქცნენ დაბეჩავებულ, ინერტულ მასად, რომელიც აბსოლუტურად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მიმდინარე მოვლენებზე. ეს ნათლად ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება სრულებითაც არ თვლის აუცილებლად დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა აქტიურ ჩართვას აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში. გვაქვს კი ჩვენ იმის უფლება, რომ ვიყოთ ასე უმოქმედოდ და შორიდან ვუცქიროთ მოვლენების განვითარებას? ალბათ, არა. პირიქით, ამჟამად, როგორც არასოდეს, გვჭირდება ძალების მოკრება, გაერთიანება და აქტიური მუშაობის გამწვანება აფხაზეთის დასაბრუნებლად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. სწორედ ამან გვებიძვია, გამოვსულიყავით აფხაზეთიდან გამოდევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევის ინიციატივით, რომლის ამოცანად მიგვაჩნია რეალური კონსოლიდაციის მიღწევა. დღეს, როდესაც გადაიდგა ფრიალ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ახალი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე: მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, არჩეულ იქნა ქვეყნის პრეზიდენტი, ახალი პარლამენტი, დროა, ჩვენც ამოვიღოთ ხმა და ერთხელ კიდევ მივაპყროთ მთელი საქართველოს გულისყური უმთავრეს ეროვნულ სატკივარს – აფხაზეთს. დროა, დავდგეთ ვიწრო-პარტიულ თუ პირად ინტერესებზე მაღლა, შევიკრათ ერთ მუშტად და ვიქცეთ რეალურ ძალად, რომლის აქტიური მონაწილეობის გარეშე ვერ გადაწყდება აფხა-

ზეთთან დაკავშირებული ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. სწორედ ამისათვის შევიკრიბეთ დღეს აქ, ამ დარბაზში საერთო-სახალხო თავყრილობაზე. აქ უნდა შევხედოთ პირდაპირ თვალეში ერთმანეთს და მოურიდებლად ვუთხრათ სიძარტლე იმის შესახებ, თუ რამ მიგვიყვანა ამ უბედურებამდე. გარდა ამისა, აქვე უნდა დავგვემთ ის, რაც ხვალ უნდა გავაკეთოთ ჩვენი დიდი მიზნის მისაღწევად. ამისათვის კი აუცილებელია, ჩვენმა ყრილობამ შექმნას დევნილთა საერთო-სახალხო მოძრაობა, რომელიც იქნება თითოეული ჩვენთაგანის ინტერესების ჭეშმარიტად გამომხატველი და უშურველად იღვაწებს საერთო-ეროვნული კონსოლიდაციისათვის.

თანამემამულენო! საქართველო უდიდესი გამოცდის წინაშე დგას. მე-20 საუკუნის მიწურულს ჩვენ ბედმა გვარგუნა კიდევ ერთხელ გამოგვეცადა ქართული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა. ვინ მოსთვლის სამ ათასწლოვანი ცივილიზებული ისტორიის მანძილზე რამდენჯერ დამდგარა ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ ჩვენი წინაპრები გასაჭირს ყოველთვის შედგრად დახვედრიან და ფერფლად ქცეული, განადგურებული ქვეყანა არაერთხელ აღუდგენიათ და გაუძლიერებიათ. სწორედ ეს მისია დააკისრა ისტორიამ დღევანდელ ქართველობას. მაშ, ვიყოთ ამ ისტორიული მისიის ღირსნი! მაშ, შევიკრათ ერთად და თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ ერთიანი, ძლიერი საქართველოსათვის!

**ჩვენ გავიმარჯვებით!**



# დაფუძნდა აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი\*

7-8 აპრილს, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობამ დააფუძნა საზოგადოებრივი მოძრაობა: „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“. გთავაზობთ ინტერვიუს „კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილესთან, პროფესორ ზურაბ პაპასქირთან.

— რა მიზანს ისახავდა დევნილთა ყრილობა?

— ყრილობის უმთავრესი დანიშნულება, საინიციატივო ჯგუფის აზრით, იყო გაფანტული და დაქსაქსული დევნილი მოსახლეობის რეალური კონსოლიდაცია და მისი საერთო-ეროვნული იდეის ირგვლივ დარაზმვა. დღეს ვერავენ ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად აფხაზეთის ქართველობის თავს დამტყდარი დიდი უბედურებისა, ჩვენმა ხალხმა, სამწუხაროდ, ვერ შეძლო ერთ მუშტად შეკვრა და მთელი თავისი ძალისხმევის წარმართვა მთავარი მიზნის — აფხაზეთის დაბრუნების — მისაღწევად. პირიქით, აფხაზეთში განცდილი სამხედრო კატასტროფის შემდეგ ჩვენი მოსახლეობის დაქსაქსულობის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და ეს გამოიწვია იმან, რომ ამ ძნელბედობის ჟამს არ აღმოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც შესძლებდა აფხაზეთის ქართველობის, საერთოდ დევნილთა საზოგადოებრივ ძალად გადაქცევას. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ოფიციალურმა სტრუქტურებმა — უზენაესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ, რომელთაც, პირველ რიგში, ევალებოდათ ეს, სამწუხაროდ, ვერ გაართვეს თავი ამ უაღრესად პასუხსაგებ მისიას. უფრო მეტიც, და ეს ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე, ამ სტრუქტურების ხელმძღვანელებმა, თავ-თავიანთი პარტიების შექმნითა და მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე სრუ-

---

\* ინტერვიუ, გაზეთი „ქართული ფილმი“, 10 მაისი, 1996.  
აღნიშნული მასალა ოდნავ შეცვლილი სახით გამოაქვეყნა აგრეთვე გაზეთმა „7 დღე“. იხ.: „7 დღე“, 10-16 მაისი, 1996, №19, გვ. 6.

ლიად საპირისპირო შეხედულებების არაერთგზისი დეკლარაციებით, კიდევ უფრო დააბნიეს და გათიშეს ხალხი. დევნილი მოსახლეობის მაკონსოლიდირებელი ფუნქციის შესრულება ვერც ცალკეულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და გაერთიანებებმა მოახერხეს. ამასობაში დევნილები თანდათანობით იქცნენ არაორგანიზებულ, დაბეჩავებულ, ინერტულ მასად, რომელიც ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მიმდინარე პროცესებზე. მდგომარეობის ასე დატოვება კი არ შეიძლებოდა. სწორედ ამან გვიბიძგა, გამოვსულიყავით დევნილთა საერთო-სახალხო თავყრილობის მოწვევის ინიციატივით.

*— ყრილობის დასკვნითმა ნაწილმა რამდენადმე დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. რა იყო ამის მიზეზი და მოხერხდა თუ არა კონსენსუსის მიღწევა?*

— თქვენ სავსებით სწორი ბრძანდებით. ყრილობის დასკვნით ეტაპზე შეიქმნა მეტად კრიტიკული სიტუაცია, უფრო მეტიც, გაჩნდა ყრილობის ჩაშლის რეალური საშიშროება. კონფლიქტი გამოიწვია ყრილობის მიერ დაფუძნებული „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ წესდების იმ მუხლმა, რომელიც კრძალავდა „კავშირის“ ხელმძღვანელ ორგანოში — მთავარ საბჭოში — ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების არჩევას. ხაზს ვუსვამ, ლაპარაკია არა იმაზე, რომ ამ სტრუქტურების ხელმძღვანელებს არ ექნებოდათ უფლება, ყოფილიყვნენ „კავშირის“ რიგითი წევრები, როგორც ეს სურდათ გაეგოთ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეებს, რომლებმაც ამაში რატომღაც კონსტიტუციური უფლების შელახვა დაინახეს. ჩვენ (ე.ი. საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა წესდების პროექტი) მხოლოდ მათი ხელმძღვანელ ორგანოში არჩევის წინააღმდეგი ვიყავით. ამასთან, ეს არ ვრცელდებოდა საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატებზე. აქ არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას, რომელზედაც, სხვა შემთხვევაში, ალბათ ყურადღებას არ გავამახვილებდით. ესაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური სტრუქტურების ორჭოფული და ფრთხილი დამოკიდებულება ყრილობის მოწვევის იდეისადმი, რომელიც სხვადასხვანაირად მქლავნდებოდა ყრილობის მომზადების პროცესში. პირდაპირ ვიტყვი, რომ აღნიშნული სტრუქტურები იმთავითვე დააფიქრა „ქვემოდან“ დაწყებუ-



ლმა ამ მოძრაობამ, უფრო მეტიც, მათ სრულიად უსაფუძვლოდ „პარალელური სტრუქტურების“ შექმნის მცდელობაშიც კი დაგვადაწაშაულეს. ეს მაშინ, როდესაც, როგორც საინიციატივო ჯგუფის მიმართვაში, ისე სპეციალურ „საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოქვეყნებულ მასალებში ცალსახად იყო გამოკვეთილი ჩვენი ერთადერთი მიზანი – დევნილი მოსახლეობის კონსოლიდაცია და მათი საზოგადოებრივი ძალისხმევის გააქტიურება. სამწუხაროდ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელებმა, რომლებმაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ დააღწიეს თავი კომუნისტურ-ტოტალიტარული აზროვნების ტყვეობას და ვერ ელევან მონოპოლიას საზოგადოებრივ აზრზე, ჯერ იყო და „საკუთარ კედლებში“ – ვიწრო წრეში გაილაშქრეს ყრილობის იდეისა და მისი ინიციატორების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ, როდესაც მიხვდნენ, რომ ამ პროცესს ვერ შეაჩერებდნენ, მოძრაობის კონტროლს ქვეშ აყვანა განიზრახეს. სწორედ ამის მცდელობას წარმოადგენდა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს ხელისუფალთა და მათი ერთგული ხელქვეითების, რომლებიც, სხვათა შორის, ყრილობას არა დელეგატის, არამედ მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ, უხეში ჩარევა ყრილობის მუშაობაში და წესდებიდან ზემოთ აღნიშნული მუხლის ამოღების შესახებ საკითხის კატეგორიული, თითქმის ულტიმატუმის ფორმით დაყენება.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ერთი განმარტებაც. წესდების სადავო პუნქტი იშვა წინასაარჩევნო კრებებზე, სადაც დევნილთა დიდმა უმრავლესობამ არ ისურვა ისეთ მოძრაობაში ჩართვა, რომელშიც მადომინირებელ როლს ოფიციალური სტრუქტურები შეასრულებდნენ. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა წესდებაში ამგვარი „შემზღუდავი მექანიზმის“ ჩაწერა. საინტერესოა, რომ

**აღნიშნული მუხლის ჩაწერა მოხდა აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი სტრუქტურის ხელმძღვანელის, ჩვენი მოძრაობის აქტივისტის წინადადებით. და ეს სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. ჩვენ გვსურდა და გვსურს ყოველგვარი „ჩარჩოებისგან“ თავისუფალი ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობის, ერთგვარი „საზოგადოებრივი პარლამენტის“ შექმნა. ამდენად, აფხაზეთის ხელისუფლება თითქოს თვითონ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული იმით, რომ ორგანიზაციულად გამიჯვონოდა სახალხო-საზოგადოებრივ მოძრაობას და ერთგვარ ფარადაც კი გამოეყენებინა ის, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა „ლიდერებმა“ ვერ დაიოკეს ემოციები**



და სრულიად უსაფუძვლოდ შეიტანეს დისონანსი ჩვენს ქვეყანაში. საბედნიეროდ, ყველაფერი მაინც კარგად დასრულდა. დღევანდელ იქნა „კონსენსუსი“. ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცნა იქნენ მთავარ საბჭოში და მის პრეზიდენტში, ხოლო ბ-ნი თამაზ ნადარეიშვილი „კავშირის“ საპატიო თავმჯდომარედაც კი იქნა არჩეული. მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ყოველივე ეს დევნილებზე. გვჯერა, რომ დევნილთა დიდი უმრავლესობა უბრალოდ არ დაუშვებს იმას, რომ „კავშირი“ გადაიქცეს ოფიციალური სტრუქტურების ფარვატერში უსიტყვოდ ძავალ ორგანიზაციად, მის დანამატად, ხოლო მთავარი საბჭო და მისი პრეზიდენტი პატიოსნად იბრძოლებენ იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც ყრილობამ დასაზა.

ესაუბრა  
იური მერიტოვი

— ბატონო ზურაბ, არძინბას მოულოდნელი ჩამოსვლა თბილისში, როგორც იტყვიან, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას უდრიდა. ამდენად, სავსებით ბუნებრივია ის დიდი ვნებათაღელვა, რაც მას მოჰყვა. როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას?

— გეთანხმებით, რომ ნამდვილად მეხის გავარდნასავით იყო არძინბას ვიზიტი. საზოგადოების ერთმა ნაწილმა, განსაკუთრებით ოპოზიციურად განწყობილმა პარტიებმა, როგორც ცნობილია, მკვეთრად უარყოფითად შეაფასეს სეპარატისტთა ლიდერის ვიზიტი და განსაკუთრებით შეხვედრის შედეგად მიღებული ერთობლივი განცხადება. უაღრესად მტკივნეულად აღიქვა ვ. არძინბას ჩამოსვლა აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ, რომელსაც ცხელ გულზე ნამდვილად უჭირს შეურიგდეს გუდაუთის რეჟიმთან ლოიალური დამოკიდებულების ნებისმიერ გამოვლინებას. თუმცა, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად გარკვეული გაღიზიანებისა, დევნილებს რაიმე განსაკუთრებული პროტესტი მაინც არ გამოუხატავთ, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი ამ ვიზიტის პოზიტიური შედეგების იმედითაც არიან.

და მაინც, როგორ უნდა შეფასდეს ვ. არძინბას ჩამოსვლა თბილისში?

ვეთანხმები აზრს, რომ ეს ფაქტი, უდავოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც შეიძლება მართლაც იქცეს ერთგვარ მოსაბრუნად აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების რთულ გზაზე. ამასთან დაკავშირებით, ვერაფრით ვერ გავიზიარებ ზოგიერთი ანალიტიკოსის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ვ. არძინბას „უმაღლეს დონეზე“ მიღება, მით უფრო შეხვედრის შემდეგ ხელმოწერილი დოკუმენტი, საქართველოს ხელისუ-

\* ინტერვიუ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №226, 10 სექტემბერი, 1997.

ფლების კიდევ ერთი კაპიტულაცია იყოს და, ფაქტობრივად, ვ არძინბას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ლიდერის ნგში ცნობას ნიშნავდეს. ამგვარი შეფასება ან პოლიტიკური უვიცობის გამოვლინებაა, ან, რაც უფრო სავარაუდოა, კონკრეტული პოლიტიკური ძალების მორიგი მცდელობა, ყველაფერში ეძიონ ხელისუფლების უუნარობა და მარცხი. სინამდვილეში კი, სრულიად აშკარაა, რომ არც გარეგნულად და არც შინაარსობრივად ერთობლივი განცხადება არაფრით არ შეიძლება ჩაითვალოს ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებულ, საერთაშორისო-სამართლებრივი დატვირთვის მატარებელ დოკუმენტად. უფრო მეტიც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოცემულ განცხადებაში არ არის კონკრეტულად რაიმე საკითხზე პასუხი გაცემული და მხოლოდ ზოგადადაა დეკლარირებული მხარეთა სურვილი მშვიდობიანად, ძალის გამოუყენებლად გადაწყვიტონ ყველა სადავო პრობლემა, ის არც შეიძლება მივიჩნიოთ რაიმე სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტად, რომლის გამოც ღირდეს განგაშის ატეხვა.

კრწანისის შეხვედრა უნდა განვიხილოთ, როგორც კიდევ ერთი ცდა განდგომილი აფხაზობის შემორიგებისა და ამ გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენისა. სხვა საკითხია, რამდენად წარმატებული იქნება ეს ცდა. ერთი შეხედვით, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში შექმნილი ერთგვარი ეიფორიული განწყობილებებისა, დიდი ოპტიმიზმის საფუძველი მაინცდამაინც არ უნდა გვქონდეს. აფხაზური მხარე, როგორც ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა სეპარატისტთა ლიდერის ამასწინანდელმა გახმაურებულმა სატელევიზიო ინტერვიუმ, სულაც არ აპირებს პოზიციების დათმობას და ყოველნაირად ცდილობს მიღწეულის შენარჩუნებას. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, ვ. არძინბა თავისი ნებით წავიდეს ისეთ შეთანხმებაზე თბილისთან, რომელშიც რაიმე ფორმით დაფიქსირებული იქნება აფხაზეთის ყოფნა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში. ცხადია, ეს იქნება აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის სრული კრაზი, ვინაიდან მათი მთავარი ლოზუნგი ყოველთვის იყო „ქართული იმპერიიდან“ გამოსვლა და დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნა. მიუხედავად ამისა, დღეისათვის შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, იმის მთლიანად გამორიცხვა, რომ ვ. არძინბამ მაინც გადადგას ზოგიერთი შემხვედრი კომპრომი-



სული ნაბიჯი, არ შეიძლება. აი, რა მაქვს მხედველობაში: ამჟამად უკვე სრულიად აშკარა გახდა, რომ 1993 წლის 27 სექტემბრიდან დაწყებული დღემდე აფხაზთა „სამხედრო ტრიუმფიდან“, ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა. ის ილუზიები, რომლითაც ათეული წლების განმავლობაში აბრიყვებდნენ ხალხს სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები, მთლიანად დაიმსხვრა. აფხაზეთი უკანონო წარმონაქმნად რჩება, რომლის სახელმწიფოებრიობას არავინ არ ცნობს. იგი გარიყვლია. თვით რუსეთიც კი იძულებული გახდა, ოფიციალურად ბლოკდა გამოეცხადებინა სეპარატისტული რეჟიმისათვის. მთლიანად მოშლილია ეკონომიკა. შექმნილ სიტუაციაში მისი აღდგენის არავითარი პერსპექტივა არ არის. იქ დარჩენილი მოსახლეობა სოციალურად აბსოლუტურად დაუცველია. ხელფასი, როგორც ასეთი, არ არსებობს. მაქვს ინფორმაცია, რომ ჩემი კოლეგები აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პრაქტიკულად უხელფასოდ მუშაობენ და მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების იმედით არიან. ამას ემატება უკიდურესად გამწვავებული კრიმინოგენული ვითარება. ამ მხრივ აფხაზეთმა ერთბაშად შუა საუკუნეებში ამოჰყო თავი. საზღვარი არა აქვს შეიარაღებული ბანდების თარეშს, რომლებიც არ ინდობენ არც ქართველებს, არც სომხებს, არც რუსებს და არც თვით აფხაზებს. თუ ადრე აფხაზის მიერ აფხაზის მოკვლა იშვიათობა იყო, ამჟამად ისინი უმოწყალოდ ხოცავენ ერთმანეთს. აშკარად გამოიკვეთა კლანებს შორის შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც, მოსალოდნელია, სულ მალე ფართომასშტაბიან, მწვავე სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ამას კი, დღეს თუ ხვალ, აუცილებლად გადაჰყვება ვ. არძინბას რეჟიმი, რომელიც მთლიანად აგებს პასუხს აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე. არ შეიძლება, ყოველივე ეს გაცნობიერებული არ ჰქონდეთ სოხუმში.

ვფიქრობ, არძინბას გარემოცვისათვის დღეს უკვე აშკარა გახდა, რომ მიუხედავად მოპოვებული სამხედრო „გამარჯვებისა“, მოსწონთ მათ ეს თუ არა, ყველა გზა მაინც თბილისისკენ მიდის და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ბედ-იღბალი მთლიანად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომაცაა, რომ სეპარატისტთა ლიდერი ასე დაჟინებით ცდილობს თავს მოგვახვიოს ე.წ. „ფედერაციული (თუ კონფედერაციული) კავშირი“ საქართველოსა და აფხაზეთს შორის. სხვა გზა, როგორმე იურიდიულად გააფორმოს აფხაზეთის

მოჩვენებითი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ვ. არძინაძის  
არა აქვს.

— *ესე იგი, არძინბას ვიზიტმა თბილისში და აქ დაწყებული  
მაგრაძის დიალოგმა შეიძლება გარკვეული კონსტრუქციული  
განვითარება ჰპოვოს?*

— არ გამოვრიცხავ, რომ დაწყებულმა დიალოგმა შეიძლება კონსტრუქციული შედეგები მოგვცეს, თუმცა ამის დაბეჯითებით მტკიცება ძნელია. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, კონსულტაციები ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, მით უფრო დღეს, როდესაც საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნის პოზიცია სულ უფრო აქტიურ მხარდაჭერას პოულობს.

— *დევნილთა ყრილობაზე ითქვა, ჩვენ არ გვჭირდება სირბილი მოსკოვში, უენეცასა თუ ნიუ-იორკში, იქ მიღებული გადაწყვეტილებები საქართველოსთვის საზიანოა...*

— კატეგორიულად არ ვიზიარებ ამ აზრს. ბრმა უნდა იყო კაცი, ვერ შეამჩნიო ის დიდი და საყოველთაო შემობრუნება მსოფლიო თანამეგობრობისა აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში, რომელიც მოხდა ბოლო წლების განმავლობაში სწორედ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული თანამიმდევრული, ჩემი აზრით, თითქმის უშეცდომო პოლიტიკის შედეგად. დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ გაიგო, თუ ვინ და რა ჩაიდინა აფხაზეთში. ამით საქართველოსთვის სასიკეთო იდეოლოგიური ფონი შეიქმნა. რასაკვირველია, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ „გამარჯვებული“ აფხაზები წავიდოდნენ სერიოზულ დათმობებზე მხოლოდ იმის გამო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, თვით რუსეთიც კი, ერთსულოვნად აღიარებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. მაგრამ ყოველივე ის, რაც გაკეთდა ამ მიმართულებით, უდავოდ, მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კაპიტალია და ამის არშემჩნევა და არდაფასება, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლობა და უმადურობა იქნებოდა.

მაგრამ ყოველივე ეს, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მივიღოთ რეალური შედეგი. აფხაზეთი კვლავ რჩება საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, ხოლო 300 ათასზე მეტი დევნილი, აგერ უკვე 4 წელი სრულდება, ამაოდ ელოდება მშობლიურ კერაზე დაბრუნებას. სამწუხაროდ, პრობლემის გადაჭრის სხვა გზები არ არსებობს. ამ მხრივ,





ჩვენ ნამდვილად არა გვაქვს დიდი არჩევანი. უფრო მეტიც, ჩვენს ღრმა რწმენით, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ კურსს, პრაქტიკულად, ალტერნატივა არა აქვს. როგორც ცნობილია, საზოგადოებაში, პოლიტიკურ წრეებში, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის გზებისა და საშუალებების საკითხთან დაკავშირებით. ერთნი (ბატონი თამაზ ნადარეიშვილი და მისი თანამოაზრენი) ფიქრობენ, რომ აფხაზეთთან მოლაპარაკებას არავითარი აზრი არა აქვს და რომ ეს პრობლემა ძირითადად სამხედრო ძალის გამოყენებით შეიძლება გადაიჭრას. თანაც, ისინი მიიჩნევენ, რომ ამის გადაღება დამღუპველია, ვინაიდან 5-10 წლის შემდეგ აფხაზეთის დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებაო. ამგვარი თვალსაზრისის მოტივაცია და პათოსი სავსებით გასაგებია, მაგრამ საკითხავია, რამდენად რეალურია იგი. არა მგონია, რომ დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი (მიუხედავად ამ სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრებისა) პრობლემის სამხედრო გზით გადაჭრის მყარ გარანტიას იძლეოდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომი ჩვენთვის აფხაზებს არ მოუგიათ და რომ ის ძალები, რომლებმაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს ომის ბედი, ჯერ კიდევ მრავლად არიან. მართალია, ქართულმა დიპლომატიამ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, მოახერხა საერთაშორისო ფონის ჩვენს სასიკეთოდ შეცვლა და თვით ოფიციალური მოსკოვიც კი აიძულა, ფორმალურად მაინც დაპირისპირებოდა სეპარატისტულ რეჟიმს. ასევე სერიოზული პოზიტიური ცვლილებები მოხდა საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის, განსაკუთრებით – საქართველო-ჩეჩნეთის ურთიერთობებში, რისი ნათელი დემონსტრირებაც იყო ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის ვიზიტი საქართველოში. მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკულ მომენტში რუსული სამხედრო მანქანა და აფხაზთა ჩრდილო-კავკასიური „სამძო“ კვლავ არ გვიგანებენ და აქტიურად არ გამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ. ასე რომ, სანამ რადიკალურ გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, დიდი დაფიქრება გვმართებს. ჩვენ ახალი შეცდომის დაშვების უფლება ნამდვილად არა გვაქვს. ანგარიშგასაწევია კიდევ ერთი გარემოება. თანამედროვე მსოფლიო არ იწონებს კონფლიქტების სამხედრო ძალის გზით მოგვარებას. ამდენად, საეჭვოა, რომ თვით ჩვენი ქვეყნის მეგობრებმაც

კი მხარი დაუჭირონ აქტიურ სამხედრო მოქმედებებს თბილისში მხრიდან.

არის სხვა მოსაზრებაც: საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელოს მკაცრი დიპლომატიური ზეწოლა გულაუთის სეპარატისტულ რეჟიმზე, არ წავიდეს მოწინააღმდეგე მხარესთან რაიმე გაუმართლებელ კომპრომისზე და მაქსიმალურად გამოიყენოს დრო ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის გასაძლიერებლად. ამ თვალსაზრისის ავტორები (პირველ რიგში, ქალბატონი ირინა სარიშვილი) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ნავთობსადენის ამოქმედებასა და სხვა მასშტაბური ეკონომიკური პროგრამების განხორციელებას, რომელსაც, ალბათ, სულ ცოტა 3-5 წელიწადი მაინც დასჭირდება. ამ შეხედულებას, უდავოდ, აქვს თავისი ლოგიკური დასაბუთება, მაგრამ ის არ ითვალისწინებს ერთ არსებით გარემოებას. კიდევ 3-5 წელიწადი ლოდინი ძალიან მძიმე გადასატანია 300 ათასი დევნილისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დევნილთა საკმაოდ დიდ ნაწილს აღიზიანებს ამგვარი პერსპექტივა.

ერთი სიტყვით, თუ სინამდვილეს თვალს გავუსწორებთ, არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ იმაში, რომ პრობლემის გადაჭრის რეალურ შანსს იძლევა ისევე და ისევე თანამიმდევრული აქტიური პოლიტიკურ-დიპლომატიური საქმიანობა ყველა საჭირო მიმართულებით და, პირველ რიგში, რასაკვირველია, უშუალოდ ქართულ-აფხაზური დიალოგის გააქტიურება. **დიდ შერიგებას აფხაზებთან ალტერნატივა არა აქვს.** მაგრამ შერიგებაც არის და შერიგებაც. არ უნდა ავჩქარდეთ. კარგად უნდა გვექონდეს გაცნობიერებული უმთავრესი სტრატეგიული ორიენტირი — აფხაზეთის დაბრუნება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში და მხოლოდ შემდეგ — დანარჩენი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა, რომელთა შორის უპირველესი, რა თქმა უნდა, დევნილთა მასობრივი დაბრუნება იქნება. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ამ ბოლო დროს, ვ. არძინბას თბილისში ვიზიტისა და, განსაკუთრებით, საქართველოს სამთავრობო დელეგაციის სოხუმში ყოფნის შემდეგ, სახელისუფლო წრეებში სულ უფრო მუსირებს, ჩემი აზრით, აბსოლუტურად მცდარი შეხედულება, რომ ჩვენ არ უნდა დაველოდოთ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრას და დღესვე ფართოდ გავუხსნათ გზა ეკონომიკურ



თანამშრომლობას, ეკონომიკური დაახლოების გზით მივიღეთ. ლიტიკურ ინტერესთა თანხვედრამდე. ეს ყოველად დაუშვებლად მიმაჩნია. ქართულ-აფხაზური დიალოგის მთავარი თემა, პირველ რიგში, უნდა იყოს მხოლოდ აფხაზეთის სტატუსის საკითხი. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ცალკეულ კომპრომისებზეც კი, ოღონდ, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეთ ისეთ დათმობაზე, რომელიც სათუოს გახდის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ერთიანობას.

მხოლოდ ამ უმთავრეს საკითხზე შეთანხმების მიღწევისა და დევნილთა მასობრივი დაბრუნების შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ აფხაზეთის ეკონომიკურ აღორძინებაზე.

ერთი სიტყვით, მე იმ აზრზე ვარ, რომ სანამ აფხაზეთზე რაღაც ფორმით მაინც რეალურად არ გავრცელდება საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია, ჩვენ არათუ არ უნდა მივცეთ სეპარატისტულ რეჟიმს ეკონომიკური მომაგრების საშუალება, არამედ პრინციპულად მოვითხოვთ ყველა მეზობელი სახელმწიფოსაგან სოხუმის ხელისუფლებისათვის დსთ-ს ლიდერთა 1996 წლის 19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილებით გამოცხადებული ეკონომიკური ბლოკადის მკაცრად დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ წყალში ჩავეყრით ყველა იმ მონაპოვარს გუდაუთის სეპარატისტული რეჟიმის იზოლაციის გზაზე, რომელსაც ასე დიდი წვალეებით მივალწიეთ. რასაკვირველია, კარგად მესმის, რომ ეს არაა მთლად ჰუმანური გზა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს.

ესაუბრა  
**მზია გელენავა**

## Фальсификация истории - в ранге государственной политики\*

*Корр.: Какого ваше видение причин грузино-абхазского конфликта?*

З.П.: Трудно дать однозначный ответ на этот вопрос. Причин много, и пока рано давать их всесторонний квалифицированный анализ. На сегодняшний день смело можно сказать лишь одно: настоящая братоубийственная война в Абхазии идеологически исподволь готовилась на протяжении не одного десятилетия. Так называемые “духовные отцы” абхазского народа - представители научной и творческой интеллигенции, историки, археологи, писатели и т.д. своими небылицами и утопическими измышлениями постоянно “держали” своих соотечественников под “нужным напряжением” и сеяли семена вражды между двумя народами. Я как историк могу особо выделить “заслуги” в этих баталиях наших абхазских коллег - историков, которые всемерно старались, найти историческое обоснование стремлению абхазских сепаратистов оторваться от “ненавистных” грузин, которые, якобы, всегда приносили зло и горе абхазам, и навеки впасть в “объятия братской России” - “спасительницы” всех угнетенных народов.

С этой целью наши “друзья-коллеги” из научно-исследовательского “корпуса” сепаратистов самым гнусным образом искажали историческую правду о прошлом грузинского и аб-

---

\* Интервью, газета “Свободная Грузия”, № 85, 12 мая, 1993.

хазского народов. Везде и всюду выйскивали факты "давние" грузин на абхазов. Абхазию совершенно бесцеремонно объявляли первоначальной родиной лишь апсуа-абхазов, которые дескать, будучи единственными и полноправными хозяевами этой земли, должны были заботиться о ее будущем.

Искажение исторической правды занимало важнейшее место в политико-идеологическом арсенале национал-сепаратистов. Фальсификация истории стала не только нормой жизни, но даже была возведена в ранг государственной политики. Чего только стоят неоднократные заявления тогдашнего председателя ВС Абхазии В. Ардзинба о чуть ли не 12-вековой истории абхазской национальной государственности. Вместе с тем грузины рассматривались как пришлое, некоренное население Абхазии, а любая попытка считать их (грузин) такими же аборигенами, как и абхазы, объявлялась антинаучной и вредной. Заболевшие антигрузинским психозом горе-историки и политики доходили до такого кощунства, что готовы были даже геноцид абхазского народа, имевший место в XIX веке со стороны российского самодержавия, поставить в вину грузинскому народу.

В своем стремлении любой ценой вырвать абхазов из общегрузинского историко-культурного организма они порой доходили до абсурда. Вроде того, каким, к примеру, является утверждение известного идеолога абхазских сепаратистов Ю. Воронова о том, что абхазы являются кровными родственниками почти всех народов мира, начиная с африканских негров и кончая монголоидами Центральной Азии, но только не грузин - картвелов и т.д.

Результатом всей этой разнузданной кампании явилось то, что нынешние сепаратисты и одурманенные их шовинистической пропагандой простые абхазы возомнили, что они могут все: могут навязать христианскому населению, составляюще-

му, как минимум, 90 процентов всех жителей (в том числе и собственно абхазов) автономной республики ярко выраженную мусульманскую символику, могут объявить “суверенную советскую социалистическую республику” и тем самым за один миг большую часть населения сделать гражданами другого государства.

*Корр.: Как вы выразились, абхазы стремятся “впасть в объятия братской России”, и, действительно, это так. Как известно, один из идеологов абхазского национал-сепаратистского движения Зураб Ачба на весь мир заявил, что “Абхазия - это Россия”. Откуда берет начало это стремление современных абхазов? Ведь не секрет, что еще совсем недавно - в XIX веке предки этих же самых абхазов вместе со своими северокавказскими мусульманскими братьями вели настоящую “священную войну” (“газават”) против православной России.*

З.П.: Вы совершенно правы. Абхазы (во всяком случае, их значительная часть) с самого начала вступили в активное противостояние с христианской Россией. Протурецкие силы, используя недалековидные и крайне резкие действия царской администрации, систематически организовывали антирусские бунты в Абхазии. Несмотря на то, что выступления абхазского населения против царского самодержавия частично носили национально-освободительный характер и, бесспорно, были направлены против колониального гнета со стороны Российской империи, все же следует отметить и то, что эти восстания (в отличие от антиимперских выступлений, имевших место в других регионах Грузии) действительно были составной частью той большой и длительной “священной войны”, которую вели мусульмане-фундаменталисты Северного Кавказа и которую мастерски раздувала “Блистательная Порта” из Константинополя. Эта война, как известно, принесла много

горя абхазам. Почти половина абхазского населения, не смирившись с установлением непосредственного российского правления в Абхазии, навсегда покинула родину и переселилась в Турцию. Российское правительство не только не помешало мохаджирству абхазов, но и создало все условия для их выселения отсюда. Это была величайшая трагедия в истории абхазского народа, за которую, наряду с правительственными кругами России и Турции, конечно, несут ответственность и лидеры тогдашнего "абхазского сопротивления".

После окончательного подавления абхазов (в конце 70-х годов XIX в.), российские власти энергично приступили к колонизации края. Прикрываясь заявлениями о "заботе" над "малыми" народами, русские чиновники не жалели сил, чтобы разорвать многовековое грузино-абхазское единство и поставить доселе "виновное" абхазское население на службу российской имперской политике. Эту цель преследовало, в частности, создание абхазской письменности на основе славяно-русской графики, которая, по словам одного из видных деятелей царской администрации на Кавказе Е. Вейденбаума, должна была всего лишь стать "средством к ослаблению... потребности в грузинском языке".

Вырвать Абхазию из общегрузинского культурно-исторического организма ставила целью и церковная политика имперских властей. В советское время, при попустительстве коммунистического руководства Грузии, российские большевики успешно продолжили политику своих предшественников и сумели еще больше углубить раскол между двумя народами. В результате мы сегодня уже оказались перед страшной трагедией. Вот уже девятый месяц, как льется кровь двух близких, бесспорно, связанных между собой самыми тесными родственными узами и историческим прошлым народов. Идеологам абхазского национал-сепаратизма, к сожалению

нию, удалось вбить клин (не дай Бог, окончательно) между грузинами и абхазами и достичь той степени отчужденности, за которой теряется всякий здравый смысл и становится возможным поднять оружие на вчерашнего соседа, родственника, друга.

*Корр.: И все же, есть ли выход из положения и как вам видится будущее Абхазии?*

З.П.: Сказать, что мы имеем несколько альтернативных вариантов выхода из нынешней ситуации, вряд ли возможно. К сожалению, с каждым днем тает всякая надежда на мирное урегулирование грузино-абхазского конфликта. И ответственность за это наряду с новоявленными вождями абхазского "сопротивления", в первую очередь, безусловно, несут реакционные круги России. Сейчас уже всему миру ясно, с кем - кучкой жалких сепаратистов из Гудауты или с могущественной державой - воюет молодое Грузинское государство. Да, сегодня уже ни у кого не вызывает сомнения, что мы ведем необъявленную войну именно с Россией, с той Россией, которая, несмотря на определенные сдвиги в сторону демократии и прогресса, все же никак не может освободиться от имперской психологии и всеми способами старается сохранить за собой 1/6 часть земного шара. Россия диктует условия войны. Именно она (а не нынешнее руководство Грузии, как это кажется некоторым) вынуждает нас вести изнурительную позиционную войну и мешает нам форсированно завершить ее. Конечно, было бы наивно полагать, что Россия так легко отпустит Грузию "на волю" - наша страна слишком уж важное звено в геостратегических интересах Москвы, но вряд ли кто-либо мог представить масштабы той оголтелой антигрузинской вакханалии российских "ястребов", которая разыгрывается ныне в Абхазии. В этих условиях возможности Грузии слишком ограничены, но выход все же есть. Нам нужно, во что бы то





ни стало, нейтрализовать агрессивный пыл нашего “великого” соседа. Военным путем достичь этого мы, конечно, не можем. Остается одно: максимально “взвинтить” дипломатическую активность на международной арене и заручиться реальной, подчеркиваю, **реальной**, поддержкой мирового сообщества. Через Совет Безопасности ООН, СБСЕ и другие международные военно-политические организации мы должны заставить Россию уйти из Абхазии. Вместе с тем для нас губительно идти на разрыв с Москвой, как это предлагают некоторые “горячие головы” в парламенте и вне его. Нам нужно все настойчивее искать пути соприкосновения и сближения с кремлевским руководством, с президентом Б. Н. Ельциным.

Что же касается будущего Абхазии, наших отношений с абхазами, то, я уверен, закончится эта война, и закончится она до того, как гудаутские фанатики успеют полностью истребить свой народ. Определенная часть абхазов, конечно, никогда не согласится жить в Грузинском государстве, они никогда не станут гражданами Грузии и может быть также покинут родные места, как это сделали их предки во время мохаджирства в XIX в. Но другая часть, та, которой еще дороги узы кровного родства, наше славное прошлое, станет рядом с нами. И мы, Грузинское государство, должны сделать все от нас зависящее для того, чтобы создать им все условия для нормального, цивилизованного, культурно-экономического и политического развития.

Беседу вел  
Бесо Цхорагуэли  
Сухуми.  
2.05.93.

## **Военный конфликт 1992-1993гг. - общая боль, общая трагедия грузинского и абхазского народов\***

Прежде всего, разрешите приветствовать участников сегодняшней встречи, а также сказать слова благодарности в адрес организаторов этой встречи. Леитмотивом нашей встречи, по моему, должно стать не столько напоминание того, что произошло в Абхазии, теперь это уже достаточно хорошо известно, а стремление найти выход из тупика.

Сегодня уже совершенно очевидно, что т.п. “Миротворческая” миссия России позорно провалилась. Я не буду говорить о том, по какой причине это произошло, замечу только, что Россия конца XX столетия явно становится дряхлым государством, где полностью отсутствует государственный разум. События последних лет однозначно свидетельствуют о том, что нынешнее кремлевское руководство не в состоянии решить проблему этноконфликтов не только в постсоветском пространстве в целом, но даже внутри Российской Федерации. Исходя из этого, считаю, что давно настало время вытеснить Россию из миротворческого процесса и всю инициативу взять в свои руки нам самим. Настало время именно нам, грузинам и абхазам, разговаривать между собой, как говорится, без свидетелей. Вместе с тем, хочу особо подчер-

---

\* Текст выступления на встрече: “Грузино-абхазские отношения: взгляд из Тбилиси”, организованной Кавказским бюро ВЕРТИК-а. Тбилиси, 6 июня 1997 г.

кнуть, что разговор должны вести не тбилисцы, с одной стороны, и абхазы, с другой, а представители грузинских и абхазских общин Абхазии. Здесь хорошо было сказано, что не тбилисцам жить в Абхазии, а нам, которые изгнаны отсюда (В этой связи, я должен обратить ваше внимание на то, что в последнее время участились встречи, организованные различными международными неправительственными организациями, в которых фактически отказано участвовать изгнанникам из Абхазии. В них, как правило, участвуют представители тбилисской интеллигенции). Мы, конечно, понимаем, что это не так просто. Психологически грузинской стороне очень трудно беседовать с режимом Ардзинба. Со своей стороны, в Сухуми категорически отвергают идею любого диалога с правительством Абхазии в изгнании. Мы четко осознаем, кто прав и кто виноват в разыгравшейся в Абхазии трагедии, однако, я считаю, и в свое время говорил об этом абхазам, что ради будущего наших народов, ради их спасенья и восстановления былого многовекового единства, нам следует не обвинять друг друга, а сесть за стол переговоров и искать пути компромисса. Для этого, прежде всего, следует признать военный конфликт 1992-1993гг. общей болью, общей трагедией и, как совершенно правильно отметил господин Лорик Маршания, братоубийственной войной. В этом плане, может быть следует обговорить возможность подготовки и опубликования совместной грузино-абхазской декларации - обращения к грузинскому и абхазскому народам. В этом документе должно быть декларировано, прежде всего, желание обеих сторон не искать врага друг в друге, а сделать встречный шаг и громогласно, во всеуслышание сказать **НЕТ** вражде и ненависти. Я чувствую, что на первом этапе трудно будет организовать встречу на правительственном уровне. Я имею в виду теперешнее правительство в Сухуми и правите-



льство Абхазии в изгнании. Поэтому, может быть, на первых порах, следует подумать о встрече общественных деятелей, представителей интеллигенции, людей, имеющих авторитет как среди грузинского, так и абхазского населения Абхазии. Считаю, что ваша организация вполне может взять на себя миссию организатора подобной встречи.

## აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი

მასალები და დოკუმენტები.\*

დროა შვიპირათ ერთ მუშტად და ვიძვით  
რეალურ კალად.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა  
ყრილობის საინიციატივო ჯგუფის  
მიმართვა  
აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისადმი

### თანამემამულენო!

განვლო კიდევ ერთმა უმძიმესმა წელიწადმა, რომელმაც აფხაზეთიდან გამოდევნილ მოსახლეობას ბევრი ვერაფერი შეება მოგვიტანა. მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, რომელიც უდავოდ შეიმჩნევა სეპარატისტული იდეოლოგიის მხილებისა და საერთაშორისო არენაზე საქართველოსათვის სასიკეთო აზრის ფორმირებაში, რაც ერთხელ კიდევ ნათლად გამოიკვეთა დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა ბოლო შეხვედრაზე, აფხაზეთის კონფლიქტის რეალური დაძლევის პერსპექტივები ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანია. ამასობაში დევნილთა მდგომარეობა ფაქტობრივად კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. აფხაზეთის მკვიდრთა დიდი ნაწილი ცხოვრების სიდუხჭირემ აიძულა სამშობლოდან გადახვეწილიყო. ბევრმა ვერ გაუძლო მწარე ხვედრს და უდროოდ წავიდა წუთისოფლიდან.

\* დოკუმენტები, რომლებსაც აქ ვაქვეყნებთ, მომზადებულია საზოგადოებრივი მოძრაობა: „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ საინფორმაციო-ანალიტიკური კომისიის (ხელმძღვანელი ზურაბ პაპასჭირი) მიერ. დოკუმენტების შექმნასა და რედაქტირებაში მონაწილეობას იღებდნენ „დევნილთა კავშირის“ თავმჯდომარე მურმან ბერია, თავმჯდომარის მოადგილე იური ქვაჩაზია; მთავარი საბჭოს წევრები: ავთანდილ კილასონია, ჯამბულ ანჩაბაძე, თეიმურაზ მიბჩუანი, დავით ჩიტაია, ბესარიონ ოდიშარია, ჯანი ეზუგბაია; აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი თემურ ლორთქიფანიძე და სხვ.

ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ჩვენი მოსახლეობის დაქსაკსულობის აღმოფხვრა. პირიქით, მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. ამ ძნელდობის ფაქტს არ აღმოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა აფხაზეთის ქართველობის, საერთოდ დევნილთა, კონსოლიდაციას და მათი ერთი მიზნისაკენ წარმართვას. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ოფიციალურმა სტრუქტურებმა სამწუხაროდ ვერ გაართვეს თავი ამ უაღრესად პასუხსაგებ მისიას. ვერც საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და გაერთიანებებმა მოახერხეს დევნილი მოსახლეობის მაკონსოლიდირებელი ფუნქციის შესრულება და მათი საერთო-ეროვნული იდეის ირგვლივ დარაზმვა. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ დევნილები თანდათანობით იქცნენ არაორგანიზებულ, დაბეჩავებულ, ინერტულ მასად, რომელიც აბსოლუტურად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მიმდინარე მოვლენებზე. ეს ნათლად ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება სრულებითაც არ თვლის აუცილებლად დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა აქტიურ ჩართვას აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძიძულებს, გამოვიდეთ აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევის ინიციატივით, რომლის უმთავრეს ამოცანად მიგვაჩნია რეალური კონსოლიდაციის მიღწევა. დღეს, როდესაც გადაიღვა ფრიალ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ახალი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე: მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, არჩეულ იქნა ქვეყნის პრეზიდენტი, ახალი პარლამენტი, — დროა, ჩვენც ვთქვათ ჩვენი სიტყვა და ერთხელ კიდევ მივაპყროთ მთელი საქართველოს ყურადღება უმთავრეს სატკივარს — აფხაზეთს. დროა, შევიკრათ ერთ მუშტად და ვიქცეთ რეალურ ძალად, რომლის აქტიური მონაწილეობის გარეშე ვერ გადაწყდება აფხაზეთთან დაკავშირებული ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ამის მიღწევა კი შეუძლებელია საერთო სახალხო ყრილობის მოწვევის გარეშე, რომელიც უფლებამოსილი იქნება ილაპარაკოს მთელი დევნილი მოსახლეობის სახელით. ამ თავყრილობაზე უნდა გაკეთდეს აფხაზეთის ტრაგედიის ღრმა, ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელშიც ყველას და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, დასახულ იქნას სამომავლო მოქმედების სტრატეგიული გეგმა. ამასთან, ყრილობამ უნდა შექმნას საგანგებო მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც იქნება დევნილთა ინტერესების ჭეშმარიტად გამომხატველი და უშუაველად იღვაწებს საერთო ეროვნული კონსოლიდაციის მისაღწევად.

იმედი გვაქვს, ყველა პოლიტიკური პარტია და გაერთიანება, მთელი დევნილი მოსახლეობა, ჩვენს ამ ინიციატივას პასუხისმგებლობით მო-

ეკიდება, მხარს დაუჭერს მას და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ყველაფერში, რაც მოხდება მისი მომხადებისა და ჩატარებაში.



საინიციატივო ჯგუფი  
26.01.1996 წ.

### მიმართვა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყრილობას

„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ (მათე 5, 10).

კაცთმოყვარე და მრავალმოწყალე უფალი არის უძღურთა მკურნალი, ნაკლულევანთა აღმავსებელი და მწუხარეთა ნუგეშისმცემელი. მას შეუძლია ჭირი სიხარულით შეგვიცვალოს. მას შეუძლია დევნილობაში მყოფთ ნეტარება განგვაცდევინოს. მას ყოველივე ძალუძს, რამეთუ იგი ყოვლისშემძლეა. მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენ მივიღოთ ღვთის მადლი და შევიძნებოთ ჩვენი უმძიმესი მდგომარეობა, საჭიროა ვიყოთ მართალნი წინაშე უფლისა. ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე 6, 33), – ბრძანებს უფალი. ჩვენ მართალნი ვიქნებით უფლის წინაშე, როდესაც ერთმანეთს შევიყვარებთ, დავძლევთ გათიშულობას და გავერთიანდებით. სანამ აფხაზეთის მთელი მოსახლეობა არ გავერთიანდება დაბრუნებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით, ძნელი იქნება ჩვენს წინაშე არსებული წინააღმდეგობების დაძლევა.

ეკლესია მოხარულია იმის გამო, რომ ამ ყრილობის უმთავრესი პათოსი სწორედ ერთობაა. ყრილობამ უნდა შეახსენოს აფხაზეთის მოსახლეობას, რომ ვერც ხელისუფლება, ვერც საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებები და ვერც ეკლესია ვერ შესძლებს ხალხის კრიზისიდან გამოყვანას, თუ მათ არ ექნებათ ერის ერთსულოვანი თანადგომა, თუ ყოველი დევნილი არ გააკეთებს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს.

ყრილობის უდიდესი ღირსება იქნება, თუ იგი დააფასებს ამ მიმართულებით დღემდე გაწეულ ღვაწლს და შეეცდება მოსახლეობის მობილიზებით კიდევ უფრო გააძლიეროს ეს პროცესი. ყრილობა უნდა შეეცადოს, რომ დაბრუნებისათვის ბრძოლაში ჩააბას ახალი ძალები. ყრილობამ უნდა გამოიჩინოს დიდი სიფრთხილე, რათა ძალების კონსოლიდაციის ნაცვლად არ მოხდეს ახალ დაპირისპირებათა შექმნა.

ღმერთმა დალოცოს აფხაზეთის მიწა-წყლის შვილთა ერთობა.

დემერტმა დალოცოს აფხაზეთის მიწა-წყალზე ჩვენი უმოკლეს დროში დაბრუნება.



## სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი

**მეუფე დანიელი**

*აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის საინფორმაციო ბიულეტენი №1, 1996.*

**აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევის შესახებ აზრს გამოთქვამენ:**

**პროფესორი ზურაბ პაპასქირი** – ყრილობის სამუშაო დოკუმენტების მოსამზადებელი სპეციალური სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელი

**როგორია აფხაზეთიდან დევნილთა ფორუმის სამუშაო პროგრამა და რა დოკუმენტებით წარსდგება საინიციატივო ჯგუფი ყრილობის წინაშე?**

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა, ბუნებრივია, გარკვეული დღის წესრიგით იმუშავებს, რომლის ზოგადი მონახაზი საინიციატივო ჯგუფს უკვე აქვს შემუშავებული. შექმნილია სპეციალური სარედაქციო კომისია, რომელიც უკვე შეუდგა ყრილობის ოფიციალური დოკუმენტების მომზადებას. საინიციატივო ჯგუფი ყრილობის წინაშე წარსდგება ვრცელი მოხსენებით, რომელშიც გაანალიზებული იქნება ჩვენი ეროვნული უბედურების მიზეზები და, რაც მთავარია, შემოთავაზებული იქნება მოსაზრებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების გზებისა და საშუალებების შესახებ. ზოგიერთი რატომღაც დააფრთხო საინიციატივო ჯგუფის მიმართვაში გაკეთებულმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ ყრილობაზე ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. დიახ, მოხსენებაში მართლაც იქნება მოცემული მოვლენების, ხაზს ვუსვამ, **მოვლენების** (და არა ცალკეულ პირთა კონკრეტული ქმედებების) პირუთვნელი, მკაცრი შეფასებები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვაპირებთ ვინმეს გასამართლებას. პირიქით, ჩვენი მიზანია, ყრილობა ვაქციოთ, პირველ რიგში, საკუთარი შეცდომების, საკუთარი ცოდვების აღიარებისა და ერთგვარი თვითგანწმენდის პროცესის დასაწყისად. დროა, ბოლოსდაბოლოს, ვადიაროთ, რომ აფხაზეთის ქართველობის თავზე დატრიალებული ტრაგედია, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ჩვენმა





— იქაური ქართველობის — ბედოვლათობამ და უნიათობამ უფრო მეტიც, ურთიერთდაპირისპირებამ და გაუტანლობამ განაპირობა. თუ ამაზე არ გაკეთდა აქცენტი, როგორც მოხსენებაში, ისე ყრილობის რეზოლუციაში და ამ მიმართულებით არ ვიმუშავებთ ძირითადად, ჩვენ ვერც მომავალში ავიცილებთ თავიდან იგივე შეცდომებს, რომლებმაც დღევანდელ ტრავმდამდე მიგვიყვანა და ვერც საერთო-ეროვნულ კონსოლიდაციას მივალწევთ.

გარდა მოხსენებისა, სარედაქციო ჯგუფი ამზადებს მიმართვების პროექტებს. მიგვაჩნია, რომ ყრილობამ უნდა მიმართოს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტს და კიდევ ერთხელ მიაპყროს მათი ყურადღება საქართველოს უმთავრეს სატკივარს — აფხაზეთს. გაკეთდება საპროტესტო მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფედერალური კრებისა და მთავრობისადმი. ასევე განზრახული გვაქვს მივმართოთ დსთ-ს ქვეყნების ლიდერებს, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს და მოუთხოვოთ მათ ქმედითი ღონისძიებების გატარება გუდაუთის სეპარატისტული რეჟიმის რეალური იზოლაციისათვის. საგანგებო მიმართვას ვამზადებთ ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხებისადმი და, რაც მთავარია, გავაკეთებთ მიმართვას აფხაზი ხალხისადმი, რომელშიც ერთხელ კიდევ მოუწოდებთ ყველას, ვინც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გადაგვარებულა, არ დაივიწყნია ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული თანაცხოვრების ნათელი ფურცლები, აღიმალლოს ხმა ავანტიურისტი ბელადების წინააღმდეგ, გამოუცხადოს ომი სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს. გვინდა ვიწამოთ, რომ აფხაზ ხალხს ეყოფა სიბრძნე და გონიერება და შესძლებს თავი დააღწიოს კაცთმოძულეობის კოშმარს. გვინდა გვჯეროდეს, რომ აფხაზებში ჯერ კიდევ მრავლად არიან ისინიც, რომლებსაც ჭეშმარიტად სურთ ქართველებთან ერთად ერთ მიწა-წყალზე ცხოვრება, ახალი აფხაზეთის, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს შენება.

ესაუბრა  
მზია კორსანტია

*აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელი, ყრილობის საინიციატივო ჯგუფის საინფორმაციო ბიულეტენი (№1).*

**აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის რეზოლუცია**

1996 წლის 7-8 აპრილს ქ. თბილისში ჩატარდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელშიც მონაწილეობა



მიიღო 800-მდე დელეგატმა. ყრილობაზე გაიმართა ვრცელი და ამომწურავი მსჯელობა აფხაზეთის ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე, დასაბუთებული კონფლიქტის მოწესრიგების კონკრეტული სამოქმედო პროგრამა.

ყრილობაზე ცალსახად აღინიშნა, რომ აფხაზეთის ტრაგედია მზადდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ის მთლიანად რუსეთის იმპერიულ-შოვინისტური ძალებისა და მათი დაქირავებული აგენტების – აფხაზური სეპარატიზმის ლიდერების მიერ იყო ინსპირირებული. ამასთან, ყრილობამ ყურადღება გაამახვილა საბჭოთა პერიოდში საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი აფხაზეთში სეპარატისტული იდეოლოგიის ფართოდ გაშლასა და სეპარატისტული მოძრაობის ორგანიზაციულ გაფორმებას.

ყრილობაზე დაუფარავად ითქვა, რომ საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ ვერ გამოიჩინა სათანადო სახელმწიფოებრივი მიდგომა და თავის დროზე არ გამოუცხადა პრინციპული და შეურიგებელი ბრძოლა აფხაზთა სეპარატისტულ ქმედებებს. უფრო მეტიც, ყრილობა თვლიდა, რომ სწორედ ჩვენი ქვეყნის კომუნისტი ლიდერების მიერ სეპარატისტების მიმართ გამოჩენილმა ყოვლად გაუმართლებელმა შემწყნარებლობამ და დათმობებმა (განსაკუთრებით უკანასკნელი 4 ათეული წლის განმავლობაში), არასწორმა საკადრო პოლიტიკამ, პირველ რიგში, აფხაზური ნომენკლატურისათვის მმართველობის სადავეების მთლიანად გადაცემა, არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, აფხაზებისათვის ცხოვრებისა და საქმიანობის განსაკუთრებული პირობების შექმნამ, ხოლო ქართული მოსახლეობის ბედის ანაბარად მიტოვებამ და მათ მიმართ ერთგვარი უნდობლობის გამოცხადებამ, რამაც მნიშვნელოვნად დააქვეითა ჩვენი ხალხის პოლიტიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, მისი ეროვნული თვითშეგნება, ფაქტობრივად მწვანე შუქი მისცა აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ჩამოყალიბებას სახელმწიფო დონეზე.

ყრილობაზე ასევე საგანგებოდ გაკეთდა აქცენტი აფხაზეთის ქართველობის კონფორმიზმზე, მის ყოვლად გაუმართლებელ პასიურობასა და უმოქმედობაზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სწორედ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დუმილმა და ყველაფრისადმი შემეგუებლობამ მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი აფხაზობის მმართველ ერად ჩამოყალიბებას, აფხაზური ეთნოკრატიისა და ეთნოდიქტატურის დამყარებას ავტონომიურ პესპუბლიკაში.

ყრილობა თვლისა, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა არათუ ვერ შეძლეს აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირება, არამედ თავიანთი ნაჩქარევი და საბედისწერო გადაწყვეტილებებით ახალი



იმპულსები შემატეს სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს. ამ თვალსაზრისით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ყველაზე დიდ შეცდომად ყრილობას ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სათავეში ვ. არძინბას მოყვანა მიაჩნია.

ყრილობამ აპარტიდული საარჩევნო კანონის მიღება და მის საფუძველზე აფხაზეთში არჩევნების ჩატარება შეაფასა, როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სრული კაპიტულაცია სეპარატიზტული ძალების მიმართ, რომლებმაც ამით ფაქტობრივად მიაღწიეს აფხაზობის, როგორც აფხაზეთის ერთადერთი მკვიდრი მოსახლეობის, ეთნიკური პრიორიტეტის ოფიციალურ აღიარებას თბილისის მხრიდან, ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთი ხალხის – აფხაზთა ეთნოკრატიისა და ეთნოდიქტატურის იურიდიულ გაფორმებას.

ყრილობის დელეგატების ერთსულოვანი აზრით, აფხაზეთის კრიზისის შემდგომ ესკალაციაში საბედისწერო როლი ითამაშა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ. კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამსობამ და ამის შედეგად ქვეყანაში შექმნილმა უკიდურესად მწვავე პოლიტიკურმა და კრიმინოგენულმა სიტუაციამ ხელ-ფეხი გაუხსნა ვ. არძინბას რეჟიმს და მისცა მას შორსმიმავალი გეგმების ფორსირებული რეალიზაციის საშუალება.

ყრილობა თვლის, რომ კრიტიკულ სიტუაციაში საქართველოს მამინდელმა ხელისუფლებამ ვერ გაართვა თავი მის წინაშე წამოჭრილ სიმნელეებს და თავისი ნაჩქარევი და გაუთვლელი გადაწყვეტილებებით თვითონ მისცა მოწინააღმდეგე მხარეს შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირების საბაბი.

ყრილობა უარყოფითად აფასებს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მოღვაწეობას და მიიჩნევს, რომ უზენაესმა საბჭომ, როგორც ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ, ვერ შეასრულა თავისი უმთავრესი მისია და ვერ უზრუნველყო სამოქალაქო მშვიდობა ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ყრილობა თვლის, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომელიც ნამდვილ ომში გადაიზარდა, ფაქტობრივად იყო რუსეთის იმპერიული ძალების აგრესია მეზობელი სახელმწიფოს – საქართველოს მიმართ, რომელსაც მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ოკუპაცია. ეს იყო ფართო მასშტაბის საერთაშორისო შეთქმულება ახალბედა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რომელშიც რუსეთის იმპერიულ-შოვინისტურ წრეებთან, მათ შორის, პირველ რიგში, რუსეთის არმიის გენერალიტეტთან ერთად, ჩართული აღმოჩნდნენ კახაკობა და ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე ბნელი ძალები.

ყრილობაზე ერთხმად აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება, სარდლობა აბსოლუტურად არ აღმოჩნდა მზად აქტიური და მიზანმიმ-



როული საომარი მოქმედებისათვის. უფრო მეტიც, სარდლობას ერთოდ არ გააჩნდა საომარი ოპერაციების ჩატარების რამდენიმე შედეგად რებული და გამოკვეთილი გეგმა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ომის გაჭიანურება, ხოლო შემდეგ მისი სამარცხვინო წაგებაც.

აფხაზეთში განცდილი კატასტროფის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ყრილობა მიიჩნევა საქართველოს ხელისუფლების დიპლომატიურ უსუსურობასაც, კერძოდ იმას, რომ მან ვერ გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე და მიუხედავად არაერთგზის გაწბილებისა, მაინც გულუბრყვილოდ მიანდო რუსეთს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გარანტიის ფუნქცია, რამაც, საბოლოო ჯამში, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა.

ომში დამარცხების მიზეზებზე მსჯელობისას ყრილობამ გულისტკივილით აღიარა, რომ ჩვენი დამარცხება არ იყო გარდაუვალი, თუ არა შინაქართული აშლილობა და ქვეყანაში ფაქტობრივად მიმდინარე სამოქალაქო ომი. აღინიშნა, რომ საქართველოს, ქართველ ერს შეეძლო და ვაღლებულიც იყო, საერთო-ეროვნული გასაჭირის ჟამს განზე გადაედო ყოველგვარი პიროვნული თუ პარტიული უთანხმოებანი, ერთ მუშტად შეკრულიყო და ქვეყანა გადაერჩინა.

ყრილობამ საგანგებოდ იმსჯელა ომის დამთავრებიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ სამშვიდობო ინიციატივებზე და მისცა მათ სათანადო შეფასება. ითქვა, რომ მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, რომელიც უდავოდ შეიმჩნევა სეპარატისტული იდეოლოგიის მხილებისა და საერთაშორისო არენაზე საქართველოსათვის სასიკეთო აზრის ფორმირებაში, აფხაზეთის კონფლიქტის რეალური დაძლევის პერსპექტივები ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანია. ამასთან, ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჯერჯერობით არ გააჩნია მკვეთრად ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ.

ყრილობა მიიჩნევს, რომ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მდგომარეობა ფაქტობრივად კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ცხოვრების სიდუხჭირემ აფხაზეთის მკვიდრთა დიდი ნაწილი აიძულა სამშობლოდან გადახვეწილიყო და ლუკმა-პურის საშოვნელად სხვადასხვა ქვეყნებს მოსდებოდა. უმძიმესმა ეკონომიკურმა პირობებმა, სოციალურმა და უცვლელობამ დევნილთა დიდი უმრავლესობა მეტისმეტად დაბეჩავა და სულიერად დააუძღურა. ამასთან დაკავშირებით, ყრილობამ საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება იმ ხარვეზებზე, რომლებიც შეიმჩნევა დევნილთათვის ფულადი და ჰუმანიტარული დახმარების გაწვევის საქმეში, აღინიშნა ცალკეული სახელმწიფო სტრუქტურების დუნე და უადრესად არაკვალიფიციური მოღვაწეობა ამ მიმართულებით. ყრილობის დელეგატთა აზრით, ყოველივე ეს ნეგატიურად მოქმედებს დევნილთა მორა-

ლურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, უიმედობასა და პესიმიზმს დებს მათში.

ყრილობა თვლის, რომ ამ ძნელბედობის უამს არ აღმოჩნდა ძალა, რომელიც შეძლებდა აფხაზეთის ქართველობის, საერთოდ დევნილთა დავრდომილი სულის გამოცოცხლებას, მათ კონსოლიდაციასა და ერთი მიზნისაკენ წარმართვას, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ოფიციალურმა სტრუქტურებმა – უზენაესმა საბჭომ, მინისტრთა საბჭომ – ვერ გაართვეს თავი ამ უაღრესად პასუხსაგებ მისიას. ამ თვალსაზრისით, ყრილობაზე გამოითქვა უკმაყოფილება საქართველოს პარლამენტის „აფხაზური“ დეპუტაციის მისამართითაც, რომელმაც ასევე ვერ შეძლო რაიმე პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა მიმდინარე პროცესებზე. აღინიშნა, რომ პარტიულმა გათიშულობამ აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებს არ მისცა საშუალება, ერთიან, მობილურ გუნდად ჩამოყალიბებულიყვნენ და რაიმე სერიოზული ზეწოლა მოეხდინათ პარლამენტზე.

ყრილობა გამოხატავს გაცხილებას 5-6 აპრილს ჩატარებული აფხაზეთის საკითხისადმი მიძღვნილი საგანგებო სესიის გამო. ყრილობის დელეგატთა ერთსულოვანი აზრით, საქართველოს პარლამენტის აღნიშნულმა სესიამ ერთხელ კიდევ ნათლად აჩვენა, რომ დღეს ქვეყნის ხელისუფლება, სამწუხაროდ, არ არის მზად, გააკეთოს აფხაზეთის ტრაგედიის ყოველმხრივი, გლობალური, ობიექტური ანალიზი და, რაც მთავარია, ჯერჯერობით ვერ გვთავაზობს კონფლიქტის მოწესრიგების რაიმე ახალ მექანიზმს.

ყრილობა თვლის, რომ ვერც ცალკეულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და გაერთიანებებმა ვერ მოახერხეს დევნილი მოსახლეობის მაკონსოლიდირებელი ფუნქციის შესრულება და მათი საერთო-ეროვნული იდეის ირგვლივ დარაზმვა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ყრილობამ მთელი სიმწვავეით დააყენა საკითხი დევნილთა რეალური კონსოლიდაციის მიღწევის აუცილებლობის შესახებ. ამ მიზნით ყრილობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობის – „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ დაფუძნება. ყრილობის დელეგატთა აზრით, ამ ახალმა ორგანიზაციამ ფაქტობრივად უნდა შეასრულოს საერთო-სახალხო ეროვნული ფრონტის ფუნქცია, ის უნდა გახდეს ყველა დევნილის ინტერესების ჭეშმარიტად გამომხატველი და უშუაველად იღვაწოს საერთო-ეროვნული კონსოლიდაციისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.

ყრილობამ სპეციალურად იმსჯელა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გზებზე და საშუალებებზე და ჩამოაყალიბა კონკრეტული

სამოქმედო პროგრამა ამ მიმართულებით, რომელსაც სთავაზობს სახელმწიფო ხელისუფლებას:

1. საქართველოს პარლამენტმა 1992-1993 წლების აფხაზეთის პროვოკაციული ომი გამოაცხადოს რუსეთის იმპერიული ძალების აგრესიად მეზობელი სახელმწიფოს — საქართველოს მიმართ, რომელსაც მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ოკუპაცია;

2. ვინაიდან კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი ფაქტობრივად რიბში მოექცა, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ალტერნატიულ გზებზე, რომელშიც შეჭერებული უნდა იქნეს პოლიტიკური და ძალისმიერი მეთოდები;

3. საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად უნდა აღიაროს სამშვიდობო პროცესის ჩაშლა აფხაზი სეპარატისტების დესტრუქციული მოქმედებებისა და რუსეთის მხარის უშუალო მხარდაჭერის შედეგად და დააყენოს საკითხი რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ;

4. საქართველოს მთავრობამ მაქსიმალურად გააძლიეროს დიპლომატიური ზეწოლა მოსკოვზე, აამოქმედოს ყველა არსებული რეზერვი და აიძულოს რუსეთის ხელისუფლება, რეალურად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისმა ოფიციალურად უნდა აღიაროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შემდგომი ყოფნისა და საერთოდ ამ თანამეგობრობის არსებობის სრული უპერსპექტივობა; პრინციპულად გადასინჯოს რუსეთის ფედერაცია-სთან დღეისათვის არსებული სამოკავშირეო ურთიერთობები, უარი თქვას მოსკოვთან სამხედრო-პოლიტიკურ პარტნიორობა-თანამშრომლობაზე, შეწყვიტოს ყოველგვარი მოლაპარაკება სამხედრო ბაზების თაობაზე და კატეგორიულად დასვას რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოს მთელი ტერიტორიიდან, პირველ რიგში, აფხაზეთიდან გაყვანის საკითხი;

5. იმასთან დაკავშირებით, რომ მეტისმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესი და ჭერჭერობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ შესწევს უნარი უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული

მთლიანობის გარანტირებული დაცვა, პრინციპულად გადაიხრება  
ჯოს ქართული არმიის მშენებლობის კონცეფცია და არ დაუქვე-  
მდებარდეს ეს პროცესი მეზობელი ქვეყნის შესაბამის სტრუ-  
ქტურებს;

6. საქართველოს ხელისუფლებამ არ დაუშვას აფხაზეთის ტე-  
რიტორიაზე სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედება საქართვე-  
ლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე;

7. საქართველოს ხელისუფლებამ არ დაუშვას დევნილთა და-  
ბრუნება მშობლიურ ადგილებში აფხაზეთში საქართველოს სა-  
ხელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენამდე;

8. საქართველოს პროკურატურამ გასცეს სანქციები აფხაზე-  
თში ქართველთა გენოციდისა და ეთნოწმენდის ორგანიზატორე-  
ბის ვლ. არძინბასა და მისი თანამშრომლების დასაკავებლად.

9. საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადოს ამნისტია საქართვე-  
ლოს სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ, რომლებიც ვ. არძინბას  
ფაშისტური რეჟიმის მიერ მოტყუებით, შანტაჟითა და მუქარით იქნენ  
ჩათრეულნი ძმათაშვილთა ომში. ამასთან ეს ამნისტია არ გავრცე-  
ლდეს იმათ მიმართ, ვინც მხილებულნი იქნებიან ანტისახელმწიფო-  
ებრივ იდეოლოგიურ საქმიანობასა და ომის პროპაგანდაში, აგრეთვე  
განსაკუთრებით მძიმე და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანა-  
შაულში.

10. საქართველოს ხელისუფლებამ, საზოგადოებრივმა ორგანიზა-  
ციებმა, გაააქტიურონ კონქტაქტები იმ აფხაზ მოღვაწეებთან, რომლე-  
ბიც მეტ-ნაკლებად ემიგრებიან სეპარატიზმს და ექსტრემიზმს და  
ამუღავნებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ქართულ მხარესთან. მა-  
ქსიმალურად ამოქმედდეს სახალხო დიპლომატიის ყველა საშუალე-  
ბები.

ყრილობამ მიიღო მიმართვები: აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისადმი,  
აფხაზი ხალხისადმი, ჩრდილოკავკასიელი ხალხებისადმი, რუსეთის პრეზიდენ-  
ტისადმი და რუსეთის დემოკრატიული საზოგადოებისადმი.

ყრილობამ დააფუძნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა —  
„აფხაზეთიდან დევნილთა კამირი“, დაამტკიცა მისი წესდება და აირჩია  
მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოები.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის  
წარმომადგენელთა ყრილობა

თბილისი, 7-8 აპრილი, 1996 წ.

„აზხაზეთო, ღაე, გახმეს მარჯვენა ჩემი,  
თუ ღაბივიწყო შენ“.

მიმართვა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისადმი

## თანამემუღწერო!

გაუგონარი უბედურება დაგვატყდა თავს. აფხაზეთის 300-ათასიანი მკვიდრი ქართული მოსახლეობა გახდა მსხვერპლი იმ საშინელი ანგარიშსწორებისა, რომელიც იმპერიამ XX ს. მიწურულს მოუწყო დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ახალბედა ქართულ სახელმწიფოს. საქართველო, ქართველი ხალხი, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ მდგარა ამგვარი განსაცდელის წინაშე, მაგრამ უმძიმეს ვითარებაშიც კი ჩვენი წინაპრები არ შერიგებიან მწარე ხვედრს და არ დაუყრიათ ფარ-ხმალი. სწორედ ჩვენმა შეუპოვრობამ, მოძავლისადმი რწმენამ გაგვაძლებინა, შეგვანარჩუნებინა ეროვნული მეობა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის შეგნება.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია კიდევ ერთი გამოცდაა ჩვენი ეროვნული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის, ახალი დიდი განსაცდელია, რომელსაც ჩვენი ხალხი მედგრად უნდა დაუხედეს და არ მისცეს მუხანათ მტერს თავისი ბოროტი ზრახვების ბოლომდე მიყვანის საშუალება. ამის უმთავრესი პირობა კი, პირველ რიგში, ჩვენი – აფხაზეთის ქართველობის ერთიანობაა. დღეს, როგორც არასოდეს, გვჭირდება პიროვნული თუ პარტიული ამბიციების დაძლევა და საერთო-ეროვნული იდეის გვერდით დარაზმვა. სწორედ ამ იდეის რეალიზაციისაკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებრივ მოძრაობას – „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირს“. ამ ახალი, ჭეშმარიტად საერთო-სახალხო მოძრაობის უმთავრესი საზრუნავი სწორედ აფხაზეთის ქართველობის, საერთოდ დევნილთა კონსოლიდაცია და მათი ერთი დიდი მიზნისაკენ – აფხაზეთის დაბრუნებისკენ წარმართვა უნდა იქცეს. ჩვენი ვალია, დავირაზმოთ აფხაზეთის დაბრუნების იდეის გარშემო. დაე, ყველამ გაიგოს, რომ აფხაზეთის ქართველობა არ დათმობს მშობლიურ მიწა-წყალს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.

მხოლოდ გაერთიანება შეგვაძლებინებს მსოფლიოს წინაშე ღირსეულად დავიცვათ არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობა, არამედ ქართველი ხალხის ეროვნული სინდისიც, რომელსაც არნახული შეურაცხყოფა მიაყენეს.





ყრილობამ ფაქტობრივად პირველად მისცა პირუთენელი შეფხვნილობის აფხაზეთის ტრაგედიას და საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება იმ მიზეზებზე, რომლებმაც დღევანდელ კატასტროფამდე მიგვიყვანეს. ეს სულაც არ იყო ადვილი. როგორც მოვლენების მსვლელობა გვიჩვენებს, და ეს აფხაზეთის საკითხისადმი მიძღვნილმა საპარლამენტო გამოსვლებმაც დაადასტურეს, საქართველო, მისი ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არიან მზად სრულად გაანალიზონ მომხდარი და ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვან. ტრაგედიის მიზეზების ცალმხრივმა, ტენდენციურმა განხილვამ, ყველაფრის სხვისთვის გადაბრალეობამ და საკუთარი ცოდვების დემონსტრაციულად არდანახვამ კი შეიძლება კვლავ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანონ.

არანაკლებ საშიშია ძველი სტერეოტიპებით ხელმძღვანელობა. პრობლემათა კიდევ ერთხელ მიფუჩქეება და „კეთილგონიერებისაკენ“, „პატიებისაკენ“ ცალმხრივი მოწოდება, რასაც აქამდე მივმართავდით, დალატის ტოლფასია. დანაშაულის შეწყალებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც კაცი პატიოსნად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. სამწუხაროდ, დღეს ეს ასე არ არის, პირიქით, მოწინააღმდეგე აქეთ ცდილობს თავისი დანაშაულის გადმობრალეობას. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, მკრეხელობაა. ყველასათვის პატიება არ შეიძლება, ამისათვის შთამომავლობა მოგვთხოვს პასუხს. დროა, ერთხელ და სამუდამოდ, ხელი ავიღოთ „ოღონდ დღეს იყოს სიმშვიდე“ – მაგნე პოზიციაზე და დამნაშავეს მივუჩინოთ მისი ნამდვილი ადგილი. ბოლოს და ბოლოს, ყველამ უნდა დაინახოს, თუ ვის მხარესაა სიმართლე და ვინ არის ქართულ-აფხაზური ისტორიული მიმობისა და მეგობრობის მახვილის ჩამცემი.

თანამემამულენო! აფხაზეთის ტრაგედია გრძელდება და ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება მდგომარეობის კარდინალურად შემობრუნება. გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციები მხოლოდ გარეგნულ იდეოლოგიურ ფონს ქმნიან და არსებითად ვერაფერს ცვლიან კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. მხოლოდ ქართველთა გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტის დაფიქსირება და სიტყვიერი მოწოდებები მხარეების მიმართ – კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოავგარონ, სულაც არ არის ის ქმედითი მექანიზმი, რომლითაც შეიძლება კრიზისიდან რეალური გამოსვლა. ერთადერთი გამოსავალი პრობლემის გადაჭრისა, თუ ეს ჭეშმარიტად სურს გაეროს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, პირველ რიგში, „სამშვიდობო პროცესის გარანტად“ მიჩნეულ რუსეთის ფედერაციას, ეს არის თვითმარქვია „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ფაშისტური რეჟიმის სრული იზოლაცია, ყველა უკანონო შეიარაღებული ბანდების დაუყოვნებლივი განიარაღება და აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივი აღდგენა. მხოლოდ



ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებაზე მშობლიურ კერებში.

დანო და ძმანო, თანამემამულენო! 1993 წლის 27 სექტემბერი – ავბედითი თარიღია, რომელიც საუკუნის ტრაგედიად შევიდა საქართველოს ისტორიაში. თარიღი, რომელმაც დააფიქსირა იმპერიასთან მომქანცველ, სისხლისმღვრელ, უთანასწორო ომში ქართველთა მარცხი და 300-ათასიანი ქართული მოსახლეობის აყრა მშობლიური მიწა-წყლიდან. დროებით მოწყდა დედა-სამშობლოს მისი ძირძველი კუთხე – აფხაზეთი, ძვალთშესალაგი ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულთაგანის სიმონ კანანელისა, აფხაზეთი – ძვალთშესალაგი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ისა, აფხაზეთი – სამშობლო 300-ათასი ღირსებაშელახული ქართველისა, რომელთა წარმომადგენლებიც ყრილობის ტრიბუნიდან მოგმართავთ ყველა თქვენთაგანს: დაკდგეთ ერთად, აღვასრულოთ ხალხისა და ღვთის ნება! ნურაფერს მოვიმოქმედებთ ისეთს, რომ ჩვენმა შთამომავლობამ ჩვენი სახელები სალანძღავად და შესაჩვენებლად გაიხადოს. ნუ დავკარგავთ სამშობლოს სამშობლოში. ჯერ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება, მთავარია მხოლოდ არ დავკარგოთ მომავლის რწმენა და ვიბრძოლოთ ზვალინდელი დღისათვის ისე მედგრად და თავდაუზოგავად, როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი გმირი წინაპრები. ვიბრძოლოთ ისე, როგორც ეს გააკეთა სამშობლოწართმეულმა ებრაელმა ხალხმა. ისევე, როგორც ებრაელები საუკუნეების მანძილზე ზვებოდნენ ერთმანეთს მისაღმებით „იერუსალიამ, დაე, გახმეს მარჯვენა ჩემი, თუ დაგივიწყო შენ“, ჩვენც მივესალმოთ ერთმანეთს და გულში მაინც გავიმეოროთ: „აფხაზეთო, დაე, გახმეს მარჯვენა ჩემი, თუ დაგივიწყო შენ“.

დაე, ეს დიდებული დღე, როდესაც მთელი საქრისტიანო საქართველო ერთდროულად აღნიშნავს ორ ბრწყინვალე დღესასწაულს – ბზობას და ხარებას, იქნეს დასაწყისი ჩვენი ერთ მუშტად შეკვრისა.

მაშ, დავუმტკიცოთ მტერს, რომ აფხაზეთიდან დევნილები ერთიანად დარაზმულნი, იმედიანად შევყურებთ მომავალს და გვწამს, რომ გოლგოთას აუცილებლად ამალღება მოჰყვება.

მაშ, გაუმარჯოს ამალღებისაკენ მიმავალ გზას!

მაშ, გაუმარჯოს ჩვენს თავგანწირულ ბრძოლას აფხაზეთის დასაბრუნებლად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად!

ჩვენთან არს ღმერთი!

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის  
წარმომადგენელთა ყრილობა

თბილისი, 7-8 აპრილი 1996.

## გავეჩვიოთ სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს, ვიაროთ ძმობისა და მეგობრობის გზით

### მიმართვა აფხაზი ხალხისადმი

მოგმართავთ ყველა ჩვენთაგანისათვის ესოდენ მძიმე უამს, რათა სრულად გავიცნობიეროთ იმ საშინელი ტრაგედიის არსი, რომელიც თავს დაგვატყდა ქართველ და აფხაზ ხალხებს, რაც შეიძლება სწრაფად გავერკვეთ ამ უბედურების ავტორთა შორსმიძვალ ავ ზრახვებში და დავსახოთ მდგომარეობიდან გამოსვლისა და უფრო მძიმე შედეგების თავიდან აცილების გზები. ამას გვავალებს არა მარტო წარსული და დღევანდელი, არამედ მომავალიც.

დროა, გონს მოვეგოთ და ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, თუ ვინ ვიყავით და ვინ ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის. ნუ გადავუხვევთ საბოლოოდ წინაპართა მიერ გაკვალული ძმობისა და მეგობრობის გზიდან, ნუ დავაბიჯებთ ფეხს ერთობლივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. ჩვენ ხომ ოდითგან გვერდი-გვერდ, ერთ მიწაზე, ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში გვიცხოვრია; ერთად გვიშენებია „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმული საერთო სახელმწიფო და ერთად გვიმოღვაწია მისი გაძლიერება-განმტკიცებისათვის.

განა ყველამ არ ვიცით, რომ დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ორი ხალხი, რომელიც ასე სისხლხორცეულად იყოს ერთმანეთზე გადასკვნილი და რაოდენ სავალალოა, რომ დღეს, მე-20 საუკუნის მიწურულს, ჩვენ ასე უღმერთოდ გადაგვიკიდეს ერთმანეთს. დიახ, ჩვენმა დიდმა „ძმამ“ და „პარტნიორმა“ ამ უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში ყველაფერი იღონა და მიაღწია კიდევაც იმას, რომ ორ უახლოეს, ერთი მოდგმისა და ჯილაგის ხალხს ერთმანეთისათვის ტყვიები დაგვეშინა და ჩვენი დედები, დები თუ შვილები ძაძებით შეგვემოსა.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით წინ აღვდგომოდით სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს და თავიდან აგვეცილებინა ძმათაშორის მძიმე მდგომარეობა, რომ კატასტროფულია. ორივე მხრიდან დაილუპა ათასობით უდანაშაულო ადამიანი, საკუთარ სამშობლოშივე ღტოლვილად იქცა ასეული ათასობით ქართველი და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის თვით აფხაზებიც. სახეზეა ქართველთა გენოციდის შემზარავი ფაქტი. საფრთხე ემუქრება აფხაზი ხალხის ფიზიკურ არსებობას.

საშინელი რეალობაა – ერთნი ერთ მხარეს, მეორენი – მეორე მხარეს ვდგავართ უფსკრულის პირას, რომლის ფსკერზეც ჩვენზე სისხლისა და ხორცის გვაძები ყრია. ასე გაგრძელება არ შეიძლება და ვიდრე ორივე ხალხი საბოლოოდ უფსკრულში არ გადავჩხილვართ, მოვუხმოთ გონებას, ვძლიოთ დაგროვილ ბოღმას და გადავდგათ პირველი ნაბიჯები შერიგებისაკენ, თუ გვინდა, რომ მომავალმა არ შეგვაჩვენოს.

თანამემამულენო! ყოველ გარეშე ძალას საკუთარი ინტერესები ამოძრავებს, ამიტომ ჩვენი უპირველესი ამოცანაა ამ გარეშე ძალას თავისი ადგილი მივუჩინოთ, აფხაზეთის პრობლემებს კი, პირველ რიგში, ჩვენვე – აფხაზეთის მკვიდრმა ხალხებმა მოვუაროთ. მაგრამ ყოველივე ეს შეუძლებელი გახდება, თუ აფხაზი ხალხი არ გამოიჩენს მისთვის ჩვეულ სიბრძნეს და გონიერებას და სამუდამოდ არ გაემიჯნება სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს, არ მოისურვებს ძმობისა და მეგობრობის გზით სიარულს.

გაუწოდოთ ერთმანეთს ხელი, აღვადგინოთ ჩვენი ერთობლივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ერთად ვაშენოთ საერთო სახელმწიფო, რამეთუ ჩვენ არა მარტო ისტორიულად, არამედ სადღეისოდ და სამომავლოდ ერთი საერთო ქვეყნის, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი და პატრონნი ვართ.

აფხაზეთში სტაბილურობის მიღწევა ილუზიაა ამ მიწაზე საქართველოს იურისდიქციის რეალური აღდგენისა და სამართლიანი სახელმწიფოებრივი მოწყობის გარეშე. ამის გარანტი კი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ერთიანობაა.

გვახსოვდეს ეს, ვიართ ამ გზით. ყველა სხვა გზა დამლუპველია ორივე ერისათვის.

**აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის  
წარმომადგენელთა ყრილობა**

ქ. თბილისი, 7-8 აპრილი.

**ნღობისა და თანაგმრობლობის სურვილი არ შეიძლება  
ყოველთვის ცალმხრივი იყოს**

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბ-ნ ბორის ნიკოლოზის ძე პუტინს,  
რუსეთის დემოკრატიულ საზოგადოებას

ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონებო და ბატონებო, თითქმის მესამე წელია, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა რუსეთის იმპერიული ძალების

ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით მოახდინეს საქართველოს  
ძირძველი კუთხის – აფხაზეთის ოკუპაცია და იქ ფაშისტური რეჟიმის  
დამყარება. ამ რეგიონის სამას ათასზე მეტი მკვიდრი ქართველი და სხვა  
ეროვნების მაცხოვრებელი განდევნილ იქნა მშობლიური მიწიდან, ათა-  
სობით მშვიდობიანი მოსახლე სადისტურად აწამეს და ფიზიკურად მო-  
სკეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უსაფრთხოებისა  
და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა  
თანამეგობრობის ქვეყნების, მათ შორის თვით რუსეთის მიერ დაგმოვი-  
ლია აფხაზეთი აგრესიული სეპარატიზმი. ვ. არძინბასა და მისი გარემო-  
ცვის დანაშაულებრივი ქმედებანი შეფასებულია, როგორც ქართული მო-  
სახლეობის ეთნიკური წმენდა და გენოციდი, რაც საერთაშორისო ნორ-  
მებით აღიარებულია დანაშაულად კაცობრიობის წინაშე.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების  
პირველივე დღიდან, რომელშიც საქართველო პროვოკაციულად აღმო-  
ჩნდა ჩათრეული, ქართული მხარე თანმიმდევრულად ცდილობდა შეიარ-  
ღებული კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. სწორედ ამ მიზნით  
იქნა განლაგებული კონფლიქტის ზონაში, გაეროს ეგიდით, რუსეთის ფე-  
დერაციის სამშვიდობო ძალები, მაგრამ დაპირება იმის შესახებ, რომ  
ამით დაიწყებოდა დევნილთა მასობრივი დაბრუნება მშობლიურ ადგილე-  
ბში, კიდევ ერთი ცინიზმით აღსავსე სიცრუე აღმოჩნდა, რამეთუ ამ  
ბოლო პერიოდში კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით გრძელდებოდა  
აფხაზი სეპარატიზტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იქ და-  
რჩენილი ქართველების ეთნიკური წმენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძა-  
ლებმა, მათთვის მინიჭებული მანდატის ფარგლებში, ვერ შეძლეს ნაკი-  
სრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ კი, უკანონო სამხედრო ფო-  
რმირებების გაყვანა, ყოველგვარი ძალადობისა და ადამიანის ელემენტარ-  
ული უფლებების ხელყოფის აღკვეთა, რითაც უნდა შეექმნათ შესაბა-  
მისი პირობები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მა-  
სობრივი და უსაფრთხო დაბრუნებისათვის.

უფრო მეტიც, დღეს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება  
ვამტკიცოთ, რომ ე.წ. „სამშვიდობო ძალებს“ არც კი უცდიათ ამ მისიის  
შესრულება. ერთადერთი, რაც მათ „პატიოსნად“ გააკეთეს, ესაა ის, რომ  
გაამაგრეს ე.წ. აფხაზეთ-საქართველოს „სახელმწიფო საზღვარი“ ენგუ-  
რის გაყოლებით და ამით უზრუნველყვეს ვ. არძინბას ფაშისტური რეჟი-  
მის უსაფრთხოება.

ყოველივე ამის შედეგია ის, რომ აფხაზეთში დღესაც, გაერთიანე-  
ბული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა თვალწინ და რუსეთის სა-  
მშვიდობო ძალების უშუალო მონაწილეობით, გრძელდება ქართული მო-  
სახლეობის ძარცვა, მათი ღირსების შეურაცხყოფა და ეთნიკური წმენდა.

უგზო-უკვლოდ დაიკარგა და დაიხვრიტა ათასობით ქართველი, მათგან რის ე.წ. „უსაფრთხოების ზონაშიც.“ „სამშვიდობო ძალების“ კონფლიქტის ზონაში ყოფნის განმავლობაში, მხოლოდ გალის რაიონში, ანკეტური და სხვა ადამიანური ღირსების დამამცირებელი პროცედურების შემდეგ, შეყვანილ იქნა სულ სამასამდე დევნილი, რომელთა უმეტესი ნაწილი უკანვე დაბრუნდა, რადგან „სამშვიდობო ძალებმა“ ვერ უზრუნველყვეს მათი უსაფრთხოების გარანტირებული დაცვა. ის, რაც მოხდა და დღესაც ხდება აფხაზეთის მიწაზე, თავისი სისასტიკით, არაადამიანურობითა და ცინიზმით, დაუშვებელი და წარმოუდგენელია თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსათვის.

რუსეთის ფედერაციის ორჭოფული და ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის გატარების შედეგად, აფხაზმა სეპარატისტებმა შეძლეს მანამდე მიღწეული ყველა ხელშეკრულებისა და ვალდებულებების უხეშად დარღვევა, რითაც ფაქტობრივად ჩაშალეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოიძებნა ქმედითი მექანიზმები ვ. არძინბას სეპარატისტულ რეჟიმზე სერიოზული ზეწოლის მოსახდენად. ამ თვალსაზრისით, ვერც დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა მოსკოვის 19 იანვრის სამიტზე მიღებულმა, ერთი შეხედვით, მკაცრმა გადაწყვეტილებებმა მიაღწიეს მიზანს. სრულიად გაუგებარია აღმასრულებელი ხელისუფლების იმ სტრუქტურების სრული უსუსურობა, რომელთაც უშუალოდ ევალებათ სამიტის გადაწყვეტილებების რეალიზაცია. არაფერს ვამბობთ სახელმწიფო სათათბიროს დესტრუქციულ საქმიანობაზე, რომელმაც შეიძლება საერთოდ ჩიხში მოაქციოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და კითხვის ნიშნის ქვეშ დასვას საქართველოს შემდგომი ყოფნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ, ვითვალისწინებთ რა რუსეთის პრეზიდენტსა და სახელმწიფო სათათბიროს კომუნისტურ უძრავლესობას შორის არსებული წინააღმდეგობების სიმწვავეს, ჩვენ გავებით ვეკიდებით შექმნილ სიტუაციას და არ ვითხოვთ თქვენგან რაიმე ზემოქმედებას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოზე, მაგრამ ჩვენთვის შემაშფოთებელია თქვენი პასიურობა და უმოქმედობა ზოგიერთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაა. განა შეიძლება რაიმე გამართლება ჰქონდეს თუნდაც გენერალ ა. ნიკოლაევის ბოლოდროინდელ „ინიციატივებს“, რომლის ერთადერთი მიზანი უდავოდ სამიტის გადაწყვეტილებების რეალიზაციის ჩაშლაა. ან რითი ავხსნათ ის ფაქტი, რომ მოსკოვში დღესაც, თითქმის საელჩოს დონეზე, ფუნქციონირებს ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობა“, რომელსაც ხელს აფარებენ თვით პრეზიდენტის აპარატის მაღალი რანგის მოხელენი. ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ რუ-



სეთმა, როგორც სამშვიდობო პროცესის გარანტმა, სრული დისკრედიტაცია განიცადა. ყოველივე ამას კი შეიძლება მეტად სავალალო შედეგები მოჰყვეს. კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მოთმინების ფაქტმა, სულ ადვილი მოსალოდნელია ამ სულიერად გაწამებული და გაუბედურებული ხალხმა, დღეს თუ ხვალ, თავის თავზე კონტროლი დაკარგოს და თავგანწირული ნაბიჯი გადადგას. ეს კი პროცესებს უმართავსა და შეუქცევადს გახდის, რასაც ისევ საომარი მოქმედებების განახლება და ახალი სისხლისღვრა მოჰყვება, რომელმაც სავსებით შესაძლებელია მთელი კავკასიის რეგიონი მოიცვას.

ბატონო პრეზიდენტო, ყოველივე ზემოთქმული არ არის ჩვენი კაპრიზი ან კიდევ აკვიატებული აზრი. სამწუხაროდ, ეს ობიექტური რეალობაა და მოითხოვს აწონილ, სერიოზულ დამოკიდებულებას. ჩვენ გვესმის, რომ აფხაზეთის საკითხი ვერ გადაწყდება ამ პროცესში რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე, ამიტომაც ვრჩებით მასთან კეთილშობილური და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის მომხრეებად, რადგან საქართველოს თვით ისტორიულმა ბედმა არგუნა იცხოვროს ისეთი ძლიერი და ძლევამოსილი სახელმწიფოს გვერდით, როგორც რუსეთის ფედერაციაა. მაგრამ ნდობისა და თანამშრომლობის ეს სურვილი არ შეიძლება ყოველთვის ცალმხრივი იყოს და ამიტომაც, რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემდეგ, ქართული მხარე, სავსებით სამართლიანად, უფლებამოსილია მოითხოვოს მათი ზედმიწევნით და პატიოსნად შესრულება.

დღეს რუსეთმა, როგორც ძლევამოსილმა სახელმწიფომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა ქვეყანამ, რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიოს კიდევ ერთი ტრაგედია და ტკივილის, ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტაში, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებაში, ბოლოს და ბოლოს უნდა თქვას თავისი ვადამწყვეტი სიტყვა აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაშიც. მან, როგორც მომხრემ ინციატივისა „შვიდობიანი კავკასია“, გაეროსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მიერ მიღებული ფუძემდებლური დოკუმენტების საფუძველზე უნდა გაატაროს ვადამჭრელი და ქმედითი ღონისძიებანი, რათა თავიდან იქნას აცილებული სისხლისღვრის კიდევ ერთი ახალი ესკალაცია და კავკასიის უფრო მასშტაბური ომი.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ და თქვენი სახელით, რუსეთის მთელ დემოკრატიულ საზოგადოებრიობას გთხოვთ, ამ ტრაგიკული ბედის მქონე ხალხის თანადგომას, რასაც არასოდეს დაივიწყებს მათი მადლიერი შთამომავლობა.

**ღრმა პატივისცემითა და იმედით აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა.**

1996 წლის 7-8 აპრილი.

მიმართვა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისადმი

*„ჩვენ დაემარცხდებით ცალ-ცალკე ყველა,  
ერთად მთის დაძვრაც არის ადვილი“*

**კოსტა ხეთაგუროვი**

რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის რღვევის ყველაზე მღვრიე ტალღამ კავკასიას გადაუარა. სამწუხაროდ, კავკასიის ხალხების მნიშვნელოვანი ნაწილი ადვილად წამოეგო მესამე ძალის ანკესზე და რუსეთის რეაქციულ ძალებთან ერთად მოძმე ქართველების სახით ხელოვნურად შექმნა მტრის ხატი. მაშინ, როდესაც ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ბოროტების იმპერიის დასამხობად, რითაც გამოაღვიძა არა მარტო ყოფილი სსრ კავშირის დამონებული ხალხები, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც კი, ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელი და მონათესავე ხალხების ვაი-ლიდერებმა, ნაცვლად მხარდაჭერისა და გვერდში ამოდგომისა, შექმნეს ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ ცენტრით სოხუმში და ამით ერთი ხელის მოსმით საქართველოსაგან ძირძველი ქართული კუთხის – აფხაზეთის მოწყვეტა განიზრახეს. ამ აქტმა რუსეთის იმპერიული ძალების მიერ გადადგმულ სხვა პროვოკაციულ ნაბიჯებთან ერთად, ფაქტობრივად შეამზადა მშათა მკვლელი ომი აფხაზეთში. სწორედ ამ ძალებმა ჩასცეს ზურგში მახვილი საერთო-კავკასიურ ისტორიულ მშობას და აფხაზეთი ქართველთა არნახული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიგონად გადააქციეს. ომმა იმსხვერპლა 30 ათასზე მეტი ქართველი, 300 ათასი კი დევნილთა მწარე ხვედრს ეზიარა. განადგურდა აფხაზეთის წალკოტად ქცეული სოფლები და ქალაქები.

მსოფლიოს უახლეს ისტორიაში ეს იყო გაუგონარი ღალატი, დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის არმადასთან ერთად ქართველთა წინააღმდეგ დაიძრა ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე ბნელი ძალები, ახლო აღმოსავლეთიდან დაქირავებული „ბოვეიკები“, ევროპის ქვეყნებიდან გამოდევნილი უსახლკარო და დამძეული რუსი სამხედროები. ეს იყო აშკარა ინტერვენცია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული საქართველოს წინააღმდეგ. მითი იმის შესახებ, თითქოს ეს ომი ქართველთა მხრიდან აფხაზთა ჩაგვრას გამოეწვიოს, დღეს უკვე საპნის ბუშტივით ვასკდა. გამოვლინდა და საქვეყნოდ გახდა ცნობილი აფხაზური ფაშინზმის ლიდერის ვლ. არძინბას ნამდვილი ზრახვები – ხელი





შეუწყოს სსრ კავშირის აღდგენას, ხოლო აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანოს. ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხი ლამის მთლიანად გაწყდეს. და რაოდენ სავალალოა, რომ ამ არამზადისა და კრემლის დაქირავებული აგენტის ცრუ და დემაგოგიურ ანტიქართულ პროპაგანდას გულუბრყვილოდ აჰყვა ბევრი თქვენგანი. განა საყოველთაოდ არ იყო ცნობილი, რომ მცირერიცხოვან აფხაზ ხალხს საქართველოს სახელმწიფოში ჰქონდა სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების ისეთი პირობები, რომელსაც ვერ ინატრებდა რუსეთის ფედერაციაში შემაგალი ნებისმიერი ავტონომიური ფორმირება.

აფხაზეთში მცხოვრებ ხალხებს შორის, აფხაზებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 17%-და შეადგენდნენ (ქართველები 45%-ზე მეტი ვიყავით) გააჩნდა გაუგონარი პრივილეგიები ცხოვრების ყველა სფეროში. ისინი მთლიანად დომინირებდნენ აფხაზეთის ასსრ-ს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობაში. უფრო მეტიც, აფხაზეთში ფაქტობრივად ერთი ხალხის – აფხაზთა ეთნოკრატია და ეთნოდიქტატურა დამყარდა, რაც იურიდიულად გაფორმდა კიდევ თბილისის მიერ მოწონებული 1991 წლის აპარტიდული საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შემდეგ, როდესაც 90-ათასიანმა აფხაზურმა მოსახლეობამ კვოტით მიიღო 28 ადგილი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ხოლო თითქმის 300-ათასიანმა ქართველმა მოსახლეობამ – მხოლოდ 26 ადგილი. ეს იყო უპრეცედენტო დისკრიმინაცია, რომლის მსგავსი, ალბათ, არ მოიძებნება მსოფლიო პრაქტიკაში.

სწორედ ამგვარმა დათმობებმა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან და ქართველთა მხრიდან გამოჩენილმა განსაკუთრებულმა მზრუნველობამ, სამწუხაროდ, აფხაზებში უძლები შვილის სინდრომი წარმოშვა და ისინი კიდევ უფრო გაათავხედა. შედეგამაც არ დააყოვნა: ვ. არძინბას ფაშისტურმა ხროვამ, გამოიყენა რა აპარტიდული კანონით ჩატარებული არჩევნების შედეგად მოპოვებული მცირე რიცხობრივი უპირატესობა, აფხაზეთის უხეჩაეს საბჭოში ელემენტარული სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით შეაჩერა ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუცია და აფხაზეთი სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა. ეს უკვე, ფაქტობრივად, ომის გამოცხადებას ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ ესეც მოითმინა და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით შეუდგა მდგომარეობის დარეგულირებას, მაგრამ კონფლიქტი, სამწუხაროდ, გარდაუვალი აღმოჩნდა. ვ. არძინბამ პროვოკაციულად გამოიყენა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნაჩქარევი გადაწყვეტილება საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების უზრ-

უნველყოფის მიზნით თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიარაღებული ნაწილების საკუთარი სახელმწიფოს შიგნით – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ და, არც მეტი, არც ნაკლები, „სამამულო ომი“ გამოუცხადა „ქართველ ოკუპანტებს“. ასე შეასხა ფრთები ნიკიტა ხრუშჩოვის მუქარას – „**Абхазов натравлю на грузин**“ – კრემლის იმპერიული პოლიტიკის მეორე ცნობილი არქიტექტორის ანატოლი ლუკიანოვის ერთგულმა მოსწავლემ ვლადისლავ არძინბამ. ასე აღსრულდა რუსეთის იმპერიული ძალებისა და მათი დაქირავებული აგენტების – აფხაზი სეპარატისტების „ისტორიული“ მიზანი: აფხაზეთიდან ქართველების აყრა და მათი გენოციდის განხორციელება.

დღეს უკვე ნათელია, რომ აფხაზი სეპარატისტების პოლიტიკა არა მარტო ანტიქართულია, არამედ ანტიკავკასიურიც. თუ კავკასიელები თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ესწრაფვიან, არძინბა და მისი ბანდები ყველა ბინძური საშუალებებით იბრძვიან კომუნისტური იმპერიის აღდგენისა და მასში შესვლისათვის. ისინი იღწვიან იმისათვის, რომ კავკასია იმპერიული ძალების აქტიური მოქმედების ზონად გადაიქცეს. დასანანია, რომ ამ იმპერიულ ვაკქანალიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ „შეიარაღებულმა ძალებმა“, რითაც საუკუნოდ მოსცხეს ჩირქი საერთო-კავკასიურ ძმობასა და მეგობრობას. კავკასიური რაინდობა კი მოითხოვდა, რომ ისინი იარაღით ხელში კი არ გამოსულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ, არამედ ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩამდგარიყვნენ და ძმათა შორის სისხლისღვრა არ დაეშვათ. მით უმეტეს, რომ აფხაზეთში არსებითად წარმოებდა რუსეთ-საქართველოს ომი, რომელშიც აფხაზები იმპერიის მარიონეტების როლსა და ასრულებდნენ.

უძველესი დროიდან საერთო გასაჭირის დროს პირველსავე დაძახილზე ერთი დროშის ქვეშ ვერთიანდებოდით კავკასიელები და ასე, საუკუნეების განმავლობაში, ისტორიის ძნელ სავალ ლაბირინთებში ყველა გამოცდას გავუძელით. დღესაც კავკასიელებს საბედისწერო ჟამი დაგვიდგა. ხსნა მხოლოდ ერთობაშია.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა კავკასიის ხალხებს მსოფლიო ცივილიზაციის სიკეთის გზაზე ფართო ასპარეზს უქმნის, მაგრამ ასეთი ისტორიული შემობრუნებისათვის საჭიროა ურთიერთგაგება, ნდობა, ძმობის, მეგობრობისა და ნათესაური ტრადიციების აღდგენა.

გვეყო, რაც საერთო მტრის გულის გასახარად ერთმანეთი ვზოცეთ და ვანადგურეთ.

გონს მოვევოთ! ვერავინ ისე ვერ გვიერთგულებს, როგორც ჩვენ ერთმანეთს.

ჩვენ არ გვჭირდება დიქტატორები და ცრუ ბელადები, ვისნათხალხები მათი პარპაშისაგან.

დაე, ხალხის ნებამ, ჭკუამ და გონებამ იზეიმოს!

ჩვენ ვთავაზობთ ა.წ. შემოდგომაზე ქ. თბილისში მოვიწვიოთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლობითი ფორუმი და იქ კიდევ ერთხელ გავუზიაროთ ერთმანეთს საერთო სატკივარი, დავსახოთ სამომავლო ერთობლივი მოქმედების გზები.

გწამდეთ და გჭეროდეთ, რომ ჩვენ მხოლოდ ერთობა გადაგვარჩენს!

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის  
წარმომადგენელთა ყრილობა  
ქ. თბილისი, 1996 წლის 7-8 აპრილი.

### გაზეთი „დეჰნილი“ მკითხველებს

#### მკირზასო მკითხველო!

გამოსვლას იწყებს გაზეთი „დეჰნილი“ – საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ პერიოდული ორგანო. აგერ უკვე მეხუთე თვე იწურება ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებიდან. მთელი ამ ხნის მანძილზე „კავშირი“ ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებების მეშვეობით მაქსიმალურად ცდილობდა მიეწოდებინა დევნილი მოსახლეობისათვის ის აუცილებელი მასალა, რომელშიც ასახული იყო ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის არსი, მიზნები და ამოცანები; მისი დამოკიდებულება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების, დევნილთა ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემებისადმი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დევნილთა ყრილობის შემდეგ გამოცემულმა სპეციალურმა საინფორმაციო ბიულეტენმა, რომელშიც დაიბეჭდა ყრილობის მიერ მიღებული ოფიციალური დოკუმენტები.

ამასთან, დახმარების მეგობრული ხელი გამოგვიწოდა ცალკეულმა დამოუკიდებელმა გაზეთებმა, რომელთა შორის საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ „დილის გაზეთი“, „კავკასიონი“, „ფსიქოლოგიური კონსულტაცია“ და ა.შ. ამ და აგრეთვე ზოგიერთი სხვა გაზეთის შესვეურებმა, გულთან ახლოს მიიტანეს რა დევნილთა, სრულიად საქართველოს ყველაზე დიდი სატკივარი – აფხაზეთი, უმურველად დაუთმეს თავიანთი გაზეთების ფურცლები „კავშირის“ საქმიანობის ამსახველ მასალებს და ხელმისაწვდომი გახადეს ისინი ფართო მკითხველისათვის.



აქვე დიდი გულისტკივილით გვინდა შევნიშნოთ, რომ დევნილმა ახალ მოძრაობას ფაქტობრივად განუდგა ოფიციალური პრესა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საწყენია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანოს – „აფხაზეთის ხმის“ გულგრილი დამოკიდებულება. არადა, პირველ რიგში, ვის ვის და სწორედ ამ გაზეთს ევალებოდა გამოხმაურებოდა დევნილთა ახალ წამოწყებას და ხელი შეეწყო მისი იდეების პოპულარიზაციისათვის. ამის ნაცვლად, აღნიშნულმა გაზეთმა ჯერ იყო და დემონსტრაციულად არ გამოაქვეყნა ყრილობის მომწვევეი საინიციატივო ჯგუფის მიმართვა დევნილი მოსახლეობისადმი, ხოლო შემდეგ ძალზე ტენდენციურად გააშუქა თვით ყრილობის მუშაობაც.

ასევე ზურგი გვაქცია დღევანდელი „ოფიცოზის“ კიდევ ერთმა რუპორმა – გაზეთმა „გალმა“. მაინცდამაინც არ გვწყალობს აფხაზეთის ტელევიზიაც, რომელიც ხშირად „ვერ ახერხებს“ სულ მცირეოდენი ინფორმაციის მიწოდებასაც კი „დევნილთა კავშირის“ საკმაოდ განხმაურებულ ღონისძიებებზე. ერთი სიტყვით, მიუხედავად ცალკეული გაზეთების აქტიური თანადგომისა, ჩვენ ჯერჯერობით მაინც გვიჭირს დევნილთა ფართო მასებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამან განაპირობა „დევნილთა კავშირის“ პერიოდული ორგანოს გაზეთ „დევნილის“ დაარსება.

„დევნილი“ უნდა იქცეს ჭეშმარიტად სახალხო გაზეთად, აფხაზეთიდან გამოძევებული ტანჯული ხალხის სვებედის გამზიარებლად, მათი ინტერესების დამცველად, ჩვენი გაზეთის ფურცლები დაეიშობა ყველას, ვისაც მართლა შესტიკია გული აფხაზეთზე და დღენიდავ იღწვის ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის – აფხაზეთის დაბრუნებისათვის. გაზეთმა უნდა იტვირთოს აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის, ყველა დევნილის ერთიან ძალად გამაერთიანებლისა და მათი საერთო-ეროვნული მიზნის ირგვლივ დამაზმველის ფუნქცია. გაზეთი „დევნილი“ უნდა განდევს ერთიანობის იდეოლოგიის ტრიბუნა. ის არ დაუშვებს უსაგნო დაპირისპირებას და კინკლაობას. ამასთან გაზეთის მთავარი სამოქმედო პრინციპი იქნება – სიმართლე ყველგან და ყველაფერში. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ მოვერიდებით პირუთვნელ კრიტიკას და ყოველმხრივ შევეცდებით ხალხს ვუთხრათ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე.

გვეჯერა და გვწყაბს, რომ დევნილი მოსახლეობა მიიღებს ჩვენს გაზეთს, შეიყვარებს მას. ამ იმედით მოვმართავთ ყველას და მოგიწოდებთ მხარში ამოგვიდგეთ, აქტიურად ითანამშრომლოთ ჩვენთან, სისტემატურად მოგვაწოდოთ მასალები ადგილებიდან და ასე ერთობლივი ძალისხმევით ვიღვაწოთ საერთო-ეროვნული მიზნის მისაღწევად.

**ზურაბ პაპასქირი**

გაზეთი „დევნილი“, №1, 30 აგვისტო, 1996.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს:

*„უკუეთუ მე მღევნენ, თქვენცა გღევნენ“* (იოანე 15.20). უფალი არა მარტო ღევნეს, არამედ ჯვარზეც კი გააკრეს, მაგრამ მაინც ვერ დაამარცხეს. გვწამდეს გამარჯვებისა და ჩვენ გავიმარჯვებთ.

ღმერთმა დალოცოს ახალი გაზეთი „ღევნილი“ და მისი ავტორები. ღმერთმა შეაძლებინოს მათ კეთილი მოძაველისადმი იმედისა და რწმენის განმტკიცება.

ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი  
ღანიელი

გაზეთი „ღევნილი“, №1, 30 აგვისტო, 1996.

27 საქმეგმარი უნდა იქნეს ღიღი საერთო-ეროვნული პროტესტის  
დასაწყისად

აფხაზეთიდან ღევნილ მოსახლეობას,  
სრულიად საქართველოს!

თანამეგობრებო!

ახლოვდება 27 სექტემბერი – საერთო-ქართული ეროვნული კატასტროფის დღე. იწურება მესამე წელი სოხუმისა და აფხაზეთის დაცემიდან. მთელი ამ ხნის მანძილზე, მიუხედავად საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის საკმაოდ აქტიური დიპლომატიური მცდელობებისა, რომელთა შედეგადაც უთუოდ შეიქმნა გარკვეული პოზიტიური იდეოლოგიური ფონი სეპარატიზმთან ბრძოლაში, მაინც ვერ მოხერხდა რეალური ნაბიჯების გადადგმა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. კვლავ მოწყვეტილია დედა-სამშობლოს აფხაზეთი – საქართველოს ძირ-ძველი კუთხე, რომელიც, თავის დროზე, ისტორიამ საერთო-ქართული ერთიანობისა და სიმტკიცის სიმბოლოდ აქცია. მშობლიურ კერებს ვერ უბრუნდება 300 ათასზე მეტი ღევნილი. გუდაუთელ სეპარატიზმთა ფაშისტური რეჟიმი აგრძელებს საკუთარი ხალხის გენოციდს. ინგრევა და ნადგურდება საუკუნეების მანძილზე ქართველი კაცის ხელით შექმნილი მატერიალური და სულიერი ფასეულობანი. არა აქვს საზღვარი ვლადისლავ არძინბას და მის თანამზრახველთა, მათ ჩრდილოელ მფარველთა ანტიქართულ გამოხდომებს. სეპარატიზმი ლიდერების ანტიხალხური პოლიტიკის მსხვერპლი შეიქმნა თვით აფხაზობაც, რომელიც, სამწუხარ-

როდ, ჯერ კიდევ ვერ გამოსულა მტრობისა და სიძულვილის კომუნისტური დან, ვერ გაუცნობიერებია ის ტრაგიკული ფინალი, რომელსაც უმზადებენ მას თითქოს ვერეთ წოდებული „დამოუკიდებელი აფხაზეთისათვის“ მებრძოლი, ხოლო სინამდვილეში, კომუნისტურ-იმპერიული რუსეთის მიერ დაქირავებული ვაი-ბელადები.

1993 წლის 27 სექტემბერი უდიდესი ეროვნული ტრაგედიის დღეა მთელი საქართველოსათვის. თავისი მნიშვნელობით ის უტოლდება 1921 წლის 25 თებერვალს, როდესაც ბოლშევიკური რუსეთის ურდოებმა მოლაღატურად სიცოცხლე მოუსწრაფეს ახალბედა ქართულ სახელმწიფოს და ქართველი ხალხი დიდი ხნით კვლავ აცდინეს ეროვნული აღმშენებლობის მაგისტრალურ გზას. 70 წლის შემდეგ იმპერიამ ახალი „ჯვაროსნული ლაშქრობა“ მოაწყო ურჩი საქართველოს წინააღმდეგ და ისევ მოახერხა მისი სამაგალითოდ დასჯა. უთანასწორო ბრძოლაში ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ ეს არაა საბოლოო მარცხი, ეს მხოლოდ იძულებითი უკანდახევია. არავინ იფიქროს, რომ ქართველობა ოდესმე შეურიგდება აფხაზეთის დაკარგვას. ნურავინ ნუ მიეცემა ილუზიებს, რომ ჩვენ წინაპართა საფლავებს უპატრონოდ მივატოვებთ და მათ მტრის საჯიჯვანად ვაქცევთ.

თანამემამულენო! აფხაზეთიდან დევნილნო! სრულიად საქართველოს მოქალაქენო! ეს უკვე მესამედ ვხვდებით 27 სექტემბერს უაფხაზეთოდ. სამწუხაროდ, წინა წლებში ჩვენ ვერ მოვახერხეთ და, ვთქვათ სიმართლე, რატომღაც არ მოვინდომეთ ამ ავბედითი თარიღის გულთან მიტანა და მისი შესაფერისი შინაარსით აღნიშვნა. ამას შეიძლება ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ როდემდე არ გავუსწოროთ თვალი მწარე სინამდვილეს. ზომ ცნობილია, რომ ქვეყნის ისტორიაში არის როგორც დიადი თარიღები, ისე ტრაგიკული მოვლენები, რომელნიც წარუშლელ კვალს სტოვებენ ერის ცნობიერებაში. ერის სულიერი სიჯანსაღე სწორედ იმაში ვლინდება, რომ გულდასმით გაანალიზოს წარსულის შეცდომები, სწორი ახსნა მოუძებნოს მის თავზე დატრიალებული ტრაგედიის მიზეზებს და ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ მომავალში თავიდან აიცილოს ახალი უბედურებანი. სწორედ ასე უნდა გავიაზროთ ჩვენ 1993 წლის 27 სექტემბერი – დღე საერთო-ეროვნული სირცხვილისა და პატივყარისა. ამიტომ საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ მოგიწოდებთ ყველას: დევნილებსა და არადევნილებს, თითოეულ ქართველს, ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს, ყველა კეთილი ნების ადამიანს – გამოვიდეთ ამ დღეს საერთო-ეროვნულ აქციაზე და გამოვხატოთ ჩვენი საყოველთაო გულისტკივილი უდიდესი ტრაგედიის გამო.

მაგრამ 27 სექტემბრის აქცია სულაც არ უნდა იყოს მხოლოდ გლოვისა და წუხილის დემონსტრირება. გარდა იმისა, რომ ამ დღეს მთელმა

საქართველომ მუხლი უნდა მოიდრიკოს სამშობლოს ერთიანობისთვის გმირულად დაცემული მამულიშვილების საფლავებთან, 27 სექტემბერი უნდა იქცეს დიდი საერთო-ეროვნული პროტესტის დასაწყისად იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ვერ ელევიან საქართველოს და კვლავ განაგრძობენ ბრძოლას მისი იმპერიის კლანჭებში მოსაქცევად. ეს დღე, ისევე, როგორც 1989 წლის 9 აპრილის დიადი ეპოპეა, უნდა გახდეს ჭეშმარიტად საერთო-ეროვნული კონსოლიდაციისა და საერთო მიზნის მისაღწევად მთელი ჩვენი ძალისხმევების სრული მობილიზაციის იმპულსის მომცემი. დაე, ყველამ იგრძნოს, რომ ქართველი კაცი მანამ არ ჩააგებს მახვილს, სანამ საკადრის არ მიუზღავს მომხდურთ და მთლიანად არ გაწმინდავს მშობლიურ მიწა-წყალს გარეშე თუ შინაური მტრებისაგან.

**თანამემამულენო!** მაშ ვიყოთ ღირსნი ამ ისტორიული მისიისა და შევფიცოთ ერთმანეთს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ აფხაზეთის დასაბრუნებლად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ საქართველოს!  
დაე, გვფარავდეს უფალი ჩვენს სამართლიან ბრძოლაში!

აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭო  
თბილისი, 28 ივნისი, 1996 წ.

საქართველოს პარლამენტის 17 აპრილის დადგენილება მხროლედ  
დემკლარაცია

აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს  
განცხადება

როგორც ცნობილია, 1996 წლის 17 აპრილს საქართველოს პარლამენტმა ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიიღო დადგენილება: „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნული დადგენილება არის ამ ღონის პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც მიიღო საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით. ამდენად საზოგადოებრიობის, პირველ რიგში კი, დევნილი მოსახლეობის ცხოველი ინტერესი ამ დადგენილებისადმი სრულიად გასაგებია. აქედან გამომდინარე, „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“, რომელიც წარმოადგენს აფხაზეთის მრავალათასიან მკვიდრ მოსახლეობას, თავს ვალდებულია თვლის, გა-

აცნოს საზოგადოებას „კავშირის“ დამოკიდებულება აღნიშნული დოკუმენტის მენტიხსადმი.

პირველი და უმთავრესი, რომელზედაც ჩვენ საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას, არის ის, რომ პარლამენტის დადგენილება თავისი შინაარსით საკმაოდ რთული დოკუმენტია და მასში მოცემული ყველა შეფასება თუ კონფლიქტის მოწესრიგებისათვის გამიზნული ღონისძიება ერთგვაროვნად არ აღიქმება.

უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ პარლამენტის დადგენილებაში საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში განვითარებული მოვლენები ფაქტობრივად პირველად აღიარა ოფიციალურად, „როგორც სეპარატისტთა მიერ რუსეთის ანტიდემოკრატიული, რეაქციული და სხვა გარეშე ძალების დახმარებითა და მონაწილეობით საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედება“, რომელსაც მოჰყვა ქვეყნის მთლიანობის დარღვევა, „საქართველოს განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთის ოკუპაცია“, ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი.

დადგენილებაში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია სწორადაა შეფასებული, „როგორც პოლიტიკური კონფლიქტი აფხაზეთში“ და არა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ზოგადად. აქედან გამომდინარე, საკვებით ლოგიკურია კონფლიქტის მონაწილე მხარეებად თბილისში განთავსებული აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და აფხაზეთის სეპარატისტული დაჯგუფების გამოცხადება. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ასე დაგვიანებით მივიდა ამ დასკვნამდე, უფრო მეტიც, 1992 წლის 14 აგვისტოდან დღემდე არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ კონფლიქტი იმთავითვე „შიდა აფხაზურ“ ჩარჩოებში მოქცეულიყო და მისი მოწესრიგების საქმეში პრიორიტეტი აფხაზეთის ძველი ქართული მოსახლეობის წარმომადგენლობას (როგორც სამთავრობო, ისე საზოგადოებრივ სტრუქტურებს) მინიჭებოდათ. სწორედ ამგვარი მიდგომის შედეგია ის, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ვუდაუთის სეპარატისტული რეჟიმი, როგორც აფხაზეთის მხარე, მონაწილეობს მოლაპარაკებით პროცესში საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ხოლო პარლამენტის დადგენილებით დღეს უკვე აფხაზეთის ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად აღიარებული სტრუქტურები: ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მინისტრთა საბჭო, – ფაქტობრივად გამოთიშულნი არიან ამ პროცესიდან.

„კავშირი“ თვლის, რომ ამ და მთელ რიგ სხვა ძირითადად მისაღებ დებულებებთან ერთად დადგენილებაში გვხვდება ცალკეული ძნელად აღსაქმელი, ამასთან, ზოგჯერ აზრობრივად გაუმართავი პუნქტებიც. ასე, მაგალითად: სრულიად გაუგებარია დადგენილების ის პუნქტი (მე-10), რომელშიც ლაპარაკია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელი-



სუფლების „სტატუსით განსაზღვრულ და რეალური ვითარებით განსაზღვრულ პრობლემებზე“, რომელთა გადაწყვეტაში საქართველოს მთავრობამ „ქმედითი დახმარება“ უნდა გაუწიოს აფხაზეთის ხელისუფლებას. საკითხავია, თუ რომელი „სტატუსით განსაზღვრული“ პრობლემა ნაგულისხმევი ამ პუნქტში.

და მაინც პარლამენტის დადგენილების ყველაზე პრინციპულ ხარვეზად „კავშირს“ მიაჩნია ის, რომ გასატარებელ ღონისძიებათა უმრავლესობის რეალურად განხორციელება დღევანდელ პირობებში საქართველოს ხელისუფლებას პრაქტიკულად არ შეუძლია, რაც დადასტურდა თუნდაც ამას წინათ მოსკოვში დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა 17 მაისს ჩატარებულ სამიტზე, როდესაც საქართველოს დელეგაციამ, ვერ მიაღწია რა მანდატის შეცვლას, მაინც კიდევ ორი თვით გაუგრძელა კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადა რუსეთის სამშვიდობო ძალებს. ამით საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უკვე დაარღვია საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც „ახალ მანდატში საქართველოს წინადადებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სამშვიდობო ოპერაცია ჩაითვალოს უპერსპექტივოდ და სამშვიდობო ძალები ორი თვის ვადაში გაყვანილ იქნეს საქართველოს ტერიტორიიდან“.

ასევე საეჭვოა, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა „განახორციელონ სახელმწიფო საზღვრის ურღვევობის, სეპარატიზმის დაგმობისა და იზოლაციის... ღონისძიებები“. სახელმწიფო საზღვრის ურღვევობის უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების უმთავრესი ფუნქციაა და ამ ფუნქციის შესრულებას პარლამენტის საგანგებო გადაწყვეტილება არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ სავალალო სწორედ ისაა, რომ დღევანდელი საქართველო ჯერჯერობით საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს ყოველივე ამას.

და ბოლოს, ზოგადად აფასებს რა აფხაზეთის საკითხზე გამართულ საპარლამენტო დებატებს და იქ მიღებულ გადაწყვეტილებებს, „კავშირი“ გულისხმობს ალნიშნავს, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ბოლომდე არ ეყო გამბედაობა, მოვლენებისათვის მიეცა პირუთვნელი, ობიექტური შეფასება და აფხაზეთში განცდილი უდიდესი ეროვნული კატასტროფის მიზეზთა ძიებისას მხოლოდ „საქართველოს ზოგიერთი თანამდებობის პირის“ პასუხისმგებლობის და „ზოგიერთი ქართველის“, ასევე „სხვა ერისა თუ ეროვნების წარმომადგენლის წინდაუხედავი და დანაშაულებრივი ქმედებების“ დაფიქსირებით შემოიფარგლა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირს“ მიაჩნია, რომ პარლამენტის დადგენილება, არსებითად, დეკლარაციული ხასიათისაა, მასში არ დევს შესრულების რე-



ალური მექანიზმი და, ამდენად, საეჭვოა, აღნიშნულმა დადგენილებამ იმე გარდატეხა შეიტანოს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში.

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭო**  
თბილისი, 24 მაისი, 1996 წელი.

„სამშვიდობო ძალებმა“ უნდა დატოვონ კონფლიქტის ზონა

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება**

როგორც ცნობილია, 1996 წლის 19 ივლისს რუსეთის ფედერაციის ე.წ. „სამშვიდობო ძალებს“ კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადა გაუვიდათ. ამით „სამშვიდობო ოპერაციაში“, რომელზედაც ასეთ დიდ იმედებს ამყარებდა საქართველოს ხელისუფლება, გაუბედურებული დევნილი მოსახლეობა, სრული კრაზი განიცადა. დაპირება იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ნაწილები უზრუნველყოფდნენ დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებას მშობლიურ ადგილებში, კიდევ ერთი ცინიზმით აღსავსე სიცრუე აღმოჩნდა. განვლილი ორი წლის განმავლობაში, რაც ხორციელდებოდა ე.წ. „სამშვიდობო ოპერაცია“, ვერა თუ ვერ მოხერხდა დევნილთა მასობრივი დაბრუნება აფხაზეთში, არამედ, პირიქით, უფრო მეტი ინტენსივობით გაგრძელდა იქ ჩარჩენილი ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და გენოციდი.

„სამშვიდობო ოპერაციის“ ჩაშლამ, რაც დღეს უკვე სრულიად აშკარაა, ერთხელ კიდევ ნათლად აჩვენა რუსეთის ფედერაციის, როგორც სამშვიდობო პროცესის გარანტის, სრული უსუსურობა და უნიათობა. უფრო მეტიც, გამართლდა ეჭვი, რომ რუსეთის მხარეს არც ჰქონდა განზრახული ჩაეტარებინა აფხაზეთში ყოვლისმომცველი სამშვიდობო ოპერაცია, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის რეალური აღდგენა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ერთადერთი ამოცანა, რომელსაც რუსეთის „სამშვიდობო ძალებმა“ ამ ხნის მანძილზე მართლაც „წარმატებით“ გაართვეს თავი, ესაა ხელოვნურად შექმნილი აფხაზეთის ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის“ დაცვა, რითაც უზრუნველყვეს ვ. არძინბას ფაშისტური რეჟიმის უსაფრთხოება.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, საზოგადოებრივმა მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირმა“ 1996 წლის 17 ივლისს ქ. ზუგდიდში, ხოლო 19 ივლისს ქ. თბილისში მოაწყო გამაფრთხილებელი საპროტესტო აქციები, რომელზედაც ცალსახად გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება სამშვიდობო ოპერაციის შემდგომი გაგრძელებისადმი

და საქართველოს ხელისუფლების წინაშე რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ კონფლიქტის ზონიდან დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი დააყენა. სამწუხაროდ, დევნილთა ამ სამართლიან მოთხოვნას არაკითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამასობაში კი რუსეთის „სამშვიდობო“ ნაწილები, ამჯერად უკვე ყოველგვარი საკანონმდებლო ბაზის გარეშე, განაგრძობენ თავიანთი მისიის შესრულებას და არც კი ფიქრობენ კონფლიქტის ზონის დატოვებას. მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებებს საშვიდობო ძალებისათვის მანდატის შეცვლის თაობაზე, რომლებიც რატომღაც მხოლოდ 19 ივლისის შემდეგ განახლდა, ბოლო არ უჩანს და თუ გავითვალისწინებთ ახლო წარსულის გამოცდილებას, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამან რაიმე შედეგი გამოიღოს.

ასეთ ვითარებაში განცვიფრებას იწვევს საქართველოს პარლამენტის პასიურობა. საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ 1996 წ. 17 აპრილის დადგენილების თანახმად რუსეთის სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის ზონაში ჯერ კიდევ 1996 წ. 19 მაისს უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ საქართველოს პარლამენტმა, გამოამჟღავნა რა საკუთარი დადგენილებისადმი სრული უპატივცემლობა, ჯერ იყო და წაუყურა აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებას რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ კონფლიქტის ზონაში კიდევ ორი თვით დატოვების შესახებ, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ მას არაკითარი რეაგირება არ მოუხდენია აღნიშნულ ფაქტზე. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტმა უხეშად დაარღვია თავისი დადგენილება და არ მოიწვია საგანგებო სხდომა, რომელზედაც სწორედ ხსენებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე უნდა ემსჯელა.

საქართველოს ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება ქვეყნის ყველაზე მტკივნეული საკითხისადმი იწვევს აფხაზეთიდან გამოდევნილი გაწამებული და გაუბედურებული მოსახლეობის სამართლიან ვულისწყრომას. აქედან გამომდინარე, „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“, რომელიც წარმოადგენს აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის ფართო საზოგადოებრივ მოძრაობას, იძულებულია კატეგორიულად მოითხოვოს საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისაგან მათთვის კონსტიტუციით დაკისრებული მოვალეობების შესრულება – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, რის პირობად მიგვაჩნია რუსეთის მხარის შუამავლობაზე საბოლოოდ უარის თქმა, კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ დაუყოვნებლივი გაყვანა და ქმედითი, და არა მოჩვენებითი, ნაბიჯების გადადგმა აფხაზეთში საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად.

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭო**  
ნ აგვისტო, 1996 წელი, თბილისი.

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ცნო არძინბას აფხაზეთის სამხედრო უწყება

### აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 7 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დასავლეთ საქართველოში ჩაატარა სამხედრო მანევრები, რომელიც არაერთმნიშვნელოვნად აღიქვა საზოგადოებრიობამ. იმ პოზიტიური ემოციების ფონზე, რომელიც უდავოდ გამოიწვია ახალგაზრდა ქართული ჯარის მიერ წვრთნის დროს ნაწვენებმა პროფესიონალიზმმა და მხედრულმა შემართებამ, აფხაზეთიდან დევნილები შესძრა ამ მანევრებზე აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო სტრუქტურების ძალადი რანგის ოფიცრების, ვ. არძინბას „გენერლების“ – ვ. არშბასა და მ. ქიშმარიას მოწვევამ. საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“, ითვალისწინებს რა 300-ათასიანი დევნილი მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას ამ აღმაშფოთებელი ფაქტის გამო, იძულებულია გამოვიდეს პროტესტით და მოითხოვოს სათანადო განმარტება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და უმაღლესი მთავარსარდლის მხრიდან.

„აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ქართველთა გენოციდის ორგანიზატორთა და უშუალო შემსრულებელთა მოწვევა სამხედრო მანევრებზე, რომ არაფერი ვთქვათ საკითხის პოლიტიკურ მხარეზე – ამით საქართველოს სამხედრო უწყებამ ფაქტობრივად სცნო „სუვერენული“ აფხაზეთის „სახელმწიფოს“ სამხედრო სტრუქტურა – შეურაცხყოფელია დევნილი მოსახლეობისათვის. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, მკრეხელობაა აფხაზეთში მოწყობილი გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის წინაშე. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ როგორ აქვთ გაცნობიერებული საქართველოს სამხედრო უწყების მესვეურთ აფხაზეთის ტრაგედია და რამდენად ახლოს მიაქვთ მათ გულთან დევნილთა სატკივარი.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, თუ არა საგანგაშო, ის გარემოება, რომ ეს „მოწვევა“ მომხდარა ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ სარდლის გენერალ ვ. იაკუშევის ინიციატივით და თურმე მიზნად ისახავდა ქართული ჯარის მანევრებით გაღიზიანებული აფხაზი სეპარატისტების დამშვიდებას. ამით ბატონმა ვ. იაკუშევმა და გუდაუთის ფაშისტურმა რეჟიმმა,



ისარგებლეს რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაუდევრად და ბედოვლათობით, კიდევ ერთი სილა გააწნეს ქართულ სახელმწიფოებრიობას. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა რუსეთის სამხედრო უწყების მარწუხებისაგან და ვერ იქცა ჭეშმარიტად დამოუკიდებელ სტრუქტურად, რომელსაც ხელეწიფება მტკიცე ეროვნულ ნიადაგზე შემდგარი არმიის ფორმირება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ კატეგორიულად აყენებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, პირადად მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს და მიაჩნია, რომ დადგა დრო, პრინციპულად გადაისინჯოს ეროვნული არმიის მშენებლობის კონცეფცია; ერთხელ და სამუდამოდ უარი ითქვას მეზობელი სახელმწიფოს „ხელმძღვანელ და წარმმართველ როლზე“ საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნის საქმეში და ეს პროცესი მთლიანად დაუქვემდებარდეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ინტერესებს.

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი  
საბჭოს პრეზიდიუმი  
თბილისი, 13. VIII. 96 წ.**

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი გმობს საქართველოს  
პარლამენტის დაღბენილების რეპეზიციას**

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს  
პრეზიდიუმის განცხადება**

როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერალური კრების ზედა პალატამ – ფედერაციის საბჭომ თანხმობა მისცა აფხაზეთში განლაგებულ ე.წ. „სამშვიდობო ძალებს“, გააგრძელონ თავიანთი მისია კონფლიქტის ზონაში 1997 წ. 31 იანვრამდე. საქართველოს ხელისუფლებამ ფაქტობრივად თვითონ „მისცა სანქცია“ რუსეთის ფედერაციის საბჭოს ამ გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც, ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან ამ ბოლო დროს ადგილი აქვს აშკარა მცდელობას ყოველმხრივ გაამართლონ და დაასაბუთონ აფხაზეთში საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენამდე დევნილთა

მშობლიურ კერებში დაბრუნების აუცილებლობა. ეს პრინციპში მოქმედებული და ამასთან უაღრესად საშიში ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას ამასწინანდელ პუბლიკაციაში (გაზ. „კავკასიონი“, №138-139; 13-14 ივლისი, 1996 წ.).

საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“, შემოთავაზებულია რა კონფლიქტის ზონაში რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ ყოფნის ვადის გაგრძელებითა და მის ირგვლივ ატეხილი პროპაგანდისტული აჟიოტაჟით, პროტესტს აცხადებს ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკავებული პოზიციის გამო.

„დევნილთა კავშირს“ მიაჩნია, რომ საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია პარლამენტის ა.წ. 17 აპრილის დადგენილება. მტკიცება, რომ „სამშვიდობო ძალების“ მანდატში შეტანილი ცვლილებები თითქოს პრინციპულად ცვლიდეს სამშვიდობო ოპერაციის ხასიათს და რეალურად უზრუნველყოფდეს დევნილთა უსაფრთხოებას გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური გულუბრყვილობისა და არაკომპეტენტურობის კიდევ ერთი გამოვლინებაა. დროა, ბოლოს და ბოლოს, შევეშვათ ილუზიებს, საკუთარი თავისა და გაუბედურებული ხალხის მოტყუებას. სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ვ. არძინბას ფაშისტური რეჟიმის პირობებში დევნილთა დაბრუნება სულაც არ იქნება „ღირსეული“. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი ხალხის უმოწყალოდ გაწირვა და ბედის ანაბარად მიტოვებაა.

ამკარაა, რომ ამით ჩვენ ტერიტორიასთან ერთად ხალხსაც დაგვარავთ. გარდა ამისა, აფხაზეთში საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენამდე დევნილთა დაბრუნებით ჩვენ თვითონვე შევეუწყობთ ხელს „სუვერენული“ აფხაზეთის „სახელმწიფოს“ ეკონომიკურ მოღონიერებას; იქ რეფერენდუმისა და „საყოველთაო“ არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო პირობების მომზადებას, რითაც ვუზრუნველვყოფთ უკვე დე-ფაქტოდ არსებული „აფხაზური“ სახელმწიფოებრიობის იურიდიულ გაფორმებას. ეს კი დანამაულის ტოლფასი კიდევ ერთი ტრაგიკული შეცდომა იქნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“, გამოხატავს რა დევნილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აზრს, გმობს საქართველოს პარლამენტის 1996 წ. 17 აპრილის დადგენილების რევიზიის ნებისმიერ მცდელობას, ვისი მხრიდანაც უნდა მოდიოდეს ის და კატეგორიულად მოითხოვს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსგან სათანადო განცხადების გაკეთებას შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი  
საბჭოს პრეზიდენტი  
თბილისი, 20 აგვისტო 1996 წ.

## დადგა ჟამი პოზიციების ძირეული გადასინჯვისა

### აფხაზეთიდან დევნილთა საპროტესტო აქცია-მიტინგის რეზოლუცია

1996 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემისა და აფხაზეთის დროებით დაკარგვის სამი წლისთავის აღსანიშნავად, თბილისში ჩატარდა მრავალათასიანი სამკლოვიარო-საპროტესტო მიტინგი, რომელშიც დევნილებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საქართველო უკვე მესამედ ხვდება 27 სექტემბერს უაფხაზეთოდ. სამი წელია გრძელდება ტრაგედია გაუბედურებული, ფიზიკურად და სულიერად განადგურებული ხალხისა, რომელიც მოუთმენლად, და ჯერჯერობით ამაოდ, ელოდება მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას. საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მიაღწია ვარდატენას აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში. უფრო მეტიც, დღეს არავითარ ეჭვს არ იწყევს, რომ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის კურსმა – რუსეთზე და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაზე დაყრდნობით გადაეჭრა აფხაზეთის პრობლემა – სრული კრახი განიცადა. ილუზიების, საკუთარი თავისა და ხალხის მოტყუების დრო დამთავრდა. დადგა ჟამი პოზიციების ძირეული გადასინჯვისა და აქტიურ მოქმედებებზე გადასვლისა. დროა შემოვკრათ განგაშის ხარები და ფეხზე დავაყენოთ სრულიად საქართველო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიტინგის მონაწილენი ერთხმად გამოთქვამენ პროტესტს საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთის საკითხში გატარებული ინერტული, არათანმიმდევრული პოლიტიკის გამო და მშობლიურს:

1. საქართველოს პარლამენტმა მოიწვიოს საგანგებო სხდომა და მიიღოს გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონიდან ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ;

2. საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვას რუსეთის შუამავლობაზე, გადასინჯოს მასთან სამხედრო-სამოკავშირეო ურთიერთობები და მიიღოს გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების დაუშვებლობისა და საქა-

როველოს მთელი ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ;

3. საქართველოს პარლამენტმა აღიაროს დსთ-ში საქართველოს შემდგომი დარჩენის სრული უპერსპექტივობა და მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს ამ ორგანიზაციიდან გამოსვლის შესახებ;

4. ეთხოვოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს, განიხილოს მისი მუდმივი წევრის — რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც მოახდინა მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, გაეროს წევრი ქვეყნის — საქართველოს მიმართ აგრესია და მისი ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ოკუპაცია;

5. საქართველოს ხელისუფლებამ შეწყვიტოს ყოველგვარი მოლაპარაკება გუდაუთის აპარტიდულ, ფაშისტურ რეჟიმთან — სისხლის სამართლის დამნაშავეებთან და არ დაუშვას არჩევნების ჩატარება აფხაზეთში.

ჩვენი ამ სამართლიანი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში დევნილ მოსახლეობას, სრულიად საქართველოს ექნებათ სრული საფუძველი იფიქრონ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება უძღურია დაიბრუნოს აფხაზეთი და აღადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. შესაბამისად, მიტინგის მონაწილენი ვიტოვებთ უფლებას სათანადო შეფასება მივცეთ საქართველოს ხელისუფლების უუნარობას და პრინციპულად შევცვალოთ დამოკიდებულება მისადმი.

მიტინგის მონაწილენი  
ქ. თბილისი, 27 სექტემბერი, 1996 წ.

პარლამენტის ახალი დაღმენილებები ვერ შეიტანენ  
ბარდატმას აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საქმეში

აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს  
განცხადება

როგორც ცნობილია, ა.წ. 1-2 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა ჩაატარა მორიგი საგანგებო სხდომა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით და მიიღო ორი დადგენილება: 1. „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრი-



გების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პარლამენტის 1996 აპრილის დადგენილების შესრულების თაობაზე“ და 2. „აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის მიერ შექმნილი მძიმე ვითარებისა და უკანონო არჩევნების დანიშნით გამოწვეული კრიზისული მდგომარეობის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. რამდენიმე დღით ადრე (26 სექტემბერს) კი ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც ასევე მიიღო დადგენილება „აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მდგომარეობა და მიმდინარე ამოცანები“. ამ დოკუმენტებით საქართველოს ხელისუფლებამ თითქოს შეაჯამა აფხაზეთის დაკარგვიდან დღემდე – სამი წლის განმავლობაში – მის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგები და დასახა სამომავლო ამოცანები. იმის გამო, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს აღნიშნულ გადაწყვეტილებებს მოცემული მიმართულებით ფაქტობრივად ხელისუფლების ერთგვარი სამოქმედო პროგრამის დატვირთვა აქვთ, საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ მთავარი საბჭო თავს მოვალედ თვლის, საზოგადოებრიობას გააცნოს თავისი დამოკიდებულება ამ დოკუმენტებისადმი.

„დევნილთა კავშირი“, პირველ რიგში, მიესალმება პარლამენტისა და მისი ხელმძღვანელობის მებრძოლ განწყობილებას და უსურვებს ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, მომავალშიც შეენარჩუნებინოს ეს პათოსი. ამასთან „კავშირს“ მიაჩნია, რომ, სამწუხაროდ, პარლამენტის დადგენილებები სრულებითაც არ არის ადეკვატური საზოგადოებაში და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ემულონებში ატეხილი იმ აჟიოტაჟისა, რომელიც წინ უძღოდა 1-2 ოქტომბრის საპარლამენტო დებატებს. ერთადერთი პრინციპული წინსვლა, რომელიც უდავოდ ახლავს პარლამენტის დადგენილებას, არის ის, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურ დონეზე არსებითად პირველად დააფიქსირა თავისი პრეტენზიები რუსეთის ფედერაციის მიმართ და სერიოზულად გააფრთხილა რუსეთის მხარე მოსალოდნელი შედეგების გამო.

„დევნილთა კავშირი“ თვლის, რომ სრულიად ზედმეტი და არაფრის მთქმელია პარლამენტის დადგენილება 17 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. დღეს უკვე აშკარაა, რომ 17 აპრილის გადაწყვეტილება პრაქტიკულად არ შესრულდა. საქართველოს პარლამენტმა, აღიარა რა ეს ჭეშმარიტება, ვერ გამოიჩინა სათანადო სახელმწიფოებრივი მიდგომა და მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას დასჯერდა. არადა, უპრიანი იქნებოდა ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს სერიოზულად და კვალიფიციურად ემსჯელა დადგენილების შესრულებლობის მიზეზებზე და, რაც მთავარია, დაეყენებინა აღმასრულებელი ხელისუფლების იმ სტრუქტურების პასუხისმგებლობის საკი-

თხი, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილების პუნქტების რეალიზაცია. ამასთან სრულიად უსუსურად გვეჩვენება აგრეთვე პარლამენტის მცდელობა, დადგენილების შეუსრულებლობა ახსნას ობიექტური მიზეზებით. „კავშირი“ თვლის, რომ ხელისუფლების უზენაეს ორგანოს ევალებოდა წინასწარ განეჭვრიტა ობიექტური დაბრკოლებები, რომლებმაც მართლაც რამდენადმე შეუშალეს ხელი დადგენილების შესრულებას. საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ, თავის დროზე, აფხაზეთიდან დევნილთა კავშირმა“ მიუთითა დადგენილების დეკლარაციულ ხასიათზე და საეჭვოდ მიიჩნია მასში მოცემული პროგრამის რეალურად განხორციელება, რაც სამწუხაროდ გამართლდა კიდევ.

სავსებით სწორად აღნიშნა რა, რომ „1994 წლის ივნისიდან დღემდე არ შესრულდა რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებული თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატით მინიჭებული ფუნქცია – დევნილთა უსაფრთხო და ორგანიზებული დაბრუნებისათვის ხელის შეწყობა.“ პარლამენტმა არ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა და არ დააყენა ე.წ. „სამშვიდობო მისიის“ ვადამდე შეწყვეტისა და აფხაზეთიდან რუსეთის შეიარაღებული ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი. ამით პარლამენტმა სრული იგნორირება გაუწია ა.წ. 17 აპრილის დადგენილებას, დევნილი მოსახლეობის, საერთოდ საქართველოს ფართო საზოგადოებრიობის სამართლიან მოთხოვნას კონფლიქტის ზონიდან ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ გაყვანის შესახებ.

ამრიგად, მიუხედავად ცალკეული პოზიტიური მომენტებისა, პარლამენტის ახალი დადგენილებები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე არ შეიძლება მივიჩნიოთ იმ დონის დოკუმენტებად, რომელთაც შეუძლიათ გარდატეხა შეიტანონ პრობლემის გადაჭრის საქმეში და ისევე, როგორც 17 აპრილის დადგენილება, არ შეიცავენ შესრულების რეალურ მექანიზმებს. აქედან გამომდინარე, საეჭვოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებებით საქართველოს ხელისუფლებამ რაიმე გავლენა მოახდინოს მიმდინარე პროცესებზე, მით უფრო არ დაუშვას აფხაზეთში დანიშნული უკანონო არჩევნების ჩატარება.

რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებას, მას პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რამეთუ თბილისში განთავსებულ აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოებს – უზენაეს საბჭოს, მინისტრთა საბჭოს – არ გააჩნიათ საკუთარი დადგენილებების რეალიზაციის არავითარი ბერკეტები. ეს ორგანოები, ფაქტობრივად, იგნორირებულია თვით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. ამდენად, აღნიშნული დადგენილებები სხვა არაფერია, თუ არა უფუნქციოდ დარჩენილი „ხელისუფლების ორგანოს“ მოჩვენებითი „მოღვაწეობის“ მორიგი დემონსტრირება, რაც უმთავრესად დევნილი მოსახლეობის დასამშვიდებლად და მოსატყუებლადაა გაძიხნული.

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭო**  
თბილისი, 31 ოქტომბერი, 1996 წ.

## НАШЕМУ ВОЗВРАЩЕНИЮ НЕТ АЛЬТЕРНАТИВЫ

### Обращение к гражданам, проживающим в Абхазии

#### Соотечественники!

Мы, волею превратностей судьбы, изгнанные со своих родных очагов, потерявшие родных и близких, ставшие жертвами антинародных действий безответственных авантюристов и недалёковидных политиков, превратившиеся в разменную монету в грязной международной игре, в эту критическую для всех нас пору обращаемся к Вам - оставшимся в Абхазии - вчерашним соседям, друзьям, родственникам, сослуживцам, просто согражданам.

Войны затеваются не народами, а их правителями, но за их последствия расплачиваются простые люди. Так случилось и в так называемой "абхазской войне". Теперь уж совершенно очевидно, что эта навязанная извне братоубийственная война всем нам - жителям Абхазии - принесла одно горе и невозполнимую боль утрат; что в ней не было и не могло быть победителей; все мы являемся жертвами этой грязной авантюры.

К сожалению, несмотря на эту очевидную истину, и сегодня не все осознают до конца всю глубину произошедшей со всеми нами трагедии. Свидетельством этого является попытка определенных кругов узаконить и увековечить результаты войны путем проведения так называемых "Всеобщих выборов". Скажем прямо, все это не только незаконно и несправедливо, но и чрезвычайно опасно и чревато непредсказуемыми последствиями. Надо понять, что сейчас вопрос мирного решения абхазского конфликта, главным образом, зависит именно от Вас - оставшихся в Абхазии. Надо раз и



навсегда отбросить всякие иллюзии и наконец сделать встречу шаг к примирению.

**Нашему возвращению нет альтернативы - мы непременно вернемся к своим очагам.** Это просто вопрос времени.

Альтернатива в другом: произойдет это мирно - по доброй воле и обоюдному согласию, или вновь прольется кровь наших сыновей и дочерей.

Мы беспорно за мирное решение. Слово за вами.

Проведение т.н. "выборов" в Абхазии 23 ноября 1996 года вздвигнет еще одну труднопреодолимую стену непонимания и вражды между нами - изгнанниками из Абхазии и оставшимися там.

Так будем же благоразумны, не поддадимся новой провокации наших недругов, откажемся от очередного рокового шага и скажем **НЕТ** незаконным выборам.

**Главный совет Союза Изгнанников из Абхазии**  
Тбилиси, 19.11.1996г.

საქართველოს საპარტიო-საპარლამენტო ოპოზიციის  
სამართლის სუბიექტად

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს  
განცხადება**

როგორც ცნობილია, მიმდინარეობს მზადება დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა მორიგი სამიტისათვის, რომელზედაც უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება აფხაზეთში ე.წ. „სამშვიდობო ოპერაციის“ გავრცელება-არგავრცელების შესახებ. სამიტის წინ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გვერდის ავლითა და სრული იგნორირებით, დევნილი მოსახლეობის ზურგს უკან, გახშირდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტაქტები გუდაუთის სეპარატისტულ რეჟიმთან. ამ შეხვედრებზე მთავარ თემად, როგორც ირკვევა, კვლავაც რჩება გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების საკითხი. ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ სეპარატისტები ამას პირდაპირ უკავშირებენ აფხაზეთისათვის ეკონომი-



კური ბლოკადის მოხსნასა და სარკინიგზო-საავტომობილო მაგისტრალის გახსნას. ამასთან, ღიად რჩება გალის რაიონისა და საერთაშორისო ავიახაზების სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხი, ხოლო დევნილთა მშობლიურ კერებში დაბრუნებაზე ლაპარაკია მხოლოდ 1994 წლის 4 აპრილის შეთანხმების ამკარად დისკრიმინაციული პირობების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც დაბრუნების უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც იარაღით არ იბრძოდნენ „აფხაზეთის წინააღმდეგ“.

ითვალისწინებს რა დევნილი მოსახლეობის მძაფრ ინტერესს აღნიშნული პრობლემებისადმი, საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ თავს მოვალედ თვლის, განაცხადოს შემდეგი:

1. იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ე.წ. „სამშვიდობო მისიამ“ სრული დისკრედიტაცია განიცადა, რაც ფაქტობრივად აღიარა კიდევ საქართველოს პარლამენტმა თავისი 1996 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებით, კავშირი გამოთქვამს მტკიცე პროტესტს რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ კონფლიქტის ზონაში (ნებისმიერი მანდატით) დატოვების მცდელობის გამო და კატეგორიულად მოითხოვს: საქართველოს სახელმწიფო დელეგაციამ, ქვეყნის პრეზიდენტმა დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა მორიგ სამიტზე ცალსახად დასვას „სამშვიდობო ოპერაციის“ შეწყვეტისა და კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი.

2. „კავშირი“ ყოვლად დაუშვებლად და მთელი დევნილი მოსახლეობისთვის უადრესად შეურაცხყოფლად თვლის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ბოლოდროინდელ „სეპარატულ მოლაპარაკებებს“ გუდაუთის ფაშისტური რეჟიმის ლიდერებთან და მიიჩნევს, რომ ეს არის საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების უნეში დარღვევა. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის, რომ ეს მოლაპარაკებები წარმოებს საგარეო საქმეთა სამინისტროს დონეზე, რითაც ფაქტობრივად ხდება აფხაზური მხარის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს, მიაჩვიოს საზოგადოება საქართველო-აფხაზეთს – ორ თანასწორუფლებიან სუბიექტს შორის კონფედერაციული ურთიერთობების დამყარების პერსპექტივას, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვს აფხაზური მხარე.

3. „კავშირი“ იძულებულია, კვლავ დააფიქსიროს თავისი გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება გალის რაიონში დევნილთა შესაძლო დაბრუნებისადმი აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის გარკვევამდე და რეგიონში საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივ აღდგენამდე და ყოველივე ამას განიხილავს, როგორც უადრესად სამიმ ტენდენციას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგები.

აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭო  
თბილისი, 15.1.1997 წ.

### აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხი ტრავიკულ ფაზაში შევიდა. დღეისთვის სრულიად ცხადი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ აქამდე გატარებულმა სამშვიდობო კურსმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. „სამშვიდობო პროცესის“ გარანტიად მიჩნეულმა მხარემ – რუსეთის ფედერაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არ შეასრულა თავისი მისია და, მიუხედავად არაერთგზის დაპირებისა, ოდნავადაც არ იზრუნა მშობლიურ კერებში დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების პირობების შესაქმნელად. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელ ხანს კავკასიის სივრცეში განვითარებულმა მოვლენებმა ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურეს, რომ მოსკოვს აბსოლუტურად არ შესწევს უნარი და არც სურს რაიმე პოზიტიური გავლენის მოხდენა საქართველო-კავკასიაში არსებულ ურთულეს სიტუაციაზე. ერთადერთი მიზანი, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას ამოძრავებს, არის ის, რომ როგორმე დააკონსერვოს და კონტროლიდან არ გაუშვას კავკასიაში არსებული ეთნოკრიზისები და ამ გზით შეინარჩუნოს თავისი გავლენა რეგიონში. ასეთ ვითარებაში შემდგომი ლოდინი და მოვლენების უკან მიყოლა ყოვლად გაუპართლებელი და დანაშაულის ტოლფასია.

საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე სისტემატურად მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, ქვეყნის პრეზიდენტს, დაეკავებინათ უფრო აქტიური პოზიცია, გამოეჩინათ მეტი სიმკაცრე და პრინციპულობა რუსეთთან ურთიერთობებში, მთელი კატეგორიულობით მოეთხოვათ რუსეთის ხელისუფლებისაგან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოწესრიგებისადმი დამოკიდებულების კარდინალურად შეცვლა და ქმედითი, და არა დეკლარაციული, ღონისძიებების გატარება სეპარატისტული რეჟიმების წინააღმდეგ საქართველოში. სამწუხაროდ, დღემდე საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შესძლო რეალური წინსვლის მიღწევა ამ მიმართულებით. პრობლემის მოგვარებაში ვერ შეიტანა გარდატეხა თვით აფხაზეთის საკითხზე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა ცნობილმა დადგენილებებმაც, რომლებიც გამოქვეყნებისთანავე, ფაქტობრივად, ფარატინა ქალაქად იქცა. საქართველოს პარლამენტმა, მათ შორის, აფხაზეთიდან არჩეულმა დეპუტატებმა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოახერხეს რაიმე სერიოზული ზეგავლენის მოხდენა აღმასრუ-

ლებელ ხელისუფლებაზე და დადგენილებათა რეალიზაციის უზრუნველყოფა.

ამასობაში, აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხი საერთოდ ჩინში მოექცა და მდგომარეობა კონფლიქტის ზონაში უკიდურესად დაიძაბა. ე.წ. „სამშვიდობო ძალები“ და აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სხვა სამხედრო შენაერთები, კრემლის აშკარა წაყრუებით, მთლიანად ვ. არძინბას ფაშისტური რეჟიმის კონტროლს ქვეშ აღმოჩნდნენ და უკვე აშკარად მაპროვოცირებელ როლს თამაშობენ. არა აქვს საზღვარი რუსეთის გენერალიტეტის ცალკეულ წარმომადგენელთა თავხედურ დემარშებს მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს – საქართველოს მიმართ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ ასევე თვლის, რომ დადგა გადამწყვეტ მოქმედებებზე გადასვლის დრო. ამასთან დაკავშირებით, ადკ სრულ სოლიდარობას უცხადებს საქართველოს პარლამენტის აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატების თავგანწირულ საპროტესტო აქციას – უვადო შიმშილობას და მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან მთელი ეროვნული ძალების მობილიზაციასა და დარაზმებას აქციის მონაწილეთა სამართლიანი მოთხოვნების შესასრულებლად.

„აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ კვლავაც აფიქსირებს თავის ურყევ პოზიციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ძირეულად გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციასთან, უარი თქვას მასთან სამხედრო-სამოკავშირეო ურთიერთობებზე და კატეგორიულად დააყენოს ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან, პირველ რიგში, კონფლიქტის ზონებიდან, რუსეთის ყველა სახის შეიარაღებული ძალების ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი. ამასთან, „დევნილთა კავშირი“, ითვალისწინებს რა ვითარების მთელ სიმწვავეს, მოუქცოდებს ხელისუფლებას სრულად გაიზიაროს ახლო წარსულში დაშვებული უხეში შეცდომები და არ გაიმეოროს გაუთვლელი, ქვეყნისათვის საზიანო, ახალი, უპასუხისმგებლო ექსპერიმენტები.

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭო**  
თბილისი, 7 მარტი, 1997წ.

**საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებებმა  
შერ. ბაგართელა დევნილთა იმედები  
აფხაზეთის დევნილთა კავშირის მთავარი  
საბჭოს განცხადება**

მიმდინარე წლის მარტ-აპრილში აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“<sup>საქართველოს ეროვნული ცენტრი</sup> მოვალედ თვლის, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ.

„დევნილთა კავშირი“ თანაგრძნობითა და გაგებით შეხვდა საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ დეპუტატთა არაორდინალურ გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრისადმი საყოველთაო გააქტიურებას, უდავოდ საჭიროა და აუცილებელი. ამასთან, „კავშირი“ თვლის, რომ აფხაზეთის სათუთი პრობლემა, ქვეყნის საერთო ტრაგედია არ უნდა იყოს გამოყენებული ყველგასული პოლიტიკური ძალების რეანიმაციისა და ზოგიერთთა ამბიციების დაკმაყოფილების მიზნით. „კავშირის“ შემოფოთებას იწყვეს აგრეთვე ამ აქციის ირგვლივ ატეხილი არაჯანსაღი აჟიოტაჟი (ფილარმონიის შეკრება, პრესისა და ტელევიზიის ინფორმაციები), რითაც ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, ფაქტობრივად, თვითონ უბიძგა საზოგადოებას დაპირისპირებისა და დესტაბილიზაციისაკენ.

„დევნილთა კავშირი“ მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ამ ბოლო დროს მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ვერ გაამართლა აფხაზეთიდან დევნილთა იძულები. თუმცა, პარლამენტმა აღნიშნული დოკუმენტებით თითქოს გაამკაცრა თავისი დამოკიდებულება რუსეთის პოზიციისადმი და ეჭვქვეშ დააყენა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მომავალი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შემდგომი ყოფნაც კი, არსებითად ისინი მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა და სულაც არ წარმოადგენენ იმ გადაწყვეტილებებს, რომელთაც შეიძლება მოჰყვეს რაიმე პრაქტიკული შედეგები.

„დევნილთა კავშირი“ საგანგებო ყურადღებას მიაქცევს დსთ-ს ლიდერთა ა.წ. მარტის სამიტის შედეგებს. მიუხედავად გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური წინსვლისა, რუსეთის შუამდგომლობით აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მთელი წინა გამოცდილება, 28 მარტის შემდგომი მოვლენები გვაძლევს სრულ საფუძველს ვიფიქროთ, რომ სამიტის გადაწყვეტილებაც სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. „სამშვიდობო ძალებისთვის“ კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადის გაგრძელების საბაბი. საინტერესოა, რა არგუმენტებს მოიშველიებს ხელისუფლება 31 ივლისის შემდეგ?

აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ კიდევ ერთხელ მოითხოვს, ბოლოს და ბოლოს, გადაიდგას რეალური ნაბიჯი აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად და დევნილთა მშობლიურ კერებში დასაბრუნებლად: ხელისუფლებამ 31 ივლისის შემდეგ საბოლოოდ თქვას უარი რუსეთის შუამავლობაზე, კატეგორიულად დასვას რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის საკითხი, აღიაროს და-



მოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შემდგომი ყოფნის მიზანშეუწონლობა და ქვეყნის მთელი პოტენციალი და ძალისხმევა მიმართოს აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

**საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ მთავარი საბჭო**  
ქ. თბილისი, 16.05.97.

**დროა, უარი ვთქვათ რუსეთის შუამავლობაზე**  
**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი**  
**საბჭოს განცხადება**

მიიწურა 31 ივლისი. რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ძალებს“ აფხაზეთში ყოფნის კიდევ ერთი ვადა გაუვიდათ. კონფლიქტის შუამავლად აღიარებულმა რუსეთის ფედერაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ გატეხა სიტყვა და ერთი ნაბიჯიც არ გადადგა დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა 1997 წლის მარტის სამიტის გადაწყვეტილების შესასრულებლად – გალის რაიონში დევნილთა მასობრივი დაბრუნებისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად. რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თვალთმაქცურად გამოიყენა სამიტზე მიღებული დოკუმენტის ის მუხლი, რომლის მიხედვითაც გალის რაიონში სამშვიდობო ოპერაციის გაფართოება უნდა მომხდარიყო აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით და სასწრაფოდ აამოქმედა ეს მექანიზმი სამიტის გადაწყვეტილებების ჩასაფუშად, რითაც მთლიანად გამოააშკარავა თავისი ნამდვილი სახე.

დღეს უკვე არავის ეეჭვება, რომ რუსეთის მოჩვენებითმა შუამავლობამ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში სრული კრაზი განიცადა და რომ დადგა გადამწყვეტ მოქმედებებზე გადასვლის დრო. ამ თვალსაზრისით, უდავოდ დამამიძებელია ის ნაბიჯები, რომელიც ამ ბოლო დროს გადადგა საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ, პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძის ინიციატივები, რომლითაც ის წარსდგა გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე და რომელიც გულისხმობს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლასა და მასში მრავალეროვნული ძალების ჩართვას; კონფლიქტის დარეგულირების საქმეში საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების გააქტიურებას. ამით საქა-

რთველოს ხელისუფლებამ ფაქტობრივად პირველად აგრძობინა სკოვს, რომ ის უკვე ვერ მოითმენს მოვლენების ძველი სცენარით განვითარებას და ეცდება ახალი გზების ძიებას პრობლემის რეალურად გადასაჭრელად. თავის მხრივ, კრემლიც აშკარად ხედავს, რომ შეიძლება მართლაც დაკარგოს მონოპოლია საქართველო-აფხაზეთში მიმდინარე პროცესების კონტროლზე და მთელი მონდომებით ცდილობს სიტუაციის ხელახლა დადაბვას ისევ და ისევ ნაცადი ხერხით – გუდაუთის სეპარატისტული რეჟიმის წაქეზებითა და შეგულიანებით. ამაზე მეტყველებს არძინბას ბოლოდროინდელი პროვოკაციული განცხადებები, რომელიც პოლიტიკური ისტერიკის ნათელ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“, გულდამით ანალიზებს რა შექმნილ ურთულეს სიტუაციას, თვლის, რომ მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება და არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა ახალი ცეცხლი დაანთოს აფხაზეთში. მიუხედავად ამგვარი საშიშროებისა, „კავშირს“ მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება არ უნდა დააშინოს მოსალოდნელი პროვოკაციების მუქარამ და მან, ქვეყნის პარლამენტის შესაბამისი დადგენილების თანახმად, ცალსახად მიიღოს გადაწყვეტილება არსებული ფორმით სამშვიდობო ოპერაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოს ხელისუფლებამ საერთოდ უარი უნდა თქვას რუსეთის შუამავლობაზე და არ დაუშვას მისი, როგორც ცალკე (შუამავალი) მხარის შემდგომი მონაწილეობა მოლაპარაკებით პროცესში. გარდა ამისა, „დევნილთა კავშირი“, კიდევ ერთხელ, მთელი კატეგორიულობით მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან გააკეთოს საგანგებო განცხადებები რუსეთის როლის შესახებ საქართველო-აფხაზეთში 1992-1993 წლებისა და შემდგომი პერიოდის მოვლენებში, მისცეს მას სათანადო შეფასება და პრინციპულად დააყენოს საქართველო-რუსეთს შორის არსებული სამხედრო-სამოკავშირეო ურთიერთობების გადასინჯვის საკითხი. დროა, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე საქვეყნოდ განვაცხადოთ: რუსეთმა ჩაიდინა მორიგი ღალატი ჩვენი ქვეყნის მიმართ და ამიტომ მან უნდა დატოვოს საქართველო.

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭო**  
თბილისი, 1 აგვისტო, 1997წ.

საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავში-  
რის“ მთავარი საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს პრეზიდენტის ბატონს  
ქალაქი უფროსი

ბატონო პრეზიდენტო,

ახლოვდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა მორიგი სამიტი, რომელმაც უნდა განიხილოს აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის შემდგომი გაგრძელების საკითხიც. საქართველოში, უკვე კარგა ხანია, არავის ეეჭვება რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ნაწილების მეშვეობით ჩატარებული ე.წ. „სამშვიდობო“ ოპერაციის შემდგომი გაგრძელების სრული უპერსპექტივობა, რაც არაერთხელ აღიარა ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომაც. საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“, სრულად აცნობიერებდა რა „სამშვიდობო“ ოპერაციის „შედეგებს“, თანმიმდევრულად ამხელდა რუსეთის მხარის არაკონსტრუქციულ პოზიციას და მოითხოვდა საქართველოს ხელისუფლებისაგან გადამწყვეტ მოქმედებებზე გადასვლას, კერძოდ, რუსეთის ფედერაციასთან არსებული სამხედრო-სამოკავშირეთა ურთიერთობების ძირეულ გადასინჯვას და ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან, პირველ რიგში, კონფლიქტის ზონებიდან, რუსეთის ყველა სახის შეიარაღებული ძალების ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანას. მიუხედავად ამისა, „დევნილთა კავშირმა“ გაითვალისწინა შექმნილი სიტუაციის მთელი სირთულე და გაგებით მოეკიდა საქართველოს ხელისუფლების ახალ ინიციატივებს, რომლებიც ა.წ. ზაფხულში წარედგინა გაეროს უშიშროების საბჭოს და რომლებიც გულისხმობდნენ სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლას და მასში მრავალეროვნული ძალების ჩართვას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა ინიციატივებმა კრემლი, ერთი ხანობა, მართლაც შეაწუხა, ის კი არადა, თვით ვ. არძინბასთანაც კი დაგვსვა სალაპარაკოდ, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, რეალური შედეგი არც ამ გააქტიურებას მოჰყოლია. დღეს სრულიად აშკარა გახდა, რომ რუსეთს არც სურს და არც შეუძლია რაიმე პოზიტიური როლის შესრულება აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში. უფრო მეტიც, მოსკოვის პოლიტიკა საქართველოსა და კავკასიაში მთლიანად გაკოტრდა. ერთადერთი, რასაც რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს, არის ის, რომ

როგორმე დააკონსერვოს არსებული სიტუაცია და ამ გზით შეინარჩუნოს თავისი გავლენა რეგიონში. აქედან გამომდინარე, „დევნილთა კავშირი“ ყოვლად დაუშვებლად თვლის ე.წ. „სამშვიდობო“ ოპერაციას ამოფარებით რუსეთს კვლავ მიეცეს საქართველოს საშინაო საქმეებში ხელის ფათურის საშუალება და კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან, მომავალ სამიტზე ცალსახად დასვას სამშვიდობო ოპერაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და კონფლიქტის ზონიდან რუსეთის შეიარაღებული ნაწილების გაყვანის საკითხი. ამასთან, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება დიდი დარტყმა იქნება კრემლისათვის და ის უეჭველად ეცდება, რაც შეიძლება მძლავრად „მოიქნოს კუდი“, მაგრამ, მიუხედავად გარკვეული საშიშროებისა, მიგვაჩნია, რომ ჩვენ არ უნდა შევეუშინდეთ მოსალოდნელ პროვოკაციებს. დროა, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ყოველგვარი მობოდიშების გარეშე საქვეყნოდ განვაცხადოთ: რუსეთმა უღალატა საქართველოს და მან უნდა დატოვოს საქართველო.

ბატონო პრეზიდენტო, ვიტოვებთ იმედს, ამჯერად მაინც იქნება გათვალისწინებული 300 ათასი დევნილის ეს ურყევი მოთხოვნა და ყველაფერს იღონებთ მისი რეალიზაციისათვის.

პატივისცემით,  
აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭო  
თბილისი, 20.X.1997წ.

|   |     |
|---|-----|
| წინათქმა .....  | 3   |
| <i>ო მ ი ს ე ქ ო</i>  |     |
| ზურაბ ჰაპასქირის ასი მძიმე დღე .....  | 5   |
| მინდა დავიჯერო, რომ აფხაზეთს მშვიდობიანი<br>გზით დავიბრუნებთ .....  | 12  |
| ტყვეობა... სიზმარი და სინამდვილე .....  | 20  |
| ლოკუმენტები .....   | 27  |
| <i>ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა</i>  |     |
| ძმობის ფურცლები. ქართველი და აფხაზი ხალხების<br>საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან .....  | 35  |
| ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ<br>ურთიერთობებზე .....  | 41  |
| ინტერფრონტის ლიდერის ახალი „გმირობანი“. ანუ იმის<br>შესახებ თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ.<br>მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზები და აფხაზეთი“ ..... | 56  |
| „უმეცრობის ფართი-ფურთი“. ანუ ცნობილი ფალსიფი-<br>კატორის მორიგი გამოხდომა .....   | 76  |
| დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის პოლიტიკური<br>ისტორიიდან. VIII საუკუნის I ნახევარი .....  | 102 |
| აწინდელი აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან.<br>XI-XV საუკუნეები .....  | 121 |

|   |     |
|---|-----|
| აფხაზეთი—მეორე ტაო-კლარჯეთი? ანუ დავიბრუნებთ<br>თუ არა აფხაზეთს .....     | 162 |
| საქართველო—აფხაზეთის ისტორიული წარსული<br>„აფხაზურ ისტორიოგრაფიაში“ ..... | 169 |
| მართალი წიგნი აფხაზეთის კონფლიქტზე .....                                  | 178 |
| აფხაზეთისათვის თავგადაღებული კაცის გახსენება.<br>სოსო ადამია .....        | 187 |
| აფხაზეთის ტრაგედია. მიზეზები და გაკვეთილები .....                         | 192 |
| დაფუძნდა აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი .....                               | 232 |
| ... ყველა გზა მაინც თბილისისკენ მიდის .....                               | 236 |

*Вместо резюме*

|   |     |
|---|-----|
| Фальсификация истории в ранге государственной<br>политики ..... | 243 |
|---|-----|

|  |     |
|--|-----|
| Военный конфликт 1992-1993гг. - общая боль,<br>общая трагедия грузинского и абхазского народов ..... | 249 |
|--|-----|

*დაწარმო*

**აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი. მასალები და დოკუმენტები**

|   |     |
|---|-----|
| დროა შევიკრათ ერთ მუშტად და ვიქცეთ რეალურ ძალად.<br>აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა<br>ყრილობის საინიციატივო ჯგუფის მიმართვა დევნილი მოსა-<br>ხლეობისადმი ..... | 252 |
|---|-----|

|  |     |
|--|-----|
| ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის მეუფე დანიელის მიმართვა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყრილობას .....                                      | 254 |
| აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევის შესახებ აზრს გამოთქვამენ .....   | 255 |
| აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის რეზოლუცია .....   | 256 |
| „აფხაზეთო, დაე, გახმეს მარჯვენა ჩემი, თუ დაგივიწყო შენ“.<br>მიმართვა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისადმი .....                               | 263 |
| გავემიჯნოთ სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს, ვიაროთ ძმობისა და მეგობრობის გზით. მიმართვა აფხაზი ხალხისადმი .....                                  | 266 |
| ნდობისა და თანამშრომლობის სურვილი არ შეიძლება ყოველთვის ცალმხრივი იყოს. მიმართვა რუსეთის პრეზიდენტს, რუსეთის დემოკრატიულ საზოგადოებას .....  | 267 |
| ჩვენ მხოლოდ ერთობა გადაგვარჩენს. მიმართვა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისადმი .....  | 271 |
| გაზეთ „დევნილის“ მკითხველებს .....   | 274 |
| უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს. ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის მეუფე დანიელის მიმართვა გაზეთ „დევნილი“-ს გამოსვლასთან დაკავშირებით ..... | 276 |
| 27 სექტემბერი უნდა იქცეს დიდი საერთო-ეროვნული პროტესტის დასაწყისად. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს მიმართვა .....              | 276 |
| საქართველოს პარლამენტის 17 აპრილის დადგენილება მხოლოდ დეკლარაციაა. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება .....             | 278 |

- „სამშვიდობო ძალებმა“ უნდა დატოვონ კონფლიქტის ზონა. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება ..... 281
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ცნო არძინბას აფხაზეთის სამხედრო უწყება. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს პრეზიდენტის განცხადება ..... 283
- აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი გმობს საქართველოს პარლამენტის დადგენილების რევიზიას. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს პრეზიდენტის განცხადება ... 284
- დადგა ჟამი პოზიციების ძირეული გადასინჯვისა. აფხაზეთიდან დევნილთა საპროტესტო აქცია-მიტინგის რეზოლუცია ..... 286
- პარლამენტის ახალი დადგენილებები ვერ შეიტანენ გარდატეხას აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საქმეში. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება ..... 287
- Нашему возвращению нет альтернативы.  
 Обращение к гражданам, проживающим в Абхазии ..... 290
- ნუ ვაღიარებთ სეპარატისტულ აფხაზეთს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება ..... 291
- დადგა გადაწყვეტ მოქმედებებზე გადასვლის დრო. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება ..... 293
- საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებებმა ვერ გამართლა დევნილთა იმედები. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება ..... 294
- დროა, უარი ვთქვათ რუსეთის შუამავლობაზე. აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება ..... 296



რუსეთმა უღალატა საქართველოს და მან უნდა დატოვოს საქართველო. „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ მთავარი საბჭოს მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძისადმი .....

**ზურაბ ვალერიანის კე კავასქირი**


**აფხაზეთი  
საქართველო**

**ПАПАСКИРИ ЗУРАБ ВАЛЕРЬЯНОВИЧ**

**АБХАЗИЯ - ЭТО ГРУЗИЯ**

აეწუო და დაკაბადონდა „DIAL“-ის  
კომპიუტერულ ცენტრში  
ააწუვეს: ეკა ბეჭვიაიმ და ქეთევან ნებიერაძემ  
დააკაბადონა: ირინე ოთარაშვილმა  
ტექნიკური რედაქტორი: ვლადიმერ დარასელია

შეკვეთა № 783 ტირაჟი 1000  
ფასი სახელშეკრულებო  
სააქციო საზოგადოება „შარნაპაზი“  
გრიგოლ რობაქიძის გამზირი 7



„წვერმოშვებული, გაცრეცილი კაცი უცებ ვერ მივამსგავსე  
სოხუმური შეხვედრებიდან ხსოვნაში ჩარჩენილ ხალისიან,  
მზით გარუჯულ კაპიტანს...“

ალეკო ასლანიშვილი

